

თამაზ მეტრეველი

სულის სანთლები

და როგორც სული, ცივია თოვლიც...

თოვს, მშვიდად, წყნარად, მოდის და მოდის,
ხან არეულად, ხან მოზღვავებით,
და როგორც სული, ცივია თოვლიც,
ცივია, როგორც ქრისტეს თვალები...
მოდის, ხელს ზეცას ვერ ააფარებ,
ან რომც გინდოდეს, არცა ჩანს ზეცა...
მოდის, ფანტელებს მოაფარფატებს,
აბრეშუმით მიწაზე კეცავს...
მინდა, რომ ავყვე თოვლის სიმშვიდეს,
მინდა ვუსმენდე ბეთჰოვენს, მოცარტს,
და რომ არავინ ხელს არ მიშლიდეს,
როგორც ხატის წინ ქალწულის ლოცვას...
შევცქერი სარკმელს, არ წყდება თოვა,
მალე მთელი ცა ჩამოვა დაბლა...
ჩემს წინ ნაძვნარი მიმოაქსოვა,
და ახლა სახლის კონტურებს ქარგავს...
თოვს, თოვლმა სულიც გადაათეთრა,
ის, ზოგჯერ, ვიცი, სულსაც უხდება;
მოდის, მესტუმრე და ვიყოთ ერთად,
მანამდე, სანამ გაზაფხულდება...

რუსთაველს რომ ჩავივლი

რუსთაველს რომ ჩავივლი,
ვფიქრობ, ნუთუ, გადარჩა,
რადგან სულს მეძავივით
მოსდებია სარანჩა...
მე კი ისევ ზღაპრების
მიყვარს მზეთუნახავი,
და მძულს დედინაცვლების

სიხარბე და ღავღავი...
მივალ, ვადგამ ნაბიჯებს,
და ვგრძნობ რაღაც მაკლია,
ყველა თვალებს მარიდებს,
თვალებს ცივს და ნაღვლიანს...
აღარ ისმის ის ძველი,
გრძელი გადამახილი,
და პროსპექტივ შიშველი
მიმზერს კუბოს თალხივით...
იქნებ ვცდები, ან სულაც
მხოლოდ მე მეჩვენება,
რომ ეპოქა დასრულდა,
როგორც რაშთა ჭენება.
რომ წავიდა, გაფრინდა
და გადაიგრიალა,
გადმოაგდეს ტახტიდან
ის ძველი დრო მთლიანად...
იქნებ მეც აღარა ვარ,
მე ხომ ძველებს ვეკუთვნი,
სულ ტყუილად ჩავმდგარვარ,
ამ სევდიან ფერხულში...
სარანჩა კი კვლავ ვატყობ,
თავის წინსვლას აგრძელებს,
გარბის თავის მარათონს,
ნთქავს და გზებს მიამტკერებს...

დე, სხვისი იყოს ყალბი დიდება!

ნუ ფიქრობ ამდენს, არა ღირს ფიქრად,
დღეს შენით ბევრი იკეთებს სახელს,
გაივლის დრო და იქცევა ჩირად,
რაც კი მათ ტვინის ჭყლეტითა ჩხლართეს...
და არც არსებობს გზა მოფენილი,
მხოლოდ ვარდებით, მხოლოდ იებით,
პირიქით, ხშირად მორიელივით,
გვნესტრავს ცხოვრება, გვხვდება იელით...
გაუშვი, ცოტა მათაც იხარონ,
ცოტაც, თუ უნდათ, იქურდბაცაცონ,
ჰოო, გაუშვი, მართლაც მიქარონ,
ინტრიგანონ, იმატრაბაზონ!
შენ არაფერი არ დაგაკლდება,
შენ ზევით დგახარ, ცალკე, სულ ცალკე,
სისხლისფერია შენი პლანეტა
და სიკვდილია მისი მესაჭე!
შენი სივრცეა, ზღვა, ოკეანე,

მწვერვალი, ჯერაც ფეხდაუდგმელი,
თვალი შეავლე, თვალი შეავლე,
შენი სამყარო დარჩა უცვლელი...
დე, სხვისი იყოს ყალბი დიდება,
ყალბი სახელი თუ ნეტარება,
ნიჭი გვირგვინზე არ იყიდება,
ნიჭი უნიჭოს არ ეკარება!!!

სიყვარულს ვმარხავ

სულ განვიცდიდი, სულ განვიცდიდი,
როცა სიყვარულს ვუთხრიდი საფლავს,
ახლაც ასე ვარ, მაგრამ დავიცდი,
და საბოლოოდ ერთხელაც გნახავ...
და ვფიქრობ, ვფიქრობ, რატომ მიყვარდი,
რატომ ვეძებდი შენში სასწაულს,
როგორც სინათლის სხივებს გვირაბში,
როგორც ყინვების მერე გაზაფხულს...
არსებობს, ნეტა, სამოთხე, მართლაც,
სადაც შედიან განწმენდილები,
სიყვარულს ვმარხავ, სიყვარულს ვმარხავ,
რომელსაც მსხვერპლად შენ ეწირები!!!
თუმც, მოდი, საფლავს დავტოვებ ღიას,
თუ სურვილი გაქვს მოგცემ ბოლო შანსს,
როგორც აძლევდა შანსს ოფელიას,
გახსოვს, ჰამლეტი მონაზვნობისას...
თუმცა, ვინ იცის, დანიის პრინცი,
ჩემსავით კარგად იცნობდა ქალებს?
თუ დედოფლობის ხარ მართლაც ღირსი,
მეფე ვარ, მთხოვე და შეგიწყალებ!!!

ან ვინაა შეუმცდარი

გადაივლის ეს ზამთარიც,
ამ ყინულსაც აიღებს,
ეს ცხოვრებაც შეგვასწავლის,
საქმეს ნაირ-ნაირებს...
ჰო, ჯანდაბას, შევსვით შხამიც,
თუნდაც სისხლში წავიდეს,
იმდენი გვაქვს სალოცავი,
ყველაფერს აგვარიდებს...
აქ რომ მოსწონთ, აქ რომ უყვართ,
ვინმეს სად გეგულებათ;
ერთ სიტყვას თუ გადაუკრავ,

აქ ცაც გადაბრუნდება...
მომე ხელი, მომე გული,
გული ბევრის მნახველი,
გული ხშირად დანისლული,
ხშირად სავსე ნალველით...
ან ვინაა შეუმცდარი,
განა ქრისტე არ შეცდა?
გოლგოთაზე როცა ჯვარი,
აღმართა და ჯვარს ეცვა...
ვის რა ვუთხრა, რა შევჩივლო,
ჯერ ზამთარი წინ არის,
სხვაგან ყოფნას აქ გვერჩივნოს,
ვინმე მიწას მიგვაყრის...
დღეს დავკარგავთ, ხვალ ვიპოვით,
ბედი ასე ჩალიჩობს...
ცხრა ძმამ, ისევ ერთი თხილი,
გვიჯობს ძმურად გავიყოთ?

შტორმი

გინახავს, როგორ იწყება შტორმი,
წამოქოჩრილი ზღვა ფეხზე დგება...
მეც ასე მომდის, მეც ასე მომდის,
როცა ჩემს სულში ლექსები ჩნდება...
მეც გადავდივარ ყოველგვარ საზღვარს,
საკუთარ ფიქრებს თავზე ვატყდები,
ვეღარ ვანსხვავებ მამაცს და ლაჩარს,
ვბლავი, გავყვირი და ვილანძლები...
ამ დროს დამფრთხალი ჩემი მუხები,
თავშესაფრისკენ ჩორთით გარბიან;
ვერ გავჩუმდები, ვერ გავჩუმდები,
თუ ვერ მივაგნებ ჩემს ფანტაზიას...
წყლის სვეტი ლამის ადის ზეცაში,
შტორმი იზრდება და ძლიერდება,
მე ჩემს თავს ვხედავ მის მანერაში,
როცა კლდის ქიმებს ურტყამს, ემსხვრევა...
მეც შეწირული, ამ შტორმსა ვგავარ,
შევდივარ ზღვაში და კლდეს ვემსხვრევი,
თან ვიგერიებ ტალღაზე–ტალღას,
სხვა გაშმაგებით და გაცეცხლებით...
და მიკვირს, მიკვირს, რატომ მტოვებენ,
შეყვარებული ჩემზე მუხები,
თითქოს სიკვდილთან მახლოვებენ,
მეც ზღვა ვარ, ზღვა ვარ და ვიმუქრები...
თუმც ჩემი ლტოლვა, მართლაც გიჟური,

მალე იღლება ამდენ ბრძოლისგან,
თან მზეც ამოდის ცად გახიზნული,
და სევდიანად მიმზერს შორიდან!!!

იქ წავიდეთ

იქ წავიდეთ, სადაც ერთ დროს,
ერთმანეთი გვევარება,
სადაც იის წვიმები და
გვირილების ქარებია...
სადაც რბიან ვარდის წყლები,
და ციური მანანები,
ცად აწვდილი დგანან მთები,
თავის ღია ნაპრალებით...
იქ წავიდეთ სადაც მუდამ
ერთმანეთის ვიგრძნობთ სითბოს,
ძველებურად აბდაუბდათ,
და მოჩლექით ვისაუბროთ...
ვისაუბროთ, რასაც ჰყვება
ნაკადული წყაროს ხმაზე,
წერო წეროს რად მიჰყვება,
მოკრიალე ზურმუხტ ცაზე...
რას მღერიან ვარსკვლავები,
მაშინ როცა მიწას სძინავს,
ვის სჭორავენ ასე გზნებით,
ვის ელიან რიჟრაჟისას...
იქ წავიდეთ, სადაც ჩვენთვის,
ნუკრებს ზრდიან ხალებიანს,
სადაც ერთ დროს ერთმანეთი,
მტრედებივით გვევარება...

სად გაიტაცეს, ნეტა, ქარებმა,

მე შენ გაფრენილ დღეებს მაგონებ,
მაგონებ დღეებს ჩემი ბავშვობის,
როცა ვერავის ვერ გავაგონე,
ხმა და მეც სურვილს ქუჩებს ვანდობდი...
როცა ბუდიდან ამოფრენილი,
სულ ყველა ბარტყი ჩემი მეგონა,
ვიყავი მონა, ვიყავი გმირი,
სარდალიც ვიყავ, ჩემი ეზოდან...
ვებრძოდი დევებს, დრაკონებს, ვეფხვებს,
და ვიმარჯვებდი ისე ადვილად,
რომ არაბეთის განთქმული მეფეც,

პირს დააღებდა ჩემზე, ნამდვილად...
და ახლა როცა შენს სახეს ვუმზერ,
ნაკვთებს უზადოდ გამოკვეთილებს,
ვაგროვებ ჩემი ბავშვობის ფურცლებს,
რვეულებიდან ამოფხრეწილებს...
ვერ მეტყვი ასე რად ენანებათ,
ჩვენთვის ან ცრემლი, ან თანაგრძნობა,
სად გაიტაცეს, ნეტა, ქარებმა,
უსპეტაკესი ჩვენი ბავშვობა...

ნუ დამკარგავ

დაგინახავ, სისხლი ჩქროლას
იწყებს როგორც ჩანჩქერი...
შენი მზერა მომეწონა,
სულის ფსკერზე ჩამცქერი!
რა მჭირს შენი დასაცინი,
მაგრამ მაინც კარგი ხარ...
თმებგაშლილი, ფრთებგაშლილი,
გულის კოვზზე მაჩნიხარ...
არ დამალო, არ დაფარო,
ეგ მეტყველი თვალები,
თორემ ჟამი გასვლას ჩქარობს,
ჟამი შეუბრალები...
ნუ დამკარგავ, ნუ დამკარგავ,
დასაკარგი არც მე ვარ,
ნულარ ეძებ მე აქა ვარ,
ლამით ვინც გელანდება...
ნულარ ეძებ, ნულარ ეძებ,
ძებნას აზრი არა აქვს,
დამაწაფე შენს ცხელ მტევნებს,
მოვრჩეთ დავიდარაბას!!!

იქნებ მიცდიდი? (ნანა ონიანს)

შენ ხომ ვერ მეტყვი, შენ ხომ არ გახსოვს,
როდესაც ცაში შემომეფეთე,
როგორც არასდროს, როგორც არასდროს,
მეც მოვალწიე მგონი მეცხრემდე...
იქნებ მიცდიდი, იქნებ მელოდი,
მაგრამ ამის თქმა ვერ გამიბედე,
ან შენც ნაწყენმა საქართველოთი,
მწუხარებისთვის ვერ გამიმეტე...
მე, მართლაც, ხშირად ვტოვებ ამ მიწას,

და თეთრ ბილიკებს ცისკენ მივყვები,
მიწას ვამძიმებ, ზეცა კი მიტანს,
ან, იქნებ, ზეცას უფრო ვჭირდები...
ვინ იცის, იქნებ, მეც ვარსკვლავი ვარ,
ამდენ ვარსკვლავში, ერთი მათგანი,
ვინც დედამიწას დასცქერს მაღლიდან
და გზაარეულთ გზა–კვალს ასწავლით!
ან იქნებ, მართლაც, როგორც ზღაპრებში,
ბედნიერება ბატის კვერცხშია,
და მეც დაბნეულს ამდენ ბატებში,
მართლაც ბატების კვერცხი მერჩია...
მახსოვს ვიპოვე, მაგრამ დავკარგე,
შენ რომ შემომხვდი, არ მქონდა ხელში?
ჰო, თუკი ცაში შემომალამდეს,
გამათევინე შენს მშვიდ თვალებში...

აჰაა, აი, გაიცინეთ!!!

მიმიღებ ასეთს, როგორიცა ვარ?
როგორიცა ვარ, ასეთს მიმიღებ?
დედას ვფიცავარ, დედას ვფიცავარ,
ამას არასდროს გადაგივიწყებ...
არ შეეცდები ჩემს შეცვლას სულაც?
სუფრებზე გრიალს არ ამიკრძალავ?
ან საქორწილოს არ მიფხრეწ სურათს?
არ დამაბრალებ ყოველდღე ღალატს?
არ გეყოლები მუდამ კონტროლში?
არ გააგრძელებ ჭკუის სწავლებას?
ან არ შემადვრენ თაგვის სოროში,
თუკი სხვა ვინმე შემიყვარდება?
არ გეყოლები წივილ–კივილში,
ან არ შემიყრი ჩხუბზე მეზობლებს?
ერთსდაიმავეს თუთიყუშით
მილიარდჯერ არ გამიმეორებ?
ნუთუ ვერ ხვდები, რას გეკითხები,
მაინტერესებს რაც ჩამოვთვალე,
თუკი ასეთი მართლაც იქნები,
ცოლი ყოფილხარ და გითხოვ ხვალვე...

სიცოცხლე

დამეთანხმები, რომ სიცოცხლე დიდი განძია,
და რომ ეს განძი ვერც ამოვხსნით რატომ გვაჩუქეს...
ამის ამოხსნა შორს სცილდება ჩვენს ფანტაზიას,

ღმერთსაც რომ ჰკითხო, ნაღდად ღმერთიც ვერ გიპასუხებს...
თუკი მოვდივართ არაფრიდან რაღას გვაწუხებს,
ისევ გადასვლა არაფერში ლიწინ–ლიწინით,
როდის იქნება, რა აზრი აქვს, უნდა დასრულდეს,
უნდა დასრულდეს ყოველივე მაინც სიკვდილით...
ჰოდა, არა სჯობს, დავტკბეთ, სანამ ზეცა ღიაა,
სანამ გვიმზერენ დამცინავად ქალთა თვალები,
იცი, სიცოცხლე ეს ლამაზი მელოდიიაა,
ანუ ხანმოკლე მიწიერი არდადაგები...

თებერვალი

რაღაც გაგრძელდა ეს დრო ძალიან,
ასე მგონია, არც დასრულდება...
ისევ ის ცივი თებერვალია,
ერთ დროს ტყვიები რომ ზუზუნებდა...
თვეა თვეებში ყველაზე მოკლე,
მაგრამ ყინვებით ყველაზე გრძელი,
ასე მგონია მეც მაშინ მომკლეს,
რომ არ გასულა ჯერაც ის წელი...
რომ თებერვალი ისევ აცოცხლებს,
გულზე დაჩნეულ იმ ძველ ჭრილობას,
რომ კვლავ მოგვიქსევს თავის ღვარცოფებს,
რომლებიც დიდხანს ასე გვტკიოდა...
მოდის, ძვირფასო, ხელი დამადე,
მინდა გავუძლო ამ ცივ არტახებს,
ერთხელ ხომ მაინც უნდა დამთავრდეს,
თებერვლის სუსხი და სიპარტახე!!!

დიდი ხანია მე შენი ტყვე ვარ

დიდი ხანია მე შენი ტყვე ვარ,
დავკარგე ნიჭი დროის შეგრძნების,
და არც არავინ არ მეკითხება,
რატომ მომწონხარ, რატომ გნებდები...
მითხარი, სულმა როგორ გაიგოს,
არდავიწყების სად გადის ზღვარი,
როგორ ამიხსნას დღემდე რა იყო,
სად იყო ცხადი და სად სიზმარი...
რად მინდა ტაში, აპლოდისმენტი,
თუ მას არ ახლავს შენი თითები,
თითქოს ზეციდან შენს ხმას ვისმენდი,
და მაცვიოდა მარგალიტები...
ახლა კი ამდენ კითხვის ნიშანში,

როგორ გავიგო რა უნდა ვთქვო?
მე მუდამ ვყავდი ღმერთებს მიზანში,
როგორც ერთ–ერთი საუკეთესო!!!
იცი, ხადახან ისე მწყურდები,
როგორც სწყურდება ძუძუ პატარებს,
და ეს გრძელდება დაუსრულებლივ,
როგორც ცის ლოცვა და სიანკარე...
კი, მართალია, დაბნეული ვარ,
რომ თავხედურად თვალებს გისწორებ,
შენ ხომ ოცნების დასასრულიდან,
მთლად დასაწყისში გადამისროლე!!!

ნუ დამპირდები

ნუ დამპირდები, ნუ დამპირდები,
რომ სულს მზითა და მთვარით ამივსებ,
მესმის, შენ ალბათ მეაპრილები,
მე კი ვიხრები თებერვალისკენ...
შენსკენ ხარობენ ვიცი ვარდები,
ჩემსკენ ჯერ ისევ ხმლებსა ფერავენ,
არ აკრეფილან მთებზე ჯანლები,
და მზეც ჯერ ზეცას ვერ აფერადებს...
გადამინახე ჩემი ნუგეში,
დამარცხებამდე გადამინახე,
მე ხომ ამ ველურ საუკუნეში,
ვიბრძოდი, მაგრამ ვერ დამინახეს...
ბევრს კი ჯერ ისევ ბრძოლის ჟინი აქვს,
გავსებული აქვთ სისხლით თვალები,
მათ არც სიკვდილის არ ეშინიათ,
ჯერ ისევ ჟღერენ მათი ზარები...
ჰოდა, არა ღირს, ნუ დამპირდები,
რომ სულს მზითა და მთვარით ამივსებ,
ჯერ არ დამცხრალა ზღვის ნაპირები,
ჯერ ისევ ებრძვის ქარებს ალვისხე...

მეც მიზეზს ვეძებ

შემოაღამდათ ვარსკვლავებს გზაში,
და ამიტომაც მოსჩანან ცაზე;
შენ კი ამდენხანს ბედის ძებნაში,
ხარ და, ვინ იცის, მიზანსაც ასცდე...
იცი, გვაშორებს, ნაღდად გვაშორებს,
მე და შენ, ალბათ, სინათლის წელი,
მინდა, რომ იყო ჩემს სიახლოვეს,

მაგრამ, ვგრძნობ, ისევ რაღაცას ელი...
ისე, გახსოვდეს, მეც მიზეზს ვეძებ,
მეც მიზეზს ვეძებ, რომ დაგივიწყო,
რამდენი რამე მოვიმიზეზე,
რომ დამენახე, რომ ჩემი იყო...
გაუშვი, დავრჩეთ ასე შორი-შორს,
მივეკედლები მე ომის ღმერთებს,
და ყველა მიზეზს ერთად მოგისპობ,
ჰო, ასე ვფიქრობ, თავს ვიიმედებ...
თავს ვიიმედებ, თუმცა, ვინ იცის,
სად წყდება ჩვენი შეხვედრის ბედი,
რომ ყველაფერი ხდება პირიქით,
მე შენ და შენ კი ეშმაკებს ეტრფი!!!
დაჭრილი გედი გამოდის ზღვიდან,
და ისევ, იცი, მიილტვის ცისკენ;
მე შენი ლურჯი თვალები მინდა,
თუმცა კი, ვიცი, ველარ მომისწრებ...

თვალს ვერ გაცილებ

ამ სილამაზემ ისე დამღალა,
თვალს ვერ გაცილებ, თვალს ვერ გაცილებ,
ყველა ვარსკვლავი უკვე ჩამქრალა,
შენ კი, როგორც ჩანს, კვლავ შემაცდინე...
კვლავ შემაცდინე, რადგან ყველაფერს,
შენით ვზომავ და შენით ვაფასებ,
გიყურებ ზეცის ჩამონგრევამდე,
როგორ ასხივებ, როგორ ხასხასებ...
გიყურებ, სანამ თვალი დაშრება,
სანამ სიკვდილთან მშვიდად ვპაექრობ,
ან საბოლოოდ გული გასკდება,
რომ ვარსკვლავებად ცაზე ავენთო...
ვიცი, აქ, ალბათ, არც მიწერია,
შენით ტკბობა და შენით ალერსი,
და ისიც მივხვდი, რისთვის კვდებიან,
რისთვის კვდებიან ქალის მკლავებში...

რა სათუთი ხარ

რაც არ უნდა ვთქვა, რაც არ უნდა ვთქვა,
ალბათ, გამამხელს მაინც თვალები;
ასე მგონია თვალებს უყვარხარ,
გულს კი არაფრით არ ეკარები...
განა იმიტომ, რომ არ უნდიხარ,

ანდა რაიმე ნაკლი გიპოვა...
რა სათუთი ხარ, რა სათუთი ხარ,
თეთრად გაშლილი ალუბლის რტო ხარ...
და რომ შეგეხო, ვშიშობ, ძვირფასო,
არ შემრჩე ფოთლებშემოძარცვული...
ამას სჯობს ისევ სხვამ გაგიტაცოს,
მე დამიტოვო მხოლოდ წარსული...
რომც გკითხო, ალბათ, პასუხს ვერ გამცემ,
რატომ მიდიან გაზაფხულები...
და ის ვინც გვიყვარს წრფელად ყველაზე
რჩებიან გულებგაკაწრულები...

მენანება

მენანება, მენანება,
აუ, ისე მენანება,
რადას მიდის, რადას ქრება,
სიყვარული თუკი ჩნდება...
რად აღმოვჩნდით ასეთ დროში,
თუ არა ვართ მისი ღირსი,
რად ვათენებ ღამეს ლოცვით,
რატომ გიწერ ლექსებს სისხლით...
რად მაოცებს დღემდე ასე,
შენი სულის ელვარება,
ან ანგელოზს რად გამსგავსებ,
აისებს რომ ემალება...
ისე მომწონს, ისე მომწონს,
მაგ გულმკერდზე თმების ჩრდილი,
ვით ბატკანი სააღდგომო,
შუბლზე კულულატკრეცილი...
შენ არ ჩანხარ, შენ არ ჩანხარ,
ორი დღეა, თითქმის, უკვე,
წვიმს და შენ ხომ პეპელა ხარ,
იქნებ წვიმით გაილუმპე...
ვიცი, ვიცი, დაიღალე,
ვეღარ დაფრენ სველი ფრთებით,
უსასრულო გახდა ღამე,
მე კი რიჟრაჟს ველოდები...
რომ აისის სხივებს ავყვე,
სხივი წამსვე გაგათბობდა,
ალბათ, სულაც, იქნებ, აქვე,
ნექტარსა სწოვ ყაყაჩოდან!!!

ვინ შეაფასა

რაც იყო, იყო, წავიდა, მორჩა,
ყველანი ვგავართ ცის ეტლის მგზავრებს...
მოვედით, ზოგი მეფე აღმოჩნდა,
ზოგიც მას უნდა მონებად ჰყავდეს...
რამდენ დედოფალს, რამდენ მეჯლისში,
უტარებია დრო კოპებზეყრილს...
და თვით თავებიც გაღიმებისთვის,
მოუკვეთიათ მასხარებისთვის...
ჰო, ყველაფერი გვყირჭდება ბოლოს,
მხოლოდ გიჟია თვითკმაყოფილი;
მზემ მთვარე უნდა დაიახლოვოს,
მთვარეს მოსწონდეს მისი პროფილი.
ასეა, სანამ მთვარე შეამჩნევს,
რომ მზესაცა აქვს თავის ლაქები;
და მალე მზეს ის გაღიმებაზე,
აღარ შეხედავს იმ აღტაცებით...
აღარ შეხედავს, როგორც ვერ ვამჩნევთ,
მე და შენც ერთურთს დიდი ხანია,
და რეაქციაც გაღიმებაზე,
ესაა, მართლაც, სხვა რეაქცია...
თავისუფლება მხოლოდ შენშია
ვინც გინდა იყავ, მეფე, ყმა, მონა,
განა მეფობა უკეთესია?
ვინ შეაფასა, რამ აიწონა?

ტკივილი

ვფიქრობ, რა არის ეს ჩემი გული,
რატომ ჰგავს, ნეტა, სამშობლოს ასე...
რაღაც ტკივილი, სასტიკი, მგლური,
თითქოს ხელიდან ოცნებებს მტაცებს...
და მეც პირს ვაღებ, ყმუილი მინდა,
რომ გულს ზედიზედ ხვდება ტყვიები,
და მერე თითქოს იმ ტკივილიდან,
კუბოს აცვივა, ვარდნი, იები...
სად გაიქცევი, თუ ირგვლივ ყველგან,
ყველგან ტკივილის მთელი მთებია,
და იწვის სულიც ასე ნელ–ნელა,
უცრემლოდ, როგორც ომში კვდებიან...
იცი, მინახავს სულის ამოსვლა,
როგორ ცივდება მერე სხეული,
აღბათ ესაა მეორედ მოსვლა,
სამშობლო ორად გადამსხვრეული...

როდესაც ქალი იღებს იარაღს (თამარ გორგაძეს)

როდესაც ქალი იღებს იარაღს,
ნეტა, რას ფიქრობს, ან რასა ნატრობს?
მაგრამ შენ, ალბათ, ქალი კი არა,
ჯადოქარი ხარ, ტყვიებს რომ ადნობს...
რომ მერე ყველას, სულ ყველა ტყვიას,
მისცეს თავისი დანიშნულება,
გასროლილი კი უკვე აღს მიაქვს,
და რიტუალიც მისით სრულდება...
გინახავს ქარი თმაგაწეწილი,
ველზე მერნებს რომ მიერეკება,
ის მკერდზე კაბა შემოფლეთილი,
ბარიერის წინ ამაყად დგება!
და როცა ტყვია მიზნამდე აღწევს,
ჭიხვინებს ცხენი ყალყზე შემდგარი,
შენ ჩემი ერთი სიცოცხლე გმართებს,
მე ამ ცოდვებში არ მიძღვის ბრალი!!!

გაზაფხული ჩემს ხელშია

ვით დედოფალს ულამაზესს
ბალებს მორთავს გაზაფხული ...
იჩახჩახებს მზე ცის თაღზე,
მოალერსე, გაბადრული...
შენ არ ელი ამ გაზაფხულს?
გარიჟრაჟზე მზის ამოსვლას?
ნუთუ არ გსურს, ნუთუ არ გსურს,
ჩემი ნახვა, ჩემი კოცნა...
რომ იცოდე, არა ვტყუი,
გაზაფხული ჩემს ხელშია,
მისი ყველა ნაკადული,
ჩემს ველ–მინდვრებს შეესია...
ნუ ჩურჩულებ, ნუ ჩურჩულებ,
გახსენ ბაგე, მითხარ, რა გსურს...
გაგინათებ თუნდ უკუნეთს,
თუნდ გაჩუქებ ამ გაზაფხულს...
ოღონდ ჩემი უნდა იყო,
გაიშალო ჩემს წინ თმები,
ყველაფერი დამავიწყო,
გასკდეს გული მღელვარებით...
მზისფერ ველზე ყვავილები,
მოგვიქსოვენ ნატვრის ფარდაგს,
იცი, როგორ მეყვარები?

როგორც ძველად ჩვენს წინაპართ...

სიმართლე მარად

ახლა კი ვხვდები, პოეტი თურმე,
პოეტი მუდამ მარტოა ყველგან,
რადგან ვერავის გუნდრუკს ვერ უკმევს,
და რაცა ხდება, იმასვე ხედავს...
არც არასოდეს, ჰო, არასოდეს,
არ პატიობენ პოეტებს, არა...
რადგან სიმართლეს უნდა ამბობდეს,
სიმართლე ყველგან, ყველგან და მარად...
კი შაბლონია ეს ყოველივე,
ასეა, მაგრამ ვერაფერს იტყვი;
ღმერთი შეცდომას ერს აშვებინებს,
ხოლო, პოეტი ზღავს თავის სისხლით!!!

მეც გაჩუქებ იასამანს... (მარინა სოსელიას)

მაშინ, როცა გაიშლება,
მეც გაჩუქებ იასამანს,
შემიფარებ თუკი შენთან,
დამავიწყებ რაც სულს ხრამავს...
დამავიწყებ, რაც გულს შიგნავს,
ამ ყველაფერს დამავიწყებ,
ამომათრევ მორევიდან,
მე რომ მთელი ძალით მითრევს...
ხედავ ქუჩებს, ყველას ერთად,
სევდის ფერი მოსდებია,
დილაც ისე ფრთხილად ფეთქავს,
დილას სუსხის ფოთლები აქვს...
მაგრამ თუკი გაიშლება,
მეც მოგიტან იასამანს,
რონ გავფანტო შენი სევდა,
დაგავიწყო რაც გულსა ჰკლავს...
თუ კი ისევ, როგორც შარშან,
დაახვავებს სურნელებას,
თუ გადარჩა, თუ გადარჩა,
ამ ყინვათა უმეცრებას...
ხედავ, მართლაც ველოდები
იასამნის ყვავილობას,
მომაშველე შენი ფრთები,
შენი სული, შენი ტრფობა...

შენთან ყოფნა მენატრება (მარი ბერძენას, დაბადების დღე ჰქონია და...)

რას ვზეიმობთ? დაბადებას?
თუ იმას, რომ წელსა ვკარგავთ?
შენთან ყოფნა მენატრება,
შენ კი ალბათ, სხვებთანა ხარ...
ვიცი, ალბათ, არა გჯერა,
არა გჯერა ამ სიტყვების,
მაგრამ ხშირად ბედისწერა,
სიურპრიზებს გზავნის ჩვენთვის!!!
როგორც ხედავ, ჯერაც ისევ,
თებერვალის ქარებია,
შენ ვერავინ დაგივიწყებს,
თუკი ვინმე გყვარებია...
მეც იმათში მიმათვალე,
ვინც შორიდან შენთვის იწვის,
ვინც შეაკვდა ამ გრიგალებს,
ამ ბავშვური ზღაპრებისთვის...
ისე მესმის, იცი, შენი,
რადაც მაინც გიხარია,
ვტკბები, ვტკბები, შენი ცქერით,
თუმცა, მგონი, სიზმარია...

რა გვიანია

რატომ მგონია, სულ ახალ-ახალ,
სულ ახალ-ახალს მიჩენ თავსატეხს,
რომ დავემსგავსე, მართლაც, უნახავს,
და უკანასკნელს ველი განაჩენს...
სულ მალე, ალბათ, გაზაფხულდება,
ალბათ, ბუნებაც გაიაპრილებს,
მე კი, ვქცეულვარ შენს მაყურებლად,
და არაფერიც აღარ მაკვირვებს...
აღარ მაკვირვებს, როგორ ეშვება,
ერთად მთებიდან ასი ჩანჩქერი,
ან ოცნებანი როგორ მემსხვრევა,
ამ ბოლოს ასე შემონაჩვევი...
აღარ მაკვირვებს მგელთა თარეში,
არც მზის ამოსვლა აღარ მაკვირვებს,
ასე მგონია ფსკერზე დავეშვი
და სიზმრებში ვცვლი ამ სინამდვილეს...
სიზმრებში სადაც არ ცოფდებიან
ზღვები, არც ლურჯი ოკეანენი,
და არც ეჭვები მაბობდებიან

ლიფსიტებივით მოფართხალენი...
სადაც მშვიდად ვარ და არ ვაწყდები,
როგორც ტუსადი ციხის ცივ კედლებს,
სადაც არ ფასობს ჩვენი განცდები,
და ისევ ვცოცხლობთ სიკვდილის შემდეგ...
მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებანია
და არავინ ჩანს ჯადოს ამხსნელი...
რა გვიანია, რა გვიანია,
და რა სასტიკი შენი სასჯელი!!!

იცი, ეს ღამეც...

ასე მგონია, შენი სული მეძახის თითქოს,
და ერთდროულად ათასობით შეკითხვას მისვამს,
შეკითხვებს მისვამს, და თან ჩემგან პასუხებს ითხოვს,
პასუხს, რომელსაც გავუბრუნებ, როგორც დარიშხანს...
რა გიპასუხო, გაზაფხულის ამ პირველ ღამეს,
რომლის შემოსვლას უკავშირებს ხალხი იმედებს,
მე კი, რატომღაც, სწორედ ახლა შემომეცალნენ,
ვინც კი ოდესღაც თითო სიტყვა გამოიმეტეს...
შენგან კი, შენგან, ნუგეშის მეტს არას მოველი,
იცი, ეს ღამეც, ეს ღამეც კი სევდისფერია,
მხოლოდ თვალები, ეგ თვალები დამათრობელი,
რატომ მგონია, რომ ღმერთებსაც მოერევიან...
მოდით, მაჩუქეთ, სიყვარულის თუნდაც ნაფლეთი,
შენ მე კი არა, გაზაფხულსაც თავბრუს დაასხამ,
გამოვიარე ყვავილების ოკეანეთი,
შენთვის, სულ შენთვის, შენ კი ჩემი მაინც არა გწამს...

საით გაფრინდნენ ჩემი მუზები

სად გაქრნენ, რატომ შემომეფანტნენ,
საით გაფრინდნენ ჩემი მუზები...
ან ასე სწრაფად რად მომენატრნენ,
მუდამ ჩემს გვერდით მოფუტფუტენი...
გაფრინდნენ, ყველამ მარტო დამტოვეს,
გადაიყვარეს ჩემი ლექსები,
ერთიც არ დაფრენს ჩემს სიახლოვეს,
არ მესმის მათი ამოკვნესები...
მე კი მინდოდა, როგორ მინდოდა,
მეხარებინა ეს გაზაფხული,
სანამ იები ამოვიდოდა,
და სიყვარულსაც უდგია სული...
მაგრამ ვინ იცის, ვისთან გალობენ,

ვინ მოაწონათ თავი ოხერმა,
თავისი ქნარი ვის უწყალობეს,
რომ აღარ უნდათ ჩემსკენ მოხედვა...
გაზაფხულია, გაზაფხულია,
მარტო ვდგავარ და ზეცას ავცქერი,
წუხელ აქ მუზებს გადაუვლიათ,
და წაუღიათ ზამთრის ნამქერი...

რა მოხდა ცოტა გაგითამამდე

აქ რომ მნესტრავენ, აქ რომ მშხამავენ,
შენთან მოვრბივარ, სულს შენთან ვითქვამ...
რა მოხდა, ცოტა გაგითამამდე,
ყოველთვის არა, მხოლოდ ხანდისხან...
როგორც ყველა ზღვაც ეგ ზღვაც ლურჯია,
თუ როგორ ჰქვია? მგონი წითელი...
შენთვის გულმკერდი გადაუხსნია
და შენც ზღვასავით ხარ ფეხშიშველი...
არ დამაცლიან, არ დამაცლიან,
ხომ, ვიცი, ბედი აქაც მომაგნებს,
ამბობენ, რომ ზღვას გული წასვლია,
გული წასვლია, შენს თოთო კანზე...
წარმოიდგინე, მე რა დღეში ვარ,
თუ ზღვას ასეთი რამ ემართება,
ეკლებზე ვზივარ, ეკლებზე ვზივარ,
როცა ზღვა ვნებით შენს კანს აცხრება...
რა უძლური ვარ, რა უძლური ვარ,
ან სხვა ვინ არის ამ ზღვის მომრევი,
მოვწამლავ წყალს და ამ ზაფხულიდან,
კვლავ აგორდება ჩვენზე ჭორები...

გადახსენით, გადახსენით, თაღები

ზოგი მხოლოდ მარგალიტებს აგროვებს,
მე ყველაფერს ერთად მივებხვებები...
ჩემი დარდი, ჩემი დარდი არ გქონდეს,
მე სიკვდილსაც ხელგამლილი შევხვდები...
არ გეგონოს, რომ სიცოცხლე არ მიყვარს...
მე ხომ თითქმის ყველა წუთით ვტკბებოდი,
უთვალავჯერ გასკდა გული დარდისგან,
სიკვდილს ლამის კოცნით ვეგებებოდი...
ჰოდა, ისიც ჩაბოღმილი მტოვებდა.
მიჰყვებოდა უკან ჩემი ხარხარი...
როცა მთები ზვავებს მოაგორებდა,

როცა ველებს ედებოდა ხანძარი...
ახლაც ისევ აიშალნენ ჯანლები,
ქარიშხლები მიჰკაფავენ ალიონს,
მე კი სადმე სიკვდილს ჩავუსაფრდები,
და მაგისი სისხლი უნდა დავლიო!!!
არ გეგონოს ეს სიტყვების თამაში,
ან ხუმრობა მტრისგან შემოგდებული,
ბედისწერას ავყოლივარ კამათში,
ისიც მებრძვის მუდამ გაცეცხლებული...
გადახსენით, გადახსენით თალები,
ზეცისაკენ სადაც ღმერთებს ელიან,
მიმაფრენენ ისევ ბედის ტალღები,
გზა მომეცით, გზა, ეს ჩემი წელია!!!

დავივიწყოთ

მინდა, იცი, დავივიწყოთ,
წყენა, გულისტკენანი,
და დღეიდან ისე ვიყოთ,
როგორც, თუნდაც, ყველანი...
გვალვიძებდეს გალობანი,
ამ ყვავების გარეშე;
გვიხაროდეს ყველა წამი,
არ მიბრუნდე ალერსზე...
რომ უბრალოდ მთელი დილა,
მხოლოდ გველიძებოდეს,
ყველა სიტყვა გვეთქვას ტკბილად,
აზრიც გვეტკბილებოდეს...
ჩვენს გარშემო იყოს მხოლოდ
თბილზე–თბილი განწყობა,
დავივიწყოთ, დავივიწყოთ,
ყველა წყენა რაც გვექონდა...
კარგი?

მინახავს ქალები (ირინა ტრეტიაკს)

მინახავს ქალები, მინახავს ქალები,
რომლებსაც ვუყვარვართ და ჩუმი იწვიან,
შენც, ვიცი, ვიცი, რომ ჩუმი გეყვარები,
იწვები, იწვები და ვერც შენ გითქვია...
რა უჭირს, ხან მეც კი ვერ ვამბობ ჩემ სათქმელს,
და ხშირად მდედრის წინ ბრინჯივით ვიბნევი...
მითხარი, მითხარი, რაც უნდა ღელავდე,
ჰო, თორემ, იცოდე, მეც გადავირევი...

ვინ იცის, ვინ იცის, რამდენჯერ გვიყვარდა,
რამდენი წავაგეთ ამ ჩვენი სიჩუმით,
არადა, რა ახლოს ვიყავით მიზანთან,
ვინ უწყის, ვინ უწყის, ვინ უწყის, ვინ უწყის...
გაბედე, გაბედე, არც ისე ძნელია,
ჩამხედო, ძვირფასო, გახელილ თვალებში,
ჩამხედე? კითხულობ, თუ შიგ რა წერია?
მაკოცე, მაკოცე, ვჭურჩულებ, არ გესმის?

შენ კი ცივ ნიავს არ აკარებდი

ვის, როდის, ანდა, სად შეგახვედრებს,
ბედი, ვისა აქვს ამის პასუხი...
ხან ტალღებით კლდეებს გვახეთქებს,
ხან გვისვრის სადღაც გადაკარგულში...
ისეთ სიყვარულს გადაგავიწყებს,
უმისოდ წამსაც რომ ვერა სძლებდი...
თვალწინ დაგიწვავს ყველა ნატვრისხეს,
შენ კი ცივ ნიავს არ აკარებდი...
და ხმება, ხმება, ჩვენი ფესვები,
შენ რომ საკუთარ სისხლითა რწყავდი,
ერთსა გთხოვ, ჩემ სულს ნუ შეეხები,
შენ, კარგად იცი, როგორც მიყვარდი...

რისხვით მობრუნდა წელი ახალი (თამუნა ხელაძეს)

წელი არ ვიცი, შენ კი, რატომღაც,
შენი თვალებით დამამახსოვრდი,
ნუ დაიბუდე, გთხოვ, ჩემს მახლობლად,
ვშიშობ, არ დამწვა ამ სიახლოვით...
მე რაც რამ მქონდა უკვე გავიღე,
გატყორცნილია ყველა ისარი,
თავის რიცხვი აქვს ყველა თარიღებს,
შენ კი, რატომღაც, გადამისწარი!
და როცა ჩემსკენ მობრუნდი რისხვით,
და გამიყარე შენი თვალები,
თვალები სავსე ცრემლით და სისხლით,
თანაც უსაზღვროდ სევდიანები...
მივხვდი, რომ სადღაც ზღვარს გადავედი,
რომ ყველა ნაღმი ერთად აფეთქდა,
რომ სევდიანი შენი თვალები,
ჩემი თვალების ბროლებს ამსხვრევდა...
ძვირფასო, განა რა შეუძლია,
სულს ამდენ გზებზე ნახეტიალებს,

თუ გული შხამით გავსებულია,
და სისხლს ვერ აწვდის ჩემს კაპილარებს...
იცე, რას ნიშნავს ასე ლოდინი?
ან უაზრო თვლა გასულ დამეთა?
როცა ცივია შენი ლოგინი,
და შიგ წევს ვნება ოკეანეთა...

მაპატიე (მაიკოს, ფერაძეს)

მაპატიე, თუკი რამე შემეშალა,
მე ხომ ხშირად, ხშირად ვუშვებ შეცდომებს,
მეც არ ვიცი, მეც არ ვიცი, რამ შემშალა...
წარამარა შენს სახელს ვიმეორებ!!!
სულ არ მიყვარს, სულ არ მიყვარს სინანული,
რას უშველი კაცი ცრემლის ღვარღვართ,
როგორც ჩიტებს, ჩიტებს უყვართ ჟრიამული,
ამყევი და შენც ჟრიამულს გასწავლი...
რა თქმა უნდა, მიყვარს ქალში სილამაზე,
მიყვარს, თუკი მთვარესავით ანათებს,
შენც ანათებ, შენც ანათებ ჩემს ცივ ცაზე,
და ჩემს მარტივ არსებობას ამართლებ...
შენც გრძნობ, შენც გრძნობ, დავმუნჯდი და ხმას ვერ ვიღებ,
შენ გგონია, რომ რაიმეს ვაჭარბებ?
შენ თუ არა, მაშინ, წავალ, სხვა გამიგებს,
და ჯანდაბას, თუკი თავსაც წავაგებ!!!

ის რაც დღეს გვიყვარს (მადონა თევზაძეს)

რადაც უცნაურ, შორეული ტრფობით გეტრფოდი,
მოკრძალებისთვის, სინაზისთვის, საფაქიზისთვის,
გეტრფოდი, მაგრამ გულში მუდამ მენანებოდი,
შენც ხვდები, ალბათ, რომ, უბრალოდ, იყავი სხვისი...
შენც ხვდები, ალბათ, რომ ცხოვრება დომინოს პრინციპს,
გვეთამაშება, და დარდი დარდს უნდა აებას...
ის, რაც დღეს გვიყვარს, მოგვწონს, ანდა, უბრალოდ გვიღირს,
დაგვავიწყდება და ხსოვნაში ჩაიმარხება...
ვერ დააბრუნებ, ვერასოდეს წამის მეასედს,
ჩვენ ხომ ყველაფერს, სულ ყველაფერს ვკარგავთ თანდათან,
და რაც არ უნდა, რაც არ უნდა ძვირად შეფასდეს,
ის წარსულია, დრომ ჩაყლაპა, მორჩა, დამთავრდა...
მაგრამ არსებობს ბუნებაში რადაც ძალები,
ნუ გელიმება, დამიჯერე, მართლა არსებობს...
ვიღაცას ერთხელ უეჭველად შეუყვარდები,
ვიღაცამ ერთხელ არ იქნება არ გაგაღმერთოს...

ეს მინდა, თორემ, მეც არ მჯერა ჩემი სიტყვების,
ოდნავ ვუყვარდეთ, გაღმერთება რაში გვჭირდება;
აი, მე შენი სამდღიანი დარდი ვიქნები,
ხოლო, შენ, ჩემი სიხარული და ალტკინება!!!

როცა მნახავ

დღეს გალობაც მესმის როგორც განგაში,
ველარ ვარჩევ, ველარ ვარჩევ სახეებს,
მე მიყურებს, ვხედავ, მთელი დარბაზი,
მკვდარი ვარ და სუდარაში მახვევენ...
მკვდარი ვარ და ველოდები რომელ კარს,
რომელ მხარეს გამომიღებს განგება;
გეხვეწები, საბოლოოდ მომეკარ,
ამდენ სევდას სული ვერ უმკლავდება...
ქარი კარგავს, ქარი კარგავს ნიავეს,
და ისინიც ჩვენს გარშემო დაძრწიან;
როცა მნახავ, როცა მნახავ, მიაბზე,
ჩემი გვამი რომელ ბორცვზე მარხია...
მომიყევი, როგორ უძლებს ქარიშხლებს,
წვიმებს, ყინვებს, მეწყერსა და ნიაღვრებს,
თუ დამშვიდდნენ მოსვენება აღირსეს,
მწუხარება შენი გაიზიარეს...
მომიყევი, მომიყევი რად იყო,
ეს ცხოვრება უსახური სიზმარი,
არასოდეს ვთამაშობდი ტრაგიკოსს,
თუმცა მუდამ ტრაგიკოსი ვიყავი...
ყველაფერი, ყველაფერი დამთავრდა,
ეს ქარები ქარიშხლობენ ღამეში,
ელვამ მყინვარს ყელი გამოაღადრა,
მე გრიგალი მიმასვენებს დამეხილს...

მეც მაოცებს

მეც მაოცებს, მეც მაოცებს ეს ცხოვრება,
რომ ჩნდებიან შენისთანა ლამაზები...
გაკოცებდი, მაგრამ აღარ მეკოცნება,
ძველი ჟინით, ძველებური გატაცებით...
შენ კი, ალბათ, ელოდები სიურპრიზებს,
ან უფლისწულს, ოქროსთმიანს, თეთრი რაშით;
ელოდები საცეკვაოდ ვინ გაგიწევს,
ვინ აგყვება, ვინ აგყვება სიმღერაში...
ჩააქსოვე, ჩააქსოვე ყველაფერი,
შენი ეშხი, შენი სუნთქვა ყოველ ტაქტში,

გადახარე საკოცნელად ფრთხილად ყელი,
მგონი, კოცნაც დამავიწყდა ამ ლელვაში...
მელოდია სადღაც ცაში გაგვიტაცებს,
ნუ გაუშვებ, ნუ გაუშვებ შანსს ხელიდან,
მოკვდებოდნი? კარგი, თუნდაც, არ გიყვარდე,
რომ სულ ერთხელ, ერთხელ მაინც გაგეღიმა?

რადაც საოცარ ულამაზეს სიმღერას ჰგავხარ

რადაც საოცარ, ულამაზეს სიმღერას ჰგავხარ,
რომლის მოსმენა ძილშიაც კი არა მბეზრდება...
და როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს ეს გარდასახვა,
შენს დანახვაზე სანთელივით სულს რომ ედება.
შენ სევდაცა ხარ, სიხარულიც, დარდიც, იმედიც,
მე შენს სახეზე ამ ყველაფერს ერთად ვკითხულობ;
მე კი უბრალოდ, ჰო, უბრალოდ გეარწივები,
შენ კი სულ ასე, მინდა, მინდა, მეთაიგულო...
ო, როგორ მინდა თავი ჩავრგო შენს ყვავილებში,
როგორც ფუტკარმა შევაგროვო შენი ნექტარი,
შენი მტევნები სხმარტალებდნენ ჩემს ცხელ თითებში,
და შენი თაფლის სურნელებით ვიყო შემთვრალი...
მოდო, ძვირფასო, მოდი, ნულარ დავაგვიანებთ,
ნუ მიმატოვებ შენი ნდომით აგიზგიზებულს,
სანამ მოწყდება მთებს ზვავები და ჩამიტანენ,
სანამ ამ შხამებს გამოვცლიდე გალიცლიცებულს...

შენ, ალბათ, ხვდები...

შენ, ალბათ, ხვდები,
როგორ ვიბრძვი საკუთარ თავთან,
ბუნერივია,
უკვე, ალბათ, უნდა ხვდებოდე,
ასე მგონია,
რომ ცხოვრებამ სილა გამაწნა,
მაქვს კი უფლება,
თუნდ, უბრალოდ, მენატრებოდე...
რა უფლება მაქვს,
შენზე ფიქრის, ანდა, ოცნების,
რომელსაც, ლამის,
ველურივით გზებზე ვდარაჯობ;
ტანზე მაცვია
სიყვარულის შესამოსელი,
შენ კი არ გინდა,
რომ მესტუმრო და მითანაგრძნო...

გამარცვული ვარ,
ჩემს გრძნობებზე მიდის ქურდობა,
არ შემარჩინეს
გრამი სისხლის, ძაფი ნერვების...
ნუ, ნუ მიყურებ,
ასე რისხვით, ასე უნდობლად,
ხომ ხედავ, ვიბრძვი,
ვიბრძვი, მაგრამ თავს ვერ ვერევი...

წადი, ქვეყანა დიდია (მ.წ.-ს)

ზოგს ფერიები სწყალობენ,
ზოგს კი ღმერთები, ალბათ,
ზოგნი ძირს დაფართხალობენ,
ზოგნიც ზეცაში აჰყავთ...
შენ როგორ ფიქრობ, სიცოცხლე,
სასჯელია თუ შვება?
მაშ, ყველას რატომ ვიცოდებთ,
ვინც კი მიდის და კვდება.
სიკვდილზე მიჯაჭვულნი ვართ
ღვთისგან დაწნული ბაწრით;
ეს სევდაც ღმერთის გულიდან,
მოდის, თავზე რომ გვაწვიმს...
რა არის შენი მზითევი,
რა საგანძური, ნეტა?
ქარს ვერ გამოეკიდები,
და ვერც დაამწყვდევ ვერსად...
წადი, ქვეყანა დიდია,
ემიე შენი ცალი,
ბედს მუდამ მხარზე ჰკიდია,
თავის არწივის ბრჭყალი...

სიყვარულს ცა გაუბზარავს

ჩემს სიცივეს, ჩემს სიცივეს,
მე ვერაფრით ვედარ ვათბობ,
ხელის გულზე მთვარის სხივებს
ვუბერავ და ისე ვაქრობ...
განა, მთვარეს რა ძალა აქვს,
მე კი, აბა, ვინ რას მკითხავს...
სიყვარულს ცა გაუბზარავს,
და მომკვდარა ცა ელდისგან...
რასაც ვამბობ ყველაფერი
მეც ვიცი, რომ ზღაპრებია,

მე, უბრალოდ, ტვინსა ვშველი,
რაც ვერ გაუაზრებია...
როგორ გინდა, როგორ გინდა,
შენი მზერა ავიტანო...
მე ათასი ღმერთი მცდიდა,
მაგრამ ერთიც არა მწყალობს...
რა ბრიყვი ვარ, ამ მარყუჟში,
თვითონ გავყავ ჩემით თავი,
თუმცა ვგრძნობდი, სადღაც, გულში,
შენ რომ ჩემი არ იყავი...

ამოსაცნობი რაღაა ქალში?

სულ ყველაფერი ირევა მაშინ,
გზები ერთმანეთს როცა ჰკარგავენ;
ამოსაცნობი რაღაა ქალში,
წავიდნენ, გაჰყვნენ, ათას ქარავნებს...
ვინ ატრიალებს სიყვარულის ღერძს,
მითხარ, ღმერთები ვის ენდობიან?
ანგელოზები ჰკვალავენ სივრცეს
როცა მიწაზე კაცებს ომი აქვთ...
მაგრამ, მითხარი, ამ ყველაფერთან,
შენი თვალები რა შუაშია,
რა შუაშია მათ სილურჯესთან,
ზღვებს რომ ფერებად აუტაციათ...
როგორ შორსა ხარ, როგორ შორსა ხარ,
მაგრამ სიშორით ვინ დაგიწუნებს...
მე შენი თავი ზღვებმა მომტაცა,
და მას, რაც გასურდა, ზღვა აგისრულებს...

როცა ნამდვილი სიყვარულის იყო დროება

მაიკოს, ფერამეს და ყველას, ძველებს და ახლებს,
გილოცავთ გაზაფხულის დადგომას!!!

არა, მგონია, ქარიშხლები ბუდობდნენ შენში,
მაგრამ მე მაინც, შენთან ყოფნას ვარჩევდი ამ დღეს...
გაზაფხულივით ჩამხედავდი ურცხვად თვალებში,
წაიკითხავდი უამრავი ქალების ანდერძს...
რომლებიც ბლომად დამიტოვეს ცხელი კოცნებით,
როცა ნამდვილი სიყვარულის იყო დროება,
კი, ბევრნი იყვნენ შენნაირი ანგელოზები,
და დამილოცეს მომავალი მათმა კოცნებმა...
ახლა კი როცა ღამეები ასე გამკრთალდა,
და ტრფობაც, ჩემი, იშვიათი გახდა სტუმარი,

ეგებ შენ შესძლო ჩემთან მოსვლა, ისე, ხანდახან,
რომ შემიკვეცო სიყვარულის თავსასთუმალი...

მცირე ხნით შენი სული მათხოვე (ძ.გ.–ს)

შენ ჩემთანა ხარ, შენს სიახლოვეს,
ისე ვგრძობ, როგორც ამ გულისძგერას...
მცირე ხნით შენი სული მათხოვე,
რომ მოვეფერო, როგორც პეპელას...
რომ შენი სულით გაბრწყინებულმა,
შენსავით პეპლის ფრთებით ვიფრინო,
ან როგორც თერგმა ადიდებულმა,
კლდეები რისხვით ჩამოვიგრგვინო...
თუ წახვალ, სული მე დამიტოვე,
მე შენზე მეტად გავუფრთხილდები...
წვიმა წამოვა, თოვლი ითოვებს,
ელვა მეწვევა თუ ქარიშხლები...
ჰო, შენ თუ წახვალ, ჩემთან ყოველთვის,
შენი ლამაზი სული იქნება,
და ჩემს ნაღვლიან საღამოებში,
შენი სხეული დამესისზმრება...

შენ იმედი როგორ მანდე

რატომ გვჯერა, რატომ გვჯერა,
ბედნიერი დღეებისა,
მზემ პირჯვარი დაიწერა,
ერთგულება ცას შეჰფიცა...
და მას მერე ერთგულია,
ცაზე მეტად არვინ უყვარს,
მთვარე დაღონებულია,
მოკვდა მთვარე, დაილუპა...
შენ კი, შენ კი, ვისზე ფიქრობ,
ნეტა, ვისი გული გინდა?
ვის უნახავ, მაგ შენს სითბოს,
რომ ასხივებ თვალებიდან...
ნეტა, ვისი ერთგული ხარ,
ეს ვიცი, რომ ჩემი არა...
მე, უბრალოდ, ბედკრული ვარ,
ნაყოფიან–ფესვიანად...
წავალ, მთვარეს ვეჩვენები,
მას გავუყოფ დარდს და ნაღველს,
ვეტყვი, მე რომ შენთვის ვკვდები,
დარდები რომ გამიახლე...

ვეტყვი, ტრფობის ხე რომ დავრგე
და გაზაფხულს როგორ ჰგავდა...
შენ იმედი როგორ მანდე
და მე როგორ დამეკარგა...

ზღვა გაგრუჯავს ვით მულატკას

ზღვა გაგრუჯავს, ვით მულატკას
და პრიალებს შავი კანი,
ნუ მექცევი ასე მკაცრად,
ზღვა საოცრად წყნარი არი...
მაგრამ შენც ხომ კარგად იცი,
ამ სიმშვიდეს რაც მოჰყვება,
ზღვა ხომ თავის ტალღებისთვის
მსხვეპლს ითხოვს და მერე ცხრება...
და მეც მისგან გადამედო,
ეს სიმშვიდე დროებითი,
ჩემთან მოსვლა არ გაბედო,
მეც ზღვა ვარ და ჩუმად ვიცდი.
ვიცდი, სანამ გულუბრყვილო
ჩემი მსხვერპლი გამოჩნდება,
ვერსად წახვალ და ნურც ცდილობ,
ლოყას ვეძებ საკოცნელად...

რად მიყვარდები

ვერ გავაღვიძე შენში მე მხეცი,
რომ აგელოკა ჩემი ნატვრები,
და უმიზეზოდ თავს როცა მესხმი,
ვერ ვეტყვი ასე რად მიყვარდები...
და თითქოს რაღაც ძვირფასს მართმევდნენ,
როდესაც ვიჭერ ნალვლიან მზერას,
დღეები გადის და მიმათრევენ,
მეც სიკვდილისკენ, როგორც ჩვენ ყველას...
მიტხარი, როდის ზეიმობს სული,
მიტხარი, რაა, მისი წამალი...
საიდანა ვართ ქვეყნად მოსული,
როგორ გადავრჩე, ხომ ვერ მასწავლი...
ხომ ვერ მასწავლი, როგორ ვებრძოლო,
სევდას, მოხეტეჟილს მღვრიე ზღვასავით,
თუ რამ მაკავებს ერთი, შენ, მხოლოდ,
შენ შემრჩი ცოცხალ თილისმასავით...
ნუ დამაბრალე, ნუ დამაბრალე,
რაც არასოდეს არ მიფიქრია,

მძინავს და ისე გადავიღალე,
გამოლვიძებაც არ შემიძლია...

კაი, დამისხი ეგ შენი სევდა...

კაი, დამისხი, ეგ შენი სევდა,
ღვინის მაგიერ მაგ სევდას დავცლი,
დამისხი, სანამ არ გაივსება,
სანამ სიცოცხლეს ეს ზეცაც მაცლის...
თოვს შენს თვალეში და ღიმილს ფარავს,
თოვლს წამწამები დაუფარია;
მე შენს თვალეში მაგ თოვლს მივკვალავ,
ეს, შენ რომ უმზერ, ჩემი კვალია...
ვიცი, რომ ღრმად შენი თვალეში,
და იმდენ, იმდენ რამეს იტყვენ,
ვერც გეტყვი, ასე რატომ დაგნებდი,
მე თუკი შევცდი, შენ მომიტყევი!
შენ მაპატიე, შენ მაპატიე,
თუ ეს დღეები არა მწყალობენ...
ჰგავხარ ზამთარში ამოსულ იებს,
თოვლის ფიფქები რომ უგალობენ...
რას უგალობენ იებს ფიფქები,
ნუთუ არასდროს მოგისმენია?
იებსა ჰკითხე, თუ ვერ მიხვდები,
ალბათ, იები უფრო გეტყვიან...
მინდა გამიგო და ნურც დამძრახავ,
დღემდე თუ თვალით ვერ გენახვები,
გადამიყოლა ამ ნახანძრალმა
მე ვერ ჩავაქრე შენი ხანძრები!!!

ეჭვი

რას ითხოვდი, რას ითხოვდი,
რომ მოეცათ, ამის ნება?
მართლაც, ნეტა, რას იტყოდი,
რას ითხოვდი, მართლაც, ნეტა?
ჩემთან ყოფნას ისურვებდი,
თუ სულელურს, რამეს, ქალურს?
ქარს ნუ ჰყვები, ქარს ნუ ჰყვები,
ქარს ნუ ატან ჩემს სიყვარულს...

ნუ გამაცეცხლებ

ნუ გამაცეცხლებ, ნუ გამაცეცხლებ,
ისედაც ცეცხლში ვარ გახვეული,
შენ ნაპერწკალი სადაც დათესე,
დღეს ალი დაძრწის კვალარეული...
ქარს ვუცდი, რათა ჩემი სხეული,
ცაში წაიღოს და ცაც გადასწვას...
ვიცი, არა ვარ შენი რჩეული,
რადგან რჩეულად შენ დღეს სულ სხვა გყავს...
დამთავრდა, აღარ ვემორჩილები,
მიწის კანონებს, და არც თემიდას,
და შენც ტყუილად ნუ შემიჩნდები,
მე დღეს ზვავებად მოვქუხ მთებიდან...
აღარ დავეძებ, შენს სილამაზეს,
წავშალე შენი ყველა სიზმარი,
როცა მინდოდა არ მითანაგრძნე,
ვერც ჩემი სული ამოიცანი...
ახლა შენც ხედავ, როგორ ივსება,
საყვედურებით ზეცის ტატნობი,
რომ ანთებული ზეცაც იწვება,
რომ ვერას შველის შენი ღვარცოფი...
ვიცი, კვდებიან ერთხელ ზვავებიც,
რომ ზოგჯერ ალბათ სულიც იწვება,
თურმე გაექცნენ ცას ვარსკვლავები,
სულ ტყუილადო, ცა იფიცება...

ზღვის ნაპირას გედი კვდება

შენ რომ გიმზერ, ლოცვასავით
სული ხდება გამჭვირვალე;
რას აშავებს, მითხარ, კრავი,
რას აშავებს, რატომ კლავენ?
ან თუნდაც მე, ყველგან ჭიშკარს,
მითხარ, რატომ მიკეტავენ;
სად წავიდა ვინც მე მიყვარს,
ნუთუ მასაც მომიკლავენ...
ნუთუ, ნუთუ, ნუთუ, ნუთუ,
არ მთავრდება შეკითხვები,
ალბათ, ისიც ჩემზე თუ სწუხს,
მეც ხომ მასზე სევდით ვკვდები...
სვაკი ვარ და შენსკენ ვიწევ,
გარეთ ისევ ზამთარია,
აქ ვინც იყვნენ, სად წავიდნენ,
ხომ ვერ მეტყვი, სად არიან?
სად წავიდა მათი გზნება,
მათი დიდი სიყვარული,

ზღვის ნაპირას გედი კვდება,
და ამოსდის თითქოს სული...
გედი კვდება, გედი კვდება,
გედი კვდება თვალზე ცრემლით,
ზღვაზე ციდან ბინდი წვება,
ბინდი ღამის შავი ფრთები...
ამ ახალ წლებს თითქოს ძველი,
ძველი წლები გადაება,
შენ თვალები გქონდა სველი,
მეჭორავეს ვარსკვლავებმა...

ნუ მჩუქნი ვარდებს

ნუ მჩუქნი ვარდებს, ნუ მჩუქნი ვარდებს,
მე ხომ ვარდები საოცრად მიყვარს...
ვარდი შენს სურვილს ისევ მიახლებს,
იმ წლებს მიახლებს ჩემი რომ იყავ...
ასე მგონია ვარდებთან ერთად,
ის შეხვედრები ისევ ბრუნდება,
როცა ზამთრებიც, ძვირფასო, შენთან,
მექცა უთეთრეს გაზაფხულებად...
ნუ მჩუქნი ვარდებს, მე მათ ხსოვნაში,
ძველი ნატვრები ამიწრიალეს,
არა მჭირდება ეს დისონანსი,
იმ წლებმა მკერდზე გადამიარეს...
გადამიარეს და დამიტოვეს,
თვალზე ცრემლი და გულზე ბზარები,
ვერ შევეგუე მე ამ სიშორეს,
ჯერაც ჩამესმის ხმა მატარებლის...
მე ჯერაც, ჯერაც, იმ ვარდებს ვთელავ,
უკან წართმევა რომ მოვინდომე...
ნუ მჩუქნი ვარდებს, მე მათ სახელად,
გაყრა დავარქვი და მოვისროლე...

არ დაიბადო

არ დაიბადო, არ დაიბადო,
აღარასოდეს საქართველოში...
თუ, მართლაც, გინდა, რომ გაგიმართლოს,
არ დაიბადო ახლა, ამ დროში...
არ დაიბადო მწერლად, პოეტად,
არც მხატვრად, არ ღირს, არ დაიბადო,
რომ არ შეგიპყროს შენც სასოებამ,
აქ შემოქმედად არ დაიბადო...

რომ არ ისმინო ბრიყვთა დაცინვა,
რომ სიგიჟემდე არ მიგიყვანონ,
რომ არ იხილო ცრემლი არწივთა
და გველად ყოფნა რომ არ ინატრო...
არ დაიზადო, არ დაიზადო,
აქ არასოდეს არ დაიზადო!!!

თუ შადიმნებმა მაცალეს

ბედის დაწყებულ სიმღერას,
ჩემი ხმით შევეშველები,
მართლაც, რამდენჯერ მიყელა,
მიგზავნა თავის მკვლელები...
ხმალი მქონდა და ვაწრობდი,
ვცეკვავდი, როგორც შემფერდა,
ხანჯალი სისხლში ნაწობი
ბევრ ჩემ მტერს გადაემტერა...
მფლეთდნენ და მანაწილებდნენ,
მე კი კვლავ ფეხზე ვდგებოდი,
თუ გზაზე გადამისწრებდნენ,
ვეფხვივით ვეომებოდი...
ათასჯერ მომჭრეს მარჯვენა,
მკერდიდან შხამი მადინეს,
ვიწყებდი მტერთა განდევნას,
მაგრამ ვერ ვსპობდი შადიმნებს...
ჯერაც ხმალს ვიქნევ მალ–მალე,
ჯერაც ომში ვარ ჩართული,
თუ შადიმნებმა მაცალეს,
მტრებს დაბდღვნის ჩემი ფრანგული!!!

არ ვიცი ხვალე რა მელოდება

ვერ შემოვსულვარ შენში ვერაფრით,
და ღამეც მებრძვის, როგორც ტოტემი,
ისევ დავეძებ შენს სულს კელაპტრით,
ისევ იმედით, ისევ ოცნებით...
საოცარია, არა მოქმედებს,
შენზე არც წლები, არც ეს ღვარცოფი...
მე კი ვერ გეტყვი რად მაშფოთებენ,
რაც კი რამ მიდის, ანდა, რაც მოდის...
რად მაშფოთებენ ასე ქარები,
სარკმლის რაფებს რომ ეხეთქებიან,
დღეს ქარიც ტირის სხვა მწუხარებით,
და თითქოს ქარსაც სისხლის ფრთები აქვს...

მე კი ამ ქარებს შენსკენ მოვყვები,
მეც ვეხეთქები შენს სულს ქარივით,
და საოცარი შენი ტოტემი,
მხრებით მიჭირავს მეც ტიტანივით...
იცი, რას მივხვდი, ახლა უეცრად,
რომ დროს თვითონ დრო არ გააჩნია,
რომ ისიც ითხოვს ჩვენსავით შველას,
ისიც ჩვენსავით სულ ნატვრაშია...
მე კი, შენს გამო, ასე არეულს,
არ ვიცი, ხვალე რა მელოდება,
ვერ შევეგუე შფოთვებს ღამეულს,
ვერ მოვკალ ჩემში შენზე ოცნება...

რა მოხდებოდა

რა მოხდებოდა, ეკითხათ ჩემთვის,
როდის მაწყობდა ქვეყნად გაჩენა...
რომ სულ სხვად, სულ სხვად მეცოცხლა შეცვლილს,
ჩემი სამშობლოს გადასარჩენად...
რომ არ მეხილა ეს სამარცხვინო,
წლები თავსლაფის, წლები ლაჩრობის...
მქონოდა ჩემი პური და ღვინო,
მეცხოვრა ჩემი გულით, კაცობით...
მქონოდა ჩემი ფარი და ხმალი,
ჩემი თოფი და ჩემი ჟაკანი,
მესვა თერგის და არაგვისწყალი,
მედევნა მტერი შიშით დამფრთხალი...
რომ მკიდებოდა ორივე ფეხზე,
აღმოსავლეთიც და დასავლეთიც,
მდგომოდა ქოხი კავკასის ქედზე
წინ საქართველოს გადასახედით...

გახსოვს ჩვენი სიყვარულის დილა

გახსოვს ჩვენი სიყვარულის დილა,
როგორ მყავდი აყვანილი ხელში,
ბაღში მწიფე ალუბლების წვიმა,
ბილიკები ყვავილების ცეცხლში...
წაბლისფერი თმები მწვანე მოლზე,
მოჟუჟუნე ორი შავი თვალი...
შენ სიტყვებით მიფასებდი კოცნებს,
მწველი, ტკბილი, თბილი, ცხელი, მთვრალი...
დაგვცინოდნენ ალუჩები მახსოვს,
ლეღვი ატმებს არ აცლიდა ბჭობას,

შენი ტუჩი ჩემს ტუჩებთან ახლოს,
აეტანა ქალწულებრივ თრთოლას...
როგორც შარბათს, როგორც ბადაგს დაგწვდი,
ტკბილი ყლუპი გადავიდა ყელში,
ატმებს სისხლი აუვარდათ თავში,
ლეღმა თვალი აგვარიდა კვნესით!!!

როგორც ალუბლის გადამსკდარ ნაყოფს

შენა ხარ ჩემი მზეცა და მთვარეც,
და ვარსკვლავებიც ციდან რომ დაგვცქერს,
შენ მაპატიე, რომ შეგიყვარე,
მე გაპატიე, რომ გამიტაცე...
და ვკოცნი, ვკოცნი ბაგეს დანამულს,
როგორც ალუბლის გადამსკდარ ნაყოფს,
აღარაფერი ქვეყნად არა მსურს,
მხოლოდ და მხოლოდ, გაჩერდეს აწმყო...
რომ სრიალებდეს თლილი თითები,
ჩემს ტანზე როგორც სიძვის მალამო,
მიყვარდე ასე თავდავიწყებით,
ყველა დილას და ყველა საღამოს...
რადგან ტუჩები შენი მგონია,
დადუღებული მაჭრის ნექტარი...
და თუ ბუნებას აქვს ჰარმონია,
ალბათ, ნირვანა სწორედ ეს არი...
გაუჩენიხარ სიყვარულის ღმერთს,
და მოუციხარ ჩემთვის საჩუქრად...
ის ახლა ჩუმად შორიდან გვიმზერს,
და ეცინება, რომ თავს გავსულვართ...
რომ ყველა ძარღვი შენში შეირწყა,
და სიყვარული თრთის ჩვენს გულელებში,
ვგრძნობ, შენი მკერდის ყვავილებიდან
როგორ დის ვნება უსათუთესი...

ეგ სარკმლები შენი სულის (ქეთის, ბეჟანიშვილს)

გაახილე, გაახილე,
ეგ სარკმლები შენი სულის...
ვუმზერ ალვებს ტანაყრილებს
ვნებით როა დახუნძლული...
და სულ ფსკერზე, სადაც ჩემთვის,
ადგილი გაქვს შენახული,
როგორც თბილი ბუდე მერცხლის,
სანთელივით იწვის გული...

მეც მის გვერდით მოგვკალათდი,
სულს ვუბერავ რომ არ ჩაქრეს,
წვეთავს სისხლი, როგორც თაფლი,
იწვის შენი სილამაზე...
იწვის იწვის სილამაზე,
მკრთალდება და იფერფლება...
სიცოცხლეში არ ვაფასებთ
და, მერე, კი, გული გვწყდება...
შენც ლამაზი სანთელი ხარ,
ჩემს ხატებთან დანთებული,
თუ შემთხვევით ჩამეძინა,
გამაღვიძებს შენი გული...
მინდა, მინდა, რომ ანათო,
როგორც სხივმა სარკმელიდან...
და შენც ტკბილი, ნაზი, სათნო,
გადმოდიხარ თვალებიდან...

მე მათ ავუგე ლექსად ტაძარი (ია ბ-ს)

რა ვუთხრა ღმერთებს, როცა მკითხავენ,
რატომ ვუწერდი ამდენ ქალს ლექსებს...
დილას, შუადღეს, ღამე, რიჟრაჟზე,
რომ ვუმშრალებდი თვალებზე ცრემლებს...
მიატოვებენ, ვიცი, სამოთხეს,
და ჯოჯოხეთშიც ჩამომყვებიან...
რადგან, ამ ყვეყნად, რაც უნდა მოხდეს,
უპირველესი მათთვის ლექსია...
გაეცინებათ, ვინ დაიჯერებს,
ვინ დაიჯერებს ასეთ ლაპარაკს?
მაგრამ, მე ვიცი, სიკვდილის მერე,
სიკვდილის მერე, ცაში რომ წავალ...
ყველა ისინი ვინც ჩემთან იყვნენ,
ვისაც ვჩუქნიდი ლექსებს სახსოვრად,
ვერცერთი ველარ გადამივიწყებს,
რადგან ყველანი მთვლიან ახლობლად...
და რაც უნდა თქვან, გადამაბრალონ,
ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი,
მე გავამდიდრე მათი სამყარო,
მე მათ ავუგე ლექსად ტაძარი!!!

ყველაფერი ბლეფია

ყველაფერი მომბეზრდა
ვიღებ წუთშესვენებას...

ყოველგვარი წოდება,
ნიჭი, აღზრდა, შეგნება...
ყველაფერი ბლეფია,
ყველაფერს მოესწრები,
სილამაზით შეგშლიან,
თუ ლამაზი ლექსებით...
რაა ფიქრის ნაყოფი,
სისხლი, რევოლუცია...
ვცოცხლობ მხოლოდ აწმყოთი,
და რაც ღმერთს მოუცია...
გარეთ შენი ღიმილით,
შიგნით მხოლოდ განგაშით,
სახლში განდეგილივით,
სხვაგან კი სიკაშკაშით...

რატომ ხარ მარტო

რატომ ხარ მარტო, რატომ ხარ მარტო,
შენ ხომ ეგ გული ჯერაც სავსე გაქვს,
სადაც, ვინ იცის, ვინ არ ბინადრობს,
თუ ერთი მიდის, სხვა არ სახლდება?
ნუთუ არავინ, მართლაც, არა გყავს,
ვისზეც კრთები და, თუნდაც, ოცნებობ,
ნუთუ ყველანი გაჰყვნენ ქარავანს,
არავინ გითხრა: არ მაკოცებო?
ან იქნებ ვცდები, იქნებ სულ სხვა ხარ,
იქნებ ეს იყო მხოლოდ თამაში...
იქნებ გელოდნენ ბებერ მუხასთან,
ან მოლზე, სადმე, თხმელის ჭალაში...
იქნებ უყვარდი, სანთლებს გინთებდნენ,
და აღამებდნენ შენზე ლოცვაში,
იქნებ გიტარით ხელში გიმღერდნენ,
აივანის წინ, ქალწულობაში...
რად დარჩი მარტო, ასე ლამაზი,
ასე კეთილი და სასურველი,
რად გაჰყვა ქარებს ის მუხამბაზი,
შენი რომ იყო და დღემდე ელი...

კოცნა და ვარდი

შენ ვარდის ფურცლებს ჰკოცნიდი, მაშინ,
მე კი ნატვრები შენზე მარბევდნენ,
ვერ გამერჩია ცხადში მირაჟი,
რომელი რომელს აფერადებდნენ...

ვარდი შენს სახეს, თუ შენი სახე,
თეთრ ვარდს, შენსავით გაშლილს ჩემს ბაღში,
იმ საოცარი ფერების მნახველს,
მინდოდა უხმოდ დამეკრა ტაში...
რა ლამაზია, ვიძახდი გულში,
რა ლამაზია, რა ლამაზია,
გამორჩეული ზღვა თაიგულში,
ჩემი თილისმაც ამ თეთრ ვარდშია...
ვუმზერდი ტუჩებს, ვარდის აღმური
რომ ედებოდა, როგორც ნაკვერჩხალს...
როგორ იყავი ასე ქალური,
გიყურებდი და თავბრუ დამეცხა...
მერე კი, ვარდი გამომიწოდე,
მიტრიალდი და უხმოდ გაბრუნდი,
შენ გაიყოლე ჩემი სიცოცხლე...
დავყნოსე ვარდს და შენით გავბრუვდი...

შენ ჩემს გულამდე ისე დახვედი

რატომ გგონია, რომ ვტყუი რამეს ,
ან რა აზრი აქვს ორმაგ თამაშებს,
მე მირჩევია სიმართლე მწარე,
სიცრუით ნაგებ ბროლის დარბაზებს...
მე მირჩევია ბოლომდე შევსვა,
ეს შხამით სავსე სიბრძნის ფიალა,
ამომადინოს თუნდ ესეც ცეცხლად,
ამ უჟამობის ორომტრიალმა...
და თუ ვერ გიხსნი, როგორც უხსნიან,
სიყვარულს ჩემზე გამოცდილები,
სამაგიეროდ ვარდებს გჩუქნიან,
ხელები შენსკენ გამოწვდილები...
სამაგიეროდ, მე არასოდეს,
არ წამომცდება ყალბი სიტყვები,
და მინდა, მინდა დამამახსოვრდეს,
მტრედივით ხელში როგორ მიკვდები...
შენ ჩემს გულამდე ისე დახვედი,
რომ არ მიგრძენია ერთი ტკივილიც...
კარგი ხარ, ავ თვალს არ ენახვები,
ვარდი ხარ მკერდზე ამოზრდილივით...

მიყვარდი, რაა აქ დასამალი...

ვხედავ, რომ რაღაც ისე არ ხდება,
როგორც მე მინდა, როგორც შენ გინდა,

რომ სიყვარულმაც იცის დამსხვრევა,
და გადმოფანტვაც მერე მკერდიდან...
შენც კარგად იცი, როგორ ვუარე,
რა სისათუთით ვუფრთხილდებოდი,
ყველა ჰოსა თუ ყველა უარებს,
თუ ორივეზე როგორ ვფრთხილდებოდი...
მიყვარდი, რაა აქ დასამალი,
როგორც ყაყაჩო ველზე გაშლილი,
შენ იყავ ჩემი თოვლის ტრამალი,
თეთრი მყინვარი ცამდე აწვდილი...
და თუ ვერ შევძელ შენი დაპყრობა,
განა იმიტომ, რომ არ მეწადა,
არა, ეტყობა, ბედი არ მქონდა,
ეს სიტკბოებაც რომ განმეცადა...

თეთრი ქურქი გემოსა

როგორც თეთრი ქალები,
თოვდა თებერვალები...
თეთრი ქურქი გემოსა,
შენზე მსურდა მელოცა...
შენს გახელილ თვალებზე
ფიფქებს მივუალერსე...
გთხოვ ნუ მომაჩერდები,
მათრობს შენი მტევნები...
ხედავ, მთვარემ მზის გამო,
თეთრი ხმალი ალესა,
რა ვქნა, როგორ გიწამო,
სულ რომ იქცე ალერსად...
თან მკოცნი და თან მაინც
თვალი სხვისკენ გაგექცა...

გაზაფხულს ველოდი

სადა ხარ,
სადა ხარ,
მითხარი, სადა ხარ?
მე შენთან შეხვედრა
ვერაფრით გავბედე...
მოვკვდები, ძვირფასო,
და შენ თუ დამმარხავ,
ან მიწას მომაყრი,
სხვას აღარ დავეძებ...
გაზაფხულს ველოდი,

თუმც, ზამთრის ქარებმა,
წელს ჩემი გეგმები
პირწმინდად ჩამალეს,
და როცა ჩაცხრება
მათი მრისხანება,
ვიპოვი
და სილას გავაწნავ ამ ქარებს...
ღამეა,
ვგიჟდები,
გაქრა იდილია,
ცამ შავი ფარდები
ბოლომდე დაუშვა...
დღეს შენი დაკარგვა,
სულ სხვა ტკივილია,
მძიმეა,
თუ სხვები გაპარავენ ნაქურდალს...

კვლავ მახრჩობენ ექვები

ნუთუ თავს ვერ გავიტან,
კვლავ მახრჩობენ ექვები,
შენ რომ ჩემთან არ გინდა,
შენ რომ ველარ შეგხვდები...
ან ეს თვალის ფრიალიც
შენს გამო არ დამჩემდა?
შენი ბაგე მცინარი
თულა გადამარჩენდა...
შენი სახე აისის
სხივის მახრობელი,
თვალნი შუქი მაისის,
გული გულთამპყრობელი...
თითქოს საუკუნეთა
შორის გამოვიჭყლიტე...
მეც წავალ ქალწულებთან,
შენ, შორიდან მიჭვრიტე...

ტრაბახიც ამას ჰქვია

მე არც ღამე ვარ, არც ალიონი,
მაგათ ჩემამდე ბევრი უკლიათ...
ყოველდღე დადის ეს მაყრიონი,
ჩემს აივანზე ბაკაბუკი აქვთ...
ღამეს გავაგდებ, დღე მესტუმრება,
დღე წავა, ღამე მორბის გიჟივით,

შავ თმებს გაიშლის და მემუქრება,
სამთავიანი გველეშაპივით...
როგორ დავაცხრო, როგორ დავაცხრო,
თეთრ სარეცელთა შავი ვნებანი,
მე ერთი ამდენ მამრთა სანაცვლოდ?
მაგრამ, არ მრჩება სხვა არჩევანი...
ლამეს მივყვები, დღე მელოდება,
არც იმას მინდა, რომ ვაწყენინო...
გთხოვთ, არ გამპუტოთ მანდილოსნებმა,
თვალს წყალი მინდა დავალევინო...

სულ ზევით

სულ ზევით, სადაც ცის სანახებში,
ვნებანი ხეხილს შეჰფარებიან,
სად წმინდა წყლების ბროლის არხებში,
წვეთები მზისფერ კანზე სხლტებიან...
იქ, პირველყოფილ ცის სიშიშვლეში,
შენი სხეული მინდა ვიხილო,
როგორც ვენერა ჩანჩქერის ჩქერში
ან ბოტიჩელის ცოცხალი ტილო...
ღმერთი რომ ვიყო, ამ სიწმინდეში,
გაჩენის დღიდან სადაც გელოდი,
გაგაქვავებდი იებით ხელში,
რომ მეც მუდმივად ცას შევრჩენოდი...
სულ მალე, ალბათ, აპრილს ჭორფლივით,
ყვავილმა უნდა გამოაყაროს,
მაგ სახეს ერთხელ დაგიკოცნიდი,
და მერე თუნდაც გაქრეს სამყარო!!!

შენ დაიბადე

ამ დარდებს გულიც ამოვაცოლე,
უგულოდ დავრჩი, მორჩა, დამთავრდა...
შენ დაიბადე და მიმატოვე,
როგორც გასულმა ცივმა ზამთარმა...
თუმცა, კი იცი, რომ არ გემჩნევა,
ამ წლების კვალი არავითარი,
რომ ერთადერთი ზოგჯერ შემთხვევა,
ხდება ცხოვრების ნაღდი მიზანი...
შენ მაპატიე, თუკი დავკარგეთ,
ჩვენ ერთმანეთი და ვერ ვიპოვეთ...
რომ ვერ გიშლიდი ვარდის ფარდაგებს,
რომ შენი თხოვნა არ გავიგონე...

რომ მე, უბრალოდ, ვერ მოგილოცე,
რომ შენთან მოსვლა კვლავ ვერ გავბედე,
რომ ეგ ლოყები ვერ დაგიკოცნე,
რომ შენს მკერდს ჩემი ვერ შევაგებე!!!

ისე მწყურია ახლა სიმშვიდე

ისე მწყურია ახლა სიმშვიდე,
ისე მწყურია შენს გვერდით ყოფნა,
რა შორს მგონიხარ, სამყაროს კიდე,
მონაგონია შენს სიშორესთან...
თუმცა, მე მაინც შენს თვალებს ვეძებ,
შენს თვალებს ვეძებ სხვების თვალებში,
და შენს ხორბლისფერ და ფაფუკ მკერდზე,
ვპოულობ შენს გულს რაღაც წამებში...
გული, რომელიც არ მაწყენინებს,
ჩემთვის იმგერებს თუ დამჭირდება,
და ჩემს უწყინარ სევდის წერილებს,
გარდაქმნის ძვირფას შთაბეჭდილებად...
მოვდივარ, უნდა გნახო, არ ვიცი,
ველარ ვაკავებ ქარში იალქნებს...
ხედავ ალიონს? ეს ზეცა იწვის,
და ჩემს იმედებს მოაფრიალებს...
იმედებს, რაც რამ მე ბავშვობიდან,
ვაგე და ბედმა ლეწა, ანგრია...
ვერ ამოგშალე ჩემი ხსოვნიდან,
სხვამ იქ ვერასდროს შემოაღწია...
ვერ ამიხსნია, როგორც წარმართმა,
დრომ რად მიმუხთლა, როგორც მაცილმა...
როგორ არცერთი ტყვია არ ამცდა,
ყველა ჩემს მკერდში როგორ გაცივდა...
მოვალ, მოვრეკავ, ჩემი ხომალდი,
აფრააშლილი ღია ზღვაშია,
მე გული ისევ გავიფოლადე,
რადგან ის, მუდამ, შენს ძებნაშია..

ეს თამაშიც წავაგე

ნუ მთავაზობ, ნურაფერს,
სიყვარულის სანაცვლოდ,
ან რა შეცვლის, მითხარი,
მის იქით ხომ ხრამია,
ნუ მიგზავნი სურვილებს
ასე უმისამართოდ,

რა შევცოდე ასეთი
თუ მიყვარდი ძალიან...
მერე რა, თუ ლოდინში
წლები გადის, რა მოხდა...
ასრულებულ სურვილებს,
ბევრჯერ ნატვრა გერჩიოს,
იცე, სილამაზეში
არის რაღაც გამოცდა,
ჩააბარებ, ვინ იცის,
წლებიც წამოგეწიოს...
აღარ იყო ისეთი,
დღეს რომ ასე ანათებ,
და სულ გაქრეს ღიმილი
შენი სათნო სახიდან,
იქნებ სჯობდა ღალატი
რასაც ვერ უღალატე,
როცა სულში სიცივე
ხოშკაკალას გაყრიდა...
რა ვქნა, ბევრს მირჩევიხარ,
თუმც, ვერ მოგისურვილე,
ეს თამაშიც წავაგე
და ვა ბანკზე წავედი,
რატომ რჩებათ ქვეყანა
გულცივებს და გულგრილებს?
რად სწყდებიან ზეციდან,
მიტხარი, ვარსკვლავები?!

დილის იებს თეთრ მკერდზე ლურჯ სხივებად აისხამ

ზეცას შავი ზოლი აქვს,
შენ კი თეთრად ანთიხარ,
და ქცეულან თვალები
შეკითხვების აკიდოდ,
მე თუ ვერ გიპასუხე,
ვიცი, წახვალ, სხვას ჰკითხავ,
და თუ ჯვარზე გამაკრეს,
ალბათ, არც შენ დამინდობ...
მთვარე ციდან ჩამოდის,
შენ რომ გაგეთამაშოს,
მზის სხივებით მორთულხარ,
დილის ნამით ნაბანი,
ვიცი, გადაგავიწყდი,
არაფერი არ გახსოვს,
დაჰქვანა შენი ტრფობისგან,
ჩემი იასამანი...

დილის იებს თეთრ ყელზე
ლურჯ მძივებად აისხამ,
ჩახსნილ მკერდზე ვარდებად
გაზაფხული გასკდება,
მგონი, ზეცაც იწვება
შენი სიმხურვალისგან,
და უზადო სხეულზე
ელვა დაიკლაკნება...
სანამ შენთან დილაა
და იშლება ვარდები,
ჩემსკენ ცა იქუფრება
და დასეტყვას მიპირებს,
ხედავ, ჩამოიშალა
ციდან შავი ფარდები,
ეს მე მოვკვდი, ძვირფასო,
ნუთუ არც დამიტირებ!!!

შენც იცი, გველივით ქერქს რატომ იცვლიან

დამთავრდა, დავუსვი ყველაფერს წერტილი,
ჩაინგრა ის ხიდი, რომელზეც ვიდექი,
მშრალია მდინარე, ტოტი დაწრეტილი,
ვერ ვამბობ ვერაფერს, ვერაფერს გპირდები...
არ მინდა, არა მსურს, მიმათრევს დინება,
ჰაერი სავსეა ნაწყენი თვალებით...
სად გაქრა, რად ჩაქრა, ჩემი აღტკინება...
რამ, რამ გააშავა თეთრი მწვერვალები...
ხელები გამიკრეს, თვალები ამიკრეს,
და გილიოტინას შენ ემსახურები,
ხელი შემაშველე, ვერ ვადგამ ნაბიჯებს,
თუმც შიში არა მაქვს, არაფრის სრულებით...
ბრბო შენს მხარეზეა, ბრბოს უყვარს ჯალათი,
ემშვება დანა და სხეული მძიმდება,
სულ წამით ჩუმდება წყეული ქალაქი,
და უცებ ხარხარი და შენი გინება...
ძირს, გზას რომ იკვალავს ეს ჩემი სისხლია,
გაუშვი, იდინოს, მას ვალი არ დარჩა...
შენც იცი, გველივით ქერქს რატომ იცვლიან,
თვით ქრისტეც ამისგან სიკვდილით გადარჩა!!!

ისე ვიღებთ დაბადების სასწაულს

ისე ვიღებთ დაბადების სასწაულს,
თითქოს წვლილი მიგვიძღვოდეს რამეში...

არცერთ მოკვდავს, არცერთ მოკვდავს არ ძალუმს,
გააჩინოს ვინმე ღმერთის გარეშე!
მაგრამ, მერე, მერე, როცა ვიზრდებით,
არტახებში თუ არტახთა გარეშე,
როცა გვიჯობს სინამდვილეს სიზმრები,
და ნაწყენი ვტოვებთ ღამის სარეცელს...
რად გვგონია, რომ დაგვტოვებს ღმერთებმა,
და ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყება...
ვუძლებთ ათას ჯანდაბას და ფეთებას,
ვყიდით სხეულს, სულს, სამშობლოს, ღირსებას...
ამ ცოდვათა, ამ ცოდვათა სანაცვლოდ,
მაცხოვარი ჩვენს მაგიერ ჯვარს ეცვა...
ჩვენ კი დღემდე წმინდანებსა ვთამაშობთ,
და ვაღმერთებთ ხშირად მკვლელს და გარეწარს...
თავს ვიმართლებთ, თავს ვიმართლებთ ცოდვილნი,
ღმერთთან, ხატთან, სამყაროსთან, ყველასთან,
და ეშმაკთან მკლავებგადაჭდობილნი,
უსირცხვილოდ ვანთებთ ცოდვის კელაპტარს...
გვაგონდება? დაბადების სიწმინდე,
როცა დედა ჩვენს გაჩენას კოცნიდა...
და, რომ მართლაც ვინმე ცოდვებს გვითვლიდეს,
სიკეთეს ხომ ცოდვა გადასწონიდა...
სად წავიდა სასწაული ბავშვობის,
ის ხომ ყველას ღვთისგან გადმოგველოცა...
რამდენ რამეს, რამდენ რამეს დავთმობდი,
რომ ხატის წინ, კვლავ ბავშვივით მელოცა...

ვგრძნობ, ფეხქვეშ მიწა როგორ მეცლება...

როგორ გავლორდი, არ მყოფნის სივრცე,
არ მყოფნის სივრცე, ზეცას რომ ფარავს,
აღარ დავეძებ ჩემეულ სიტყვებს,
სიტყვებს, რომლებსაც სიკვდილი მპარავს...
არ ვიცი, როდის, სად, რას მივაგნებ,
ლამპრით, რომელიც ოდნავდა ბჟუტავს...
რადგან მზე ისე აღარ მინათებს
და დედამიწაც უკულმა ბრუნავს...
მაგრამ, მე ვიცი, დღემდე მელიან,
ზვრები ქცეული ეკალ–ბარდებად,
ყანა, რომელიც გათელილია,
ბალი რომელიც ფეთქდა ვარდებად...
ვგრძნობ, ფეხქვეშ მიწა როგორ მეცლება,
ძირს როგორ უთხრის წყალი ჯებირებს,
რომ უგნურება და უმეცრება,
ჩემს ინტელექტზეც გაიჯეჯილებს...

მე კი იმედით ასე მოწამლულს,
ვერ მივატოვებ, არ შემიძლია,
ზეცას, რძითა და ღვინით მონათლულს,
მიწას, რომელსაც ჩემი სისხლი აქვს...
თუნდ შეკრას პირი ათასმა მტერმა,
ათასი შხამით ჩემსკენ ილტვოდეს,
ზურგი მაქციოს ერმაც და ბერმაც,
არაფრად ღირდეს ჩემი სიცოცხლე...
და რომ სულ მტერმაც მოიალაფოს,
ეს სანახები ნაბაღნარები...
სანამ მომკლავდნენ, გოჯსაც არ დავთმობ,
რომც ამომხადონ სული წამებით...

შემოდინხარ, როგორც ლოცვა...

შემომიჩნდი, როგორც დარდი,
რატომ უნდა დამემალა,
არ მეგონა თუ მიყვარდი,
მე ხომ შენთვის არ მეცალა...
და ვერც მივხვდი, ვინ იყავი,
ვინ იყავი ჩემთვის, მაშინ,
რად მომაყრდნე მხარზე თავი,
ან რად ჩარჩი ჩემს ხსოვნაში...
რად მგონია მუდამ როცა,
კარს ქარები აღიავებს,
შემოდინხარ, როგორც ლოცვა,
და მიკოცნი ნაიარევს...
იცი, იცი, ის რაც სულში,
ნაკბენივით გამჩენია,
როგორ ჩარჩა, შორს, წარსულში,
ბზარი როგორ გასჩენია...
სიყვარულმა, ალბათ, იცის,
ვის შეუჩნდეს და ვის არა,
როცა იწყებს თრობას სისხლი,
ჩემიანად, შენიანად...
ან ვარდები როცა იწყებს,
ყლორტის ყლორტზე გამოტანას,
და დაისიც ისევ ითრევს,
ზღვაში დაისს თავისთანას...
მითხარ, მითხარ, რა ბრალი მაქვს,
რით მოვთოკო გაზაფხული,
მთვარემ მზე რით გადარია,
რას ბუტბუტებს ნაკადული...
შენი სახე რატომ მაბნევს,
რატომ მიცქერ ასე მკაცრად,

რად მიბრუნებ უკან ვარდებს,
დარდიანად, ნალვლიანად...
რა გავიგო, რა გავიგო,
როცა ბოლო წამებს ვითვლი...
ჩემი გული სხვასთან იყო,
გითხარ, რადგან ჩამაცივდი...

ვინც ამ აფთრებთან დათმო პარტია

ძნელია, როცა აღმართს ადგახარ,
აღმართს შენსას და მარადისობის,
თან ყველას უკვირს შენი გადახრა,
მიზეზი თრობის, მიზეზი ტკბობის...
შენ კი დროსთან და ბედთან შერწყმული,
შეცდომებს ყველას მშვიდად პატიობ,
და ებრძვი სივრცეს გააფთრებული,
რომ ზღვარი შენი ცამდე ასწიო...
მაგრამ წინ თუა ცივი კედელი,
უკან ათასი ხროვა მოგყვება,
რომ მათაც შეხვდეთ შესახვედრელი,
რომ გფლითონ, გხვრიპონ, როგორც ფოცხვრებმა...
მაგრამ ისინი, ვინც შენ გებრძვიან,
ვინც შენსკენ ზიზღით თითებს იშვერენ,
შენ ვერასოდეს ვერ შეგწვდებიან,
და ამიტომაც ტყვიებს გიშენენ!
დღემდე არასდროს, მართლაც არასდროს,
ასეთი ძალით არ მინატრია,
რომ ყველას, ყველას მსურს ვუთანაგრძნო,
ვინც ამ აფთრებთან დათმო პარტია!!!

ჰოო თუ არა, ჰოო თუ არა...

ბევრი ვეცადე, სულ გადავჯეგე,
რაც ბაღში იდგა ყველა გვირილა,
მართლაც, რა ვუთხარ, რა ვუთხარ, ჩემ ბედს,
რომ ერთხელ, ერთხელ არ გამიღიმა..
ჰო და არაზე სულ არა რჩება,
არა, სათქმელად ბევრად ადვილი,
შენ თავიდანვე ასე დაგჩემდა,
ჰოდა, ამას გრძნობს ალბათ ყვაველი...
ვზივარ, დავცქერი ამ ჩემს ნამუსრევს,
ბაღს თითქოს სეტყვამ გადაურა,,
შეგეკითხები და მიპასუხე,
ჰოო თუ არა, ჰოო თუ არა...

სულ რომ გავპუტო ყველა ყვავილი,
რაც კი ამ ქვეყნად სადმე ყვავილობს,
მე ბედი მაინც გვერდზე ჩამივლის,
რომ მერე შენთან გაიხალისოს...
არადა, მახსოვს, მახსოვს, ძვირფასო,
იყო დრო ტუჩზე ხელს გაფარებდი...
დღეს რომ ჰო ასე იაფად ფასობს,
იაფად ფასობს თვითონ ქალები...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
რომ ყვავილებზე ჯავრი ვიყარო...
რომ ხშირად სწორედ ასე იწყება,
გვირილა მეტყვის ვინ შევიყვარო...

ნეტა, რა ჰქვია ამ მონატრებას...

ნეტა, რა ჰქვია, ამ მონატრებას,
რითაც მე ახლა თქვენ მენატრებით...
გინახავთ, სულთა გამყინვარება?
დუმს თქვენი სახე ვით მწვერვალები...
მე კი მგონია, რომ თავს მესხმიან,
და მონატრებას თქვენსას მტაცებენ;
რომ სული წყენას გადაეჩვია,
რომ თქვენს სიყვარულს არ შემარჩენენ...
მარტოს ნუ მტოვებთ, ნუ მტოვებთ მარტოს,
აქ კვლავ მეფობენ ზამთრის ქარები...
დაწრიალებენ ჩემ სულთან ახლოს,
მეკი სათოფეს არ ვეკარები...
მაგრამ, გაუშვი, თოვლი ფარავდეს
მიწას, უცვლიდეს ქურქებს სუსხიანს,
ქარი ახლიდეს სარკმლებს დარაბებს,
და ღრიალებდეს რაც შეუძლია...
გაუშვი, ქროდეს, სანამ დაღლილი,
სადმე, ველებზე მიესვენება,
როგორც მერანი ფაფარაშლილი,
ქვა-ღორღს მიჰკვალავს, მიეთქერება...
გაუშვი, თავის თავზე აილოს,
ბუნებამ ჩვენი მიეთ-მოეთი...
და ღმერთმაც ცოტა ხარკი გაილოს,
რომ ლექსს უწერდეს ვინმეს პოეტი...
რომ იჯდეს, ბჭობდეს და ჩურჩულებდეს,
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ღმერთი...
მუზა კი ჩუმად კარებს ულებდეს
და აკვირვებდეს ღმერთს სიშიშველეთი...
ეს მე ვარ, მართლაც, ეს მე ვარ ღმერთი,

მე თვითონ დროც კი მემორჩილება...
მე სიყვარული მომქონდა თქვენთვის,
მაგრამ არ გეყოთ, თქვენ, მოთმინება...
იცით, ვვარვარებ, როგორც ვულკანი,
საშინელია ყოფნა უთქვენოდ...
მალე ზეცაში წავალ მუქარით,
რომ ვნება მოვკლა, თავს კი ვუშველო!!!

მომილოცე

მომილოცე, გაზაფხულის მოსვლა,
მომილოცე სიყვარულის დღეები,
ქარიშხლები გადაივლის როცა,
და ერთმანეთს ზღვის ნაპირას შევხვდებით...
მიგვაცილებს პაემანთან ორივეს,
აღტკინებულ თოლიათა ორკესტრი,
სადაც თეთრი გემი უნდა მოვიდეს,
გემი ჩვენი მომავალი ოცნების...
რა დაითვლის, რა დაითვლის ზეიმებს,
მე და შენ რომ ზღვაში უკვე გველიან,
ველი გედებს შენგან გამოფრენილებს,
ისე, როგორც პირველ კოცნას ელიან...
იცო, რასაც ჩაიფიქრებ, მე მჯერა,
ყველაფერიც, ყველაფერიც სრულდება,
გელოდები, მე ხომ უკვე გემზე ვარ,
ხომ გამიმხელ, გული რას გეუბნება...
ხომ გამიმხელ თუ რა ტკბილად ნატრობდი,
ზამთრის მერე, ამ ჩვენს პირველ შეხვედრას;
ატამი ხარ, მწიფე, მზისგან ნაპოზი,
მწყურვალავით ველი შენს მოფერებას...

არ ვიცი, არა, მართლაც, ვისი ხარ,

არ ვიცი, არა, მართლაც, ვისი ხარ,
რომელ ვარსკვლავებს ეპოტინები,
განა რა დარჩა ჩემი სისხლისგან,
ალბათ, ცოტაც და მთლად დავიცლები...
შენ კი არაფრად არ მიგაჩნია,
რომ დავრჩი, ასე, მხოლოდ თვალებად,
რომ ჩემს გაზაფხულს ყავლი გასვლია
და ზამთრისაკენ მიემართება...
რომ სისასტიკის ვერცხლის მახვილი,
კარგა ხანია რაც ჩამიგია...
და ეს ტყვიებიც, შენგან დახლილი,

იმდენია, რომ ვერც დამითვლია...
რომ სული ჩემი, როგორც ბელურა,
ამ ცივ ზამთარში შემოგეკედლა...
რომ კარი მსურდა გამომეხურა,
მაგრამ არ მომცეს ნება მერცხლებმა...
მერცხლები, შენი ლურჯი თვალები,
ულამაზესნი, უჭკვიანესნი,
როგორც მთის წყარო ნაკამკამები,
მონათებულნი მერცხლის ალერსით...
იცი, კი, თუ რა დღეში მაგდებენ,
როცა შენ გხედავ, რა მემართება?
თავს ამურები დამტრიალებენ,
გავყრიდი, მაგრამ, რომ მებრალება...

როგორც გულს სისხლი

ზოგჯერ, როცა დრო უაზროდ გადის,
და მეც სხვებივით დინებას მივდექ,
როცა მთავრდება ჩემი კონტრაქტი,
და მუზაც ვიცი გადამივიწყებს...
ისე მჭირდება, ისე მჭირდება,
როგორც გულს სისხლი, ანდა, აორტა,
როგორ მეგონა ხელს ჩამკიდებდი,
და გამიყვანდი ამ სამყაროდან...
როგორ მეგონა, როგორც ნაკადულს,
ყვავილებს შორის გზას გამიკვლევდი,
რომ ასე მარტოს და გადაკარგულს,
ყველა ტკივილებს დამავიწყებდი...
მაგრამ ცივია ეგ შენი მზერა,
და შენს შეღებულ თმებს ფიფქი ათოვს,
იმდენს დავატრევ ჩემს ბედისწერას,
ვინ იცის, სადმეც კი დამეკარგოს...
შენ კი ამ თოვლში ისე აბიჯებ,
თითქოს ფიფქები გეცოდებიან,
თითქოს საცაა უნდა აფრინდე,
და ეგ ფიფქები შენი ფრთებია...
ჩვენ გავფრინდებით, როგორც მტრედები,
შორს, სადაც ლურჯი ვარსკვლავებია,
სადაც ჩნდებიან ეს ფანტელები
და ზამთრის მოსვლას ელოდებიან...

თან ულამაზეს ყვავილს მაგონებ

საოცარია, შევხვდით შემთხვევით,

მეგონე ციხე აუღებელი...
შენ კი მაპკურე ცვარის წვეთები,
წვეთები ჩემი მაცოცხლებელი...
თან ულამაზეს ყვავილს მაგონებ,
თავბრუს რომ მახვევს თავის სურნელით...
მე სიხარულით გაგიბატონებ,
მოდის, დამადგი შენი უღელი...
თუმცა, კი, ვიცი, ვიცი, ძვირფასო,
რომ ბატონობა არ შეგიძლია,
მე კი გეტყვი, რომ კლდე ვარ ციცაბო,
რომ ჩემთან მუდამ ცივი ნისლია...
ხვდები, კი, როგორ მინდა დამიპყრო,
ფეხქვეშ გაგეგოს ჩემი მწვერვალი,
ჰო, მინდა, მინდა ჩემი ცა იყო,
გესროლა მეხი და მოგეკალი!!!

არწივი ვარ

არწივი ვარ, ვკრავ ირას,
რომ გავეკრა ლაჟვარდს ცაში;
თან ვუსმინო, როგორ გალობს,
ვარსკვლავები ათას ხმაში...
ვის ასხივებს მზე ამ დილას,
ან ღრუბლები ვის ჭორავენ,
მთვარეს გული რატომ სტკივა,
ზღვები საით მიგორავენ...
ზეცა ჩემი საუფლოა,
მაგრამ ქვევით, დამშრალ ხევში,
მატლებისთვის მიდის ბრძოლა
და ჭილყვავთა ხმები მესმის...
ჭილყვავების მე ის მიკვირს,
რომ სისწრაფით მრავლდებიან,
მძორის ხორცი, მძორის სისხლით,
რომ არწივებს თავს გვესხმიან...
და მცირდება ჩემი მოდგმა,
მოდგმა მთების არწივების,
და რომ ზეცაც რჩებათ ოხრად,
ვისაც იქით ვაწივლებდი...
ჰოდა, მიკვირს, მართლა, მიკვირს,
ვინ კვებავენ ამ ჭილყვავებს,
ისინი ხომ მატლებისთვის,
დაბლობებში დაფრინავენ...

ბოლმა

ისევ სატანა მცდის
და არ მანებებს თავს...
შენთან შეხვედრა მღლის,
მაგრამ ვერ ვიტან სხვას...
მოდი, ნუ დამდებ ბრალს,
ეს აბდაუბდაც მშლის,
თითქოს მაძრობდნენ ტყავს,
თითქოს მიღებდნენ სისხლს...
მომდეგ, ვერა ვშლი კვალს,
მიჭირს გაგნება გზის,
მაინც ვერ ვიხდი ვალს,
დღემდე ვერცერთი თვის...
შენ რაც დარდები გკლავს,
მე ეგ სევდასა მგვრის,
ვერ გავატანე წყალს,
ბოლმა წყეული მტრის...

შენც ხომ ერთ–ერთი იმათგანი ხარ...

შენ რომ უჩემოდ აპრილს ხვდებოდი,
მე, ალბათ, მარტი მესიზმრებოდა,
შენ ოცი წლისაც არ იქნებოდი,
რომ გაგიცან და გული მწყდებოდა...
ასეა, ხშირად ჩვენს ცხოვრებაში,
აგვიანებენ გაზაფხულები,
და ილექება ჩვენს გონებაში,
ქალები, როგორც მზის ასულები...
შენც ხომ ერთ–ერთი იმათგანი ხარ,
ვინც ასე უყვართ ბედის რჩეულებს,
ვინც, სიყვარულის გზას ასწავლიან,
კაცებს თქვენს გამო გადარეულებს...
ესეც ბედია, ესეც ბედია,
რომ მარტი ვარ და მეაპრილები,
რომ თებერვალში მომნატრებია,
ტუჩები ტყუპად გახლეჩილები...
სულ მალე თოვლი დნობას დაიწყებს,
აყვირდებიან მთებში ხევები,
იცოდე თუკი მომინაკლისებ,
სადმე ზვავებში მივეხეთქები!!!

ვიცი, რომ გიყვარს ბევრი ფერება

ვიცი, რომ გიყვარს ბევრი ფერება,

მეც მიყვარს, მაგრამ ვერ გეფერები,
თითქოს დაკარგეს ჩემმა ხელებმა,
უნარი შენი სითბოს შეგრძნების...
თითქოს მხრაკავენ და მიმატებენ
ცეცხლს ნელა–ნელა ვიღაც ქაჯები,
და სანამ რამეს გავიაზრებდე,
დაღეჭილი აქვთ ჩემი აზრები...
დრო კი თავს მესხმის, როგორც ტირანი,
დღეებს მპარავს და ასე მაჩუმებს,
თორემ არა ვარ გაუცინარი,
რაც დამავალეს, იმ როლს ვასრულებ!!!
ხედავ, სასტიკი თებერვალია,
და მეც ვერაფერს ვერა გპირდები,
თან სულ მგონია, რომ სიზმარია,
და სხვების გამო მე ვიჭყლიტები...
და ვუმზერ, აწმყოს როგორ აყალბებს,
ის ვინც სიკეთეს უნდა თესავდეს,
განა არ მინდა, რომ რაღაც მწამდეს,
მაგრამ სავსე ვარ შხამით ყელამდე!!!

უნდა წამომყვე (ტ–ს)

რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს,
სულ რომ წაიღოს წყალმა თბილისი...
სადაც მე გეტყვი უნდა წამომყვე,
თუნდაც, იმ ჩვენი სიყვარულისთვის...
წაგიყვან, სადაც ცისფერ აუზებს,
წყლის ფერიები შეჰფარებიან,
და იქ იპოვი იმ სამკაულებს,
შენ, რომ საოცრად შეგყვარებია...
შენ მიგიღებენ როგორც დედოფალს,
ატმის ლოყებით და ოქროს თმებით,
მე კი ტრიუმფით როცა შემოვალ,
შემომანათებს შენი ატმები...
და გამარჯვებულს რომ შემომხედავ,
დატრიალდება შენს წინ დარბაზი;
ეს მე ჩაგიქრობ მაგ ამბოხებას,
ვნებად შენს გულში ზღვარს რომ გადადის...

როგორ მინდა

როგორ მინდა, როგორ მინდა,
სადმე იყო, ჩემთან ახლოს;
მიღიმოდე ისე ტკბილად,

თითქოს ბავშვი დამენახოს...
და მეც გთვლიდე სასწაულად,
სურნელებად წითელ ვარდთა,
ულამაზეს გაზაფხულად,
ჩვენ რომ ასე შეგვიყვარდა...
არა ვნანობ, არა ვნანობ,
ყველაფერი რომ დავკარგე,
ვეწაფები მე შენს წყაროს,
შენს ცხელ მკერდზე გაშლილ ვარდებს...
უკეთესი რა ვინატრო,
მეცხრე ცაზე დავალ თითქოს,
და თუ შენი ცქერა მათრობს,
მინდა მუდამ მთვრალი ვიყო...
მაგრამ ვამჩნევ ჩაფერფლილან,
სულმთლად ჩემი კელაპტრები,
მგონი, მართლა, დავთვერი და,
მგონი, მართლა, მენატრები...

მოწყვეტილი გვირილა ხარ

მოწყვეტილი გვირილა ხარ,
ყველა კოცნას ითვლი ჩუმად,
როგორ გითხრა რად მიყვარხარ,
რომელ ალმა ჩამჩურჩულა...
თავიდანვე ლამაზებმა,
დამაბნიეს, დამაბრმავეს,
და ეს გულიც ხან გაჩერდა,
ხან კი თვალებს აპარპალებს...
მე გვირილა მინდა კიდევ?
და ფურცლებით შემოწმება?
შენი სახის გადამკიდემ
რომელ ქალთან ვპოვო შეება...
რომელ ქოხში, რომელ დროში,
სად ვეძებო ამას ვრჩევობ,
და დავდივარ ხელში ქოშით,
შენ, არა გსურს, რომ გაჩვენო?
რომ ოქროსფერ, ფრთოსან რაშზე,
შემომიჯდე ტანის რხევით,
და ავფრინდეთ იმ მწვერვალზე,
სადაც მხოლოდ ჩვენ ვიქნებით!!!

მე ამ ყველაფერს მძაფრად განვიცდი

მე ვაკვირდები, ვინ როგორ ბლევობს,

რა ადვილია ამის წაკითხვა,
სადაც ამდენი სიყალბე მეფობს,
მაგრამ არცერთი სიტყვით განკიცხვა...
თუმც ჩემს კამათთან და ნაზოდვართან,
შენ არაფერი არ გესაქმება...
ასე მგონია ტალღა მოვარდა
და ჩემი სულიც ზღვას ემსგავსება...
მე ამ ყველაფერს მძაფრად განვიცდი,
ეს აღარ არის ზღვასთან თამაში,
როგორც სიმშვიდე ქარიშხალის წინ,
უკვე მომესმის ხმები განგაშის...
რა კარგი იყო, რა კარგი იყო,
როცა ვისხედით ორნი დარბაზში,
ლტოლვა ვნებაში გადაზრდილიყო,
და ამურების გვკლავდა პარპაში...
ეს ვიცი, ამდენს ველარ გავუძლებ,
თუმც სიკვდილამდე, ალბათ, შორია,
სულ ერთი, ერთი კოცნა მაჩუქე,
და აქ დამთავრდეს ეს ისტორია...

რა ერქვა ზღაპარს

რა ერქვა ზღაპარს, შენ რომ მიაძბე,
ველარ ვიხსენებ, ახლა ვერაფრით...
ის მავიწყებდა ყველა სიავეს,
ჩემი თილისმა იყო ერთგვარი...
მახსენდებოდა ყოველ ცისმარე
და გამუდმებით თან დამყვებოდა,
ათას მეგობარს გავუზიარე,
მინდოდა, ყველა ჩაფიქრებოდა...
რა ერქვა ზღაპარს, თოვლის სამოსი,
თუ გადმოსული ზღვების ხმაური?
სად გაქრა ცეცხლი იმ საღამოსი,
ჩვენ რომ დავარქვით დღესასწაული...
სად გაქრა თმები, შენ რომ იწნავდი,
რად დაჰკვნა ვარდი, შენ, რომ გიყვარდა,
თუნდაც აზარტი, რითაც რისკავდი,
რად ჩაქრა, გაქრა და გაიფანტა...
როგორ გაბაცდა საღამოები,
ცისარტყელების რა იქნა ფერი?
რად ზიხარ მუდამ განმარტოებით,
და მივიწყებულ წარსულს გასცქერი...

თან წაიღე ყველა კოცნა

მე თუ მინდა შენთან ყოფნა,
შენ რად წახველ სხვასთან, ნეტა?
თან წაილე ყველა კოცნა,
რაც კი შენთვის გამემეტა...
თან წაილე იმედები,
რაც კი ზეცამ დამაბედა,
რად გაიყო ჩვენი გზები,
რად მიყვარდი, ასე, ნეტა...
ახლა, როცა შორსა ხარ და
შუა გვყოფენ ბევრი ზღვები,
შენი კოცნა, რომ არ დამრჩა,
იცი, ზოგჯერ მავიწყდები...

მზე თუ ჩაქრება

მზე თუ ჩაქრება,
მე აგინებთ, ნუ შეშინდებით...
მე ხომ პრომეთე გამოვიხსენ
იმ კლდეებიდან,
ის არწივები დავიფრინე
უბრალო ქვებით,
და შევაჩერე სისხლის დენა
მისი მკერდიდან...
რად ხდება ასე,
ეს ვერაფრით ვერ ამოვხსენი,
ვინც ცეცხლი მისცა ადამიანს
რატომ ისჯება,
ან ღვთის სახელით
რად იბრძვიან მახვილოსნები,
ან თვით კაცისკვლა,
რატომ იქცა კაცთა თვისებად...
ან, კაცმა რომ თქვას,
რას გაუგებ ჯუნგლის კანონებს,
თუნდ ღამის ცაზე
ვარსკვლავები რად იწვებიან...
ან თუნდ მცირედი სიყვარული
როგორ გვიმონებს,
და რა ცოდოა,
ვისაც სულაც არ ღირსებია...
თუ მზე ჩაქრება,
მე აგინებთ,
ნუ შეშინდებით,
ახლა ხელს ავწევ
და ღრუბლები გაიხსნებიან,

და გავიხაროთ
მზის ხელახალ ამობრწყინებით,
ფრინველნი უკვე მას ორკესტრის ხმებით ხვდებიან!!!

შენც შეცდომა ხარ

ისე არ მინდა და მეშინია,
ისე არ მინდა შენი დაკარგვა...
მე ვივლი, ალბათ, როგორც მივლია...
სულ შეცდომებით, ასე, გზადაგზა...
იქნებ, უბრალოდ, შენც შეცდომა ხარ,
ჩემს ბილიკებზე გამოჩენილი,
და ამ სამყაროს უსაზღვრობასთან,
განფენილი ხარ შენი თმებივით...
მე კი არც ვიცი, ვაარ თუ არა,
შენი ცხოვრების რამე ნაწილი...
როგორც მზე მთვარემ დაამწუხარა,
ცაზე რომ მოჩანს ამობარდნილი...
რად მეშინია, რად მეშინია,
რომ სამუდამოდ დამეკარგები,
ჩემი ცხოვრება შენს იდილიას,
ვიცი, სწავას, როგორც სულს სწავას სანთლები...
არადა, რამდენ რამეს იტყვენ,
შენი თვალეები, ასე მართლები...
ალბათ, შევხვდებით დიდი ხნის მერე,
თუ ახლაც ვცდები, არ მეთანხმები?

ცრემლები, ალბათ, ათასგვარია...

მზე ჩადის, შენს მკერდს აელვარებულს,
როგორც წითელი ვარდის ფურცლები,
როგორც მიჯნური თავს შეყვარებულს,
ევლება შენი ცრემლის კურცხლები...
ცრემლები, ალბათ, ათასგვარია...
ცხელი, მდულარე, ცივი, ყინული...
შენები, ალბათ, სევდის ბრაღია,
ძუძუზე თეთრად გადათრთვილული...
ზიხარ, გასცქერი ცაში ვარსკვლავებს,
ზღვისპირას თითქოს სწრაფად ღამდება...
შენსკენ სავალი გზა მოასწავლეს,
ვარსკვლავებს შენმა ბრილიანტებმა...
ჰოდა, ისინიც ცვივიან ციდან,
და შენს თეთრ კანზე ცისფრად სკდებიან,
მერე კი ისევ ასხმულნი მძივად,

შენს ბროლის გულ–მკერდს ეფაფრებიან...
ზღვა ეჭვიანობს, თავს ვერ იკავებს
და ტალღა–ტალღად თავზე გვევლება,
შეშინებული დახუჭავ თვალებს
ვგრძნობ, მიგატოვებს შენც იმედებმა.

რა არის შენში, ნეტა, ასეთი...

რა არის შენში, ნეტა, ასეთი
რომ მაგნიტივით შენსკენ მიზიდავ,
ბევრი მინახავს მე ლამაზები,
ამ ზღვის აქეთ და ამ ზღვის იქითაც...
ბევრი მინახავს ეშხიანები,
ვისთანაც თავი მეფედ მიგრძვნია,
თუმც, ბევრის ქსელში ძალით გავები,
და ერთი ღამეც ვერ გამიძლია...
შენ, კი, შენ, ალბათ, სულ სხვა ვინმე ხარ,
სულ სხვა აურით გარემოსილი...
მე, მართლაც, შენი თავი მჭირდება,
და სამდღიანი მაწყობს ქორწილი...

ისევ რომანტიკა

ჩემში რომანტიკაა, ისევ, ალბათ, მთავარი,
სხვანაირად ამ დროსთვის რანაირად მომეველო,
უკეთესი ვერ ვნახე მე სხვა გამოსავალი,
სხვათაშორის, მინდოდა შენთანაც შემომეველო...
მაგრამ, როცა ასეთი კარგი ხარ და ლამაზი,
როცა თვითონ ვარდები შენთან არაფერია,
შენ რომ შეგეფერება, სად ვიპოვო დარბაზი,
შენთან, მხოლოდ შეხვედრაც, ჩემთვის საწნახელია...
მთვარესავით სავსე ხარ, ბადაგივით დამტკბარი,
არ გეგონოს, რომ, ისე, მხოლოდ მეფლირტავება...
გაუხედნავ კვიცივით ვარ შენს გამო დამფრთხალი,
ჩემო უსაყვარლესო, ჩემო ცეცხლისთვალეზავ...
დამიჯერე, ასეა, გზა არა მაქვს შენს იქით,
გზა, რომელიც სად მიდის, დღემდე ვერ გამიგია,
ახლაც წავეხეტები, ერთს კი შემოგივლიდი,
რაც შენთან განვიცადე, სხვასთან არ განმიცდია...

გადაჩეხვამდე ერთი წამია

საითაც წაველ, ყველგან გზას ავცდი,

გადაჩეხვამდე ერთი წამია,
ჩვენი შეხვედრა რჩება ძალაში,
თუ ჩვენ ორს შორის, სხვა მესამეა...
რა არის ძალა, კაცს რომ აქვავებს,
ან რომ გვაშინებს ასეთი ძალით?
ზეციდან ვინმე თუ გვითვალთვალებს,
რატომ არ გვეტყვის, კარგი, დაწყნარდით!
ან ვინ აკავებს ცაში ვარსკვლავებს,
სწორად ვეშვები თუ თავდაყირა?
ხალხს ვერაფერი გამოვაპარე,
ფეხისწვერებზეც კი რომ დავდივარ...
რატომ ჰგონიათ სხვებს რომ ვიცინი,
თუ ეს სიცილი არის სიმწრისა,
მილაწუნებენ ლიწინ–ლიწინით,
აქეთ–იქიდან ამ სიცილისას...
აღარ მოძრაობს გამშრალა სისხლი,
აღარც გული სცემს კარგა ხანია,
და მეც მზადა ვარ ხარაკირისთვის,
აქ, სადღაც ძველი ნასახლარია...

ვით აისბერგი აღელვებულ ოკეანეში

სადმე, მივარდნილ,
გადაკარგულ ადგილას დამსვით,
სადაც ვერავინ ვერ იქნება
ჩემი მპოვნელი,
სადაც სიყვარულს გადავცვლიდი
უბრალო ვარდში,
და დამატკობდა
სურნელება დამათრობელი.
სადაც რიჟრაჟზე არ ატყდება
ყვავთა ყრანტალი,
ძაღლთა გნიასი,
ყეფა–ლრენა, ლეკვთა წკაწკავი,
არ მეგონება უბედური
არც ჩემი თავი,
არც მეზობელი,
მეგობარი და ნათესავი...
სადაც ვერ ვნახავ,
ამ უაზრო ქაჯურ ანგლობებს,
და არც მუქარებს არ მოვისმენ
ყველა წვრილმანზე,
და არ მოვიხდი სხვების ნაცვლად
ამდენ მადლობებს,
და არც უეცრად ავფეთქდები

შხამ ხასიათზე...
მოკლედ, რა მინდა,
მე თვითონაც, მგონი, არ ვიცი...
ვერ გავაცეი,
ვულკანური სისხლი ძარღვებში...
მე აქ ყველაფერს,
სულ ყველაფერს ისე განვიცდი,
ვით აისბერგი აღელვებულ ოკეანეში...

შენ ერთს შეგეძლო

საოცარია, შენს თვალებში გაჩენილ სხივებს
ჩემი თვალები როგორ ირეკლავს...
შენ ერთს შეგეძლო, შენ შეგეძლო გადაგერჩინე,
მაგრამ რატომღაც ცამ არ ინება...
სად არის ხიდი, შენთან რომ მოდის,
სად არის თოვლი, შენ რომ გათოვდა...
რა იქნა ღამე, რომ მპირდებოდი,
ან სად გეძებო, რომელ მნათობთან...
გადააწითლებს, გადააწითლებს,
სევდის ნაპირებს ყაყაჩოები,
თუ არ გიყვარვარ, აღარ დამპირდე,
სხვასთან ვერ გავძელ, შენთან მოვედი...

1 აპრილი (თ.გ.- ს)

უკვე აპრილიც მოვიდა,
თავის იმედის ამარა,
მე შენთან ყოფნა მომიინდა,
შენ თავი ზღვამ შეგაყვარა...
ნეტა ვის ეაპრილები,
ვინ გჩუქნის გაშლილ ყვავილებს,
მაგ შენი ბროლის თითებით
მკერდის სარკმელი გამიღე...
ვიცი, დღეს სისულელეა,
აღმათ ტყუილზე კამათი,
მე გთვლიდი შენ ჩემს მშველელად,
შენ კი იმედიც წამართვი...

ანგელოზსა ჰგავდი

ნამდვილ ცოცხალ ანგელოზსა ჰგავდი,
თითქოს ფეხს არ აკარებდი მიწას,

დაგტოვე და მერე შენზე დარდი,
დამყვებოდა დიდხანს, დიდხანს, დიდხანს...
არაფერი, არაფერი მსურდა,
მართლაც, შენი კარგად ყოფნის გარდა,
ისე ახლოს დაგინახე სულთან,
როგორც შენი სილამაზე მკლავდა...
დავცილდით და ჩვენ ორ შორის ისევ,
დრო ჩადგება, როგორც მონოლოგი,
მე უშენოდ აღარ მახალისებს,
ზღვის ტალღები სველ კენჭებს რომ ჰკოცნის...

ტკივილის მთები (ზაზა ხალვაშს)

გქონია განცდა, ტკივილის მთების?
ხშირად მქონია ასეთი განცდა...
მთებს გამოსხმიათ არწივის ფრთები,
და მძვინვარებით აწვდილან ცასთან...
თეთრი თოვლია მათი საბანი,
ცივი თვალებით იმზირებიან...
დგანან გვერდიგვერდ როგორც ტაძარი,
და ამირანზე მითებს ჰყვებიან...
აქ ალბათ იყო ბევრი ჯახება,
რელიგიათა ომის ხანძარი,
აქ დღესაც ისმის გადამახება,
დედა სად არი, ნენე სად არი...
ცხელზე-ცხელია მთების ყინული,
როგორც უდედო ბავშვის ტირილი...
აქ ჩანჩქერებიც თავგანწირული,
მიწას ესხმიან ხანჯლის პირივით!
და მიაქვთ ხევებს დედის ცრემლები,
მიაქვთ ტკივილი და გაოცება...
დგანან გვერდიგვერდ მთები თეთრები,
და ერთი ვაიც არ წამოსცდებათ!!!

ნეტა ასეთი მართლაც არ იყო

შენ მაპატიე, თუ შეგიძლია,
სევდა, რომელიც სულში შემოდის...
სულ ერთი წუთიც საკმარისია,
რადაც წამებიც კი უშენობის...
რომ დარდმა, ისე, ისე წამიღოს,
როგორც მორევი ითრევს ლიფსიტებს,
ნეტა, ასეთი მართლაც არ იყო,
მიმზერ და თითქოს კედელს მიმჭყლიტე...

მითხარ, განა მე რა დავაშავე,
თუკი სიყვარულს ცეცხლის ფერი აქვს...
თუ ჩამოღვენთილს ციდან ვარსკვლავებს,
შენი სიზმრები ესიზმრებიან...
და რომ მეც ჩემ წილ ბედნიერებას,
მხოლოდ შენს გამო ვეპოტინები,
რომ გამაცოფეს შენმა მზერებმა,
რომ მწვავენ შენი ცხელი სხივები...
ვინ იცის, იქნებ ჯადოქარიც ხარ,
და მაგ საოცარ ნიღაბს ატარებ...
მე კი სურვილმა ბაგე ამიწვა,
და შენს დანაღმულ მკერდზე ვვარვარებ...

ყველაფერს წავშლი

როგორც დაფაზე, მახსოვრობიდან,
წავშლი ყველაფერს, ყველაფერს წავშლი...
თუ ჩემთან ყოფნა უკვე მოგწყინდა,
თუ კი არა აქვს არაფერს აზრი...
რა ხდება ქვეყნად, რა ხდება მეტყვი?
ერთი ვარსკვლავი მეორეს ბადებს,
და იქვე, იქვე, ღრუბლები სეტყვის,
იკრიბებიან ვარსკვლავთა თავზე...
მე შენთან უკვე არაფერს ვმაღავ,
არც მკეთებია, იცი, ნიღაბი,
შენ ამომხადე სული მთლიანად,
მთელი სისწრაფით, მთელი სიცხადით...
რაა სამყარო, ერთი გახედვა,
რად ჩნდება ქალი, ნუთუ, ნატურისთვის?
როგორც მძვინვარე ვეფხვის გახედვნა,
შენ იყავ, ალბათ, გამონაკლისი...
რა გვიანია, რა გვიანია,
რა სისხლისფერად გაიდაისა...
მთვარის სიკვდილი ღამის ბრალია,
ჩემი სიკვდილი მხოლოდ მთვარისა...

როგორ დავძლიო ეს მწუხარება

ერთ დროს ამაყი როგორც მყინვარი,
დღეს ომის ველებს გავრიდებოვარ...
ვერც მომავალი ამოვიცანი,
აწმყოსაც სულმთლად დავვიწყებოვარ...
მახსოვს, არ გქონდა შუბლზე ხაზები,
გადაგდიოდა თითქოს ნათელი,

და იყო ალბათ შეუთავსები
დროსთან მჟღერადი შენი სახელი...
რა იყავ ჩემთვის, იქნებ თილისმა,
თუ გამოცანა გამოსაცნობი?
ის ყოველივე რად გაისრისა,
რასაც მე და შენ ერთად ვნატრობდით...
როგორ მოვიქცე, ვინ მიკარნახებს,
თუ ღმერთებს ჩვენთვის არა სცალიათ;
სანთელი ასე რატომ ცახცახებს,
გზა რატომ ველარ გამიკვალა...
როგორ არ მინდა სხვას მიეკედლო,
სხვას უნათებდნენ შენი თვალები;
შენ მაპატიე, თუკი ვერ შევძლო,
ვერ დავამარცხო ეს ტიტანები...
რომლებსაც სევდა და დარდი ჰქვია,
შენც იცი, რატომ, შენც იცი, რაზე...
რომ ყოველივე დროს უკან მიაქვს,
რასაც სიცოცხლე გვართმევს და გვადლევს...
ვინა ვარ, შენი ერთი წამწამი,
თუ თვალის ერთი დახამხამება?
ხომ ვერ მასწავლი, ხომ ვერ მასწავლი,
როგორ დავძლიო ეს მწუხარება!!!

ნეტა ვიცოდე

ჩემზე ოცნებას არავინ გიშლის,
მე შემომხედე, ცას რას უყურებ,
თუ შემიყვარდი, ცა ველარ გიხსნის,
ნეტა, ვიცოდე, რასა ჩურჩულებ...
ნეტა, ვიცოდე, ნეტა ვიცოდე,
ვის სმენას ატკბობ შენი გალობით,
შენს გულში ვინა დარბაისლობენ,
ან შენ ვისთვისა ნატრისთვალობდი...
ნეტა, ვიცოდე, ვინ გადაშალე,
ანდა, პირიქით, ვინ შეარჩიე,
ბედნიერება რაში გასცვალე,
მიტხარი, ნუთუ, ვერ შეგამჩნიეს...
რომ აყვავებულ ალუბალს ჰგავხარ,
და სიყვარულის ალში გიზგიზებ,
და მიყვებიან ბავშვობის ზღაპარს
შენი თვალები კიდევ და კიდევ...
მიტხარი, რაა შენთვის მთავარი,
სულსა და ხორცში რომელს არჩევდი,
იქნებ ისაა გამოსავალი
საკუთარ თავზე თუკი მაღლდები.

ნეტა, სიყვარულს არ გიკრძალავდნენ?
თუ გქონდა მუდამ თავისუფლება,
უნდა იბრძოლო კუბოს კარამდე,
თუ გასურს ღმერთებთან გასაუბრება!!!

ოლონდ ინატრონ

შენ ყველაფერი გეკუთვნის ჩემგან,
გეკუთვნის, რაც კი რამ მაზადია...
რაც დამაბერტყა მაღლიდან ღმერთმა,
ამ ულამაზეს განთიადიდან...
გეკუთვნის ჩემი ველების ნამი,
გეკუთვნის მთების ჩრდილი, სიგრილე,
გეკუთვნის ყველა ძოწი და ლალი,
შაჰინ-შაჰები რასაც ითვლიდნენ...
გეკუთვნის ყველა ვარსკვლავი ცისა,
ყველა ყვავილი, რაც კი ამოვა,
ყველა სხივები, რაც მოდის მზისგან,
გეკუთვნის ჩემგან, ვიცი, სახსოვრად...
არ მენანება, არ მენანება,
შენთვის კოშკები და დარბაზები,
ოლონდ ინატრონ შენმა ბაგებმა,
ოლონდ ისურვონ რამე ასეთი...

შენს იქით ვერსად ვერ ვიხედები

შენს იქით ვერსად ვერ ვიხედები,
ისე შეცვალე ჩემი ცხოვრება,
მოვალ, მოვლელავ თეთრი მერნებით,
შენი ვნებების დასაოკებლად...
შენთვის გადავჭრი ყველა უდაბნოს,
და ჯოჯოხეთის ცეცხლშიც ჩავდგები,
და თუნდ ჩემს მერნებს არ გაუმართლოს,
შენსკენ გამოვწევ ვეფხვთა თანხლებით...
რადგან მეც თვითონ ვეფხვის გენი მაქვს,
მათი ძუძუ მაქვს ბევრჯერ ნაწოვი,
ჰოდა წამოვყრი იალადიდან,
ვეფხვებს მზის გულზე მშვიდად გაწოლილთ...
მოვფრინავ შენსკენ, როგორც ალალი,
და არ ელოდო ჩემგან დანდობას,
უკვე ხელში მაქვს შენი დალალი,
შენი ტუჩების მატკობს მაჭრობა...
მოვქრივარ მთები ცეცხლში ეხვევა,
აალებულნი ცხენთა ფლოქვებით,

შენ სხვისი ხელი ვერ შეგეხება,
შენ უნდა მოკვდე ჩემი კოცნებით!!!

ჩემი ცხოვრება სულ თამაშია

რა მომწონს, ანდა, რა მიყვარს შენში?
ალბათ, სახეზე სწორი ნაკვთები...
ღიმილი, სითბო, და ალბათ ეშხი,
ეშხი, ნადვილად ხაზგასავლები...
როცა შხამიან ხასიათზე ვარ,
და ამ დროს უცბად შენ გამოჩნდები...
გამეღიძევა გაუაზრებლად,
და ვიწყებ ტკბობას იმ საოცრებით...
რომელიც ყველა ლამაზ ქალშია,
და ჩვენ რომლითაც ცეცხლს გვიკიდებენ,
ჩემი ცხოვრება სულ თამაშია...
თუმც ვაგებ, რადგან სხვები მიგებენ...

როგორც ქარი, როგორც ელვა

როგორც ვეფხვი ტაიგიდან,
როგორც ქარი, როგორც ელვა...
როგორც მეხი სუფთა ციდან,
და ვულკანის ამოხეთქვა...
ისე ვიგრძენ სული შენი,
ხელისგულზე როგორც ნამი,
ალბათ ისევ შენ მიშველი,
როგორც შველის სალოცავი...
ჯერ კი შეშლილ ქარსა ჰგავხარ,
ქარს ზღვის გულში ამოვარდნილს,
რომ მოდის და მოაქვს ტალღა,
და ღრიალებს გაქრობამდის...
რომ მოგთოკო, სად მაქვს ძალა,
ისევ ზვავებს უნდა ვენდო,
ან გავხდები მაწანწალა,
რომ შენს ფერხთით მკვდარი ვეგდო...

ტახტი

წააგე, ბრძოლა? რა მოხდა მერე,
არ აგებს ის, ვინც არასდროს იბრძვის...
იყო დრო, არა ხოცავდნენ მძევლებს,
არა სწყუროდათ იმათი სისხლი...

ან ვინ გაუგოს მეფეთა თამაშს,
იმათ სურვილებს და ამბიციებს,
ვინ უყვართ, მართლაც, ვის სცემენ თაყვანს,
ძვალ-რბილში ატანს მათი სიცივე!
დღემდე გრძელდება ტახტისთვის ომი,
ტახტი, რომელიც ხეა მარტოდენ...
რა მარტივია ომის კანონი,
გჭირან, გიჭერენ, გკლავენ, გახრჩობენ...
რომ მერე ტახტზე წამოჯდეს ვიღაც,
და კანონს წერდეს აღტაცებული...
რომ მეფობამდე ვინც ახლდა, იმათ,
იმათ შეებას გაავებული...

გამომიწვიე (ნატო ნატალის)

ასე ზღაპრული რად მეჩვენები?
რად მეჩვენები ასე ლამაზი?
როგორც მზის გულზე ყურძნის მტევნები,
როგორც ოქროში, ბრწყინავს აღმასი...
გამომიწვიე, გამომიწვიე,
მხოლოდდამხოლოდ თუნდაც საცქერლად...
თითქოს აკვანი გადამირწიე
და შენი სახით მზე მომაჩერდა...
რატომ მგონია, რატომ მგონია,
რომ დასკდებიან შურით ქალები,
სილამაზისთვის ვისაც ომი აქვთ,
როგორც იბრძოდნენ ამორძალები...
ძნელია ასეთ ტანჯვას გავუძლო,
დღეს შენი სახით ჰყვავის მაისი,
თუმც ხანმოკლეა ჩვენი საწუთრო,
ვინ იცის, შევხვდეთ, მართლაც, რა იცი...

ეგ სილამაზე ზღვარგადასული

მე ვსუნთქავ შენით და გაზაფხულით,
და მჯერა, მჯერა ჯადოქრობისა,
დღეს ეს შენა ხარ ჩემი ავსული,
და გთხოვ, როგორმე ჯადო მომიხსნა...
ეგ სილამაზე ზღვარგადასული,
სასწაულივით გადამდებია,
ანათებ, როგორც მეფის ასული
სასახლეს ბროლის დარბაზებიანს...
და სანამ, მართლაც, ჩამსახლებიან,
მეც ჩემს სხეულში ბნელი ძალები,

სანამ შენს ჯადოს, ათასფრთებიანს,
მეშინია და ვერ ვეკარები...
მოდი, მიშველე, მოდი ამხსენი,
მაგ ფრთებმა ლამის ცა გააშავეს...
რატომ ჩნდებიან შენისთანები,
ჩემს გზაზე, განა რა დავაშავე?

შველა მინდა და ვერ ვშველი

ისეა ჩვენი დღეები გაჯერებული სისხლით,
ისეა გადაკვალული ყველა დღე, ყველა წუთი...
ასე მგონია, რომ დღესაც ტყვიებს მიშენენ მიჯრით,
ღმერთი კი სადღაც ნასესხებ დღეებს და თვეებს მჩუქნის...
რაც ვფურცლე ისტორიანი, ყველგან ღალატი დამხვდა,
არ მიკვირს აღარაფერი, მინდა ხვალის დღის მწამდეს,
რომ დადენილი ზღვად ცრემლი, გმირებს საფლავში ჩაჰყვათ...
შველა მინდა და ვერ ვშველი, მე გამოცდაზე ჩამჭრეს!!!

ჭადარი ვარ

ჭადარი ვარ, ველს გავყურებ თვალუწვდენელს,
მარტო ვდგავარ, მარტოობამ დაღრღნა გული...
სეტყვა მსეტყვავს, მეც ცისაკენ ვიწვდი ხელებს,
ის კი მსეტყვავს, აღარა აქვს დასასრული...
თითქოს ყველამ, თითქოს ყველამ პირი შეკრა,
ელვა-მეხმა ტოტი-ტოტზე დამასხიპა...
ჭადარი ვარ, და ქარიშხლებს ვებრძვი კენტად,
ყველა ყლორტი მიღირს ლამის მამასისხლად...
ვერ მაჯობებს, ვერ წამაქცევს გრიგალები,
და ვერასდროს მიწიდან ვერ ამომძირკვავს...
ქარიშხლებშიც მუდამ ისე ვშრიალებდი,
მუდამ ისე ვშრიალებდი, შენ რომ გიყვარს...
დღეს თუ არა, ხვალ ხომ მაინც ამოიყრის,
სადმე ახლოს სხვა ჭადარი თავის ყლორტებს,
და რაც უნდა დავიღალო მის ლოდინში,
რომც ვკვდებოდე, მე მის შველას მაინც შევძლებ...
სეტყვა მსეტყვავს, მიშენს თავის ხომკაკალას,
და გარშემო ქარიშხლები ღრიალებენ...
ჩემს წინ თითქოს დედამიწა ალებს ხახას,
და სატანა თავის ურდოს მიაგელვებს...
მიწა დასკდა, ბობოქრობენ ნიაღვრები,
შიშველ ფესვზე ქვა და ღორღი მენარცხება...
იცი, ღრუბლებს ცისკენ რატომ მივარღვევდი?
აღბათ მხოლოდ, მხოლოდ შენთან შესახვედრად...

რატომ მაგონებ ყვავილებს ცისას

რატომ მაგონებ ყვავილებს ცისას,
აყვავებულ რტოს ქალწულის ხელში...
მაგონებ კრძალვით გამხელილ სიზმარს,
ნანახს ოდესღაც უმშვიდეს წლებში...
მაგონებ კლდეში გაჩენილ წყაროს,
და მონატრებულ დაისის ნიავს,
ტყეს, მთვარის შუქზე რომ სევდიანობს,
მთებს გადათოვლილს, მწვერვალს ნისლიანს...
ისე მოქმედებს შენი ნახატი,
როგორც უდაბნოს მზის მხურვალეობა,
რა ლამაზია, შენი ასაკი,
ნუ მკოცნი ასე შეუბრალებლად...

ვით ბავშვობის აიწონა–დაიწონა

ვაგეთ, ვაგეთ სიყვარულის ცათამბჯენი,
ხან სიცილით, ხან ცრემლებით, ხან ნუგეშით;
არ მიყვარდა, არ მიყვარდა ცრემლი შენი,
და ყოველთვის ცხელი კოცნით ვაყურებდი...
ვერ ვიხსენებ, სად და როდის გაიზარა,
საწყენია, საწყენია, რომ ვერ მივხვდი;
რად დაკარგა სიყვარულმა თავის ძალა,
ბედისწერამ რად დაგვსაჯა ოცნებისთვის...
ჩამოინგრა ცათამბჯენი, დაიშალა,
ყველა კოცნა ქარში მტვერმა გაიყოლა,
ჩაიშალა, ყველაფერი ჩაიშალა...
ვით ბავშვობის აიწონა–დაიწონა...

დავიღალე

დავიღალე ამ ლექსების მარათონში,
ვეღარ ვუძლებ გამუდმებულ ბატალიებს...
შენც ამდენხანს, შენც ამდენხანს არ გამოჩნდი,
ვგრძნობ ჩემს მიმართ, რომ ჭორებმა გაგაციეს...
როგორ გინდა, როგორ გინდა აიტანო,
ამდენი რამ მოხვეული თავზე ძალად...
და მეც ვიბრძვი, ხშირად კიდევ ვქარიშხალობ,
და წალეკვით ვემუქრები ამ ბილწ ქალაქს...
სად წაუხვალ, სად წაუხვალ ამ სიყალბეს,
დასაცინად ყველა გზაზე ჩასაფრებულს,

ყველაფერზე, ყველაფერზე ვხუჭავ თვალებს
ველარ ვუმზერ ყოფას ფარსად გადაქცეულს...
მგონი, მქონდა, მართლაც, მქონდა რაღაც ნიჭი,
ამ წლებში რომ ლამის ხელში შემომადნა,
ერთს კი გთხოვდი, რომ გზას ნულარ გადამიჭრი,
სანამ ჩემი ქარიშხლები ამოვარდა...

რად მიმეტებდი

რად მიმეტებდი, ნეტა,
როგორც ჯალათი მკაცრი;
იყო ნერვების ფლეთა
შენი სიტყვები ბასრი...
მე არავისი მმართველს
განცდის არცერთი გრამი,
შენ კი დგახარ და მტაცებ,
დღეებს, დამალულს ღამით...
ჟანგი გაუჩნდათ სიზმრებს,
შენზე რომლებსაც ვხედავ,
და მეც უაზროდ ვიწყებ,
ძილში ჟანგების ხეხვას...
ხსოვნა შეაღებს მწუხრის
წუთებს გაჟღენთილს ცრემლით,
იქნებ ტყუილად სწუხდი,
ბრალსაც ტყუილად მდებდი...
ისევ ამეზნა თავგზა,
ისევ დამადე ვალი...
და მიმზერს, მიმზერს მკაცრად
შენი მსუსხავი თვალი...

თენდება დილა

სულ ცოტაც კიდევ, სულ ცოტაც, ცოტაც,
სულ ცოტაც, სანამ მზე აღმოხდების...
აღბათ ყველაფერს სჯობია მოცდა,
მოცდა და ხილვა ამ საოცრების...
ჯერ განათდება ოდნავ ცისკიდე,
და ალი წითლად წაეკიდება,
მერე ცისკარი გაარღვევს სივრცეს
და მზის სხივებზე დაეკიდება...
და სულ მალევე ჰორიზონტს ზღვებზე,
გადასწვდებიან სხივნი მზისანი,
გესმის, ფრინველთაც გალობით შესძრეს,
ბაღში ტოტები ალუბლისანი...

მთებში აჩქამდნენ ნაკადულები,
თავი აიღეს დილის იებმა,
ერთი–ერთმანეთს გადაწნულები,
დგანან ვაზები და ელიმებათ...
რატომ ტირიან მითხარ ვაზები,
ვის აცილებენ მათი ცრემლები?
თენდება დილა და დარბაზები,
ბრწყინავს სინათლით და ორკესტრებით...

სიყვარული დამთავრდა

სიყვარულმა არ იცის, შეცოდება, დანდობა,
სიყვარულმა არ იცის, არც დიდი, არც პატარა...
როცა შენთან მზე იყო, მე ფიფქები მათოვდა,
გაზაფხულმა შეგვართო და შემოდგომამ გაგვყარა...
მოდის, მოდის ახალი, სულ ახალი თაობა...
აღარ უყვართ ჩვენსავით, ყველაფერი გაშიშვლდა,
მართლაც ისე დიდია, დღეს ჩვენს შორის სხვაობა,
სიყვარული დამთავრდა, ჩვენი კოცნა გაცივდა...
ხელი მომე, სადმე შორს, სადმე სულ შორს წავიდეთ,
სადაც ვერ მოგვწვდებიან აქაური დღეები;
არც შენ მითხრა რაიმე, არც მე არ დაგარიგებ,
და ერთმანეთს გავუთბოთ გაყინული ხელები...

არავინ ირგვლივ

არავინ ირგვლივ, ვერავის სიტყვას,
ვერ ეტყვი, რადგან შენთვის არ სცხელა...
გამირბის, როგორც გაურბის ტყვიას,
მუზა რომ ჰქვია სატრფოს სახელად...
არ მრჩება წუთიც თავისმართლების,
ან რა გავიგო, მართლაც, რა ხდება...
რად ანათებენ სხვისი სანთლები,
ჩემი ხანძრები კი ინაცრება...
ნუთუ მზეც მხოლოდ სხვისთვის ანათებს,
ვეფიცებოდი მათ ერთგულებას,
მათ კი დამტოვეს და მიღალატეს,
სულყველამ ერთად, ყველა მუზებმა...
იქნებ არ ღირდა, მართლაც არ ღირდა,
ყველა ერთად რომ შემოვიჩვიე,
რომ ჩემი სულის თეთრი ტაძრიდან,
ვუწვდიდი ტიტებს, ენძელებს, იებს...
მითხარით, ნუთუ, ნამდვილად შევცდი,
მე ხომ იმათი მუდამ მჯეროდა...

და მერამდენედ ლექსით დამეწყრილს,
იმათი თეთრი ფრთები მშველოდა...
როგორ ვისუნთქო უპოეზიოდ,
ან რა ვაკეთო ამ წყეულ დროში...
კი, მინდა, მინდა სულს მოვერიო,
სული, რომელიც სულს დაფავს მორგში...

მინდა ვიქცე ქარად

გული დამწყდებოდა, რომ შენს უნახავად,
ეს დღეც გასულიყო, ეს დღეც გამქრალიყო...
მინდა, მინდა, მინდა, მინდა ვიქცე ქარად,
და იქ ამოვვარდე, სადაც უნდა იყო...
მინდა აგიწეწო მხრებზე დაფენილი,
თმები წაბლისფერი, ქაფად, ჩანჩქერებად,
მწიფე ალუბლისფერ ფერში დაფერილი,
მიღირს ყველა ღამის თეთრად გათენებად...
როგორ ადვილია ჩემი შეტყუება,
შენი გაზაფხულის ღამის ბაღნარებში,
ჩემი ფოლადივით ხელი გეწყურება,
ჩემგან მოგზავნილი ქარის ნაალერსი...
შენსკენ ჩემი ხსოვნის გზები გამოვკვალე,
სად აღარ ვყოფილვარ, სად არ მიქროლია...
მოვუძღვი, მოვუძღვი, მოვუძღვი წინ ქარებს,
შენგან დაიწყება ჩემი ისტორია...

ვერ გიძალიანდები

დროა რთული ძალიან,
დროა ქართა თარეშის...
და თუ რამ მიხარია,
მხოლოდ შენი ალერსი...
თუკი რამე მალეღვებს,
თუკი რამეს ვერ ვწვდები,
ეგ ღიმილი ბაგეზე
და უარის კედლები...
რამდენ რამეს მალავენ,
მართლაც ქალის თვალები,
რას არ აგიკრძალავენ,
სულ წამით თუ დანებდი...
ახლაც გიმზერ და ვხვდები,
უხმოდ მამლევ ბრძანებას,
ვერ გიძალიანდები,
ვერც ვერვინ მეხმარება...

გარეთ უკვე ღამეა,
გარეთ ქარი თარეშობს,
მთვარე მგლოვიარეა,
თვალი ცრემლით აევსო...

მესროლე

მოდით, მესროლე, პირდაპირ გულში,
არ ამაცდინო, არ ამაცდინო!
მე ამ გასროლას ბავშვივით ვუცდი,
და მინდა, მინდა ხმა მოგაწვდინო!
მესროლე, როგორც ესვრიან მკვლელებს,
რომლებიც სიკვდილს იმსახურებენ...
მე გავცოცხლდები სიკვდილის მერეც,
კუბოში ვწევარ, თავს ახურებენ...
ნუთუ არ ღირდა, ნუთუ არ ღირდა,
მოგეცა ჩემთვის სულ ორი წუთი,
მე ხომ სახურავს კუბოს ავხდი და,
და მაინც გეტყვი თუ რაზე ვწუხდები...
როგორ ვერ მიხვდი, ტყვიის მაგიერ,
მე კუპიდონის ველოდი ისარს,
შენ კი მომკალ და შარში გამხვიე,
აკი, ყოველთვის ვაცდენო მიზანს!?

როგორც ფიფქები მოფარფატენი

ისე ლამაზად ეშვები ციდან,
როგორც ფიფქები მოფარფატენი,
და მათოვს, მათოვს მე შენი მხრიდან,
ასი ათასი ფერის ფანტელი...
და ვიცი, ვიცი, გადაბარდნიან,
აქაურობას ჩვენზე ჭორებით,
რომ არც სიყვარულს არ დაგვაცლიან,
რადგან არც ქალაქს არ ვეცოდებით...
რატომ მაგონებ, რატომ მაგონებ,
ქედანს მელნისფერს, ცისკენ გაფრენილს
ვიცი, ვერ იტან ჩემს სიახლოვეს
რადგან ვერ იტან ბრჭყალებს მტაცებლის...
მაგრამ ერთხელაც, ალბათ, როდესაც,
შენც მოგბეზრდება მარტოს ფარფატი,
როცა აირჩევ შესამოსელად,
დედოფლის კაბას თავის ფატათი...
მაშინ გეწვევი, მართლა გეწვევი,
და შენი ქმარი ვინც უნდა იყოს,

სულ პირველ ცეკვას მე გეცეკვები,
და მოვწყვეტ პირველ ამბორის სიტკბოს!!!

დაფრენს, დაფრენს პეპელა

დაფრენს, დაფრენს პეპელა,
ყვავილების სტუმარი...
გაზაფხულის ველებმა
მისცეს თავსასთუმალი...
მისცეს რაც მას სწყურია,
უტკბილესი ნექტარი...
ყვავილს ყვითელგულიანს,
სწოვს უმხამო ნესტარი...
პეპლებს ქალებს გადარებთ,
ქალებს მოფარფატეებს,
ასე თავს რომ გვაყვარებთ,
კაცებს მომთაბარეებს...
სად არიან ნეტავი,
ყველა ჩემი პეპლები,
მახსოვს მათი ნექტარი,
ტკბილი, დაუყვედრები...
სად არიან ისინი,
ვინც ოდესღაც მიყვარდა,
ვინც მათობდა სიცილით,
როცა სულში ყინავდა...
სად არიან, სად გაქრნენ,
რომელ ყვავილს სტუმრობენ,
თავი ვის შეაფარეს,
სადა მოგზაურობენ...
რა ლამაზი დრო იყო,
მახსოვს ბევრი კოცნები...
მართლაც, მკვდარიც რომ ვიყო,
ვიგონებ და ვცოცხლდები...

აბსტრაქცია

ვერ გამიგია, რატომ მიყვარდი,
რა იყო ჩვენში, ნეტა, საერთო...
შენ პეპელა ხარ, მე ლეოპარდი,
ჩვენ ორნი ერთად როგორ გავერთოთ...
შელობილია ცირკში არენა,
ჩემ წინ რგოლია აალებული,
შენ, შეგიძლია, რგოლში გაფრენა?
მე კი მივფრინავ გამალებული...

თან კლოუნესაც მოდის ცილინდრით,
ხედავ? როგორი სავსე მკერდი აქვს?
მე ვერ მამშვიდებს მისი ღიმილი,
ის მკერდიანად გასაკვნიტია...
სულ მალე, ალბათ, პეპლებს ამოსხამს,
ის ხომ ხალხს უნდა ეფანტაზიოს,
მეც ველოდები იმის გამოსვლას,
მან კაცი ქალად უნდა აქციოს...
იცი, ვიბნევი, თქვენ რომ მოფრინავთ,
როგორ გიპოვო ამდენ პეპლებში,
გთხოვ, მაპატიო, მე ხომ როლში ვარ
და შოლტის გაწვნას ვუძლებ ბეჭებში...

აღდგომა

რა არის ჯვარცმა, რაა აღდგომა?
გზა არის ძნელი, თუ ჯვარზე გაკვრა?
ბრბოს თანადგომა, ბრბოს თანადგომა,
ბრბოს თანადგომა, განდგომის ნაცვლად...
მართლაც, რომელი უარესია,
გოლგოთის გზა თუ ხელში ლურსმნები?
ისრებს ესვრიან, ისრებს ესვრიან,
და მიზანს აღწევს ყველა ისრები...
გამოისყიდა ყველა ცოდვანი,
მან ის წამებით გამოისყიდა,
დღეს ცაში ადის ჩვენი ლოცვანი,
და, ალბათ, მიდის ზეცის იქითაც...
ის აღსდგა, აღსდგა, და ჭემმარიტად,
ის სიყვარულის დიდი ღმერთია,
ეწამა, მერე ცაში ავიდა
და ძე ქალწულის იქცა მესიად!!!

რა მინდა გთხოვო, წმინდა მარიამ

რა მინდა გთხოვო, რა მინდა გთხოვო,
რა მინდა გთხოვო, წმინდა მარიამ!!!
რომ დაიფარო ჩემი სამშობლო...
როცა ომი და ქარიშხალია...
რომ დაუბრუნო ძველი ღირსება,
რომ გადმოხედო და უთანაგრძნო,
თორემ გახუნდა მისი დიდება,
როგორც აროდეს, როგორც არასდროს...
ვიცი, ტანჯვაში ზოგჯერ ხსნა არის,
წამების მერე ზეცა იხსნება,

მაგრამ მგონია, რომ დღეს მთავარი,
ჩვენთვის მთავარი არის ღირსება...
რომ მომცე ძალა, თავი ავწიო,
მტერს დავახვედრო ფარი, მახვილი,
დამეცა? უკან ვერ გააღწიოს!
მას აქ სამარე დახვდეს გათხრილი...
ჩემი სამშობლო, ასე მდიდარი,
ხალხით, ბუნებით, განსაცდელშია,
კი, უცოდველი არავინ არის,
დღეს ბედი ჩვენი ღმერთის ხელშია!
ილოცე ჩვენთვის, ილოცე ჩვენთვის,
ილოცე ჩვენთვის, წმინდა მარიამ,
მე მჯერა, მათაც მიხედავს ღმერთი,
ვინც ბედის გამო სხვაგან არიან...
ილოცე მათთვის, ვინც აღარაა,
ვინც ბოლო ომში ტყვიამ იმსხვერპლა...
ყველა, ვინც ჩვენთვის სისხლი დაღვარა
და ვერ გავწირავთ დასავიწყებლად...
მე მჯერა შენი, მე მჯერა შენი,
მჯერა სიკეთე იესოს დედის,
შენ საქართველოს მზესავით შვენი...
მე მიყვარს შენი შარავანდედი...

განა რაა სიყვარული

დარჩი ჩემთან, დარჩი ჩემთან,
სამუდამოდ ჩემთან დარჩი...
მინდა ვიქცე შენთვის ფერფლად,
მკერდზე ასე რად დამაჩნდი...
რად დამაჩნდი, როგორც ხატი,
როგორც ზეცა მოელვარე,
როგორც ღამის ათინათი,
სარკმელზე რომ ხატავს მთვარე...
განა რაა სიყვარული,
შიგადაშიგ გულის ძგერა,
ზოგჯერ ერთად სიარული,
თვალის–თვალში გაყრა, ცქერა...
ამ ყველაფერს ხშირად იცი,
სისულელეს ეძახიან...
თუმცა, ნეტა, რატომ, რისთვის?
სიყვარული თუკი ჰქვია...
როგორ მინდა შენ ამიხსნა,
შენ ამიხსნა ყველაფერი,
თეთრი მკერდი გადამიხსნა,
მე კი დავტკბე მისი ცქერით...

როგორ შემყვარებიხარ

როგორ შემყვარებიხარ,
როგორ შემყვარებიხარ,
ისე, რომ ვერც გავიგე,
თავისთავად, უბრალოდ...
ეს რა ცეცხლი გადმოდის
მაგ შენი თვალებიდან,
ცეცხლი, მე რომ დამფერფლა
და გამაქრო უკვალოდ...
შენი მზერა გულგრილად,
მართლაც არ შემიძლია,
რაც უნდა ვიღონო,
ჩემ თავს უნდა ვუშველო...
რაც შენ გნახე,
მას მერე თავი ვეღარ მიცვნია,
უკვე იმის დარდი მაქვს,
მთლად არ გამასულელო...
ყველგან სულ შენ მახსოვხარ,
წამით არ მავიწყდები,
რაა ჩვენი სიცოცხლე,
ერთი აბრიალება,
ვიცი, შენს ცხოვრებაში
უადგილოდ ვიჭრები,
როგორც უცხო სხეული,
როგორც გამყინვარება...
სიზმრად გნახე, ვარდებთან,
ციდან ფიფქი ცვიოდა,
მხრებზე თმები გაშლილი,
თავთავივით გეყარა,
თითქოს ზეცის ნათელი
მკერდზე გადაგდიოდა,
მე კი ჩემი მეგონა,
ეს უსაზღვრო ქვეყანა...
მცივა, შენ გელოდები,
გარეთ ღამე იწვება...
ცეცხლი სახლში შემოდის,
მეპარება ნელ–ნელა...
ალბათ, ჩემი სიზმარი
ახლა შენ გესიზმრება,
ატმების ყვავილობა
და ვარდთა სურნელება...

შენ კი ღალატი არ მაჰატიო

თუ მეგობრობა წმინდა გრძნობაა,
მაშინ, სიყვარულს, ნეტა, რა ჰქვია...
ვერ ამოვიცნობ, უაზრობაა,
ის ერთგულება და ღალატია...
ორივე ერთად, ორივე ერთად,
ისრებმა მკერდი უნდა გახიოს,
გიღალატო და მოვიდე შენთან,
შენ კი ღალატი არ მაჰატიო...
აღელვებული დამხვდე ზღვასავით,
რომ შენი წყრომა ცასა სწვდებოდეს,
თან გამორბოდე ჩემსკენ ბრმასავით
და რისხვით კედლებს ეხეთქებოდე...
შენ შეგიძლია, შენ შეგიძლია,
რომ გული შენი ფერხთით დამიგდო,
დიახ, ქალებმა როგორც იციან,
ჩემიც მკერდიდან ამომარიდო...
მერე კი გული გულს შეახიო,
და დავრჩეთ, ასე, უგულოდ დავრჩეთ...
ბოლოს ცოდვებში ისე გამხვიო,
ვერასდიდებით ველარ გადავრჩე!!!

როგორ უნდა შეგიყვარდე? (ტ-ს)

ჯერ შენ მითხარ, ამ ჯოჯოხეთს,
თავი როგორ დავაღწიო...
შენ მანდ იღებ შენს მოლოცვებს,
მე აქ ქარებს როგორ ვდიო...
თუ ბედია, ბედი შეგვყრის,
ბედი გაგვყრის ისევ, ალბათ,
კარგად ვუგებ მე შენს სკეპტიზმს,
ვინ გიჟდება უნახავად...
მაგრამ არის რაღაც მაინც ,
ნაპერწკალი რასაც ჰქვია,
სურვილები არ დაკარგვის
და იმედიც იწყებს ციალს...
მერამდენედ, მერამდენედ,
ვპოულობ და იქვე ვკარგავ...
ველარავინ შემაჩერებს,
შენსკენ მოვდეგ ზღვის ლურჯ ტალღას...

ტყუილად იმტვრევ, ძვირფასო თითებს

საოცრებაა, ჩემს მისტიკაში,
შენ გაბზარული ნოტიო იჭრები...
ვით ჯადოქარი ბროლის მინაში,
ხელში დაშნით და ტუჩთან სისხლებით...
შენ არ მიიღებ, შენ არ მიიღებ,
მეკობრეების ყვითელ ხომალდებს,
ტყუილად იმტრევ, ძვირფასო, თითებს,
მოვდივარ, მალე კარს შემოვამტვრევ!
ცა აირია საქარიშხალოდ,
მოაპობს ტალღებს ჩემი ხომალდი...
ეს მე ვარ, მე ვარ, მე ბედი მწყალობს,
ვერ შეაკავებ ქარს ამოვარდნილს...
მოვალ, მოვლელავ, უკან კი მთელი
მეკობრეების მომდევს არმია...
შენ ვედარავინ ვედარ გიშველის,
შენი მცველები ისე გარბიან!
უნდა დამნებდე, უნდა დააცხრო,
ეგ შენი მკერდი აზვირთებული...
გიმტყუნებს ხელი, შენ ვერ დამასწრობ,
თვითონ ბედია ჩემი ერთგული...
მე კარგად ვიცი, რომ ჩემნაირი
სტუმარი შენ ჯერ არა გწვევია,
და განრისხება როცა გაგივლის,
კარგად დაფიქრდი, რა გირჩევია...
ამ სასახლეში მშვიდი ცხოვრება,
თუ ნაომარი ბრილიანტები...
ფრთხილად, ძვირფასო, ხელი მოგტყდება,
დააგდე დაშნა, ნუ შეაფთრები...
ცოტა მინახავს, ძალიან ცოტა,
საკუთარ ბედზე გამარჯვებული...
მიწაზე ბევრი მატლი დაცოცავს,
შენც სწორედ, ალბათ, მატლებს ემდური...
ჰოდა, წამოდი, იქ, ზღვებზე სადაც,
არავინ იცის, რა გველოდება...
სადაც შტორმები ხომალდებს ყლაპავს,
სადაც მისტიკა ახრჩობს ოცნებას!!!

ავდივართ მზემდე

აკრიფა ღამემ თავის ვარსკვლავნი
და კვლავ ერთი დღით გადაიკარგა...
შენ შემოხვედი ჩემში ზღვასავით,
და ახლა ორნი ვდგავართ ცის კართან...
როგორ გგონია, კარს ვინ გაგვიღებს,
ვინ გახსნის ჩვენთვის ზეცის საუფლოს?

მზე მაღლა იწევს, მზე მაღლა იწევს,
უნდა რომ ზეცა დაისაკუთროს...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
შენი თვალების ცეცხლის ატანა,
მე უამრავი რამ განმიცდია,
მაგრამ არასდროს ჯერ ამისთანა...
ვისაც უნდოდეს ბედს ის დასჯერდეს,
მე კი ბედთანაც მიყვარს თამაში...
ავდივართ მზემდე, ავდივართ მზემდე,
რომ ვინებივროთ ზეცის კალთაში...

სადმე ხომ არ წამოგცდა

მითხარი, სადმე ხომ არ წამოგცდა,
გახსოვს, მე და შენ რაზე შევთანხმდით?
რომ მეყვარები ვით მზის ამოსვლა,
თქმას კი ვერასდროს გაგიბედავდი...
და დღემდე, მართლაც, მხოლოდ მე ვიცი,
ამ შეთანხმების ყველა დეტალი,
ჩემს გაჩაღებულ კოცონზე ვიწვი,
სულ არაფერი მეთქვა, ნეტავი...
სულ არაფერი, სულ არაფერი,
სჯობდა, საერთოდ, რომ არ მენახე,
ეს სიყვარული არის კარცერი,
შენ რომლის კარსაც ვერ შემოაღებ!
იცი, აქამდე ყველას ვუგებდი,
ანდა, რა მქონდა მე დასამალი...
ჩემს სულს აკლდამას არ აუგებდი?
შემრჩი ყვავილად ჩემი სამარის...

ვზივარ ზღვის პირს გავცქერი

რადაც, იცი, ზღვასავით,
მთლად რომ გაირინდება...
სულის ამოსვლასავით,
შენი ნახვა მინდება...
ვზივარ, ზღვის პირს გავცქერი,
შენ ჩემს გვერდით არა ხარ,
რაც შენ გქონდა სათქმელი,
ის ზღვამ მელაპარაკა...
რად მგონია, რომ შენში,
ვნივთდები და ვინთქმები,
შენ კი თითქოს თითებში
თევზებივით მისხლტები...

ზღვაზე აფრააშლილი
მიმოდიან ნავები;
მე მიყვარხარ ბავშვივით,
შენ კი, სულ მედავები...
ჩუმად, ჩუმად, ზღვისპირმა
შენი ხმა არ გაიგოს...
ხედავ გედიც მიფრინავს,
თავი რომ გაგვარიდოს...
ასე რად შეიცვალე,
ასე რად მებუტები,
მკლავები გამიშალე,
გინდა, ჩაგეხუტები...

რა მაჩქარებს

რა მაჩქარებს არ ვიცი,
თითქოს ვიღაც მეწევა...
სულ ტყუილად განვიცდი,
ყველაფერიც ესწრება...
ყველაფერიც ესწრება,
ჩაიფიქრე, რაც გასურდეს,
რაც კი რამ ჩვენ გვეხება,
უნდა, უნდა ასრულდეს...
ეს წითელი ვარდები,
შენთვის დამიკრეფია,
შენს მკერდს ბაგით ვაკვდები,
მიკვირს, ისე თეთრია...
მიკვირს, მიკვირს, ჩემ გვერდით,
შენ რომ ხარ და არსებობ...
ვტკბები ბედნიერებით,
ამ წუთების გარშემო...
ალბათ, ეს თუ მაშინებს,
დროს ვერ გადაურჩები,
რომ ვარდს უნდა გასცვივდეს,
მისი თეთრი ფურცლები...
მე კი მუდამ მოცლილმა,
სულ რომ ვკეცო ქუჩები,
მაინც შენსკენ მოვფრინავ,
მაინც შენთან ვბრუნდები..

ანუ ცოლ-ქმარი

რალაც უფრო მეტი,
უფრო მეტი მინდა,

რაღაც უფრო სუფთა,
რაღაც უფრო წმინდა...
ვხატე, ვხატე რამდენი,
შენს დახატვას ვცდილობდი...
ცრემლის ჩამონადენი,
ჩამოგწმინდე ტილოთი...
მაგრამ ვერა გავაწყე,
შენნი თვალნი ტიროდნენ,
ასე ნატკენს და ნაწყენს,
გთავაზობდი პირობებს...
რომ არ შევიგინები,
არც ვიყვირებ არასდროს,
ასე ჩუმად ვიქნები,
რომც დამკლა და დამახრჩო...
წვეთს არ დავლევ, არ მოვწევ,
უცბად არ ავვარდები,
აქ პატარა სამოთხეს,
შეგიქმნი და გავქრები...
მაგრამ ის კი არ ვიცი,
გამომივა თუ არა...
რაო? უკვე ჩამიშვი?
დაგავიწყდა მუქარაააა???????????

სულ აკრძალულ ზონაში ვარ

მე რომელი რომეო ვარ,
შენს სიყვარულს ვეპოტინო,
ისიც ვიცი, რომ შენ მომკლავ,
რადგან ჩემსას მაინც ვცდილობ...
საბოლოოდ ვიცი, ვიცი,
რომ ამ თამაშს მე წავაგებ,
ეს ხელი კი სულ თავისით,
სულ თავისით მოდის მაქვთ...
სულ აკრძალულ ზონაში ვარ,
სულ ასეა, რაც კი გავჩნდი,
მიკვირს, როგორ მოაღწია,
სულმა დღემდის, თუ შენამდის...
გამუდმებით ჩამჩურჩულეებს
ყურში ჩემი ორეული,
რომ რომეოს როლს ვასრულებ,
ორ გვარს შორის მომწყვდეული...
არ გაბედო, არ გაბედო,
აკრძალული ხილის კრეფა,
გველს არ ენდო, გველს არ ენდო,
თორემ ღმერთი შემოგწყრება...

მე კი მაინც იქით მივალ,
სადაც შავი მორევია...
სული ისეც ცაში ფრინავს,
სიყვარული მორევია...

ქედებმა მკერდი მოიღიავეს

ქედებმა მკერდი მოიღიავეს,
გაზაფხულია, გაზაფხულია...
მართლაც, რა დალევს ქვეყნად სიამეს,
თუკი გინდა და თუკი გწყურია...
რა დალევს ჩვენში მზეთუნახავებს,
ვინ დაულიოს მზეებს სხივები,
დაინახავ და გაგაკანკალებს,
ქალია? დევებს შეეცილები...
დილის აღმური ველებს ედება,
თოთო ბატკნები დედებს ეძებენ,
როგორც დაღლილი ქალის ვედრება,
ნისლი მიცოცავს ციხის კედლებზე...
და ვისმენ, ვისმენ მინდვრის არიას,
მზის გულზე ჭრიჭი გააქვთ ჭრიჭინებს...
მე კი არ ვიცი, რა მიხარია,
მოდის ზაფხული და მოჭრიჭინებს...
ეს ველი, მგონი, ჩემი ველია,
აქ ერთ დროს პირველ ქალსა ვკოცნიდი...
ჩემი წარსული ისე ჭრელია,
როგორც ეს გველი კანგამოცვლილი...
რა მექნა თუკი დავბადებულვარ,
ამ ჩემს ცოდვიან საქართველოში,
თუ მგლები მყავდა მუდამ მეგზურად,
და არა შველი ან ანგელოზი...
რა მექნა თუკი ზეცა ჩვენს ქალებს,
ვარდის სურნელის ფერით ამკობდა,
რომ სიყვარულით ვხვევდი მეც მკლავებს,
მათ სილამაზეს და უმანკობას!!!

როცა ნამძვარში თოვლი აიღებს

როცა ნამძვარში თოვლი აიღებს,
და წიწვებს ცრემლი შემოაკლდება,
მე და შენ ტყეში ერთად გავიდეთ,
ვნახოთ ფრინველთა გადმოსახლება...
ვნახოთ ბუდეებს სად იკეთებენ,
როჭო, წიწკანა თუ ბოლოცეცხლა,

გამოდვიძებას როგორ იწყებენ,
მიწის ყვავილნი, თუნდ იისებრთა...
და მოვუსმინოთ ტყის მელოდიას,
ღვთიურ მუსიკას, მზესთან ნაზავში,
ნაკადულები როგორ მორბიან,
რაზე გალობენ გვრიტი და შაშვი...
არ დაგეზაროს, მინდა გამომყვე,
იქნებ დაბრუნდეს ბავშვობა ჩვენი...
როცა ვიბანდით ხელ-პირს წყაროზე,
და იქვე სძოვდა ნუკრი და შველი...

საქართველოს (ტ-ს დაკვეთით. თავის ლაზარეს უნდა ათქმევინოს)

მე მინდა გითხრა რაღაც ისეთი,
რაც ჯერ არ უთქვამს შენთვის არავის,
მინდა მჯეროდეს შენი სიკეთის,
შენი აწმყოსი და მომავალის...
მინდა მჯეროდეს, მინდა მჯეროდეს,
ხალხის, რომელიც შენი მკვიდრია,
მე ყველა ლექსი საქართველოზე,
პირდაპირ გულზე ამომიზრდია...
როგორ მოვძებნო, როგორ ვიპოვო,
რამე ახალი, რამე უთქმელი,
ერთს ვიტყვი მხოლოდ,
რომ შენთვის ვცოცხლობ,
მიყვარხარ, მწამხარ და გეუბნები...

შენს მეტს არავის

არ მინდა შენი ოცნებები რომ შევაშფოთო,
და ამიტომაც, ამიტომაც არ გიწერ ლექსებს...
თუმცა სხეულში რაღაც ვნება ისე ღვარცოფობს,
მხოლოდ აქა იქ თუ ვაგროვებ გრძნობის ნაფლეთებს...
ადრე, შენც იცი, არსებობდა სახრჩობელები,
კოცონზე დაწვა და ათასი უბედურება...
დღეს ჩემს სიყვარულს ვერ უძლებენ ჩემი კედლები,
მწვავენ კოცონზე, მაგრამ მსხნელი არ მეგულება...
დღეს უკვე გრძნობებს აღარავინ აღარ აგროვებს,
ვერ გააჩუქებ, არც მყიდველი არა არსებობს...
მე ვიცხოვრებდი, ვიცხოვრებდი შენს სიახლოვეს,
და იმ ჩემს ბინას დავარქმევდი გრძნობის სამეფოს...
და გული მწყდება, რომ შენს ნაცვლად სხვა იდედოფლებს,
ჩემი სახლ-კარის ულამაზეს ვარდის ბაღებში,
ერთს გეტყვი მხოლოდ, მილიარდი გულიც რომ მქონდეს,

შენ მეტს არავის ეღირსება მათი ალერსი...

როგორ სჯობს

როგორ სჯობს, მართლაც, ხშირად რომ ვხვდებით,
თუ, ასე, მხოლოდ ხანგამოშვებით?
როგორ გგონია, რით ვგავართ, ფრთებით?
თუ ერთმანეთზე, ფიქრით, ლოცვებით...
ვერა, ვერ ვიტან, არ მინდა გნახო,
ფრთადაშვებული და მოწყენილი,
წამოდი, ყველა ზღვა გადავლახოთ,
ვნახოთ გედები გადმოფრენილი...
გაჩნდი? მაშ, დატკბი, განა ღირს ჭმუნვა,
რომ ამაოა ქვეყნად ყოველი,
ფუჭია ხორცზე და სულზე ზრუნვა,
კარგს შენ ნურაფერს აქ ნუ მოეღი...
არ დაუჯერო, არ დაუჯერო,
რომ ყვავილები აღარა ხარობს,
ქვეყნად არსებობს ათასი მდელო,
და მილიარდჯერ მეტი სამყარო..
ღმერთიც, ვინ იცის, ერთი კი არა,
არის ათასი, ასი ათასი...
მართლაც, ვინ იცის, ვინ დაითვალა,
ზოგი აქ, ზოგიც იმ ქვეყანაში...
სუფთა ხარ, დილის წყაროს წყალივით,
შველის ნუკრივით ხარ უცოდველი,
ნაზი ხარ, როგორც ღამის ყვავილი,
როგორც ატმის რტო ჯერ უფოთლელი...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
რომ გაგიტაცონ უცხო ქარებმა...
და წვეთს ბადაგი შენი ბაგიდან,
დამალევიწე, ნუ გენანება...

მუდამ ვმარცხდები

როგორც ოდესღაც ნამდვილ ომებში,
ჯარებს უძლოდნენ მთავარსარდლები,
იმ ზეციური გასხივოსნებით,
შენსკენ ვილტვი და მუდამ ვმარცხდები...
მუდამ ვმარცხდები, მაგრამ ტკბილია,
ეს დამარცხება, როგორც შარბათი...
რადაც ნირვანა თუ იდილია,
რადგან შენს გამო თავსა ვკარგავდი...
რა დარჩა ჩემგან, ალბათ მახვილი,

ერთ დროს ომში რომ სისხლით ელავდა...
დამარცხებული და გადაღლილი
ვდგები და ვიწყებ ბრძოლას ხელახლა...
მიყვარხარ, რადგან ჯერ არასოდეს
არ განმიცდია გრძნობა ასეთი...
მოვკვდები? მინდა დაგამახსოვრდეს,
ჩემი ბრძოლების მეთასედი...
ვიბრძოდი, არა დიდებისათვის,
და არც სახელის გამო ვირძოდი...
ვიბრძოდი შენი თვალებისათვის,
რადგან მეგონა გამოგიცნობდი...
ალბათ, დაგლალა ჩემმა ომებმა,
მე კი არ მინდა სიცივე ვიგრძნო...
სანამ სიკვდილი მემბორება...
სანამ ვარსებობ და შენზე ვფიქრობ...

თვით უკვდავებაც განაჩენია

როცა ყველაზე მეტად მჭირდები,
მაშინ მიდიხარ და მეკარგები...
ნუ მაკვირდები, ნუ მაკვირდები,
არ გაჩენილა ჩემი გამგები...
მართლაც, რა არის კმაყოფილება,
ტაში, განცხრომა, ლხინი, ქეიფი...
ან მხიარული განწყობილება,
ცეკვა, სიმღერა, კოცნები, ფლირტი...
მე ხშირად ვფიქრობ, მართლაც, რა ხდება,
რას აკეთებენ ცაში ღმერთები?
რის წყურვილი აქვთ, რა ენატრებათ?
ტვინს ვიჭყლეტ, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები...
მოსაწყენია, მოსაწყენია,
ყველა ფლირტი და ყველა გართობა,
თვით უკვდავებაც განაჩენია,
მილიარდჯერ სჯობს ყოფნა–არყოფნა...
და ვიცი, ვიცი, ადვილად ხვდები,
გულს რა მიკლავს და რაზე ვცოფდები...
ელვის სისწრაფით მაკლდება წლები,
და მიკვირს, შენ რომ არ გეცოდები...

მესიყვარულე (ტ–ს)

რატომ მგონია, რომ რის თქმაც გინდა,
რატომღაც იმას არ მეუბნები...
ხშირად ვინახავთ ჩვენს სათქმელს დიდხანს,

რომ არ დავწყვიტოთ ერთურთს გულები...
მე კი ვერ ვხვდები, თუ რას ინახავ,
რა გაქვს ასეთი ჩემთვის სათქმელი...
რომ გულმა გული თუ დაინახა,
აენტებიან როგორც სანთლები...
რომ მერე დიდხანს, დიდხანს იწვოდნენ,
სურვილთა ალში გახვეულები...
ასე მგონია ცაში გვისროდნენ,
ვნებანი მუდამ დამთხვეულები...
დავბადებულვართ სიყვარულისთვის,
ჩვენ კი ყველაფერს ძალით ვართულებთ...
ცეცხლში ჩავდგები შენი გულისთვის,
მესიყვარულე, მესიყვარულე!!!

გაგებუტები

როცა დროებით ჩემთან ბრუნდები,
შენ, ხომ არ იცი, თუ რას განვიცდი...
როგორც კატორღელს ახსნან ხუნდები,
როგორც ზამთარში დადგეს მაისი...
მერე ჩემს ირგვლივ ცეკვას იწყებენ,
ედემის ბალის ანგელოზები,
არ გივიწყებენ, არ გივიწყებენ,
ჩემი ფიქრები, ჩემი ლოცვები...
და მესიზმრება, როგორ გჩუქნიან,
ღრუბლები ფრთებს და სხივები ფერებს,
კი, ვიცი, ვიცი, სასწაულია,
სასწაულია, მაგრამ ვიჯერებ...
რომ გაზაფხულად ხარ ჩასახული,
როცა ბულბული ვარდზე გალობდა,
და მერე ქალად გარდასახული,
თითქოს მესტუმრე სხვა სამყაროდან...
ნუ წახვალ ნურსად, ნუ წახვალ ნურსად,
გულში ვიკლავ და ვერ გეუბნები...
მე ხომ, ძვირფასო, დღეს შენით ვსუნთქავ,
თუ ისევ წახვალ, გაგებუტები...

ნატიფი ხელოვნება, იოლი გზა მტრების შეძენის (უისლერი)

დაკეტილია ყველა გზები და მისასვლელი,
ჩახერგილია ყველა მთა და უღელტეხილი,
და მითვალთვალებს, მითვალთვალებს ყველგან მტაცებლის,
თვალეები, სისხლით ავსებული და დამეხილი...
არადა, მტრობას არავისთან არ ვაპირებდი,

ჩემი ბუნება ამ სიძულვილს ვერ ეგუება,
მაგრამ ღრჭიალი როცა მესმის მხეცთა კბილების,
მეც მხეცი ვხდები და მსურს მტრების განადგურება...
სქელი კანი მაქვს, ვერ გამკრავენ მე კბილს ადვილად,
ან განა დამრჩა უჭრილობო თუნდაც მტკაველი?
ამდენ ღალატში სისხლისაგან ბევრჯერ დავცლილვარ,
და წამოვმდგარვარ ვით ღელვისას ოკეანენი...
მართლაც, ასეა, ამ დროებამ სისხლი გამიშრო,
მტრებს ვინა ჩივის, ახლობლებიც ყველა შემომწყრა...
თუმც, არ მგონია, რომ ჩემს გარდა სხვამაც დაიპყროს,
ის მწვერვალები, ჩვენ რომლებმაც დაგვამეგობრა...

შენ ჩემი სისხლის ბედისწერა ხარ

შენ ჩემთანა ხარ და მომეჩვენა,
რომ საგულედან გული ამოხტა,
როგორ სჩვევია ამ გულს შეჩვევა,
არადა, მართლაც, განა რა მოხდა...
შენ ჩემთანა ხარ ულამაზესი,
და ღვთაებრივი ცეცხლით მოსილი...
სულ მუდამ, მუდამ შენი ხმა მესმის,
მეც შენს ნოტებზე ვარ აწყობილი...
მეც ხომ იქა ვარ, სადაც შენა ხარ,
და გხედავ, გხედავ, გხედავ ყოველთვის...
შენ ჩემი სისხლის ბედისწერა ხარ,
გარიჟრაჟიც და უდაბნოეთიც...
რა მოხდა თუ დღეს ჩემი არა ხარ,
და ჩვენს სიყვარულს წეწავს ქარები...
სიკვდილის მერე ხომ მაინც გნახავ,
ან თუნდაც ასე ხომ მეყვარები...
ვხედავ შენს ღიმილს, ვხედავ შენს თვალებს,
ვხედავ შენს ბაგეს, როგორ იპობა...
რომ სიყვარული სიყვარულს ბადებს,
რომ ჭიშკარს გიღებს მარადისობა...
მოგყვები, სადაც არ უნდა ქროდე,
რომელ ვარსკვლავსაც უნდა სტუმრობდე,
რომ გიხაროდეს და ბედი გქონდეს,
რომ მარად ასე ვარდისფურცლობდე...

რა მემართება

რა მემართება, ყოველ ნახვისას,
ასე მგონია პირველად გნახე...
და სხივი შენი მკერდის ბალისა,

როგორც ყოველთვის, კვლავ თავბრუს მახვევს...
შეჩვეული ხარ, ვიცი, ჩემ სიტყვებს,
და არაფერი აღარ გაღელვებს...
ასე მწვერვალი აცოცხლებს სივრცეს,
და გაოცებას იწვევს მნახველზე...
შენც მწვერვალი ხარ, ჩემი მწვერვალი,
რომლის დაპყრობას ამაოდ ვცდილობ,
იცი, ჯადოქრებს გადავეწვანი,
და ჯადოქრობით თუ ამოგიცნობ...
როგორ გავექცე, როგორ გავექცე,
ჭორებს შენს გამო აგორებულებს,
მე შენ გემებდი სხვა ვარსკვლავებზე,
ზვავებს ჩავდევი დაგორებულებს...
ასეთი ჟინით და გაცეცხლებით,
ალბათ ომებშიც კი არ მიდიან,
მე შენ გემებდი, მე შენ გემებდი...
სადაც ათასი ბეწვის ხიდია...
და რომ მეგონა გადავიარე,
მაშინ გამიწყდა, ყულფზე ვკიდივარ,
მე შენ მიყვარდი და გაღიარე,
შენ კი ვერც მიხვდი, რანაირი ვარ...

შენც გაზაფხულის ყვავილს მოჰგავხარ

რით ველარ დაცხრა ეს გაზაფხული,
ისევ ცხრაპირად ჰყვავის ატმები,
როგორც ხომალდი ზღვაში გასული,
შენი გულისკენ მოვემართები...
სულ ამერია ყველა დღეები,
და წლებიც შენთვის რომ გავაჩუქე...
თუ სადმე კლდეებს შევეხეთქები,
ჩემი ნატვრები შენ შეაქურჩე...
ნატვრები შენთვის რომ ვაგროვებდი
და გპირდებოდი მათ ასრულებას,
როცა შენს გამო ნაპირს ვტოვებდი,
და არ ველოდი არ დაბრუნებას...
ნუთუ ძნელია, ნუთუ ძნელია,
უარყო ვინც კი დღემდე გიყვარდა,
და თუ გემები დაბრუნდებიან
შენ მომეგებო ნაპირის ნაცვლად...
ხელში გეჭიროს ჩემთვის ტიტანი,
და არ გაკვირდე ზღვა თუ აღელდა...
თუ გამოცვივდა გემზე ვინც არი
და ყველა შენ თუ შემოგაჩერდა...
შენც გაზაფხულის ყვავილს მოჰგავხარ,

შენსკენ მოცურავს ჩემი გემები...
შენი მონა ვარ, შენი მონა ვარ,
არ დამიმსხვრიო ეს იმედები...

რამდენ ქარებს ჩაუვლია

მართალია, ყველა, ყველა,
ერთმანეთის ვხედავთ ანფასს...
ვერ შეამჩნევ, მართლაც, ვერა,
ჩვენ ზურგს უკან თოვლს და ზამთარს...
ჩვენ ზურგს უკან, ჩვენ ზურგს უკან,
რამდენ ქარებს ჩაუვლია...
დროს, სამყაროს ჭირისუფალს,
ჩვენი ჭირიც წაუღია...
და ირწევა დედამიწა
სამ ვეშაპის ზურგზე მდგარი...
სულში მუდამ წვიმა ცრის და
არ მპასუხობს გულიც მკვდარი...
შენნაირებს, მე რომ მომწონს,
არ იმეტებს ბედი ჩემთვის...
მირჩევიხარ ლალს და ოქროს,
არც ტყუილად გეფიცები...
არა გჯერა? მე ჯერ შენთან
ტყუილი არ დამცდენია...
ჩემი სისხლი შენთვის ფეთქავს,
ეს ისედაც ნათელია...

არ დაიჯერო

არ დაიჯერო, რომ დედამიწას,
ოდესმე ელის არმაგედონი...
მას სიყვარულის აურა იცავს,
ვერას დააკლებს ცეცხლის დემონი...
ან დღემდე, მითხარ, ვინ დაგვზოგავდა,
უნდა გამქრალნი ვიყოთ უკლებლივ...
შენ კიდევ გჯერა ამ ჯადოქართა?
მათი ზღაპრული სასწაულების?
მე კი მგონია, რომ რაც დრო გავა,
ცა დამშვიდდება, ქარი ჩადგება,
ზეციდან მიწის დასალოცავად,
ღვთის ანგელოზი ჩამობრძანდება...
და ყოველივე ისევ ვარდებად,
იქცევა, როგორც იყო წარსულში...
მზეს მთვარე ისევ შეუყვარდება,

ან ვინ აჯობებს მზეს სიყვარულში...
გარეთ გამოდი, გამოდი გარეთ,
ჩამქრალ ვულკანებს გაუღვიძიათ,
გახედე ზეცას, როგორ ბრიალებს,
ან ჩემზე, ნუთუ, არ გიფიქრია...

მთელი ღამე როცა თოვდა

მეც შენსავით მცივა, ქარმა,
შენზე ჭორი მომიტანა...
არაფერი არ დამალა,
ყველაფერი მომიკაკლა...
როგორ გიცნეს ვარსკვლავებმა,
სხვის მკვლავებში შეყუჟული...
ღამემ როგორ გადაღება,
შავად შენი თეთრი გული...
კავკასიის ჰორიზონტი
სვავებს როგორ მასპინძლობდა...
როგორ მოტყდა წიფელს ტოტი,
მთელი ღამე როცა თოვდა...
არ მეძინა, დაისის მზეს,
ვიდექ, შურით გავყურებდი...
იმ ღრუბლებმა დამივიწყეს,
დამცინოდნენ სხვა ღრუბლები...
შორს ქოხებში შუქი ენთო,
ალბათ კერაც ჰქონდათ თბილი,
მე კი ისევ უიმედოდ
ვიდექ გულმკერდ დაფლეთილი...
ვიდექ, ვიდექ ასე მარტო,
შორს დაისი აფერადდა,
ქარი ქროდა კვლავ უტაქტოდ,
ხან თოვდა და ხან ელავდა...

შენი ნახვა ისე მინდა

შენი ნახვა ისე მინდა
თევზს ხმელეთზე როგორც წყალი...
ისევ გნახე წუხელ სიზმრად,
როგორც ზღვაში ნატრისთვალი...
თან ჩვენს შორის თითქოს თეთრმა
ანგელოზმა გაიარა,
გელოდები იცის ღმერთმა,
მოდდი, მოდდი, კარგი, კმარა...
მოდდი, როცა ყაყაჩოებს,

დაუწითლებს ლოყებს ქარი,
როცა ატმის დაღლილ რტოებს,
დააჩნდება ქერქზე ბზარი...
ან რა არის გასაკვირი,
მე თუ შენი ნახვა მინდა,
გადაივლის ეს აპრილიც,
როგორც ქორი ქარაფიდან...
შენ კი, შენ კი სხვას რომ შერჩე,
როგორც ალვას მოლაღური,
როგორც დაშნა ბროლის მკერდზე,
გადაჭრილი ორად გული...
სად წავიდე, მაშინ, ვისთან,
ამ ქარსა და ქარაშოტში,
გამოხეთქა ვენა სისხლმა
რაც წახვედი, რაც დაგშორდი...
ვის ბრძანებას ელოდები,
რომელ ღმერთებს მიეც ფიცი,
მომაშველე შენი ფრთები,
თუნდაც მხოლოდ იმედისთვის...

როგორც ლამაზი თეთრი ყვავილი

როგორც ლამაზი თეთრი ყვავილი
გაიფურჩქნება და გახსნის ფურცლებს,
ყვავილი ღამით გამოტანილი,
უულამაზესს გაჩუქებს წუთებს...
ასე შემომხვდი და გამაქვავე,
გიმზერდი, მაგრამ არა მჯეროდა,
რომ მისწორებდი თვალებში თვალებს,
რომ ეგ თვალები შემოცქეროდა...
ასე ზამთარმა იცის უეცრად,
დილა დაგხვდება თეთრ სამოსელში,
და სულიც უცებ თავისუფლდება,
ამ სისუფთავით და საოცრებით...
როგორ გეძებდი, როგორ გეძებდი,
რა არეული გზებით მივლია,
ალბათ, ბავშვობით თუ უმეცრებით,
სულ ყველა წლები წყალში მისვრია...
სად მე და სად შენ, გზაგასაყართან
ვდგავარ და, თითქოს, ტყვიებს მიშენენ,
მე ამომშალა სხვა მისამართმა,
სხვასთან იყავ და შენ ვერ მიშველე...
შენ ვერ მიშველე, ბედს დაენანა,
რომ შევხვედროდით, ადრე, სულ ადრე...
ჰოდა, მიმღერე, მიმღერე წყნარად,

რომ შეგიყვარდი და მოგენატრე...

მე შენ მიყვარდი

ნეტა, სად გაქრა ის იმპულსები,
შენი სხეული რომ ღვრიდა უხვად...
დღეს კი დაღლილი და მიუჩვევი,
ჩემს გვერდით ყოფნას სტირი და სწუხარ...
იქნებ ამ გრძელი ღამის ბრალია,
მიწას რომ მკერდზე შემოხვევია,
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,
როგორც ნიავი უყვარს ვერხვიანს...
როგორც მზეს უყვარს თავის სხივები,
ღრუბლებს წვიმა და ქვევრებს მაჭარი...
მოხვალ და ცრემლად დამეწვიმები,
მე კი ვერცერთხელ ვერ გაგასწარი...
როგორ ვერაფრით გამომიგლოვე,
არც გიყვარვარ და არც გემეტები,
ამდენი სევდა სად დაიგროვე,
ცეცხლივით მწვავენ შენი ცრემლები...

ისევ მირჩევენ დუმილს

რამდენ სიყალბეს ადევს,
უზარმაზარი ფასი...
რამდენ სიბრყვეს, რამდენს,
ჩემს წინ გადასცეს თასი...
მართლაც, როდემდე ვფიქრობ,
რა დააშავა ხალხმა,
ის ვეღარ არჩევს თვითონ,
ნამდვილ ტყუილს და მართალს...
მოვა, შენი დროც მოვა,
ისევ მირჩევენ დუმილს,
მოვა ყინვად და თოვლად
და კვალ მოძებნის უღირსს...
შენ ნუ გაივლებ წყენას,
მე თუ შეცდომებს ვუშვებ,
თუ ვერ ვერევი ყველას,
ვინც მიბრაგუნებს მუშტებს...
თან მიმათრევენ თითქოს,
ჩუმიად უფსკრულის პირას,
მართლაც დასრულდეს მიჯობს
გამომიყვანონ წირვა...
რატომ, როგორ და რისთვის,

აზრი არა აქვს კითხვებს,
ჩემი ჯალათი სისხლით
დგას და ილოკავს თითებს...

მოვკვდი

მოვკვდი, სული საზღვრებს გასცდა,
ვგრძნობ, თუ როგორ გშორდები...
ნუ განიცდი ასე მძაფრად,
ასეც ნუ დაღონდები...
მილიონჯერ გიმეორე,
გადაყრილი სიტყვები,
მოდის, მოდის, მოდის, თორემ,
არ გამოგეკიდები...
ახლა უკვე გვიანია,
მინდვრებს ცეცხლი ედება,
მე რაც მტკივა რის ბრალია
აღარც ეს გამეგება...
და არც მინდა მოვიხედო,
ვერ გხედავენ თვალები...
მივალ სადაც ღამე მეფობს,
და დედოფლობს ქარები...
უკვე ჩემთვის წარსულია
სიმულვილის ზღაპარი,
იმ ხომალდებს ჩაუვლია
მე რომ ვერ მივასწარი...
ქარი თავის ცივი ფრთებით,
ზეცად მიმანანავებს...
ვგრძნობ თანდათან როგორ ვქრები,
სული როგორ ფართხალებს...

რა გაუძლებს ამ ტკივილებს

ნუთუ ჩემი სიყვარული დამალული,
არასოდეს, არასოდეს გაბრწყინდება...
თუ ეს არის, თუ ეს არის დასასრული,
რომლის შემდეგ ყველაფერი გვავიწყდება...
რა გაუძლებს, რა გაუძლებს ამ ტკივილებს...
სხეულს რომ ხდის, სხეულს რომ ხდის გამჭვირვალეს,
მე ყველაფერს შენს თვალებთან ვაიგივებ
და ისინი არასოდეს გამწირავენ...
ოცნებებით მეც კოშკები ამიგია,
შიგ დაფრინავს მოფარფატე შენი სული..
წამიგია, ყვავილები წამიგია,

მაგ ბალიდან ჩემს ბალებში გადმორგული...
აღვის ტოტებს, აღვის ტოტებს შევწვდენივარ,
ზღვების ფსკერზე მარგალიტებს დავეძებდი,
მტრის ლაშქარი ჩემზე ამიმხედრებია,
და შევბმივარ ყველას ერთად გამეტებით...
ასე იყო, შენ კი, შენ კი დამაჩოქე,
იცი, თითქოს, უკანასკნელ სასჯელს ვიხდი...
ვიცი, შენი სილამაზე გამაცოფებს,
მომკალ, მაგრამ არ მწყენია, რომ ვერ მიხვდი...

შენ ვერ დამიშლი მე შენით სუნთქვას

მინდა იცოდე, ჩემს არსებობას,
მხოლოდ შენს მერე გაუჩნდა აზრი...
შენ ვერ დამიშლი ოცნებით ტკბობას,
თუ შენში ვხედავ ცხოვრების საზრისს...
შენ ვერ დამიშლი მე შენით სუნთქვას,
წამში, მომსპობ თუ მოხვალ და მომკლავ...
მგონია, ხელი ამიკარ სუფრას
და ამიკრძალე უბრალო ლოცვა...
ისიც არ ვიცი, რას ფიქრობ ჩემზე,
იცი, კი რამე ჩემი განცდების...
რომ შემეყვარდი და სიკვდილს ვეძებ,
რომ ტალღებით კლდეებს ვასკდები...
რომ სიყვარული მოდის და მიდის,
ზოგს ავსებს, ზოგსაც ბოლომდე ფიტავს,
მადლობა, ვნების ოკეანისთვის,
მადლობა, შენგან ნაჩუქარ სიზმარს...
ნუ განმიკითხავ, ნუ განმიკითხავ,
უგუნურებას ვერაფრით შეცვლი...
ასეა, თუკი უსაზღვროდ გიყვარს...
დაუფიქრებლად თვით სიკვდილს ესვრი!

ეს სიცოცხლეა

ეს სიცოცხლეა, რა ხშირად ვამბობთ,
ეს სიცოცხლეა, მართლაც, ასეთი,
ვწუხვარ შენს გამო, ვწუხვარ შენს გამო,
კი, მინდა, მაგრამ ვერ გემსგავსები...
შენ მყარად დგახარ დედამიწაზე,
მე კი ყოველ წამს ფეხქვეშ მეცლება...
თითქოს ეშმაკი მომდევდეს კვალზე,
და მზარავს, მზარავს მასთან შეხება...
ეს სიცოცხლეა მართლაც ასეთი,

ვით საწყაული აღუვსებელი...
ვიცი, ვერაფერს ვერც მე ვასწრებდი,
და ვერც მე შევძელ შეუძლებელი...
მე შენი დილის გარიჟრაჟი ვარ,
შენ შეგიძლია ჩამეზიარო...
მე დილა ვიყავ და გარდაცვლილვარ,
შენ კი ღამე ხარ და ნაღვლიანობ...

მადლობელი ვარ

დაბრუნებულხარ, როგორც ზღაპრებში,
მთები იხსნიან თავის პირბადეს...
ნეტა, რა ყრია ასეთ წასვლებში,
შენ ხომ არც იცი, რა განვიცადე...
შენ ხომ არ იცი, შენ ხომ არ იცი,
როგორ მეცხოვრი სულზე მალამოდ...
მადლობელი ვარ ყველა განცდისთვის,
არ მიღალატო, არ მიღალატო...
მე შენს თეთრ ფიქრებს დავდევენებივარ,
მივალ, მივყვები უგრძეს მარათონს,
ვგრძნობ, ვიღაც შენს თავს მართმევს ხელიდან...
არ მიღალატო, არ მიღალატო...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
რომ ყველაფრისთვის ასე ვიბძოლო,
ეს ნაკადული ჩემი სისხლია,
ეს ველი ჩემი სევდის სიმბოლო...
შენ კი მსუბუქი თოვლის ფიფქივით,
ისიც არ იცი სად დაეცემი...
მე კი სულსწრაფი შენი ფიქრით,
მაინც გპოულობ, მაინც გეწევი...
თუმც ვერ გავიგე, რას გაურბიხარ,
ცაში ვარსკვლავებს ეპოტინები...
რომელ სამყაროს სასწაული ხარ,
სულს იეზივით რომ ეფინები...

მე შენ მიყვარდი

ნეტა, სად გაქრა ის იმპულსები,
შენი სხეული რომ ღვრიდა უხვად...
დღეს კი დაღლილი და მიუჩვევი,
ჩემს გვერდით ყოფნას სტირი და სწუხარ...
იქნებ ამ გრძელი ღამის ბრალია,
მიწას რომ მკერდზე შემოხვევია,
მე შენ მიყვარდი ისე ძალიან,

როგორც ნიავი უყვარს ვერხვიანს...
როგორც მზეს უყვარს თავის სხივები,
ღრუბლებს წვიმა და ქვევრებს მაჭარი...
მოხვალ და ცრემლად დამეწვიმები,
მე კი ვერცერთხელ ვერ გაგასწარი...
როგორ ვერაფრით გამომიგლოვე,
არც გიყვარვარ და არც გემეტები,
ამდენი სევდა სად დაიგროვე,
ცეცხლივით მწვავენ შენი ცრემლები...

ბედი მამლევს, ბედი მართმევს...

დღე გადის და მოდის ღამე,
მოდის ღამე ტკივილისა...
სევდა მომხვევს დარდის მკლავებს,
როგორც ტალღებს შავი ზღვისას...
ბედი მამლევს, ბედი მართმევს,
დღემდე ბედის ვალები მაქვს...
ხან ვაგებ და ხან მიმართლებს,
როგორც შენი ალერსისას...

მესაიდუმლე

მე შენ გემებდი, როგორც ზღვის ფსკერზე,
მყვინთავი ეძებს ძვირფას ბრილიანტს...
ტალღა სიცილით კვდებოდა ჩემზე,
ტუჩები ახლაც გახლეჩილი აქვს...
მე მოვდიოდი უშორეს გზებით,
შენ კი სულ ახლოს, გულთან ყოფილხარ...
და აწეწილი ჩემი ეჭვები,
სასაცილოდაც არა გყოფნიდა...
მე შენ მეგონე მესაიდუმლე,
თუმც თავი მთელი წელი მაყვარე...
სანამ მთლად მარტო არ დამიგულე,
ის კი ახლოსაც არ გამაკარე...

საით მიდიან

საით მიდიან, საით მიდიან,
ჩვენი ცხოვრების მატარებლები...
არავინ იცის, რა განრიგი აქვთ,
რამდენს გავივლით, ან გავჩერდებით...
გადასაგდებად ვერ გავიმეტე...

შენი უარი და ხელით დამაქვს...
თითქოს აორტა გადამიკეტე,
და ვერ ვშოულობ ვერაფრით წამალს...
გავა დღეები და ვინმე მკითხავს,
ჩემი სიკვდილის უეცარ მიზეზს...
ვეტყვი, რომ ისე ბოროტი იყავ,
დამაძინე და ვერ გავიღვიძე...

ვერ გამყავს კვალი

მე ისე მინდა დამაიმედოს,
დამაიმედოს რამე იმედმა...
მაგრამ, ვაითუ, რომ გაგიბედო,
და გითხრა, რაც მსურს, კვლავ გეწყინება...
ჩემი ვენები, გაშიშვლებული,
როგორც ფესვები, სისხლს ვერ იწოვენ...
თითქოს გუთანში ვიყო შებმული,
და შოლტს ვირტყამდე ზურგზე თვითონვე...
ვერ გამყავს კვალი, ხნულში ვეცემი,
თუმცა, ვერ ვხვდები ვისი ბრალია...
შემომხვევიან გუთნისდედები,
რალაცას ბჭობენ კარგა ხანია...
არადა, თურმე, ყელი გამომჭრეს,
სისხლმა იხუვლა შადრევანივით...
საცაა სულიც უნდა ამომხდეს,
შენ კი მიყურებ თეთრი კრავივით!

როგორც სარანჩა

თვლა აღარა აქვს, თვლა აღარა აქვს,
ჩემი ცხოვრების გზაჯვარედინებს...
მეც ჩემი ჯვარი ბეჭებით დამაქვს,
ვერ ვირჩენ მუხლებს გადაღლეტილებს...
ჩემი ფიქრები, როგორც სარანჩა,
არ მიტოვებენ სარჩოდ არაფერს...
მეერთგულება ვინც მიღალატა,
თუმც, ვიცი, ხვალეც რომ მიღალატებს...
ხან სევდა მახრჩობს, ხან მე ვახრჩობ მას,
მაგრამ ორივე ჯერ ისევ ვცოცხლობთ...
ღმერთი კი, ვიცი, ამ დიდ სახსოვარს,
მაინც წაგვართმევს სიცოცხლის ბოლოს...

კედელი

საკუთარ თავის არ მქონდა რწმენა,
და ამიტომაც ვიყავი ჩრდილში...
მუდამ მგლებს ეპყრათ ჩემი არენა,
ბუნებრივია, მქონდა მგლის შიში...
მუდამ მიყვარდა ქართული ენა,
რომელმაც რაც ვარ, იმად მაქცია...
რატომ მგონია, რომ დღეს გიენა
ფლეთავს და ცდილობს მის კასტრაციას...
ყველას თავისი კედელი უყვარს,
მაგრამ არ უყვარს, ბევრს, აქ მამული...
მართლაც, ვინ იცის ამ კედლის უკან,
რა ცხოველია გადამალული...

მღერის

მღერის, მღერის მომღერალი,
მღერის, ალბათ, ემღერება...
მღერის, მოსდო თავის შარმი,
ყველას, თუ მე მეჩვენება...
მთლად გულიდან ამოიღო,
შიგნეული ერთიანად...
მღერის, თითქოს, მკვდარი იყოს...
თითქოს სიკვდილს ეზიარა...
რისთვის მღერის, სახელისთვის?
თუ სიმღერა უყვარს ასე?
მე მისი ხმა გულ-მკერდს მიხსნის,
და ცარიელ ჩემ სულს ავსებს...
დაამთავრებს, ჩემი სულიც,
აუზივით დაიცლება...
წავა, დარბაზს გადაუვლის,
და თვალები ჩამიქრება...

ნუ მიპასუხებ

დამემშვიდობე, დამემშვიდობე,
ოღონდ არ მინდა, სულში ჩამხედო...
ჩემი თვალები კვლავ ვერ ფლიდობენ,
დღემდე სუფთაა მათი სამეფო...
და როგორც თოვლი გაუკვალავი,
ზედაპირიდან სხივებს ირეკლავს...
არეკლილი მაქვს მეც უამრავი,
ყალბი ღიმილი თუ გულისცემა...
მე თქვენ მიყვარდით, მე თქვენ მიყვარდით,

დღემდე მიგზავნის ხსოვნა იმპულსებს...
მე რომ მკოცნიდა ის არ იყავით?
თუმცა, არა ღირს, ნუ მიპასუხებ!!!

ლამაზი ხარ

ლამაზი ხარ და რატომ გწყინს,
თუკი თვალი შენზე მრჩება...
მთვარე ვარსკვლავს გადაკოცნის,
და ვარსკვლავსაც ელიმება...
მართლა, გუშინ, საღამოთი,
ელვამ გულში დაჭრა ქარი...
ქარი ზის და ცრემლი მოსდის,
ელვაზეა მთლად გამწყრალი...
ჩემს ქუჩაზე ვარდებია,
შენს ქუჩაზე ზამბახები...
ნეტა, როგორ მრავლდებიან,
ცაზე ლურჯი ვარსკვლავები...

ხილვა

სუფთა ხარ, როგორც მწვერვალი,
თეთრი, ფეხდაუკარები...
მე კი უხედნი მერანი,
ახლოსაც ვერ გეკარები...
ან როგორ გინდა დალაშქრო,
აწვდილი სიპი კლდეები...
როგორც ფერდობზე ყაყაჩო,
სამზერად არა მბეზრდები...
მოდინარ, ისე მოღელავ,
როგორც მწიფობას თავთავი...
ტბაში მცურავი გედი ხარ,
და ნაწვიმარი დაფნარი...
როგორც წყლის ალი შიშველი,
ნაკადულს დაეწაფები...
ვარდივით გადაიშლები,
და მთვარესავით გაქრები...

მე სხვა ვარ

მე სხვა ვარ, სხვა ვარ,
მე წავლევო ლამის სამყარო...
არავის ვგავარ,

და ამით ვარ უნიკალური...
როცა მოვკვდები,
მინდა მიწა შენ მომაყარო,
გამყვება სითბო, მაგ თითების,
თბილი, ქალური...
შენ კარგად ხედავ,
ემშაკები როგორ მიტევენ,
როგორ სწყურიათ,
რომ როგორმე დროზე ჯვარს მაცვან,
მაგრამ, ეგენი, ჩემს ნიაღვრებს რას დაიტევენ,
და სულ ფუჭია, სულ ფუჭია
მათი თავდასხმა...
ვნახავ და ვიცი, რომ თვალები გაგიბრწყინდება,
რომ გალაქტიკას ანათებენ შენი თვალები,
დიდი ხანია შეგიყვარეს ჩემმა სიზმრებმა,
დიდი ხანია შეგიყვარეს ჩემმა ფიქრებმა,
დიდი ხანია შეგიყვარეს ჩემმა სიტყვებმა,
მალე კი, ალბათ,
ჩემ სხეულსაც
შეუყვარდები...

თვალი ვუსწორე

თვალი ვუსწორე პოეტთა მოდგმას,
არ განსხვავდებით მგლებისგან, ვიცი...
თქვენ შური ყველას სიყრმიდან მოგდგამთ,
და ლექსებივით შურსაც განიცდით...
თუმც სიცოცხლისთვის მე თქვენი მგლობა,
მჭირდება, როგორც ირმის ჯოგს წყალი...
გააცისკროვნა მან ჩემი ყოფა,
ზღაპრად მიქცია ყოველი წამი...
მტაცებლები ხართ, პარნასზე დაძრწით,
ერთს კი გთხოვთ, ახლოს არ გამეკაროთ,
თორემ ეშვები მაქვს ბასრზე-ბასრი,
გაგკრავთ და ჩემს წინ უნდა ეყაროთ!!!

ან რას გააწყობ

რამდენი რამე მეშლებოდა,
რამდენი რამე,
როგორ ვგრძნობ ახლა,
როგორ ვნანობ,
როგორ განვიცდი,
ვისაც ვუყვარდი,

ის რატომღაც არ შევიყვარე,
ვინც შევიყვარე,
იმათ, ალბათ, ჰყავდათ თავისი...
მორყეულია ცისკენ კიბე,
საფეხურებიც
ჩატეხილია უკვე მაგრად,
თანაც რამდენი...
აუყვები და, როგორ გინდა,
აბა, ახვიდე,
ცოტას ახვალ და,
ალბათ, მაინც გადმოვარდები...
გადმოვარდები?
არა, უფრო გადმოგაგებენ,
არ ურევია, ღმერთის ხელი ამ არაფერში...
თან გადმოვარდნილს
გრძელ შუბზედაც წამოგაგებენ...
ან რას გააწყობ,
მიტხარ,
ამდენ პაპუასებში...

დარდი

მიუყვება ქუჩას დარდი,
მიუყვება მისეირნობს...
ვატყობ, ხალხის სევდით დაღლილს,
ენატრება გრამი სითბო...
ცრემლი ახრჩობს, ცრემლი ახრჩობს,
ზღვად მოსული ხალხის ცრემლი...
ემინია, რადგან ახსოვს,
რისხვა ამ ზღვის ადიდების!

დღეს მე ვიქნები მორიგე

შენს სახლთან ქარი დავლანდე,
მომხედა მეჩქარებაო,
თუ შენთან იყო აქამდე,
სხვებსაც არ გადავეყარო...
მოვიდე, თუ არ მოვიდე,
როგორ მოვიქცე ვერ ვხვდები...
დღეს მე ვიქნები მორიგე,
და ქარი იყოს შემდეგი...

უკვდავება

არავინ იცის, ვინ მოკვდება და ვინ დარჩება,
არც მკითხაობა არ გიშველის არავითარი...
ეს უკვდავებამ იცის ასე კარგად არჩევა,
ის ზუსტად ამბობს მისი ღირსი, ნაღდად, ვინც არი...
ზოგი ოცნებობს, ზოგი ბედს სცდის, ზოგი ტვინს ანთხევს,
ზოგი სპრინტს არჩევს, ზოგი გადის უგრძეს მარათონს...
მე უკვდავებას ჯვარცმასავით ზურგით მივათრევ...
ალბათ გავუძლებ, თუნდაც მომკლას, ტყავი გამამძროს...
ერთს კი ვიტყოდი, მკრეხელური ეს არჩევანი,
მე არასოდეს, არასოდეს ამირჩევია...
ციდან მუზებმა ჩამომიგდეს ეს ტახტრევანი,
და მეც მუზები არასოდეს გამირჩევია...
თუმც, ვერ ვენდობი, მათ ღალატსაც ვარ დაჩვეული,
ვერ დავუფიცავ, სხვის სუფრასაც ხშირად სტუმრობენ...
მაგრამ ღალატი, ეგებ, არის ანაზღაურელი,
ეგებ სჯობს კიდეც, რომ სხვებთანაც ზოგჯერ ბუდობდნენ...
მუზა კი არა, თვითონ ხალხი ველარ მიცვნია,
ასე მგონია, ჩაუსახლდა ყველას ეშმაკი...
თვითონ მეც, მგონი, ჩემი სისხლი აღარ მისხია,
სისხლი ოდესღაც, ასე სუფთა, ასე სპეტაკი...
მივათრევ ჩემ ჯვარს, თან ეკლიან გვირგვინს ვასწორებ,
დაჰქრის სატანა ჩემს გარშემო ტყავის მათრახით...
მე კი გავძახი საუკუნეს: დამიმახსოვრე!
ვეძებ სამარეს, ცოდვები მაქვს შიგ დასამარხი!!!

თუ ყვავილი არის შენში

რაა ჩემი დაბადება,
სად ვიხრჩვები, სად დავდივარ?
ერთ სიყვარულს ვამთავრებ და
მეორეზე გადავდივარ...
სიყვარულის ფრთებიანი
ყვავილებს ვკრეფ ნატვრის ბაღში...
რაც მოვწყვიტე შენი არი,
რაც დავტოვე შენი მსგავსი...
მიყურებენ, როგორც შეშლილს,
და რა მინდა, ვერ ხვდებიან...
თუ ყვავილი არის შენში,
ჩემში, ნაღდად, ვეფხვებია...
ვდგავარ, ვფიქრობ, ვეფხვს და ყვავილს,
რა საერთო უნდა ჰქონდეთ...
მთაში ფურ-ირემი ბღავის,
და არწივი კლდეებს მოჰყეფს...

პოეზია ტირანია

ლექსად არ ვთვლი პრანჭვა–გრეხას,
ლექსად მხოლოდ ლექსებსა ვთვლი...
ჯოჯოხეთად გადამექცა
რაც კი დღემდე ლექსებად ვთქვი...
ვნანობ, მართლაც, ისე ვნანობ,
ჯერ როგორც არ მინანია...
რომ პოეტებს არა გვწყალობს
პოეზია ტირანია...
ვისაც უნდა, რაშიც უნდა,
ჩამითვალოს ეს სიტყვები...
მსურს ვსუნთქავდე თავისუფლად,
მე კი ლექსის მონა ვხდები...
ყველა მხრიდან, ყველა მხრიდან,
თავს მესხმიან ჯალათები...
ლექსის წერას მე ვინ მკითხავს,
ან როდემდე გადავრჩები...
მტრები გინდა? წერე ლექსი,
ოღონდ, ლექსი, ლექსს რომ ჰგავდეს...
იგრძნობ, თავზე როგორ გესხმის,
ყველა, ნაცვლად რომ უყვარდე...
იგრძნობ, იგრძნობ უცხოობას,
შენს საკუთარ სამშობლოში...
და უსაზღვრო მარტობას,
ყველასთან და ყველა დროში...

დრო დადგება

მესმის შენი ირონიის,
მაგ თვალების, შენის, მესმის...
გადაივლის, გადაივლის,
დრო დადგება უკეთესი...
დრო დადგება სიყვარულის,
ხვევნისა და ალერსისა,
ჰოდა, ყველას ჩამოუვლის,
საამბოროდ ბაგებისა...
აიტაცე ეს ბგერები,
დარდი ცრემლებს გაატანე,
ისე ტკბილად მეფერები,
ვიოცნებებ მთელი ღამე...
ნუ დარჩები, ნუ დარჩები,
შენი სევდით კმაყოფილი...
გვაფარფატებს ყველას ბედი,

ატკლევცილი ნაფოტივით...

ნუ გადაცვლი

ნუ გადაცვლი, ნუ გადაცვლი,
შენს თავს, ნურსად, ნურავისში...
რა მოხდა თუ შენს გზას ასცდი,
ცხვარს ვინ ჟღერტავს მგლების შიშით...
ეს ცხოვრება სასწორია,
აიწონა, დაიწონა,
გულში ჯავრი ჩამყოლია,
ჯავრი, ლამის, ასი ტონა...
მართლაც, გული რასაც იტევს,
ვერ დაიტევს ოკეანე...
ყველა ზღვები ერთად მიტევს,
შენ კი, სულ არ მომეკარე...
იყოს, იყოს, როგორც არის,
ეს სამყარო აწყობილი,
მე მგელი ვარ, შენ ღვთის კრავი...
ფეხქვეშ მიწა გამოცლილი...
და ვერც ამჩნევ, დღეს რომ ყველგან,
უსაშველო დაისია...
მთვარე ვისი დარდით კვდება
ვარსკვლავებმა რა იციან....

ველარ ვუძლებ

გავიხედე, გარეთ ისევ
ნისლის ცივი კედლებია...
ღამე კედელს მივასრისე,
ველარ ვუძლებ ეკლები აქვს...
ნისლმა ისე შემომხედა,
იფიქრა რომ მასაც ვერჩი...
იცრიცება, დილა კვდება,
დილა კვდება ცის მკლავებში...
იცი, შენზე როცა ვფიქრობ,
თურმე მუდამ ვიღიმები...
ვიცი, ვიცი, ნისლი გითხოვს,
ნისლი ხარ და ნისლს მიჰყვები...

ერთი სიცოცხლე როგორ მეყოფა

ნუთუ დამთავრდა დიდი ეპოქა,

და მხოლოდ ხურდას გვიბრუნებს წლები...
ერთი სიცოცხლე როგორ მეყოფა...
როცა მე დღეში ცხრამეტჯერ ვკვდები...
მესროლე, კიდევ, კიდევ მესროლე,
არ ამაცდინო არცერთი ტყვია...
ხშირად სიკვდილიც უშვებს შეცდომებს,
და ამგვარ სიკვდილს სირცხვილი ჰქვია...
ან ცხოვრებაში ვინ ეძებს ღალატს,
ღალატი მუდამ უეცრად მოდის...
ის თავის სახეს არასდროს მალავს,
არც არასოდეს არ იხდის ბოდიშს...
მე კი ნერვებით ცაზე ვკიდივარ,
ცას თითქოს შავი ბარხატი ფარავს...
აქ ახლოს ჭოტმა გადაიფრინა,
და გულს ფრინველის კვილი ბზარავს...
მე ავადა ვარ, წყალს თუ მომაწვდი,
თუ შემომივლი სარკმელს გავაღებ...
ახლადა მივხვდი, თურმე დროს ავცდი,
ვერც შემოხვალ და ვერც მიღალატებ...
წესრიგს ვერ იტანს ჩემი ბუნება,
ალბათ, ამიტომ წლებიც ავრიე...
რატომ მგონია, რომ დაბრუნდება,
რაც ჩვენ უნიჭოდ დროს შევალიეთ...
მაინც ვერ ავცდი, რასაც ვუფრთხოდი,
ძვირფასო, დღეს ხომ ჩემს სულს მარხავენ...
ვიბრძოდი, თუმცა, მე არ ვმუხთლობდი...
თუ არა გჯერა, კუბოს ახადე!!!

ისე ვიბნევი

ისე ვიბნევი, არც ვიცი, რა ვთქვა,
რომ შორსა ხარ და ახლოს ვერ ვხვდებით...
ესეც ერთგვარი თუ არის ჯვარცმა,
უსხეულებოდ, სულთა შეხებით...
შენ იტალიის გაწვიმს ღრუბლები,
მე აქ იმერის ზღვაში ვბანაობ...
და შეღებილი შენი ტუჩები,
ჩემს ტუჩებს ეძებს, თუმცა, ამაოდ...
თუ ღამ–ღამობით გესიზმრებიან,
გაღიმებული ჩემი თვალები...
რად მეშინია, რომ შენც შეგცვლიან,
იტალიელი ამორძალები...
რომ ეს ცხოვრება ცრუ და ფლიდია,
ჯერ კიდევ როდის გვითხრეს სკოლაში...
ბედნიერება ცაზე ჰკიდია,
და ჰკნება, ჰკნება ბედი პოვნაში...

სიმართლე

შენ ვერ გასწვდები ჩემს ჰორიზონტებს,
შენ ვერ დაიტევ ამხელა სივრცეს...
მე კი, სიკვდილი სანამ მომისწრებს,
უნდა ვებრძოლო მანამ ქარიშხლებს...
დღემდე შორიდან იმუქრებიან,
დამყრანტალებენ, როგორც ყვავები,
წლები, რომლებიც ხშირად წყდებიან,
და თავს გვესხმიან თან გაანჩხლებით...
ზღვას ვერ უბრძანებ და ვერც ქარიშხლებს,
ყველა თავისი სიცოცხლით ცოცხლობს,
და თუკი გული ამოგარიდეს,
გთხოვ, იმედები შორს მოისროლო...
მე კი არაფრით არ მემეტება,
გადასაგდებად სამშობლო ჩემი...
რადგან ძალღივით ფეხში მედება,
ძალდი, რომელიც ჩემს სევდას შველის...

უნუგეშობის ვათრევ კარეტებს

ისევ შეცდომით მოვედი შენთან,
ან შეგნებულად ავრიე ფეხი...
შენ, ალბათ, ადრე ყაყაჩო გერქვა,
ტანზე გატყვია ყაყაჩოს ცეცხლი...
მე კი ომებს და ზვავებ გამოვლილს,
ცეცხლი საერთოდ აღარ მედება..
და ტყუილია, ვერც შენ გამომცვლი,
ვერც გულს მომიღობს შენი ვედრება...
ამ მძიმე გზებმა ისე დამღალა,
უნუგეშობის ვათრევ კარეტებს...
მე დავრჩი ბროლის ქოშის ამარა,
მე შენს ძებნაშიც გადავამეტე...
მართლაც, რა არის ჩვენი ცხოვრება,
რადაც ოცნება გაუგებარი...
თუ გსურს, მაკოცე თუ გეკოცნება,
შენი ტუჩების მიყვარს ნექტარი...

თენდება

თენდება, უკვე გათენდა,
გადაუყრია ღრუბლები...

გამოიღვიძა ნათელმა,
შემოგვაფრქვია შუქები...
ვინ იცის რა გველოდება,
რა საოცარი წუთები...

ძიება

არ მიყვარს დასასრულები,
და შედეგებით ტკბობა...
მიყვარს კეთების წუთები,
ბრძოლა, ჯახება, ტკბობა!
მიყვარს ძიება, ჩაძირვა,
ფსკერზე და მერე მაღლა,
ამოსვლა, და კვლავ თავიდან
უკან ფსკერზევე ჩასვლა...

რატომ მგონია

რა გელის, მართლაც, არავინ იცის,
სად ია გელის, სად ნაღმის ძაფი...
და ამღრეული ძარღვებში სისხლი,
ამ მიწის გულში სადამდე ჩადის...
რატომ მგონია, რომ დღეს ალიონს,
აქ ძველებურად ველარ ხვდებიან...
არც ძველებურად სწევენ ყალიონს,
და ახლებურად იკურთხებიან...
მღერიან? ალბათ, ისიც ვინ იცის...
ამოვატანე მე გული ლექსებს...
გსურს, თავს მოვიკვლავ შენი გულისთვის,
თუმც, ჩემს დამარხვას, ალბათ, ვერ შესძლებ!!!

გვირილები

გვიყურებდნენ, გვიყურებდნენ,
გვირილები ლარნაკიდან...
მათთან ერთად თითქოს გვერდზე,
სიყვარული გადაცვივდა...
წამოვკრიფე და როდესაც
ფურცლებს მოცლა დავუპირე,
შემომესმა უცხად კვნესა,
მაცოცხლეო ცოტა კიდევ...
ნეტა, მართლაც, ნეტა, მართლაც,
რა ბრალი აქვთ ამ გვირილებს,

ქალიც, კაციც, ფრთებს უძარცვავს,
გულს კი აგდებს, სადმე, იქვე...

არ შეცდე, ძვირფასო! (ირმა აგიბას)

ღამეა, შორსა ხარ და ხმას ვერ მოგაწვდენ,
ჩვენს შორის დადიან კვლავ სეტყვის ღრუბლები...
თუმც, ვიცი, რომ უკვე ორივეს გვჭორავენ,
აღარა მოქმედებს ეს ჩემზე სრულებით...
მაგრამ თუ ვთავხედობ, შენგან მაქვს ნებართვა,
და მინდა შენს სურვილს ბოლომდე გავენდო...
ყველა სადღეგრძელოს შენსას ვსვამ ხელახლა,
შენთან მსურს რომ შევექმნა მე ჩემი სამეფო...
და შენც რომ იცოდე, არ შეცდე, ძვირფასო,
მე, ალბათ, შხამის და თაფლისგან შევდგები...
მითხარი, შენს გულთან ვინ უნდა მიმასწროს,
ვარ შენი აზრების ღვთიური ბეჭედი...
და თუკი ჯერ კიდევ ჩვენ მხოლოდ რიგში ვართ,
ეს ღამეც მთვრალია და გზას ვერ გაიგნებს,
ჩვენ მთვარე გვეძახის ვარდების მინდვრიდან,
და მინდა როგორმე მთვარესთან ავიდეთ!!!
მე შენზე, ძვირფასო, ვარსკვლავებს გავენდე,
შენ ჩემი თოვლი ხარ და მსურს არ დამიდნე...
ვინ გითხრა, რომ თითქოს, მე სულ სხვას დავეძებ,
ვშიშობ, რომ არ დამწვა და თვალებს გარიდებ...

გული გამიღბვე

მე ისე მათოვს და ისე მცივა,
ბავშვობაში რომ მაძაგძაგებდა...
და ისე ვუსმენ კბილების ჩხრიალს,
როგორც ამ წელთა გარდაცვალებას...
მოყინული მაქვს სულმთლად ტერფები,
მოყინული მაქვს თითები მტევნის...
მადგანან როგორც ქანდაკებები...
თავს მორალი და ზნეობა ჩემი...
ერთი ამტკიცებს, რომ მას ვარღვევდი,
მეორე ნათქვამს ცივად უარობს...
და საფეთქლებთან სისხლის ტალღები,
ცდილობენ ფიქრებს გადაუარონ...
მე შენც მეყოფი, როგორც მსაჯული,
ჩემი ცოდვების ამფეთქებელი...
გაუცინარი მეფის ასული,
ჩემი გონების უტყვი მხლებელი...

საოცრად ცივა შენს აივანზე,
ნუ მიმიკეტავ, კარი გამიღე...
თუ თოვლი მომაქვს არ გამიბრაზდე...
გული გამილხვე, გული გამილხვე!..

მიამბე

დრო, რომელიც დღეს ჩემზე მოქმედებს,
რალა თქმა უნდა, ნაღვლიანია...
მე გელოდები, მოდი, მომხედე,
მიამბე, რაც ჯერ არ გიამბია...
მიამბე, მზე თუ კიდევ ამოდის,
შენ ხომ უმზეოდ ერთ დღეს ვერ ძლებდი...
თუ აგისრულდა, რასაც ნატრობდი,
იპოვე? რასაც ასე ეძებდი...
გადავეყარე სხვა დროის ქარებს,
შემომსხვრევიათ ატმებს ყლორტები...
კვლავ შენი სული თუ შემიფარებს,
აუცილებლად დაგელოდები...

მუზებს

არცერთი წუთი უღექსოდ...
უპოეზიოდ არცერთი...
ნეტა, ვიცოდე, მუზებო,
რა დაგიშავეთ, რას მერჩით...
თუ მეცხრე ცაზე ჰკიდია,
ჩემი ბედი და იღბალი...
იქამდე ბეწვის ხიდია,
სხვა კიბე არავითარი...
ხმელეთზე თევზებს დავემებ,
ზღვებში ნადირს და ფრინველებს...
მუზას ვაკოცე ბაგეზე
და ხალხი გადავიმტერე...
ან რიგზე მაინც დადექით,
ყველა რომ ერთად მოდიხართ...
ნუ მიმზერთ ურცხვად თვალებში,
მე ხომ ქალწულნი მგონიხართ!!!

ბედნიერება ბატის მკერდშია

იცი, ის მიყვარს, ვინც ჩემთან არის,
ვინც ჩემგან მიდის, მე მათ ვივიწყებ...

გარეთ კი ისევ ბობოქრობს ქარი,
ისევ ხარხარებს მთვარის ტკივილზე...
არაფერია, არაფერია,
თუ მეც ქარივით ცოტას ავურევ...
ვაფრინო, რაზეც გასაფრენია,
გავუძლო, რასაც დღემდე გავუძელ...
და მივდევ, მივდევ ამ პროცესიას,
მე რომ ვერაფრით გავითავისე...
ბედნიერება ბატის მკერდშია,
ბატი კი ცაში დაფრინავს ისევ...

ერთად გავფრინდეთ

ჩემს ავანტურიზმს საზღვრები არ აქვს,
თვითონ მომძებნა და მეც დავნებდი...
სულ ყველაფერი მეც მინდა სწრაფად,
მუსიკა, ღვინო და, ჰო, ქალები...
და ამიტომაც ამ ჩემს ტაიჭებს,
შეუსვენებლად დავაგვრიალებ...
ახლაც ზეცაში მინდა ავიჭრე,
გელოდები და შენ მაგვიანებ...
თუ ეს ცხოვრება სიზმრის ფერია,
შენ დამიხატე სიზმრის ფერები...
ძვირფასო, დღეს ხომ ჩვენი ჯერია,
ვერ ვხვდები, ასე რად მემტერები...
გადაასკდებათ კვირტები ყლორტებს,
მეც გაზაფხულის სუნთქვას მოგიტან...
რომ ჩემი ჯავრი შენ არა გქონდეს,
რით დაგარწმუნო ამ სიშორიდან...
მე დღემდე ვემებ ედემის ბაღებს,
სადაც მე და შენ სიზმრად შევხვდებით...
მხარი მომაყრდნე, მხარი მომაყრდნე,
ერთად გავფრინდეთ მზისკენ ჭენებით...

მე ბედი ვყიდე

ისე გავლიე ჩემი სიცოცხლე,
ისე მარტივად, უიარაღოდ,
თუმცა, ჩემს გვერდით ტყვიებს ისროდნენ,
მე იმ ტყვიებმა ხელი არ მახლო...
არადა, ბნელში ყოფნა არ მიყვარს,
მსურს შენს ღობეზე გადმოვდიოდე...
როცა ცხოვრება პენალტს დამირტყამს,
მე წყლიდან მშრალად ამოვდიოდე...

გაუშვი, კლდეზე თოკით ვეკიდო,
წყდებოდეს თოკი და მე ვკვდებოდე...
ჩემი დაცინვა უნდა შეწყვიტო,
არც ასე მწარედ იკბინებოდე...
განა ისეთი რა დავაშავე,
თუ ჩირაღდნები ვანთე დამეში...
გზა გავუკვლიე ბნელში ვარსკვლავებს...
მგლებს ვამშვიდებდი ჩვენზე დაგეშილს...
და ასე ბეჭზე ტყვია დახლილმა,
ხელით ვამსხვრიე ბჭენი ცისანი...
მე ბედი ვყიდე ლექსად დახლიდან,
შენ კი ვერაფრით ამომიცანი...

აი, მომკალი...

ვკითხულობ ლექსებს,
რომ მართმევენ
ყველა იმედებს,
მე კი იმ ერთი
იმედით ვცოცხლობ...
და ვფიქრობ:
ასე რატომ მიმეტებს,
ის ლანდებს ებრძვის,
მე კი ბედს მხოლოდ...
ის ლანდებს ებრძვის,
არ მოსწონს აწმყო,
წარსულს აგინებს,
მომავალზეც
მთლად გამწყრალია,
მხოლოდდამხოლოდ
სევდიანი სიტყვებით ვაჭრობს,
მოკლედ,
სიცოცხლე არ უხარია...
ბევრი ამ ქვეყნად
სატირლად მოდის...
ბევრსაც სიცოცხლის
დიდი ჟინი აქვს...
რამე აზრი აქვს
სიკვდილის ლოდინს?
აი, მომკალი!
არ მეშინია!!!

მოდი, ორივე ზეიმად ვიქცეთ...

მოდი, ორივე ზეიმად ვიქცეთ,
მოდი, ავანთოთ ჩვენი მაშხლები...
ავაბრიალოთ ალისფრად სივრცე...
დავტკბეთ სამყაროს გაჩირადნებით...
რა მოუხდება შენს ლამაზ სხეულს,
ყვავილნარივით ქცეულს აპრილად...
ასე მშვენიერს, ასე ღირსეულს,
შენს სულს, მითხარი, რა ენატრება...
ალბათ, ღიმილი თავბრუდამხვევი,
კოცნა, ტერფამდე რომ გაგაჟრჟოლებს...
მოდი, მაკოცე, მოდი, ამყევი,
მოდი, ამ ლხინში ნუ მიმატოვებ!
ზეცას გახედე, თითქოს ვარსკვლავებს,
ფერხული აქვთ და წრეც კი ჩაუბამთ...
მოდი, ხელს მოგხვევ, ვუსმინოთ ღამეს,
და ვარსკვლავების ლამაზ საუბარს...
მოდი, მინდა რომ იმ ცას ვესტუმროთ,
სადაც მუდმივად გაზაფხულია...
მკერდში ბადაგად მსურს ჩაგეწურო,
ან მაჭრად, როცა მაგრად გწყურია...

ტყვე ვიყო

მაგ ზღვას, შენს წინ რომ არის გაშლილი,
გინდა ყვავილთა მინდვრებად გიქცევ...
რომ ეგ ტალღები ზღვიდან აჭრილი,
სურათებივით ფარავდნენ სივრცეს...
და თუკი გიყვარს ზურმუხტისფერი,
თუ საქართველოს მინდვრებს გაგონებს,
თუ სიყვარულით ისევ ივსები,
როცა დილა მზეს ამოაგორებს...
მე მომინდება რომ დამატყვევო,
რომ გული შენზე კვლავ ოცნებობდეს...
ტყვე ვიყო, ოღონდ მჯეროდეს, ჩემო,
ტყვე ვიყო, ოღონდ, შენი მჯეროდეს...

ასე მგონია

რა უხაროდათ, ნეტა, წინაპრებს,
როცა ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი...
ქალაქში მტრებმა დაიბინადრეს,
მესმის ბაასი მათი გაბმული...
ან იქნებ, არა, ეს სიზმარია,
დიდი ხანია მტერი წავიდა,

და ჩემი ბოდვა იმის ბრალია,
რომ ღმერთმა კარგად ვერ დამარიგა!
იქნებ, სულ სხვა გზით უნდა მეარა,
იქნებ არ იყო ეს გზა საჩემო...
ვილაცამ ჩემი მტრები შეყარა,
მე კი არ ვიცი, რით შევაჩერო...
რა გამოვიდა, თუ უბრძოლველად
უნდა დავუთმო, რაც გამაჩნია,
ვინც გმირი იყო მოუკლავთ ყველა,
და რაც რამ მქონდა გაუძარცვიათ...
არავინ იცის, რამდენნი დავრჩით,
უცხო კი გვიტევს, როგორც სარანჩა...
ისე გამრავლდა მტერი ჩემს სახლში,
ყველა მტკაველი უკვე დალაშქრა...
მინდა შევკრიბო ჩემი ღმერთები,
რომ გადარჩენის გზები მასწავლონ...
ასე მგონია, თითქოს, ფეთებით,
ჩვენსკენ გამორბის მთელი სამყარო...

ტანგო

ქალიშვილო, ტანგოს ცეკვავ?
გინდა გითხრა ჩემი აზრი?
მომეტკიპე ცოტა მეტად,
ამაშია მთელი არსი...
რომ ორივე რაღაც წამში,
შევერწყათ და ვიქცეთ ერთად,
გამიყარე თვალი თვალში,
ფეხი კი ფეხს შეეწება...
ლამაზია, ლამაზია,
მელოდია ტანგოს რიტმში,
ჯერ ხომ თავბრუ არ დაგვსხმია,
ფრთხილად ამ გზას ნუ ჩამიჭრი...
ჩემი ფეხი შენს ფეხს ეძებს,
შენი გარბის ზევით სადღაც
იყოს, დარჩეს მკერდი მკერდზე,
სანამ ტერფი წრეს მოხაზავს...
ჰაერში ვართ, ვნებიანად,
გვაბზრიალებს ტანგოს ჰანგი...
თითქოს, შენი ეშხიანად,
ცის თალიდან ჩამოვარდი...
არ გამექცე, მე, უბრალოდ,
მოშიშვლებულ მკლავებს ვეძებ,
ტანგო მორჩა, სამწუხაროდ,
მკერდი მკერდზე, სახე გვერდზე...

იქნებ მიმღერო ამ საწუთროზე

ვინც გინდა იყავ, რაც უნდა გერქვას,
მე შენში მხოლოდ ვხედავ ანგელოზს...
ყვითელი ფერის რატოა სევდა,
ანდა, საერთოდ, რატომ არსებობს...
მე სულ არ მინდა გული მტკიოდეს,
ვიჯდე და მთვარეს გუნდრუკს ვუკმევდე...
თვალიდან სევდის ცრემლი მდიოდეს,
ან ატირებულ ცას ვუყურებდე...
ამ დილას ჩემს წინ ღრუბელი იჯდა,
და მიყვებოდა თავის ამბებზე,
თუ სიყვარულით როგორ გაგიჟდა,
ამ ცოტა ხნის წინ, შიშველ მთვარეზე...
მთვარემ კი თურმე ყარა ქოშები,
ღრუბელს მიუგო სიტყვა უხეშად,
ვის რად უნდაო შენი კოცნები,
ან ვინ მოგცაო ამის უფლება...
რაზეც ღრუბელმა შეკრა კოპები,
და ბოლმისაგან ისე გაივსო,
დასცხო, დასეტყვა ყველა სოფლები,
არ დაუტოვა გლახს სათავისო...
ახლა, რომ ვფიქრობ, ასეა, მართლაც,
როცა მზე მთვარეს წაეკიდება...
ორივე მშვიდად გაუძლებს დარტყმას,
აი, მიწა კი გაიჭყლიტება...
აღბათ, ღმერთები როცა ჩხუბობენ,
ანგელოზები იჭყლიტებიან...
იქნებ მიმღერო ამ საწუთროზე,
სირინოზები როგორც მღერიან...

ცხრაჯერვე ფეხი თუკი ამიცდა

ამაოდ ვეძებ სხვასთან ნუგეშებს,
შენს მეტი ამას არავინ მეტყვის...
ვის, სად მივაგნებ შენზე უკეთესს.
ამ სამყოფელში ამაოების...
თითო დღე თითო საფეხურს მაცლის,
კიბეზე ცისკენ რომ მიდიოდა...
თუმც, სისხლისაგან ბოლომდე დაცლილს,
მაინც მამულის გული მტკიოდა...
ემშამ რომ დღეში ცხრაჯერ მაცდუნოს,
ცხრაჯერვე ფეხი თუკი ამიცდა...

ძვირფასო, ამაღ არ შეგადრწუნოს,
ვეშაპის ზურგზე დგას დედამიწა...
სადღაც შორს, ქვეყნის დასალიერში,
გამოიბჟუტებს შუქი ქოხიდან...
მიწაზე ციდან ჩამოვა ღმერთი,
და ზეცის დხელ–ცხელ ამბებს მოგვიტანს...

რა გაათენებს

რა გაათენებს ახლა ამ ღამეს,
ღამეს, რომელსაც ჩემს გვერდით სძინავს...
ავდგები ჩუმად გავუწევ ფარდებს,
და უიმისოდ დავუცდი დილას...
ღამეა, ბაღში მთვარის ლანდები,
აღბათ, დაკარგულ წარსულს ეძებენ...
ცრემლები, როგორც ფოლიანტები,
ჰკიდია ვარდის მწვანე ეკლებზე...
აქ დილით ერთი ჩიტე გალობდა,
სატრფოს უხმობდა გამწარებული...
ისიც მოფრინდა, მაგრამ გამოტყდა,
სხვაზე ყოფილა შეყვარებული...
იცი, ჩიტები როგორ კვდებიან?
საოცარია მათი სიკვდილი...
ჯერ თითქოს ჰაერს ეხეთქებიან.
და ძირს ცვივიან გულგახეთქილნი...
ჩვენ განვსხვავდებით ფრინველებისგან?
მე ხომ მათ ვგავარ, იცი, ფრენაში...
და გათენება თუკი მეღირსა,
ამ ღამეს თუკი გულს არ შევასკდი...
გადავიქცევი რამე ფრინველად,
როგორც აისი დგება უბრალოდ...
მოვალ შენს ბაღში და სულ პირველად...
შენს ულამაზეს ვარდებს ვუგალობ!!!

ვარ გაყიდული

ისე მომრავლდნენ ჩვენში ძუ მგლები,
რომ ყოფნა გახდეს ღამის საშიში...
ღამაზები ხართ ყველა უკლებლივ
მაგრამ ამ ამბებს მაინც განვიცდი...
განვიცდი, რადგან თავისუფლებამ,
მხრებზე დამადგა მონის უღელი...
ჩემს წინააღმდეგ აღდგა სულყველა,
გიჟი, ჭკვიანი, ბრძენი, სულელი...

ჩემს წინააღმდეგ, ჩემს წინააღმდეგ,
ლაშქრებს მოუძღვის მეფისტოფელი...
ბედის ამარა რადგან დავაგდე,
სოფელიცა და თანასოფლელებიც...
ძალა აღმართს ხნავს, ძალა აღმართს ხნავს,
როდესაც ჭკუა დეფიციტია...
მე გავუძელი აღამაჰმადხანს,
მაგრამ დღეს თავი ვეღარ მიცვნი...
ცოცხალი ვარ და არ მიხარია,
რომ ემატება ყინულს ყინული...
მართლაც, ვინ იცის, დიდი ხანია,
ამ მიწიანად ვარ გაყიდული...

მეფისტოფელი

დგას ჩვენ ორს შორის
გამუდმებით მეფისტოფელი...
ამბობენ, თითქოს,
ამ არსებას
შავი რქები აქვს...
როგორც მგელია
მგლების ჯოგში
მგელი ყოველი,
მეფისტოფელიც
ემშაკებში ერთი მგელია...
ახლა არც მახსოვს,
ლამდამობით რატომ ვუხმობდი...
იქნებ სამყაროს საიდუმლოს მსურდა შეცნობა...
იქნებ, უბრალოდ,
როგორც ვიცი,
მხოლოდ ვხუმრობდი...
იქნებ, ახალი ფათერაკი
მენატრებოდა...
ვერ დავარწმუნე,
ვერ გაიგე ჩემგან ვერაფრით...
რომ ის არსებობს:
მჭერმეტყველი, ავი, ბოროტი...
ის ხშირად დგება
მასების წინ,
როგორც ბელადი,
რომ ბოლო სისხლიც
ამოსწოვოს
ყველას ბოლომდის...
დიახ, ჩვენს შორის
იდგა მუდამ მეფისტოფელი,

მე რასაც ვმკიდი,
ის ყველაფერს ფეხით სთელავდა...
მშიოდა, მაგრამ
ვიყავ მისი უარყოფელი...
ის კი, როგორც ჩანს,
თავის სისხლით
შენა გკვებავდა...

არის რაღაც (ია კოს)

არის რაღაც, არის რაღაც,
დიდებული თქვენს სახეზე...
ძველი მხატვრის ჰგავხართ ნახატს,
არაფერი ვიცი თქვენზე...
იქნებ დედოფალიცა ხართ,
სადმე, რომელიმე მიწის...
მართლაც, მეფის ასულს ჰგავხართ,
ფრესკას დიდი მხატვრებისთვის...
ამ თქვენს სივრცეს ისე შვენით,
როგორც მთვარე შვენის ზეცას...
ალბათ, როცა სადმე ჩნდებით,
თვალი ყველას თქვენზე რჩება...
ეს რა შარმი დაგყოლიათ,
სილამაზე მზის და ვეფხვის...
ჩემი გული გაგყოლიათ,
მე კი წავალ, წავალ ჩემთვის...

მესაიდუმლე

მესაიდუმლე, მესაიდუმლე,
ამ მუხთალ დროში, განა რა ყრია...
ლამე ხარ, დაისს თვალებს აუხვევ,
და მთელ საღამოს გახდი ნაღვლიანს...
მერე აწეწილ ჩემ სულს დასწვდები,
და ყველა კუნჭულს ჩამოაბნელებ...
ბოლოს ჩემს სულსაც, ალბათ, გაცდები,
და ლაჟვარდებში გზას გააგრძელებ...
მე კი სიბნელეს დღემდე ვერ ვიტან,
თუმცა სინათლეს გადამაჩვიეს...
დღეს სისხლი ჟონავს ჩემი ფესვიდან,
ვერ ეგუება ამ სინამდვილეს...
მესაიდუმლე, მესაიდუმლე,
ნუ დაიტოვებ, თუ რამ გულში გაქვს...
მე ვერც გასულ წლებს ვერა გავუგე.

ვერც ამ ცოდვიან საუკუნისა...
მაინც ვერავის ვერ დავდე ბრალი,
წითლად იწვიან ჰორიზონტები...
ზღვამ გამორიყა ნაპირზე მკვდარი,
ზვიგენტა გუნდი, თევზი მონსტრები...

არსად სინათლე

მზე ჩადის ბოლო სხივები ქრება,
ლამდება, მთებმა ვერცხლი დაისხეს...
შემოვა ღამე სადმე მიჯდება
და უსირცხვილოდ კაბას აიწევს...
ღამე თავს აძლევს ამის უფლებას,
მუდამ რატომღაც თავსაც მამეტებს...
მერე კი ცდილობს ჩემს დაუფლებას,
თან ჩამჩურჩულებს, როგორ მალმერთებს...
მე ვეღარ ვუძლებ ღამის სტუმრობებს,
და როცა მოდის მუდამ ეჭვი მაქვს...
მისი ტუჩები სხვას ეკუთვნოდნენ,
სანამ ჩემს ოთახს შემოეჩვია...
ანდა, საიდან მოდის ვინ იცის,
რამდენი ზღვები გამოიარა...
ვიდრე მტკვრის პირას დახვდა თბილისი,
და ვარსკვლავები მიაბრჭყვიალა...
ღამე ჩემს ფიქრებს ისე კითხულობს,
მემატიანე, როგორც ეტრატებს...
და ვნების ჟინი რომ აისრულოს,
თავის წყვდიადში მაინც შემათრევს...
ღამე მისია, ღამე მისია,
ვგრძნობ, როგორ მიჭერს მკერდზე მარწუხებს,
მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია,
მაღე მთლიანად დამისაკუთრებს...
არსად სინათლე, ბნელი, წყვდიადი,
შემოდის სულში და სულს აქვავებს...
შენ კართან მოხველ და გატრიალდი,
მე კი დავნებდე უნდა ამ ღამეს...

ჩემი გოლგოთა

აღარც კი მახსოვს ჩემი გოლგოთა,
მე ის იმდენად გავითავისე...
მე გაზაფხული ფრთებით მომქონდა,
მე სიყვარული ფრთებით მომქონდა,
მე სიხარული ფრთებით მომქონდა,

მაგრამ რატომღაც უკან წავიდე...
უკვე გოლგოთაც არაფერია,
ცხოვრება იმდენს გვაწნავს მათრახებს,
ათასი წლოვით ცას გასცქერიან,
ალბათ, ყველანი ცას გასცქერიან,
დღემდე იმედით ცას გასცქერიან,
სწამთ ზეცა მიწას გააჩახჩახებს...
ცა ზოგჯერ ისხამს, მართლაც, ვარსკვლავებს...
ყველა ვარსკვლავებს ერთი ფერი აქვთ...
მე კი ვერაფრით შემირჩევია,
მათში რომელიც ბედნიერია,
და არასოდეს არ მიღალატებს...
წინ, გოლგოთაზე მონოტონურად,
მიმათრევს ჩემი ბედის ვარსკვლავი...
სადაც დგას უკვე კვირტებდამსკდარი
თეთრი ალუჩა და ღვთის ტაძარი...
რეკენ ზარები, რეკენ ზარები,
ტაძარში მშვიდად შემოდის მნათე...
ასე ლოდინში გადის წამები...
ალტართან ვდგავარ და სანთელს ვანთებ...

შენ მელოდები

ცის ჯიბრზე გარეთ ისევ ნისლია,
ნისლი დღეს, ალბათ, მზესაც დასცინის...
ამ დღეებივით ცაც შეშლილია,
ნისლით ბოლომდე გადათხაპნილი...
ღრუბელი ხელით გვერდზე გავწიე,
ცამ მზესთან ერთად შემომანათა...
რა ვქნა, შენამდე ვერ მოვალწიე,
თუმცა, ფიქრებით სულ შენთანა ვარ...
ცას დარდი თუ აქვს, ის ტირის ალბათ,
თავის ცრემლებით გულსაც იოხებს...
წარმოიდგინე წვიმების ნაცვლად,
ციდან რომ მისი დარდი ცვიოდეს...
ჩემი დარდები სეტყვის ფერია,
მსეტყვავს და აწმყოს ისე მიოხრებს...
დრო, ჩემი მწარე მასპინძელია...
დროც ნერვებს მიშლის, კი არ მიოკებს...
შენ მელოდები, მე კი ფეხს ვითრევ,
შენ მელოდები შეუბრალებლად...
ვიღაცამ მოჭრა ჩემი ნატვრის ხე,
მე კი იმედი მსურდა ჩამება...
ნისლებმა გეზი ზღვისკენ აიღეს,
იქნებ გინახავს ზღვა როგორ ღელავს...

მოვალ და თუკი კარს არ გამიღებ,
სამძიმარს ვეტყვი შენს ბედისწერას!!!

მთები

ამ მთების იქით ვულკანებს სძინავთ,
სძინავთ ვულკანებს, როგორც თაობებს...
აქ, ალბათ, ზეცა იწვოდა წინათ,
ახლა კი სძინავთ და დაჭაობდნენ...
ადრე აქ, ალბათ, ზეცას სტყორცნიდა,
თავის შიგნეულს ყველა კრატერი...
ალბათ, რამდენჯერ ცა ჩამოფლითა,
იდგა ფერების კორიანტელი...
გადამახედე, გადამახედე,
ამ მთებს, აქ რომ დგას, ბედი ჰქონიათ,
ზეცამდე ასვლა თუკი გაბედეს,
და რომ ერწყმიან ამ ჰარმონიას...
ამბობენ, თითქოს, აქ კიდევ ბევრი,
ვულკანური მთა დაიბადება...
ცას შეაშრება თვალებზე ცრემლი,
და ძეობაში ღრუბლებს გაჰყვება....

ფრაგმენტი

მიყვარდა, მუდამ მიყვარდა,
მთებისკენ ქროლა ქარივით...
აყვავებული მთის კალთა,
ქორწილში დედოფალივით.
იცი, იქიდან რა მახსოვს,
მთებს გავყურებდი მოცელილს,
როდესაც ზეცამ დაახრჩო,
ღრუბელი თავის კოცნებით...
მეც მიხაროდა სიცოცხლე,
მეც ხომ ამ მთების შვილი ვარ...
აქ არწივებიც მიცნობენ,
ამ ქედებს ჩაფრენილი ვარ...
მორბენალი ვარ ჩანჩქერი,
უფკრულში გადაჩეხილი,
ჟინი მაქვს ცისკენ გაფრენის,
კლდიდან მოსხლეტილ ვეფხვივით...

წავა, წავა...

ზამთრის დღეებს უკვე ჭკნობა შეეპარა,
წვიმა მოდის, წვიმა მოდის, ხან თავსხმაც კი...
რომ იცოდე, მე ზამთარიც შემებრაღა,
რომ ზამთრობდა ამ დაქცეულ ქვეყანაში...
შემომყურებს, შემომცქერის სარკმელიდან,
ტანთ აცვია ნისლი ცხრაგან დაფლეთილი...
აშკარაა ჩამოსულა სხვა ქვეყნიდან,
ნაცემია, კბილები აქვს ჩაცვენილი...
რა ვუშველო, რა ვურჩიო, რა ნუგეში...
სანამ წავა, სამუდამოდ ამ ქვეყნიდან,
რა უნდოდა, რას მორბოდა ამ წუმპეში,
საცოდავი, ან რა ბედზე გაჩენილა...
წავა, წავა, ეს წავა და გაზაფხული,
ორ სამ დღეში დაბადებას იზეიმებს...
მე კი ვზივარ ზამთრისაგან გამარცხული,
და ვარიგებ ჭკუას ამ ჩემს შიშველ იმედს...

ეს ღამეები

უკვე გავიდა ახლა ეს ღამეც,
ახლა ეს ღამეც წავა, გაქრება...
დღეები ფეხქვეშ გამომეცალნენ,
დღეებს სჩვევიათ ჩემგან გაქცევა...
შენ არ გეგონოს ნიღაბს ვატარებ,
როცა სევდაზე ასე ვსაუბრობ...
ვენები მკლავზე სისხლს რომ ატარებს,
გულთან სხვანაირ ხმაზე ხმაურობს...
დამპირდებიან, დამპირდებიან,
ისეთ სასწაულს ეს ღამეები...
ჩემს აივანზე ჩამოსხდებიან,
მოუსავლეთში წასასვლელები...
ვერც დაარიგებ, ვერც ანუგეშებ,
მათი სიცოცხლე ერთი ღამეა...
ზოგჯერ სიხარულს თუ გაჩუქებენ,
ყველა მეორე ისევ მწარეა...
ნუ ელოდები განმეორებას,
თუკი რაიმეს ტკბილად იგონებ...
ღამეებისთვის ერთნი ვართ ყველა,
შენ კი, უბრალოდ, გამოგიგონე!!!

ერთფეროვნება

ერთფეროვნებას გადავუსვი წითელი ხაზი,
ღამის შემჭამოს, იკლაკნება, თავდასხმას ცდილობს...

ან რას შემარჩენს, ყოველივეს კრუხივით აზის,
მე კუთხეს ვეძებ, მისი დარტყმა რომ ავიცილო...
სად გაექცევი, დამეტაკა, მწვდა იმწამს ყელში,
მერე დააცხრა ჩემს იმედებს, როგორც ჯალათი,
მე ვეუბნები, მე დამსაჯე, იმედს რას ერჩი,
მაგრამ, როგორც ჩანს, ტყუილია მასთან კამათი...
უკვე დამცინის იმედებში რადგან გაერკვა...
ერთი უყურეთ, ვაჟბატონმა რა მომინდომა...
ჰოდა, ვერაგი, ჩემს იმედებს ადებს ნაკვერჩხალს...
და იმედებმაც უიმედოდ ამოიხრჩოლა...
რატომ იწვიან იმედები, უხმოდ, უალოდ,
მათგან არცერთი არასოდეს მემშვიდობება...
და, მართლაც, ჩემ თავს ვეკითხები, ამდენს რომ ვწვალობ,
რით ვერ მოგვკალი, ეს ჯალათი ერთფეროვნება!!!

არ დაბრუნდები

მე შენში ვფლანგე, რაც ნიჭი მქონდა...
თუმცა, არაფერს ვითხოვდი შენგან...
ვფიქრობ, ეს იყო ღვთიური ბოდვა,
მე არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა...
ასეა, იწყებ უბრალო ფლირტით,
და მერე ისე მწარედ შესტოპავ...
ჩამოიქცევა ცა შენი ჯიბრით,
წაგართმევს ყველა შესაძლებლობას...
რამდენი რამე მიყვარდა შენში,
თუმც, ყველაფერზე მეთქვა უარი...
ასე სიცივე შემოდის ძვლებში,
და ძალი გიცქერს თვალში მუდარით...
თითქოს ვკიდევარ სახრჩობელაზე,
და ყულფით ყელზე უხმოდ ვქანაობ...
აყევებულ ბრბოს გასართობს ვაძლევ,
და დედოფალი კეცავს მარაოს...
არ დაბრუნდები, არ დაბრუნდები,
წახვედი, ვუმზერ ზეცას უმთვაროს...
მე ისევ მსეტყვავს სეტყვის ღრუბლები,
შენ კი ვერ გხვდები, კვლავ, სამწუხაროდ!!!

ვერ დავიჯერებ (ქ.ბ.–ს)

გიყვარდი? ვითომ? ვერ დავიჯერებ,
მე კი მგონია, რომ თავს ირთობდი...
ბაღში თუთები ნუშებს ირჩევდნენ,
მე იქ ვიჯექ და შენზე ვფიქრობდი...

ნეტა, გიყვარდე, მართლა, გიყვარდე,
ქარია, ტოტი ტოტებს ეხება...
დავრჩები თუკი მეც ამიტანენ,
თუ არ ჩამთვლიან ისევ მკრეხელად...
გადაუქროლებს, გადაუქროლებს,
ჩემ ბაღს ზემოდან მტრედების გუნდი...
შემოუძღვება ვიღაც უცნობებს,
ქარი უცნაურ ტონზე საუბრით...
რომ ამ ბაღებში ადრე ხარობდა,
ბროწეული და იასამანი...
ლელვი ალუბლის კოცნას ლამობდა,
ბაღს ეხვეოდა ურცხვად ატამი...
ის დრო დამთავრდა, ის დრო დამთავრდა,
სადღაც გამქრალა ის დაისები...
მე სიყვარულში შემომალამდა,
და შენზე ფიქრში სევდით ვივსები...

ყველაფერი რომც ტყუილი იყოს

ნუ მიყურებ, ნუ მისწორებ თვალებს,
თორემ, იცი, მემატება რწმენა...
რომ საოცრად შემიყვარებ მალე,
და რომ შენი ფავორიტი მე ვარ...
ჩემს ცხოვრებას გადავავლე თვალი,
თურმე რამდენს ვოცნებობდი ბევრზე...
ყველა ქალმა დამიტოვა კვალი,
და მათ კვალზე მოვდიოდი შენსკენ...
როგორ ღელავს, როგორ ბრწყინავს ზეცა,
მაგ თვალებით ნუ მიყვები ზღაპრებს,
თითქოს ტანზე სიყვარული გეცვას...
და მეც შენი სიყვარული მკლავდეს...
ყველაფერი რომც ტყუილი იყოს,
მაინც ტკბილი ტყუილია ჩემთვის...
ჩამელვარა მკერდში შენი სითბო,
წამეკიდა სიყვარულის ცეცხლი...

სიმძაფრე

რადაც ისეთი სიმძაფრე მინდა,
სიმფონიებში ბეთჰოვენს რომ აქვს...
ის რაც ომის წინ მეტოქის მხრიდან,
დილის ბანაკში ნიავს შემოაქვს...
რომ სისხლს, რომელიც ოდესღაც დუღდა,
ისევ გაუჩნდეს გემო მაჭარის...

როგორც ვეშაპის მრისხანე სუნთქვა,
ზღვის წყალს რომ ამღვრევს ლევიათანი...
როგორც ხანძარი ტყეს მოდებული,
როგორც ზვავები მთიდან ეშვება,
კლდეზე ლოდები დაგორებული,
და ვულკანების ამოხეთქება...
რალაც ისეთი სიმძაფრე მინდა,
რომ დამიმშვიდოს ცხელი სხეული...
ვით მეტეორის დაცემა ციდან,
და გველეშაპი მკერდშემსხვრეული...

რწმენა

სამეფო გვირგვინს ვერ წამართმევს
მე დღეს ვერავინ...
მთელი ლაშქრები რომ მოუხმონ,
რაც კი არსებობს...
მე დავამარცხე მტრებიც,
ჩემი ბედისწერანიც,
და სანამ ვინმე შემებმება,
ღმერთი ახსენოს...
მე ჭაღებივით გავანათე
ყველა ვარსკვლავი,
ბნელეთს და წყვდიადს
შევაგებე ჩემი კოცონი,
უკიდევანოდ გადავფინე
ჩემი ტატამი,
და პოეზია დავახვედრე
ქვებს გამოსროლილს...
აჰა, დალეწეთ,
ნებას გაძლევთ,
თუ სურვილი გაქვთ,
ჩემი ღირსება სიცოცხლეზეც
არ იყიდება...
რაც უნდა სული გადაიქცეს
ლოდად, ტკივილად,
არ მიძებნია სიცოცხლეში
ყალბი დიდება!
ჩემი მერნები ახალ-ახალ
გზებს მიჰკვალავენ,
იქ სადაც ფეხი არ დაუდგამს
დღემდე არავის...
მე ცად ასული არწივები
დამიფარავენ...
და მყინვარები შემივსებენ

წელთა დანაკლისს!!!

რა გამომიყვანს

ვცდილობ საკუთარ თავს გადავახტე,
არაფრით გული არ გავიტეხე...
ახლაც ყისმათი ჩემი დავრახტე,
დეზი ვკარი და გადავიჩეხე...
რა გამომიყვანს ახლა აქედან,
ჭაობში ვარ და ხავსს ვეჭიდები...
ყველა ბაყაყი მე მომაჩერდა,
ყველა გველი და ყველა ხვლიკები...
ისე კი ჩემთვის დღეს სულერთია,
გველი მიკბენს თუ კოლო ან კელა...
ერთ ყურში შედის, რასაც მეტყვიან,
და მეორედან გამოდის ყველა...
ამ ჭაობშიაც, ამ ჭაობშიაც,
რადაც ლამაზის მოლოდინში ვარ,
თუმცა, მგონია ბაყაყებს შიათ,
ააყიყინა უცბად შიმშილმა...
გამოვიყენე კროლი და ბრასი,
გამოველ კანზე ვარ დაგესლილი,
ამივსე შხამით და მომე თასი,
უნდა დავუსვა ჭაობს წერტილი!!!

მონატრება

განწყობა მაქვს, არა დროის მიხედვით,
არა, არა, სულ სხვა რამე მხიბლავს...
ველოდები როდის დამესიზმრები,
და სიზმარი რომ გაგრძელდეს დიდხანს...
თორემ დრონი ისეც შემოაღებენ,
კარს და ჩვენს წინ მოჰყვებიან რიალს...
ძველ ტკივილებს ისევ გამიახლებენ,
და ისინიც დაიწყებენ ჭრიალს...
რად ჭრიალებს, რად ჭრიალებს ნატვრისზე,
ვიღაც თურმე ამ ძონძებსაც მარცვავს...
თითქოს მკერდში ცხელი ტყვია ჩამისხეს,
მოდის, მოდის, მინდა შენი ნახვა!
მოდის, იქნებ, შენ რომ გნახო დავმშვიდდე,
არ დამჭირდეს ნატვრის ხემდე მისვლა...
მიგიწვევდი გაზაფხულის ნადიმზე,
დავტკბებოდით ყოველ დილა სისხამ...
შენ ყვავილი, მე ყანწი და ქვევრები,

მონატრება გაზაფხულის მსგავსი...
სიყვარულით დახეთქილი ვენები,
ტკბილი კოცნა გადაცვლილი ვარდში...

ვიოლინო

ჯერ ამინდს ჩვენთვის არ სცხელა,
მოწყენილია ცა...
არა სურს თვალის გახელა,
არც შეატოკებს ფრთას...
რა პაემანი, რის კოცნა,
სევდის სასმელით ვთვრები...
რის გაზაფხულის მილოცვა...
მცირა, ვერაფრით ვთბები...
ისევ მუსიკას ვაკვივლებ,
აყოლ-ვაყოლებ ხემს...
ეს ზღვა გადმოდის ნაპირებს,
რადაც აცოფებს ზღვებს...
ნუ გაყუჩდები, იბღავლე,
მეც ვემუქრები ზღვას...
წაილე ჩემი სინაღვლე...
სისხლს რომ ყინავს და კლავს...
წაილე ჩემი ფიქრები,
ტვინს რომ ბურღავს და ჭამს,
ეს მოწამლული ისრები,
თვითონ იპოვის გზას!
ცაო, ნუ დაინისლები,
ნეტა, რას ელი სხვას!!!

ველარ მნახავ

დღემდე ვერსად ვერ გავექეც,
თითქოს ცხადში ვხედავ სიზმარს...
გავურბივარ მე შენს მეწყერს,
შენს სიყვარულს გავურბივარ...
ეგ თვალები კაშხალია,
აახელ და გახსნი კაშხლებს...
მე კი ველი რახანია,
რომ თვალებში ჩამისახლებ...
ნუ წამლეკავ, ნუ წამლეკავ,
მე არა ვარ ამის ღირსი...
მთვარემ ჩხუბი ამიტეხა,
წუხელ შენი თვალებისთვის...
შენ მთვარისთვის, ნეტა, რა ხარ,

მე არაფრად რომ არა მთვლის...
ველარ მნახავ, ველარ მნახავ,
მეც მთვარეზე გადავსახლდი...

მზე თითებზე ითვლის დღეებს

ედავება ველებს ქარი,
მზეც უყურებს ამრეზილად...
მოტეხილა ნაზამთრალი
მიწა სულმთლად დახეთქილა...
ჯერ ხეებიც დგანან შიშვლად,
ჯერაც ისევ სძინავთ ტყეებს...
სხივებს ყიდის მამასისხლად,
მზე თითებზე ითვლის დღეებს...
ვერ იპოვი ვერსად ყვავილს,
მიწას სისხლი ჩაქცევია,
ნაფუძვრებში დადის ყვავი,
ფეხებს ადგამს კლანჭებიანს...
ყვავი, ალბათ, კაკალს ეძებს,
იპოვის და ცაში წავა,
ჩამოაგდებს ხევში ქვებზე,
თავის საქმე იცის ყვავმა...
შორს ძაღლები აღავლავდნენ,
გაელვიძათ საკვამურებს...
ეგებ ტკბილი მითხრა რამე,
რომ მოუხდეს გაზაფხულებს...

ჩანახატი

ეფერება შველი ირემს,
შველი ირემს ეფერება,
დაძმებრით თანშეზრდილებს,
დაშორება ეძნელებათ...
ტყეში ბევრი ვინმე დაძრწის,
კაცი, დათვი, მგელი, ტურა...
მოერიდნენ უნდა არწივს,
ცას რომ ჰკვალავს მედიდურად...
ეძებს, ეძებს შველი ირემს,
ფრთხილად ადგამს ნაბიჯს ქედზე,
და ირემიც თავს აიღებს
მიხატული მთვარით რქებზე...

აქ ყინულეთში

ერთ დროს აქ იდგა
უმალესი თეთრი მწვერვალი,
ყინულოვანი ციცაბონი
ცადაწვდენილი...
თოვლის საფარი
ანათებდა ზეცას მზესავით,
და ხეობები ქუხდნენ
ქარაფს გადაფრენილი...
მუზებს მოვუხმობ
და ღამეში, როცა ციალით,
ცად ვარსკვლავები დასხდებიან
ღამის სტუმარნი,
როცა სულ ოდნავ მიყუჩდება
ზვავთა გრიალი,
მინდა ეს მთები გახდნენ
ჩემი თავსასთუმალი...
აქ ყინულებში გამითხაროს
მეხმა სამარე,
მომასვენებდეს ანგელოზთა
თეთრი კრებული...
ჩემს ზემოთ ორბნი დაფრინავდნენ,
ჰკრავდნენ კამარებს,
და ქუხდნენ მთების
მდინარენი განრისხებული...
ცივი ვარ, როგორც,
ზამთრის ღამით მშვიდი მყინვარი,
ამ ყინულებში დიდებულად
რეკს რექვიემი...
დუმს მყინვარწვერი,
ძველებურად გაუცინარი...
და აკრთობს სხეულს
მედიდური მისი იერი...

არ შემძლია

დაგპირდი, მაგრამ არ შემძლია,
ვერ აგისრულე დანაპირები...
გეტყოდი, თითქოს ტყვია გისვრია,
მე კი შენს მოკვლას არ ვაპირებდი...
და თუკი ჯერაც სისხლი ცემს ძარღვში,
მე გულს სიავეს ვერ გავაკარებ...
ვერ გავიზარდე, მე ჩავრჩი ბავშვში,
და დღემდე მის გულს თუ დავატარებ...
შენც კარგად იცი, ვერ შევცვლი დღეებს,

დღეები მოჰგავს დღეს პანაშვიდებს...
მათ სიყვარული გადამამტერეს,
მეც ბოროტების ვგავარ ნაშვილებს...
და მეც არ ვიცი, ვის დავდო ბრალი,
ვინ გამიძარცვა ფიქრთა სამეფო...
სული, რომელსაც გაუჩნდა ბზარი,
ბზარი, რომელიც გულს გადაედო...
მითხარ, ვის ვენდო, ან ვის გავანდო,
ის რაც სათუთად შემოვიინახე...
მიღალატია? არა, არასდროს,
დრო კი ჭრილობებს მუდამ მიახლებს...
დაგპირდი, მაგრამ არ შემიძლია,
მე ბავშვობიდან მძულდა სიავე...
დღენი, ვერაგნი, ვენებს მიხსნიან...
გთხოვ, ტკივილები შენ დამიამე...

არ გეკრძალები

როგორ მომწონხარ, სახელს ვერ ვამბობ,
არ მინდა გავხდეთ ჭორის საბაბი...
შენს სანახავად არცა მრჩება დრო,
თუმც, რომ გინდოდეს, თვითონ მნახავდი...
ვიცი, როგორც კი მოიხედები,
ჩემს დაჟინებულ მზერას აწყდები...
კი, ვფიქრობ, ვფიქრობ, სად ვეკვები,
ჰო, ხშირად გამკრავს ეს გულდაწყვეტილს...
მაგრამ რა ვუყო, შენს თმებს, ჩანჩქერად,
რომ იკითხება როგორც ნახატი...
თან ისე სწრაფად აისხლექ მზერას,
წამსვე გავრბივარ მეც ჯანდაბაში...
და ჩემს გარშემო ქალთა ბორიალს,
რომ ვეღარ ვამჩნევ შენი ბრალია...
ატმის ყვავილის კანი გქონია,
ყელი კი, ალბათ, ღვთის ნათალია...
და თუ გაშიშვლებს ჩემი თვალები,
როგორ ვიარო თვალდახუჭულმა...
არ გეკრძალები, არ გეკრძალები,
მაცოფებს შენი მკერდის ჩუქურთმა...

უთოვია

უთოვია წუხელ ისევ,
ისევ თურმე უთოვია...
წუხელ ისევ დამესიზმრე,

მაგრამ იყო ისევ გვიან...
ვიცი, გნოლი გნოლს დაეძებს,
კაკაბი კი ეძებს კაკაბს...
მოტმასნილი ბროლის მკერდზე,
გიხდებოდა ღამის კაბა...
თოვლი იყო ისე ნაზი,
ისე ნაზი, როგორც ია...
გადასხმოდა ცას ემბაზი,
ცას კარიბჭე ჰქონდა ღია...
ვარსკვლავების ლურჯი ეტლით,
დაფრინავდა ობლად მარტი,
სიგარეტის სერი ფერფლით
გავსილიყო მთლად ლარნაკი...
და იწოვდა ღამე ნოტებს,
ისრუტავდა აზრებს ჩემსას...
ალბათ, შენზე თუ მამოდებს,
რა ღამაზი კაბა გეცვა...

ნათლია

დაბადებულაც არ ვიყავ, ალბათ,
პირველად მზეს რომ მოვკარი თვალი...
ასე მგონია, რომ მზემ მომნათლა,
რომ, მართლაც, ჩემი ნათლია არი...
მაშ, რატომ მიყვარს, მზე რომ ამოდის,
და თავის სხივებს გაშლის მარაოდ...
რომ არ ჩავიდეს არც საღამოთი,
კი ვთხოვე, მაგრამ, მითხრა, არაო...
დღეს კი ღრუბელმა ზეცა დაფარა,
იწვიმ-ითოვა, ცოტაც მოსეტყვა...
და დავრჩი ისევ სევდის ამარა...
ისევ, შენ, ალბათ, შენ თუ მომხედავ...

რომ ვეღარ იმკი

რა კარგი მყავხარ, რა კარგი მყავხარ,
ღამაზი, სათნო, თბილი, კეთილი...
მე კი ვერაფერს ვერ გეტყვი ახალს,
ვარ ცხრა მთას იქით გადახვეწილი...
კი, ვიცი, ვიცი, არაფრად ფასობს,
რომ სათნოებას ფერი არ ადევს...
რომ არც სიკეთე არავის ახსოვს,
რომ ვეღარ იმკი, მას, რასაც დასთეს...
რომ სიყვარულიც ხელგამოწვდილი,

შეშინებული დადის ქუჩაში...
წაეებდება ვინმე მოცლილი,
შეთორევს სადმე ღვინის ღუქანში...
საოცარია ის იყიდება,
ის იყიდება რაღაც გროშებზე...
და კახაბდეცეულს ძველი დიდება,
გადაცვლილი აქვს დღეს მრუშობებზე...
ღირსებას? სანთლით ვეღარ იპოვი,
ის მიმხრჩვალა და სულსა ღაფავს...
და დროის ყალბი ქორონიკონი,
რასაც კი ასწრებს, ყველაფერს მარხავს...

შენ დამრჩი მარტო

შენ დამრჩი მარტო, იქნებ გწყინს კიდევ,
რომ არა გტოვებ, რომ არ გეშვები...
ალბათ, შენ, მართლაც, ვერ დაგივიწყებ,
ვერც მიგატოვებ, ვერც გაგეცლები...
მაგრამ, იქნებ, მეც, ღმერთი დამცინის,
გადამიკეტე იქნებ აორტა,
და შენი სულის დიდი ნაწილის,
სისხლი, ველურმა ძაღლმა ალოკა...
მაგრამ, ძვირფასო, როგორ გავექცე,
ძალდი იქნება თუ სხვა ცხოველი...
იქნებ და ტკბები იმათ ალერსზე,
ჩემგან კი მხოლოდ ტანჯვას მოელი...
სულ ტყუილია, სულ ტყუილია,
ცის კიბე გინდა თუ ზღვების ხიდი...
ან ბეწვის ძაფზე ვის გაუვლია,
უკვდავების წყალს არავინ ყიდის...
შენ დამრჩი მარტო, გავიმეორებ,
დაუკრეფავი ვით ვაზს მტევნები...
როგორც ლეღვები ლეღვის ხის ტოტებს,
მოწყვეტა რომ გასურს, მაგრამ ვერ სწვდები...

ბედნიერება კოცონია

არ მიმატოვო,
რომც შემიჩნდეს ამაოება,
თუნდაც წიხლი ვკრა ამ ცხოვრებას,
ამ უპატრონოს...
ჩემს სულს ობივით
მოსდებია გაუცხოვება,
მაგრამ შენ ერთმა,

შენ არ მინდა,
რომ მიმატოვო...
ბედნიერება კოცონია,
ერთხელ აანთებ,
აგიზგიზდება,
აინთება და ჩაიწვება,
ვერ გამოვიცან
რად მოვედი ამ ქვეყანაზე,
ან ჩემი სული
ამ ნაცრისფერ კვამლს სად მიჰყვება...
არ მიმატოვო,
რომც ძალღივით თოკზე ავეშვა,
თუნდაც ავეფუდე,
თუნდაც ღრენა-კბენა დაგიწყო,
ეს მე კი არა,
ჩემი ხელი მოგეალერსა,
ეს მას უნდოდა
შენი ხვევნით რომ დამტკბარიყო...
არ მიმატოვო,
კიდევ ერთხელ გაგიმეორებ,
მთელი წარსული
მომავალზე ფიქრმა გახარჯა...
ყველა სამყარო,
ყველა ერთად რომ ინგრეოდეს,
არ მიმატოვო,
ვერ ვაზროვნებ,
როცა სხვაგან ხარ...

საით გარბის ეგ მერანი

ნეტა, საით მიაჭენებს,
შენი რაში ასე სწრაფად?
ალბათ, ისიც სატრფოს ეძებს,
სურს სულივით გასცდეს საზღვარს...
როგორ მინდა, მეც შენსავით,
უსასრულოდ ვაჭენებდე...
სიყვარულის მეკვლესავით
უნაგირზე ვათენებდე...
როგორ მინდა, როგორა მსურს,
ტყის ალივით მხვევდე მკლავებს...
და მოჰგავდეს რაშიც ზღაპრულს,
ცეცხლისმფრქვეველ წმინდა რაშებს...
საით გარბის ეგ მერანი,
მინდობილი ბედის ვარსკვლავს,
როგორც მთვარის ტახტრევანი.

როგორც ღმერთის ცაში ასვლა...

მე გაკოცე ყველას ნაცვლად (მარი სულხანიშვილს)

მეც ლამაზი დილა მინდა,
შენც ლამაზი, თოვლისფერი...
წამომილე მაგ ბალიდან,
ალუბლების ყლორტი ბევრი...
როცა თეთრად აყვავდება,
აფეთქდება ყველა ბალი...
ჯერ კი თოვლი კვლავ ადნება,
ხეებს ჯერაც ტანზე გახდილს...
ჯერაც ისევ ფიფქი ცვივა,
ჯერ ღამეა ისევ ცივი...
ვიცი, არც შენ არა გძინავს,
ლოყები გაქვს ატკრეცილი...
მე არ ვიცი ვისზე ფიქრობ,
რომელ ნატვრამ გაგიტაცა...
აი, ამწამს რამეს იგრძნობ,
მე გაკოცე ყველას ნაცვლად...

გაზაფხულია?

გაზაფხულია, თითქოს,
გაზაფხულია ვითომ?
ვიცი, მოსვლაზე ფიქრობს,
მაგრამ არ მოდის თვითონ...
მოდით, მოვკიდოთ ხელი,
შემოვართროთ ერთად...
კაბა ეცმევა თხელი,
ნაკემს-ნაკერი თეთრად...
ნაღდად ნასესხებ დღეთა
გასვლას უცდის და ელის...
ვხედავ, არც მიწა ფეთქავს,
არც იღვიბებენ ხენი...
ამიტომ, ჩემი აზრით,
გავულაწუნოთ უნდა...
რომ გამოგვენთოს ბრაზით,
განრისხებული თუნდაც...
მაშ, რა გაუძლებს ამდენს,
ამ ნისლებსა და თოვას...
მარტი აუშვებს აფრებს
და გაზაფხული მოვა!!!

ნუ ბრაზობ

ნუ ბრაზობ, დაიცხრე ნერვები,
ცხოვრება ჩალადაც არა ღირს...
რა მოხდა იყავი შემდეგი...
უბრალოდ, შევავსებ დანაკლისს...
შენც იცი, ცხოვრება უეცრად,
მიწაზე ბეჭებით გაგაკრავს...
კი, ვიცი, მოხვედი უებრად,
თუმც, უკან უებრად რას წახვალ...
გაგაბამს, ნამდვილად გაგაბამს,
საცოდავს, როგორც თევზს ბადეში...
წაგიღებს, შორს, სადმე, ჯანდაბას,
როგორც კრავს, არწივის ბრჭყალებში...
და იტყვი, ჰო, იტყვი, ნამდვილად,
რაც მოხდა, რომ შენზე ახია...
მას, რასაც ცხოვრება დაგპირდა,
იმედის ჯურღმულში მარხია...

კობას დედას, ანუ ჩემს მეუღლეს...

მე არ ვიცი სხვა დედა,
ასე თბილი ბავშვთან...
ისე დაუძახებდა
მე მივრბოდი მასთან...
ბავშვი ყველა ცელქია,
დედა როგორ გაზრდის,
ხმა რომ არ აუწიოს
ერთხელ ცხოვრებაში...
შენ კი როგორ გაზარდე,
იმ არეულ დროში,
სიყვარული გადასდე,
ფერებით და კოცნით...
ალბათ, ბევრი დედები,
დედად იბადებიან...
კარგი დედა იყავი,
დღეს ხარ კარგი ბებია...

ამინდია...

მე ამ ქარსა და ყინვაში,
ალბათ, წვიმას ვინატრებდი...
სიყვარულის ჩაძირვაში,

თამადაობენ მუდამ მტრები...
ქარი კიდევ უსტვენს, წივის,
აივანზეც დარბის, მგონი,
ამლიერებს ჩემს ჩუმ ტკივილს...
როგორც ორკესტრს საქსაფონი...

მყინვარს

იმ ქარიშხლების მომეცი ძალა,
აქ, ამ მიუვალ მთებში რომ ბუდობს...
მომეცი სუსხი, და, მაშინ წავალ,
წავალ, რომ ვეფხვებს გავესაუბრო...
ჩემს წინააღმდეგ შეიკრას ყველა,
ჭექა-ქუხილი, ქარი, ღრუბელი,
გაყვითლდეს ზეცა, ცაში ახედვა,
იყოს საშიში და დამღუპველი...
როგორც ღმერთები, წამოდგნენ მთები,
და გრიგალებმა ბუკებს ჩაჰბერონ...
დაქროდეს ელვა ალისფერ ფრთებით,
ზღვები აყეფონ, მიწა გათქერონ...
მომეცი ძალა, რომ გავუმკლავდე,
ჩემს მიმართ ზეცის ულმობელობას...
რომ ვისაც სურდეს, იმას ვუყვარდე,
ვინც აფასებენ ჩემს გულწრფელობას!!!
რომ მეც შენსავით ყინულის საფარს
მთელი სხეულით ამოვეფარო...
რომ გულგრილობის ნადვლიან საბანს,
ვხდიდე მათ, ყველას, ვინც მსურს შევშალო!!!

მიწა და ზეცა

რა აქვთ საერთო ზეცას და მიწას?
ალბათ, ძალიან, ძალიან ბევრი...
ცას ათასობით ვარსკვლავი იცავს,
მიწას თავისი ჭუჭყი და მტვერი...
საერთო, ალბათ, უფრო ღრუბლები,
წვიმები, სეტყვა, მეხი და ელვა...
ცა არის წმინდა, განსაკუთრებით,
მიწას კი უყვარს დელგმა და ლელვა...
ცა იწმინდება, ცა იწმინდება,
ერთ წუთში, წამში, გაკრიალდება...
მიწა კი, მიწა ისე იხრწნება,
მრუშობს, ითვრება და ტიალდება...
მიწას არა აქვს ოცნების ნიჭი,

მიწა ზეცამდე ვერ ამალღდება...
მე კი უშენოდ ძალიან მიჭირს,
მანამ, სანამ სხვა შემიყვარდება...

სევდა

დღეს უკვე ისე ძნელია მიხვდე,
ღამე უმანკოდ თავს რომ მაჩვენებს...
მართლა ასეა თუ თვალებს მიხვევს,
როცა ბავშვობის დღეებს მახსენებს...
მე კარგად ვიცი, რომ ჯვარს ატარებთ,
გულით და ამ ჯვარს გულდაგულ ძალავთ,
სინანულია თავს რომ აფარებთ,
რადგან ვერაფრით ივიწყებთ ღალატს...
ვარსკვლავი ზღურბლთან ძალივით წვება,
შორს კუდის ქიციანს არა წყვეტს მთვარე...
ნიავი ღრუბელს ცოლად მიჰყვება
და საქორწინო კაბითა რთავენ...
თქვენ კი ვით წყნარი მეფის ასული
ჩემი ზღაპრების სმენით ერთობით,
სადაც მთვრალივით ბოდავს წარსული,
და მწვერვალისკენ გარბის ფერდობი...
ვიღაც თოვს აბამს ბავშვობას ჩემსას,
რომელიც თოთო კრავივით ბღავის...
სარკმლის თაროსთან მიმჯდარა სევდა
და მექორწინეთ უკარგავს ხალისს...

განწყობა

ტყუილად წვალობ, ტყუილად ცდილობ,
მე თვითონ მინდა რომ შევიცვალო...
ან თუნდაც ვინმემ რომ არ დამცინოს,
და გულგრილობა ფარად ვიფარო...
რა შორს წასულან, რა შორს წასულან,
ჩემი დარგული ნატვრის ხეები....
გვრიტმა ჯაფარას უკრიმანჭულა,
მიჭორ–მოჭორა ტყე და ხეხეები...
ბოლოქანქარა ამბავს მომიტანს,
რომ ღამეს წუხელ ენა ამოჭრეს,
რომ დადნა ტრფობის ქოხი თოვლისა,
და ფრინველებმა მგელს უგალობეს...
რომ შეიცვალა ვარდმა ბუნება,
რომ ალუბალი არ იკვირტება,
რომ ირემს რქები აღარ უხდება,

რომ ნუკრი ცოლად ტურას მიჰყვება...
რა დაგაბარეს მითხარ სიზმრებმა,
რა გაგახარებს, რისი ჩუქება...
ეს დილაც, მგონი, ისევ იჭრება,
ისევ თოვს და ნისლს ეჭურჩულება...

მე მოვიწამლე

იცით, თქვენ, ალბათ,
სულ სხვას ეძებდით,
მე ის არა ვარ,
თქვენ ვისზეც ფიქრობთ,
სხვას უკეთია ჩემი ბეჭედი...
და ვერასოდეს
მე თქვენ ვერ გითხოვთ...
კი, შესაძლოა,
ჩემთან შეხვედრა,
და არც ღიმილებს არ დავიშურებ...
ჩემს თვალებს,
მართლაც, ბევრი ემსხვერპლა,
თქვენ კი ტყუილად აშარიშურებთ...
გარიგებიხართ,
ვიცი, სინაზეს,
და თქვენს მაგიერ
ახლა ის მხიბლავს...
თქვენს გულში ცოტას გაირიჟრაჟებს,
მე კი წარსული
აწმყოს მიჩრდილავს...
თუ არ დამინდობთ
და გამიტაცებთ...
და გამხვევთ
თქვენი სურვილის ქსელში...
ვიტყვი, რომ
თქვენით მე მოვიწამლე,
და გადმოვსახლდი
თქვენს სიზმარეთში...

სხვა ვარსკვლავები

ამ საუკუნეს შევრჩით მე და შენ,
ყველა აბსურდის წლებმა წაღვეა...
მალე მე და შენც გადაგვთელავენ,
ტალღების ქაფი ოკეანეთა...
შენ, ალბათ, გესმის ქარი რომ ბლავის,

ქარს გადაჰკვრია ლიბრი თვალებზე...
და ევედრება ცას მომაკვდავი,
შური იძიოს ოკეანეზე...
მე კი, რატომღაც, ასე მგონია,
ხვალინდელი დღე თუ გადარჩება,
დაიწერება სხვა ისტორია,
სხვა თაობათა აღმოსაჩენად...
სხვაა რიტმები, შიშველ ქალებზე,
დღეს მოქმედებენ სხვა ვარსკვლავები...
შენ გაზაფხული გეფინა მხრებზე
და ქარიშხლები გჰამდნენ თვალებით...

ცარიელი ადგილი

ყველა ადგილი ცარიელია,
როცა განწყობა თითქმის ნულზეა...
თითქოს ეშმაკი ჩამცივებია,
მხოლოდ ფულზეა, მხოლოდ ფულზეა...
ვეღარ გამოველ, ვეღარ გამოველ...
დაუსრულებელ დეპრესიიდან...
გამოვიდოდი შენ რომ მწყალობდე,
ვერ გამიგია რა მოგივიდა...
გინდა, ჩემ ბაღში, ჩიტებს დაგიჭერ,
მაგრამ გაუშვი ჩიტმა იფრინოს...
შენ, აბა, ჩიტი როგორ გაგიძლებს,
ჰოდა, ცოდოა, რომ მოიწყინოს...
ასე წამები წუთებს ავსებდნენ,
და საათები ღამეს ტეხავდნენ...
მეც ყოველ ღამეს თეთრად ვათენებ,
გამომეცხადე, გამომეცხადე!!!

სარვამართო

შემოვალ იებით,
შემოვალ ვარდებით,
მე გაზაფხული ვარ
და ქალებს გბარდებით...
ან, აბა, უთქვენოდ,
სხვაგან რას გავძლებდი...
მოვდივარ, ფრინველთა
ცოცხალი ჰანგებით...
ნუ შიშობთ, ნუ შიშობთ,
თუ შეგიყვარდებით,
აღარსად არ წავალ,

სულ თქვენთან დავრჩები...
გახსენით სარკმლები,
ჩახსენით ფარდები,
როგორ შემიყვარდით,
როგორ მენატრებით...
მიმღერეთ, მიმღერეთ,
ლამაზად აგვყვებით...
შეისხით ლურჯ ფრთებზე
ეგ თეთრი ბარტყები...
შორს თქვენგან, სიცივე,
სევდა და ცრემლები,
იცინეთ, იცინეთ,
ჭიკჭიკით მერცხლების...
მაკოცეთ, მაკოცეთ!
ვინაა შემდეგი?
ნუ მიწყენთ თუ თქვენი
ფერებით ვერ ვძლები...

სხვა ხარ

მე არა, და არა,
არ მასვენებს ფრთები,
შენ მომეცი ძალა,
ავსილი ვარ შენით...
ვიცი, ვიცი, სხვა ხარ,
სხვა სინათლის მფრქვევი,
ნაკადულის ტალღა,
საიდუმლო ჩემი...
ვიცი, თავსაც ვკარგავ,
ვკარგავ წუთისოფელს...
მე მკვდარი ვარ, რადგან,
ამურებმა მომკლეს!!!

არ მებრალებით

ჩემი ცხოვრება გაშლილი ზღვაა,
მე ზღვა მიყურებს ლურჯი თვალებით...
ხან აკვანია, ხან კი რისხვაა,
თავისი თეთრი იალქანებით...
ვარ მეოცნებე, მეკობრე ბარჯით...
მკვლელი ვარ და მეც ზღვას ვეფარები...
აფრააშლილი ჩემი ხომალდით
ჯოჯოხეთისკენ მივემგზავრები...
ზღვა შემიფარებს, ზღვა შემიფარებს,

მას მლიქვნელობა არა სჭირდება...
ტანს შემომაჭდობს ძარღვიან მკლავებს,
არ ეკარება ის ჩემს ღირსებას...
მიყვარს როცაა გადარეული,
და შლეგიანი უტევს ნაპირებს,
ჩემი ხომალდი ჩასაფრებული,
მაშინ უგზავნის ხმელეთს ვამპირებს...
მეც ზღვის შვილი ვარ, მისი სისხლ-ხორცი,
ადვილად ვიჭერ რისხვის იმპულსებს,
მტერი ვარ ყველა სანაპიროსი,
სანამ ჩანაფიქრს არ ავისრულებ...
ზღვამ გამაჩინა, ზღვა გადამელაპავს,
შემოსილი ვარ ზღვის გრიგალებით...
ჩემი დევიზი არის თავდასხმა,
არ მებრალებით! არ მებრალებით!!!

იმ სიტკბოთა

იმ დღეების, იმ ღამეთა,
იმ სიტკბოთა მითხარ რამე...
ჩვენს გულებზე რომ გამეფდა,
იმ დღეებზე მეჭორავე...
თავს მოვუყრი დილის ღმერთებს,
მათთან ერთად ავწევ ჭიქას...
გარეთ თუნდაც ძალი ყეფდეს,
ქარი ლეწდეს ღია ჭიშკარს...
მომახურე ეგ ტკივილი
შენ რომ ასე გიშლის ნერვებს...
ყველგან შენი დარდით ვივლი,
შენი კვნესით დავიკვნესებ...
მომაპკურე, მომაპკურე,
ეგ ცრემლები შენ რომ დაგდის...
ალბათ, გასულ დროს გაპყურებ,
ანდა ფინალს ჩვენი ზღაპრის...
გულს გაგიღებ, როგორც წინათ,
სიყვარულის ავხდი სარქველს,
სადაც ჩვენი კოცნა ბრწყინავს,
და საოცარ სხივებს აფრქვევს...

მე თავი მომჭრეს

მე თავი მომჭრეს,
გილიოტინას,
ჯერაც აცხია სისხლის წვეთები...
რა ყინულივით ცივია რკინა,

ცივია ჩემი გილიოტინა...
მე თავი მომჭრეს,
მე თავი მომჭრეს,
არ უკანკალებს ჯალათს ხელები...
მე თავი მომჭრეს,
ღმერთია მოწმე,
საკუთარ გვამში დავეხეტები...
მე თავი მომჭრეს,
ვერ ავიტანე
და ამიტომაც გარდავიცვალე...
ჩემო ძვირფასო,
მე თავი მომჭრეს,
მოდის, მიშველე, რამე მიწამლე...
არავინ დამრჩა
ახლა შენს მეტი,
ყველა მკაცრია,
ვინ დამიყვავებს...
მე თავი მომჭრეს,
ვიყავ ზედმეტი,
და ჩემი ტანი მიუგდეს ყვავებს...

ეს მან გაკოცა

ასე მგონია, სულში ჩამხედეს,
შემოანგრიეს მისი კედელი...
მეც ვაპატიე ეს სითავხედე,
დაინგრეს თუა დასანგრეველი...
მე კი, პირადად, არ შემძლია,
საკუთარ სულის მზარავს ყურება...
სულელები ხშირად ვენებს იჭრიან,
თუ უღალატეს მათ ერთგულებას...
შენ მაპატიე, თუ უნებურად,
არ ცოდნის გამო საზღვარს გადმოვცდე...
შენ ჩემი სული გესაუბრება,
ეს მან გაკოცა, მე ვერ გაკოცე...
თუმცა, ვინ იცის, იქნებ ჩემიც ხარ,
ჩემზე ააგე რწმენის კოშკები...
სულს ჩემს გარეშე აურჩევინარ,
ჰოდა, მისია შენი კოცნებიც...

არ მემეტები

არ მემეტები,
ვერ დაგკარგავ,

არ შემიძლია...
ასე მგონია,
რომ გიცნობდი
მთელი ცხოვრება...
და თუნდ ღმერთებიც
ჩამოვიდნენ
ვერ დამიშლიან,
მსურს ცხელი სისხლი
გააციოს
შენმა კოცნებმა...
და თუ მდინარეს
უერთდება
ნაკადულები,
ვერ გაექცევი
ყველაფერი
ბუნებრივია...
თუმც, გამიგია,
რომ ხდებაო
სასწაულებიც,
იმ შემთხვევაში,
ალბათ, ბოლო თუ კეთილია...

მემკვიდრე

შეავსებს ღამე
ერთ ფურცელსაც კალენდარისას,
გადაჭრელებულს
ძახილის თუ კითხვის ნიშნებით...
შენ მართალი ხარ,
იქნებ, არც ღირს, მართლაც, გარისკვა,
და ყველაფერი თამაშია
ფლირტის სიტყვებით...
მაგრამ გნახე და
სული უკვე ისე აიჭრა,
როგორც წაგებულ თამაშისას
ყველა ვიჭრებით...
შენ კი ნიავი
გულწასული გარიჟრაჟისა,
ჩემს მამულებში
ფოცხვერით შემოიჭერი...
ასე მგონია,
მემკვიდრე ვარ მეფის ტახტისა,
და უფლისწულნი
სამეფო კვერთხს მეცილებიან...
და სანამ ჩემ მტრებს დაატყდებათ

ჩემგან თავს რისხვა,
ხელი მომხვიე,
ეგ მკლავები მეტკბილებიან...

დილა

ისევ სიცივით დასუსხული
გათენდა დილა,
და განთიადმა ჩემს ეზოში
გადმოაბიჯა...
ცისკენ აწვდილი კიპარისი
დგომით დაღლილა,
ლელვმა ალუჩას ყლორტს
კურკები ამოაგლიჯა...
მთვარეს გაეზა, მზესთან ერთად,
ჩემზე ქილიკი,
თმაგაჩეჩილი სიყვარული
სადღაც გარბოდა,
და მოდიოდა სიძულვილი
ქარის ბილიკით,
რომელიც დიდხანს აქ არავის
აღარ ახსოვდა...
მეც შევიკეტე ჩემს ოთახში
როგორც ველური,
ჩემს მაგიდაზე მომტვრეული
რქები დავყარე...
რას ვეჭიდები, გავიფიქრე,
წყალწალღებული,
განა რაიმე ეშველება,
ვითომ, ამ მხარეს?
ადრე ჩემს ბაღში სურნელება
იდგა იების,
ჭერმის ყვავილი ჩიტბატონას
თავს აწონებდა,
იმუქრებოდნენ ეკლიანი
აკაციები,
და კაკალი კი აპირებდა
გაბატონებას...
ახლა ყველანი მიყურებენ
ყურჩამოყრილი,
მაკვირდებიან სიძულვილი
მეც თუ შემეხო...
ის კი მრისხანედ დააბიჯებს
თოფამოჩრილი,
დგება, მიმიზნებს და გასროლა

აყრუებს ეხოს...

მიდის, მიდის...

შემომიჩნდა ისევ შენი ნატვრა,
ვაგდებ, ვთათხავ, ის კი არსად მიდის...
სიყვარული არ მქონია აზრად,
რადგან, მხოლოდ მეგობრად გთვლიდი...
ვებრძვი სევდას, შენი ნატვრის დაქალს...
ღვინის ჭიქას შენი ცრემლით ვივსებ...
ცეცხლს ვუკიდებ შენი ხსოვნის ფარდას...
და მორევში ვახრჩობ ფერად სიზმრებს...
შენ კი, მგონი, არც კადრულობ ჩემთან,
ამ უიღბლო სიყვარულზე კამათს...
ნისლს ვკითხე, ნისლს პასუხის შერცხვა...
ღრუბელი კი, ალბათ, მოსდებს ქალაქს...
მიდის, მიდის, სიყვარულის ეტლი,
მიდის ცისკენ, მიაგორებს ღალატს...
წყვილის ნაცვლად, წყვილის ნაცვლად კენტი,
სევდით სავსე სიხარულის ნაცვლად...

მესიყვარულე

მესიყვარულე,
მივალ სადაც ნისლის ქარები,
სინანულის ვალსს ასრულებენ,
ღრუბლებთან ერთად...
სადაც, ძვირფასო,
საუკუნეს ჰგვანან წამები,
სადაც წყვდიადიც სინათლეა
და მოჩანს თეთრად...
მესიყვარულე,
გამიფანტე,
მოდი, ნაღველი,
ჩემს გავლილ დღეებს
ჯანღებევით რომ გადაჰკვრია...
მესიყვარულე,
მე არა ვარ დაუნახველი,
ყველა შენს კოცნას
დაერქმევა,
მართლაც, რაც ჰქვია...
მესიყვარულე,
თუნდაც, გასკდეს ზეცა ღრიალით,
ჩამოგვალეწოს

ერთად რაც კი რამ გააჩნია...
მესიყვარულე,
სანამ ძალუმს ამ გულს ფრიალი,
თორემ, ხიმ ხედავ,
ბედისწერა
შენზე მკაცრია...

ეექჰ...

მე შენ მიყვარდი,
შენ კი რატომღაც
სხვებივით ჩემგან გაცლა არჩიე...
ვერ ვხვდები ყველამ რად მიმატოვა,
მოდო, მიშველე, გადამარჩინე...
თუკი ვუყვარვარ, სადღა გარბიან,
გული მწყდება და მწყდება თვალებიც...
ვერ ამიხსნია რამ გადარიათ,
მე შევეხვეწე? მე ვავალებდი?

სურვილი გაქვს?

სიყვარულის
ღამე მქონდა,
თეთრი,
თეთრზე–თეთრი ღამე...
თითქოს,
სულშიც ღამდებოდა,
სულს გაჰქონდა სიკამკამე...
ვინ, ვინ არის,
რომ ჩემს გამო,
დღეს ჩემსავით
არა სძინავს?
ვინც სიზმრებში პატარძალობს,
ვინც ჩემს გამო
მოიწყინა?
პატარაა, პატარაა,
მიწა,
როგორც მარგალიტი...
ჩემი ნახვა განა რაა,
სურვილი გაქვს?
მე დაგიცდი...

აქ სხვები მოვლენ

ნუ გაიფიქრებ, ნუ გაიფიქრებ,
რომ ჩამოგენგრა თავზე სამყარო,
სხვას შენზე მეტად უჭირდეს იქნებ,
სხვაც ჭაობიდან ამოსვლას ლამობს...
ბევრიც რომ ჰქონდეს სურვილი ღამეს,
სულ თვითონ იყოს და მან იმეფოს...
უნდა გათენდეს, უნდა განახლდეს,
და კვირტმაც უნდა ამოიხეთქოს...
ჩვენ არ ვიქნებით? აქ სხვები მოვლენ,
ასეა, მოვლენ, სხვები შეგვცვლიან...
და ისტორიაც გამოასწორებს,
იმას, მე და შენ თუ რამ შეგვშლია...

გირჩევ არ შემხვდე (ტატას)

ნუ მომთხოვ იმას, რაც თვითონაც მსურს,
რაც ჟრუანტელად მივლის ძარღვებში...
თორემ თავხედს და ისევ თავგასულს,
ისევ ბარბაროსს დავემსგავსები...
რად გადადიან, რად გადადიან,
ხშირად წრეს ჩვენი შავი ფიქრები...
მე რასაც ვფიქრობ ზედ მახატია...
შენ კი რას ფიქრობ, როგორ მივხვდები...
გირჩევ არ შემხვდე, როცა დარდიანს,
მსურს გული ქალებს გადავაყოლო...
თორემ, ვინ იცის, შარს გადამყრიან,
შენი გულმკერდი საქალბატონო...

მე ამ დღესაც გადავიტან

მე ჩემს მკერდში გაგატარე,
შენ კი ვითომც არაფერი...
სულ არაფრად არ ჩათვალე,
სისხლი ცრემლით დანაფერი...
შემაჩეჩე შენი წყრომა,
ცივი, როგორც ყინულეთი...
უპასუხე ჩემს შეკრთომას,
ისევ შენი ცხელი დენტით...
წახველ, თითქოს, ჩემი მკერდი,
ასპარეზი იყო ქაჯთა...
სადაც მეფობს უკუნეთი
და ჩურჩული ისმის მკვდართა...
ერთს კი გეტყვი, რომ ამ მკერდში,

ღვთის ტამარი ამიგია...
სათითაოდ ყველა ლექსში,
ჩემი სისხლი ჩამიღვრია...
მე ამ დღესაც გადავიტან,
გამოვიხმობ ზამთრის ქარებს..
და მერე კი მკერდში დიდხანს,
აღარავის გავატარებ...

სიყვარულს სძინავს

სადღაც ჩემს ახლოს სიყვარულს სძინავს,
ვუცდი, დამპირდა, წუხელ, გულისსწორს...
ულამაზესი თმები უბრწყინავს,
ვერ ვწყდები ტუჩებს, სახეს უბიწოს...
სიყვარულია, ვერ გავალვიძებ,
ვერც სახელს ვკითხავ, ვერც შევეხები...
ფეხს ციცასავით ფრთხილად ვაბიჯებ,
არ ჩამივარდეს რამე შემთხვევით...
რა ლამაზია, შინდისფერ კაბას,
თითქოს ამოაქვს ზემოთ ნაკვთები...
თვით ანგელოზი გამომეცხადა,
მე მას სხვა სახელს ვერ შევარქმევდი...
როგორ მიზიდავს, როგორ მიზიდავს,
ძირს დაშვებული თეთრი მკლავები...
გამოანათა მთვარემ ნისლიდან,
მიჟუჟუნებენ თვალს ვარსკვლავები...
რა გაათენებს, რა გაათენებს,
ღამეს, ვინ იცის, საბედისწეროს...
რადაც ველური ჟინი მახელებს,
მე ერთგული ვარ და შენ კი მმტეობ...

ფიქრი

ნეტა, გამათენებინა,
ეს ღამენი ასე მკაცრი...
მე მეღვიძა, შენ გეძინა,
არა ჰქონდა ღვიძილს აზრი...
არა ჰქონდა, არა ჰქონდა,
აღარც ღამეს თავის ძალა...
ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდა,
ამეხადა თავის ქალა...
ოქროს დარგავ, ნამჯა მოვა,
შენ ომობ და ვიღაც ხარობს...
ასე, აბა, რა გამოვა...

სულ რომ ქოში ცაში ჰყარო...

რაც შენ წახვედი

რაც შენ წახვედი, ვდგავარ და ვდუმვარ,
დღემდე ბოდიშის მოხდას ვაპირებ,
საოცრად ვწუხვარ, საოცრად ვწუხვარ,
რომ ვერ გავექეც ამ სინამდვილეს...
შენს მიმართ გრძნობა რომ მქონდა, ალბათ,
ვერ დაიტევენ ჩემი სიტყვები...
ჭიამაიად შენს ხელზე ასვლა,
მსურდა საკოცნად შენი თითების...
მოდო, მესტუმრე, მოდი, მიხილე,
გადაათეთრე ჩემი ბალები...
ჰო, ერთხელ კიდევ გამიღიმოდი,
და მერე, თუნდ, ნურც დამენახვები...

მე კი როგორც ზღაპრის ჯინი

იცო, შენგან გამიკვირდა,
მაშ, სიცოცხლეს რა აზრი აქვს...
თუ გაჩენილს ქარიშხლისგან,
ქარიშხლები ტანს მასხია...
გული ათას რამეს იტევს,
თუმცა გულიც ქარიშხალობს,
გსურს, გრიგალად გადავიქცეთ,
ჰოდა, ერთად ვიგრიგალოთ...
დავუაროთ ზღვის ნაპირებს,
ყველაფერი ვტყორცნოთ ცაში...
ქარიშხლები მიაკვივლებს
გემებს მცურავს ჯანდაბაში...
მე კი, როგორც, ზღაპრის ჯინი,
ზღვაში ვდგავარ მკლავგაშლილი...
და გრიალებს ჩემი ჟინი
მოკიჟინე დარბაზივით...
შევემსხვრევი მარჯნის რიფებს,
ამღვრეული ცისკენ გავწევ...
და სამყარო რიფზე მყიფე,
შიშით თვითონ მიხსნის სარკმლებს...
გასწი, გასწი, რაღას ფიქრობ,
გწვავდეს, გწვავდეს, ცეცხლი ბრძოლის,
არ დაინდო, არ დაინდო,
დააჩნიე მიწას ტორი...

მზერა

ავიცდენ ტყვიას,
ავიცდენ ისარს,
ავიცდენ ქვასაც,
და ლოდსაც, ალბათ...
მაგრამ შენს მზერას,
ასე რომ მიყვარს,
ასე რომ მწვავს
და ასე რომ მშანთავს...
მას არასოდეს,
მე არ ავიცდენ...
მე ხომ მაგ მზერას
თვეობით ვუცდი...
როგორც ელიან
დღეებს ვარდისფერს,
მიმოზნეული
მარცვლები ხნულში...
თუმცა, ვერ ვხვდები,
როგორ ახერხებ,
ათასი ტყვია
ჩადო მზერაში...
ასე მგონია
კლდეს შემახეთქე,
არადა, გავჩნდი
ბედის პერანგში...

რას ელოდები

რას ელოდები,
რას იმეტებენ,
რას იმეტებენ
ჩვენთვის წამები?
მე იმედები
მაიმედებდნენ,
მაშინ, როცა შენ
თავს მაყვარებდი...
მაშინ, როცა შენ
თავს მაყვარებდი,
ჩემთვის ბრწყინავდა
ყველა ვარსკვლავი,
ვბლაოდი,
ცრემლებს ვაღვარღვარებდი,
როგორც ველური,

თუ უნახავი...
შენ, ალბათ, გიკვირს,
რომ ვერ გავბედე,
ის, რასაც
ასე ელოდებოდი...
რომ მე შენს ძებნას
თავი ვანებე,
რომ სიყვარულთან
ვმეტოქეობდი...
ახლაც არ ვიცი,
როგორ აგიხსნა,
სიკვდილს უდრიდა
ჩემი უარი...
მე ხომ, ძვირფასო,
ფეხი დამიცდა,
ჰოდა, დავკარგე ტრფობის უნარი...

რა მსუბუქია სული ფერადი

ხარ ანგელოზი ნაჯადოქრალი,
წინ რომ მოუძღვის აპოკალიფსებს...
რას ყვება ასე გულამომსკდარი,
შემორჩენილი ფერდობს ნატვრის ხე...
რა მსუბუქია სული ფერადი,
როგორც ყლორტიდან ჩიტის გაფრენა...
შენ ხომ არ იცი, როგორ ვლელავდი,
როგორ მწყუროდა კვლავ გადარჩენა...
მაგრამ მითხარი, როგორ გამეძლო,
სილამაზისთვის, შენ რომ ასხივებ...
შენ, ჩემთვის მზეზე უმხურვალესო,
გამასვავე და გამაარწივე...
მართლაც, როგორმე უნდა გავექცე,
სურვილს, რადგან ვერ გამიხედნია...
ჩემს ნაცვლად ღამე მოგიალერსებს,
და ცისკრები კი ლექსებს გეტყვიან...

რეტრო

ქარბორბალამ წუთისოფლის
მომიხარშა ბალამწარა...
მე ვინც მიყვარს სხვასა ჰკოცნის,
მათრახები არ მაკმარა...
ნუ, ნუ მკოცნი, გამარიდე,
ეგ ტუჩები, შენი ცხელი...

ველარ ვუძლებ ამ ამინდებს,
ამომიშრო ქარმა ყელი...
ნუ, ნუ მოხვალ, აღარ მინდა,
აღარ მინდა შენი ნახვა...
სულ, სულ სხვაგან გადავდივარ,
შენი ვარდი დაჭკნა, გახმა...
ჩემი სული მგლისფერია
და მგელივით ყმუის კიდევ...
უშენობა მირჩევია,
შენზე ფიქრის გადამკიდეს...
მე დღეს შენი ჯალათი ვარ,
შენ კი, ალბათ, ჩემი მსხვერპლი...
რამე ხომ არ დაგმართნია,
ციდან მაწვიმს შენი ცრემლი...

ჩემ სინანულზე არ გაიცინო

არ არის ჩემი არც ეს ცხოვრება,
არც სხვა, არცერთი არ არის ჩემი...
ჩემი ცხოვრება კლდეებს მოჰყვება,
და დასტყობია კლდეების ფერი...
შენ ნუ იფიქრებ, რომ ამ დღეების,
ვარ მონა, როგორც ათასი ვინმე...
მე შემახოცა ბედმა ხელები,
და ამიტომაც ყველაფერს ვითმენ...
სამაგიეროდ, რაც მომცა ღმერთმა,
რაც ბევრს არასდროს დასიზმრებია,
მე ყველაფერი გავიღე ერთად,
მე არც ტყვიები ამცილებია...
რა ცვალებადი ყოფილა ბედი,
დღეს შენა გკოცნის, ხვალ გარბის სხვისას,
და თუ, ძვირფასო, სხვებისთვის კვდები,
ყველაზე მეტად სწორედ შენ გირტყამს...
არ აიცდინო, არ აიცდინო,
არ აიცდინო არცერთი ტყვია...
ჩემს სინანულზე არ გაიცინო,
რადგან მას შენი სახელი ჰქვია...

უკვდავებისკენ

ჯერ დავაპირე
უკვდავებისკენ,
მერე, რატომღაც,
გადავიფიქრე...

და, მართლაც,
თუ კი, აქ ვერ შემნიშნეს,
იქ, მითუმეტეს,
მე ვინ მიმიშვებს...
ჰოდა, გაუშვი,
სხვებმა იფრინონ,
მე ხომ პარნასი
სულ არ მიტაცებს...
ვარდის ფურცლებიც
რომ გამიფინონ,
ყანწი მაჯახონ,
თუნდაც, პირსავსე...
დაფარფატებდნენ
ჩემს წინ მუზები,
შიშვლები,
როგორც ელინებისას,
შემომცქეროდნენ
ტკბობის წუთები,
ტკბობის წუთები
ვენერებისა...
რეებს ვწერ,
ხომ არ გადავიფიქრო?
მართლაც, რა მოხდა,
ეგებ მეცადა?
ფრთა შემოვკრა და
გადავიფრინო,
ჰოდა, დავიპყრო
წვერი მწვერვალთა!!!

თქვენი მონა ვარ...

გადაიღალეთ,
ქალბატონო,
მე როგორც ვამჩნევ,
და სილუეტიც
თქვენი ოდნავ მოწყენილია,
ღმერთი, სიცოცხლეს თუკი გვჩუქნის
მერე რად გვართმევს,
ალბათ, იმიტომ,
ბევრმა ნახოს
ეს იდილია...
ჩაძირული ხართ თქვენს ფიქრებში
და ვერც კი მამჩნევთ,
გოშია ძაღლის ერთგულებით
როგორ დაგყვებით...

ვიცი, რომ თქვენი ფიქრებიდან
გამომასახლეთ,
ალბათ, იმიტომ,
ყველაფერზე რომ გეთანხმებით...
თქვენი მონობა,
იცით, ისე მეძვირფასება...
მე წარსული ვარ,
და მე თქვენში ვხედავ მომავალს...
თქვენ ქსოვთ სიყვარულს,
ზღვად, რომელიც
ჩემს სულს ასკდება,
და რატომ გიკვირთ,
თუ ნამდვილად
თქვენი მონა ვარ?

გინდა, ღრუბლების ფატას დაგიწნავ...

ზეცაში ვიცი ერთი წერტილი,
სადაც ვერ აღწევს ხალხის ყაყანი...
სადაც სხივები მზეს ატკრეცილი,
თავს ესხმის ღრუბლებს ახალ-ახალი...
სადაც მიფრინავს ყველა ფრინველი,
როცა სურვილით ერთურთს ელტვიან...
რათა იხილონ ის სახილველი,
რაც სამყაროში ერთადერთია...
მიტხარ, შენ, ახლა, საით მიფრინავ?..
ასე მოკაზმულს საით გაქვს გეზი?..
ის ვინც გიყვარდა, არ გაგიფრთხილდა?..
თუ დაავიწყდა შენი ალერსი...
გინდა, ღრუბლების ფატას დაგიწნავ,
და ვარსკვლავებით აგისხამ მძივებს...
კაბას გაჩუქებ ქარიშხლისას,
და ისევ ისე გამოიბრწყინებ...

ქვის გული მაქვს

ქვის გული მაქვს, არ აწუხებს,
უკვე, მართლაც, არაფერი...
აღარც სეტყვა-ქარიშხლები,
აღარც თოვლი და ნამქერი...
ქვაა ქვაში ჩაჭედილი,
ბევრჯერ ჯეგეს გრიგალებმა,
ბევრჯერ გვერდებდახეთქილი,
თავდაყირა ბზრიალებდა...

მართლაც, მართლაც ქვის გული მაქვს,
არაფერი არ აშინებს...
წამოვიღე შარშან ზღვიდან,
და მაუსის გვერდზე მიდექს...

ნაღველი

თენდება დილა, მიწა სუნთქავს,
მშვიდად, უნაღვლოდ,
მე კი რატომღაც
მომრევია ისევ ნაღველი,
როგორ არ მინდა,
ეს დღეც გაქრეს ისევ უაზროდ,
დღეები ჩვენი უარყოფის
და გამძარცველი...
თენდება დილა, ჩიტის სტვენით,
წყაროს რაკრაკით,
დილის ფრინველთა
ერთმანეთზე გადამახილით,
რა საჭიროა ოცნებანი,
სულო დაწყნარდი...
კარგა ხანია ღმერთთანა დევს
შენზე სამხილი...

...

დილით მე შენი სინანული
გავფინე თოვზე,
მთლად გალუმპული,
ღამის მსხვილი,
ცხელი ცრემლებით...

არასდროს

შენ არ მეძახი,
თუმცა, გახსოვარ,
ვერ დამივიწყებ,
ვერასდროს, ვიცი...
მე, მართლაც,
შენი გული არ მქონდა...
მართლაც, არც შენი,
არც არავისი...
შენ კარგად იცი,

როგორ გათელეს,
დღეები,
როცა უნდა გვეხარა...
და უკვე, მგონი,
მიწაც ახველებს,
ყივანახველა თუ შეეყარა...
წლებმა ცოდვები
ჩამოირეცხა,
ისე უშვებდა
წვიმა ზეციდან...
მაღალი, მტკიცე,
რკინის ციხე ხარ,
აღმდგარი
ომის ცხელი ღველფიდან...
ისევ უშენოდ
მესტუმრა ღამე,
ლოგინზე ისევ
პირქვე დამაგდო...
რა მოხდა,
თუკი გაგეთამამე,
ხელი არა მკრა,
კარგი?
არასდროს...

დაისი

მზეს ეყარა ნაღვლისფერი ხორკლი,
ცა შეეპყრო დილიდანვე სევდას...
ზღვაზე ქარი ჯირითობდა შოლტით,
ტალღები კი მაგონებდა შენ თავს...
ჩადიოდა, ჩადიოდა ზღვაში,
თუ ზღვის იქით ჩადიოდა მთვარე,
თითქოს, მკლავი გამიყარა მკლავში,
და მეც, თითქოს, თავი მოვიმთვრალე...
არ დავემებ, არ დავემებ ზღვაში,
ნიჟარაში გამომწყვდეულ აღმასს,
მე ხსოვნაში ყველა ღამეს წავშლი,
შენს გამო რომ ლოცვებივით დამაქვს...
ისევ მარტო უნდა შევრჩე დაისს,
თუმც, რა ვიცი, ეგებ მოგაგონდე,
როცა სულში სიყვარული დაძრწის,
და სხეულზე ნაკვალებებს ტოვებს...

შენ თუ დამიცდი

შენ თუ დამიცდი,
გესტუმრები განთიათამდე,
რომ სიხარული მოვიპარო
შენი თვალების,
არ გაიკვიროვო თუ კოცნაზეც
გაგითამამდე,
თუ შენს მოქსოვილ
სიყვარულის ქსელში გავები...
არ გაგიკვირდეს,
თუ შემომყვა ზღვათა სიცოფე,
და გაზაფხული
მოგიკრიფო ქარაფებიდან...
არ გაგიკვირდეს
თუკი ზღაპრად გექცა სიცოცხლე,
თუ ნდომა ჩემი
ულამაზეს დღეებს შეგპირდა...
ბედნიერება,
გესმის,
უხმობს, უკვე, დაფდაფებს,
ბედნიერებას
უმანკოთა სული სჭირდება...
მე მოვალ, მოვალ,
და სურვილებს გაგიასმაგებ,
სევდიან დღეებს
გადაგიქცევ
ლამაზ სიზმრებად...

თუკი მოვკვდები

ჩემს ფიქრებს ვახრჩობ
საკუთარი სისხლის მარღვებით...
ზეცამდე უწევს
ჩემი სულის ცეცხლის ენები...
როგორც უდაბნოს
მიჰყვებიან ქარავანები...
და ცხელ ქვიშაზე
მიათრევენ კუდს გიენები...
ვამჩნევ თანდათან
ღვინო სურვილს როგორ ერევა,
ჭერიც კი ყალბი პათეტიკით
გაჟღენთილია...
აქ სადღაც კვდება
სინამდვილე, თან იწყევლება,
რადგანაც აწმყო,

თურმე, მისი ღვიძლი შვილია...
და, როგორც ვატყობ,
მეხუჭება უკვე თვალები,
სადღაც გარბიან ზეიმები,
როგორც კურდღლები...
თუკი მოვკვდები,
აღბათ, ღმერთებს დავენანები...
რადგანაც მჯერა,
რომ მათ მოდგმას მივეკუთვნები...

წავიქარიშხლოთ

წამოხვალ? სადმე წავიქარიშხლოთ,
სად მწვერვალები ცას ეხებიან...
სადაც ღრუბლები ელვას მასპინძლობს,
და კაცის ხმაზე ჯიხვნი ფრთხებიან...
იქ, ხეობებში, შენს სილამაზეს,
დაინახავენ ალთა თვალები...
სადაც ამოდის მზე მოკალმახე
და კლდის ქიმებზე სხედან სვავები...
სადაც პირქუშ და ბნელ ხეობებში,
დაღებული აქვთ ხახა უფსკრულებს,
სად ყვავ-ყორნები ძლებიან ლეშით,
და ისმის ღმერთი რასაც ჩურჩულებს...
წამოდი, მინდა ისე გავფრინდეთ,
რომ ქორებივით ზეცას გავეკრათ,
წამო გავექცეთ ამ სინამდვილეს,
და ვიმეგობროთ ქარიშხალებთან...

გაკოცებ კიდეც (ირინა ტრეტიაკს)

განა, რა არის,
ეს ცხოვრება, რომ დაგამადლო?
პირიქით, შენგან
სიყვარულის ვიგრძენ აურა...
მუხების სუფრას გავშლი,
იქნებ, შენ უთამადო,
დაკარგულ ლექსის,
მართლაც, სულაც მის საზღაურად...
და ისიც ვიცი,
მომანიჭებ უმაღლეს ტიტულს,
რასაც პოეტებს
ანიჭებენ მხოლოდ მუხები...
ზოგს სისხლი, აღბათ,

მე კი მკერდში ლექსები მიდუღს,
რადგანაც სისხლი
მე გავიღე თქვენთვის უკლებლივ...
ხოლო, მიწაზე
რაც უნდოდეთ ის დამაბრალონ,
აქ ჭორის წვიმა
მოდის მუდამ გადაუღებლად...
დამეთანხმები,
საოცარი არის სამყარო...
გაკოცებ კიდევ,
თუკი მომცემ ამის უფლებას!!!

დამიყოლიე

რაც გინდა მთხოვე, რაც გინდა მთხოვე,
დამიყოლიე რაზედაც გინდა,
სანამ გადამწვავს ეს სიახლოვე,
და შენი ცეცხლი ყოველი მხრიდან...
როგორ გიხდება, როგორ გიხდება,
ბროლის თლილ თითზე კვდება ბეჭედი...
როგორც დაისში სხივები ქრება,
და ჭიქის ირგვლივ მაჭრის შხეფები...
დამიყოლიე, თუნდ, ერთი სიტყვით,
თუნდაც, თვალებით დამიყოლიე...
მე ხომ ტყვიები მხვდებოდა მიჯრით,
მე სისხლით ვწერდი ამ ისტორიებს...
რა მოხდა, თუკი საზღვრებსაც გავცდი,
და ორბებივით ვფარავ მანძილებს...
რომ სიცოცხლეა მკვლელივით მკაცრი,
რომ ერთი ტყვიაც არ ამაცდინეს...
რა მოხდა თუ კი დაუფიქრებლად,
რაც რამ გამაჩნდა ერთად გავიღე...
რომ მტერ-მოყვარე, ყველა, სულ ყველა,
სადაც დამიჭერს, ჭკუას მარიგებს...
რომ ჩემი წილი ბედნიერება
მე პირველივე შემხვედრს ვაჩუქე...
დააგვიანე, ძვირფასო რჩევა...
მე აღმასები ვერ შევაქუჩე...

...

რა უსაზღვროა ეს მოთმინება,
რა უსაზღვროა ეს მოლოდინი...
სასოწარკვეთილს მითრევს დინება,

მიმზერს სიცოცხლე ღია მორგივით...
მინდა ვიცოდე, თუმცა ვერ ვხვდები,
როდის მოვკვდი და როდის დამმარხეს,
ზეცას ვერ ვწვდები, ზეცას ვერ ვწვდები,
ველარ ვიხსენებ საკუთარ სახელს...

გული მატკინეს

გული მატკინეს,
სასწაულად მატკინეს გული...
შენ შორს იყავი,
შენ ჩემამდე ვერ მოაღწევდი...
გადამარჩინდა,
ალბათ მხოლოდ კვლავ სასწაული,
ვით ბავშვობაში
სილამაზეს თვალს რომ ვაჩვენდი...
აქ, სადღაც ახლოს,
ყვავილები მეგულეობდნენ,
მაგრამ, ძვირფასო,
ქარი იყო უსასტიკესი,
და მე ვხედავდი
საბრალონი
როგორ კვდებოდნენ,
და მხოლოდ ქარი,
ქარი იყო ამის მიზეზი...
მერე კი ღამემ შავი ფარდა ჩამომიფარა,
და მეც ბრმასავით
დაგეძებდი,
ქარში,
თოვაში...
იმ ყვავილების გადათელვა მან არ იკმარა,
და შენც,
შენც მოგკლა,
ჩემს დამტკვერილ მახსოვრობაში...

არ მინდა შევცდე

არ მინდა შევცდე, არ მინდა შევცდე,
მე შენს სიყვარულს ვუთხარ უარი...
ჩვენ გვიან ვხვდებით ყოველთვის შედეგს,
რადგან გვაბრმავებს მისატყუარი...
რომ ეგ ბაგენი არ არის ჩემი
მე ამას მივხვდი დიდი ხანია...
ალბათ, დამცინი, როცა მიცქერი,

ვინ იცის, გულშიც კი გიხარია...
ისე მიზიდავ, ისე მიზიდავ,
როგორც არწივს ცა, და ქაჯს ჯურღმული...
ნეტა, დროს ვინმე თუ გამიცვლიდა,
ჩვენს შორის რომ დგას, დღეს გალაჯული...
დღეები ჩემსკენ ისე მოდიან,
როგორც დამრული სეტყვის ღრუბლები...
შენ, ვიცი, უსმენ სხვა სიმფონიას,
შენ, ანგელოზებს ესაუბრები...
მე კი ვერ ვუძლებ ვერაფრით შენს მკერდს,
ქალწულთა შერჩა ყელს ელვარება...
მე, ისევ მოვალ სიკვდილის შემდეგ,
რომ მოვახერხო კვლავ შედარება...

ნუ მეტყვი

ნუუ, ნუ მეტყვი,
რომ გიყვარვარ,
ან რომ მადმერთებ,
რომ ჩემზე ფიქრმა
გადაფარა სულყველაფერი...
როგორ აგიხსნა,
ალბათ, რამე გადავამეტე,
შენი სურვილი თვალს მიკრავს
და ქუჩას გასცქერის...
რა გიხარია,
ვერ ამოვხსენ ვერას დიდებით,
რომ შევუერთდე
შენს სიხარულს,
გავიზიარო...
ასე მგონია,
ჩამოინგრა პირამიდები,
და ჩემს სხეულზე
უნდა ქვებმა გადაიარონ...
მე შენი მკერდის
ცხელ ბალებში დავვხეტები...
შენ ოცნება ხარ ჩემი,
ალბათ,
სიზმრისეული...
აქ, შენს ლურჯ ტბაში
დაცურავენ თეთრი გედები,
და მაპატიე,
თუ ვერ გავხდი შენი რჩეული...

გადამარჩინე

გადამარჩინე, მე შენგან ვითხოვ,
მოდი, მიშველე, გადამარჩინე,
იქნებ წყეული მტრები დამიფრთხო,
და მეგობრებიც, ვინც მე გამწირეს...
კვლავ, თითქოს ომის ნაალაფართ,
გავსებულია ჩემი ველები,
და ყვავ-ყორნები მთელი ამალით,
მკვდრებს მისევთან გაცხოველებით...
მე დაჭრილი ვარ და ველზე ვგდივარ,
მე რახანია სისხლად ვიცლები...
მე წავიქეცი დიდი ხნის წინათ
და შემხმობია მკერდზე სისხლები...
არავინ მოდის, არავინ არ ჩანს,
მხოლოდ ყორნების ისმის ყრანტალი,
ძვირფასო, გული მე შენთან დამრჩა,
მკერდში რაც მიცემს ჩემი არ არი...
მოდი, მიშველე და გამაცილე,
მოდი, დაუსვი ამ ომს წერტილი...
გთხოვ, გამაყოლო ცაში არწივებს...
რადგან ვარ მათი გადარჩენილი...

რომ არ მომკლა

გადმოვარდნილს ჰგავხარ ჩანჩქერს,
გალვიძებულს ჰგავხარ შრომანს...
მხოლოდ ენას შემოგაჩვევ,
სილამაზით რომ არ მომკლა...
მოიტაცებს, მოიტაცებს,
შენი სახე მზეერას ჩემსას...
ლელიანში ქარი არწევს,
აკვანივით ჩვენს შეხვედრას...
როგორ მინდა, მაგ ჩანჩქერში,
შხეფებივით ჩავიშალო...
მაკვდებოდე კოცნით ყელში...
გული ტკბილად ამიჩქარო...
როგორ მინდა, როგორ მინდა,
ჩემი იყო, სხვისი არა...
ანდა, სულაც, ამ წუთიდან,
გადაიქცე შენც შრომანად...

რა იყო მაინც

გარეთ წვიმს, ვიღაც გიტარის სიმებს,
აუღერებს წვიმის წვეთების მსგავსად...
თითქოს, სარკმლებმაც კი მოიწყინეს,
სიბნელე ქუჩის ნათურებს შთანთქავს...
ზოგჯერ გაკრთება ფარების შუქი,
ძრავის ჩუმი ხმა სწრაფად მიწყდება...
ვიღაცას ჩემზე ძალიან უჭირს,
ამ ბოლო წლების გადავიწყება...
რა იყო მაინც, მე ჯერაც ისევ,
თითქოს, რკინის ხელს ყელში მიჭერენ...
ვიგონებ, როგორც კომმარულ სიზმრებს,
ძაღლებს საკბენად რომ მოგიქსევენ...
გარეთ წვიმს, ელვამ შავი ღრუბლები,
თითქოს, სინათლის ენით გაფატრა...
ზეცას აკოცა ცეცხლის ტურებით
და ნაპერწკლები მიმოაფანტა...
ასე მგონია აწმყო მიწყრება,
მომავალი კი მიმზერს მუქარით...
დამილაქავეს სისხლის წინწკლებმა,
მე რომ მზისაკენ გავკვალე კვალი...
და რაც იმ კვალში სხივები ვთესე,
უცხო ხალხი კრეფს დღეს მის მოსავალს...
ამოიკვნესე, ამოიკვნესე,
მე ვერ ვპოულობ სხვა გამოსავალს...

ხელს ნუ ახლებთ

როგორც წყალი გადაგასხან მდუღარე,
როგორც სულში ჩაგისახლონ ეშმაკი...
გაზაფხული სეტყვას მოამქუხარებს,
მე კი ვერსად ვერ ვპოულობ მეხამრიდს...
მივატოვებ, მივატოვებ ამ მხარეს,
ამ მყეფარე და მოჟამულ განთიადს...
სანამ, მართლაც, ხერხემალში გამხრავენ,
სანამ სულმთლად შემიცვლიან ხასიათს...
ქარი დაძრწის, ქარი დაძრწის ოთახში...
და აჭრილი ჩემს ორეულს დაეძებს...
უპოვია, ახვევს თავის ჩოხაში,
ახლა ცდილობს, რომ, როგორმე, გამექცეს...
ხელს ნუ ახლებთ, ხელს ნუ ახლებთ ჩემს განცდებს,
მე ისინი შობის დღიდან ვინახე...
რა ცუდია, რომ ვერავინ შემაცდენს,
დღის მეძავი ჩემს წინ სხეულს მიახრევს...
მეცინება, აქ რა უნდათ მზის სხივებს,
როგორც ფილტვებს აშუქებდეს რენდგენი...

თითქოს გულზე ღვედი გადამიჭირეს...
წამოდგომა მინდა, მაგრამ, ვერ ვდგები...
ეს ცხოვრება ელექტრონის სკამია,
შენ ზიხარ და თავზე გადგას სიკვდილი...
ყველა ცოდვა, ყველა, შენი ბრალია...
ყურში მესმის, თოთო ბავშვის ტიტინი...

მთვარეს თვალები გაჰქვავებია

უნდა დამითმო, უნდა დამითმო,
ეგ გაზაფხული მე რომ გაჩუქე...
მზემ იმედები სულ გადამიდნო,
და ამინდებმაც წაიქართულეს...
აგვიანებენ, ისევ რატომღაც,
თეთრი კვირტები ახალ რტოებზე...
ან ნაზამთრალი სული გამოჰყვავათ,
დღემდე ყინულეთს ვერ გამოექცნენ...
ცრემლები ღამის ვარსკვლავებია,
შენს ცივ თითებზე დაკიდებული...
მთვარეს თვალები გაჰქვავებია,
და მიმზერს ჩუმად გაფითრებული...

საწყაული

ჩემს საწყაულსაც, როგორც ჩანს,
გაგდებული აქვს ძირი...
მეც შემომიჩნდა ბოლო ხანს
გაუმადლობის ჭირი...
მოფორთხავს, ჩემსკენ მოფორთხავს,
თითქოს, მიმოწმებს მულამს...
მეძახის ფლიდს და ოროსანს,
მკბენს და ჩემ სისხლსა ხუხავს...
რომ გავამხილო რაცა მჭირს,
გადამიყვარებს ყველა...
იღბალიც ყურებს დამაჭრის,
ჩემზე რომ დღემდე ღელავს...
რა საწყაული, რის ბედი...
ბედოვლათობის ტყვე ვარ...
აკვუწე ჩემი იმედი,
ჰოდა, აღარცა ვღელავ...
საზრდოს ვთეს, ხოლო მოსავალს,
სულ სხვა იღებს და ჰყიდის...
რადაც კი, მაინც მოვასწარ,
რასაც საჭიროდ ვთვლიდი...

პატრიოტიზმი

მე რომ სამშობლო წამართვეს,
ის შენც წაგართვეს აშკარად...
დღეს ჩემი ვაზის წალამზე
კვლავ ყვავ-ყორნები დამსხდარან...
მე რომ სამშობლო წამართვეს,
ნეტა, მტერს რა უხარია,
სისხლი რომ მოდის არაგვზე,
ეგ ქართველების ჯავრია...
პატრიოტიზმი ბევრისთვის,
თურმე ყოფილა ნაგავი...
ყველა ერთნი ვართ ღმერთისთვის?
ერთი გვაქვს, ვითომ, ანზანი?
ან, იქნებ, დღემდე რაც იყო,
არც არაფერი ყოფილა...
ეტყობა წარღვნა დაიწყო,
ჩვენ ვხვდებით დედიშობილა...

შენ მაპატიე

შენ მაპატიე, რადგან ვერაფრით,
მე ეს საზღვარი ვერ გადმოვლახე...
არ ვიცი, იქნებ, კიდევ მეძახდი,
მე კი მიზეზი ვერ გამოვინახე...
ვერ ავუხსენი მე ჩემს იმედებს,
როგორ, რა გზებით უნდა მეპოვე...
ვერ გაგიმეტე, ვერ გაგიმეტე...
მე კი ანთებულ ზღვაში შევტოპე...
და თუ სხეულზე ცეცხლი მეკიდა,
შენ დაგაბრალეს ჩემმა ფიქრებმა...
მე სიყვარული გადამეკიდა
და ყველას ჩემზე მიუთითებდა...
მე ვარსკვლავებმა დამწვეს თითები,
როცა ისინი შენთან მომქონდა...
შენ ჩემს ნახვაზე ისე ფითრდები...
თითქოს დამედგას შენს წინ გოლგოთა...
მე საიდუმლო ვერ შეგინახე,
მე შენმა ლურჯმა თვალებმა გამცა...
მე, იცი, მოვკდი და დავიმარხე...
და ჩემი სული გნახავს ჩემს ნაცვლად...
ვერც ის გითხარი, როგორ მიყვარდი,
როგორ ვითვლიდი დღეებს, საათებს...

ვერ გაგიმკლავდი, ვერ გაგიმკლავდი,
მე შენ მომკალი და შენ დამმარხე!!!

ეს ბარათი

სიყვარული საიდუმლო ფრინველია,
შენთან რჩება, შენთან რჩება, სანამ მოსწონს...
და გრძნობებიც მის ჰამაკში ირწევინ,
სანამ გიყვარს, სანამ შენში გრძნობა ცოცხლობს...
სიყვარული ნიაგარის ჩანჩქერია,
მისი ზვირთი, მისი ზვირთი შენი სისხლი...
და თუ ზოგჯერ ცხოვრებაც კი აგერია,
ბოლოს ისევ, სიყვარულის ძალა გიხსნის...
სიყვარული ანგელოზის ბარათია,
უნაზესი ხელით ღამით დაწერილი,
ზედ რომელსაც შენი გული ახატია,
გული ისრის ბუნიკებით დასერილი...
ეს ფრინველი, ეს ფრინველი ყოველ ღამე,
ჩემს ფანჯარას, ჩემს ფანჯარას ეხეთქება...
ვიცი, ვიცი, ბოლოს მასაც მომიკლავენ...
მომიკლავენ, რადგან მუდამ ასე ხდება...
დამიტოვე, შენი ცრემლი დამიტოვე,
სინანულის ლურჯ ქსოვილში გახვეული...
ვინ ამიხსნის, რად ვეძებდი, რად ვიპოვე,
ეს ბარათი შენი ხელით დახეული...

შენ დამარიგე

გამომაცარეს ტანზე ეჭვებმა,
დიაგნოზს, ალბათ, ღამე დამიდგენს...
ისე დამჩხვლიტეს შენმა ეკლებმა,
რით ვიმკურნალო, შენ დამარიგე...
შენ დამარიგე, რომ გავერიდო,
ამ უთავბოლო სრბოლას დღეების,
როდის დადგება, ნეტა ჩვენი დრო,
შემოვირიგო მსურს იმედები...
ალბათ, ყველაფერს ისევ ავიტან,
დამარცხებებსაც მშვიდად შევხვდები,
ისევ დავიწყებ ბრძოლას თავიდან,
იმავე ჟინით თუ გამხეცებით...
ოღონდ არ დამთმო, ოღონდ მიწამლე,
რომ გავუმკლავდე ქარს და ქარიშხალს,
ნატვრები კვირტებს გამოიტანენ,
და სიყვარულიც კოცნებს დაისხამს...

შემომეყუჟე

შემომეყუჟე, შემომეყუჟე,
წვიმაში, თოვლში, სეტყვაში, ქარში...
როცა ზამთარი ჩაივლის ქუჩებს,
და გაზაფხული ყვავილებს გაშლის...
შემომეყუჟე, მინდა დაგიცხრო,
ყველა ტკივილი, შენ რომ თან მოგყვა,
როცა მაისი არა მაისობს,
როცა ყვავილი მზეს არ ამოჰყავს...
შემომეყუჟე, თავი დამადე
და გაინაბე ჩემს დაღლილ მკერდზე...
სანამ ცხოვრება ისევ აგვაგდებს
და გაგვიყენებს მოყინულ გზებზე...
სამარადისოდ, სამარადისოდ,
შემომეფარე, შემომეყუჟე,
რომ არასოდეს მოგინაკლისო,
რომ ყვავილივით მეკიდო გულზე...

აღარ ბრწყინავენ ჩემი დილები

გათენდა, არსად არ მეჩქარება,
აღარ ბრწყინავენ ჩემი დილები...
რა უნდა მითხრან შენმა თვალებმა,
ასი წელია შიგ ვიმზირები...
რა უნდა მითხრან იმ საგიჟეთზე,
მე და შენ ერთად რომ გავიარეთ...
ჩემი ფიქრები აწყდება კედლებს,
და, მგონი, მათაც კი აზიანებს...
ემშაკმა უწყის, ასე მგონია,
რომ ყველას ჩვენი სისხლი სწყუროდა...
შენამდე ახლა ისე შორია,
შენ მიმზერ სულ სხვა სანაპიროდან...
მართლაც, არა ვარ ახლა შენს გვერდით,
და შენც ტყუილად ნუ ამაჩქარებ...
ჩემი ცხოვრების ეს მონაკვეთი
აღარ არსებობს, მე ის წავშალე...

განა მიყვარდი (ქ.ბ.–ს)

განა მიყვარდი,

მე სიყვარულს ვეძებდი შენში,
ვეძებდი, როგორც
გზააზნეულ ბატკანს ეძებენ...
ვერ მივაგენი,
ჩემს სიყვარულს მე ერთი შევრჩი,
და ჩამოვკიდე,
სულ ბოლოში,
გულის კედელზე...
და ახლა, ზოგჯერ,
გაზაფხული როცა მეწვევა,
თავის ოცნებით,
ნეტარებით,
სიხარულებით,
ასე მგონია,
ის ადგილი გულზე მეწვევა,
სადაც შენ მყავხარ მიხატული
შენი ტუჩებით...
განა, რა მსურდა,
მსურდა ცოტა გამეხალისე,
ან შენს ნატვრებში
ჩემებურად გამეკალმახა...
თუმც, მართალია,
სიყვარული შენ არ მაღირსე,
მიყვარს,
რომ მიცქერ,
ამის გამო,
ასე ამაყად...

მე შენს თვალებს ვეძებდი

მთელი ჩემი წარსული
ძაფით ცაზე ჰკიდია,
ჯერ არ დაბადებულა,
მგონი, ჩემი გამგები...
ნეტა, საით მიდიან,
ნეტა, საით მიდიან,
ნეტა, საით მიდიან,
ჭრელი ფარშევანგები...
მე შენს თვალებს ვეძებდი,
სხვისას გადავეყარე,
და ვიგრძენი უეცრად
დამცინოდნენ თვალები...
იქვე სადღაც იყავი,
შენ კი არ გამეკარე,
გახვედი და ღიმილით,

გაიკეტე კარები...
ჰოდა, შენც სხვებს მიგათვლი,
მათ ვინც დროს ვერ გაუგეს,
და მოვძებნით სხვა თვალებს
მე და ჩემი ნილაბი,
მალე ქარი ატყდება
და ცას ამბავს წაუღებს,
რომ შენც მეპრანჭებოდი,
ცოტას, სხვათა მიბამვით...

მომიქსოვე, მომიქსოვე... (ტ-ს)

მიყვარს, როცა შემომივლი
და მიყურებ გულისტკივილს...
მთვარე ცაზე იწყებს ლივლივს,
ელავს თეთრად შევერცხლილი...
მტრედისფერი დასდებია
გამჭვირვალე საღამოებს...
ეგ თვალები ვარდებია,
ასე რომ ჰგავს ყაყაჩოებს...
მომიქსოვე, მომიქსოვე,
სიყვარულის ჭრელი ფარდა...
მკერდზე კოცნის კვალს რომ სტოვებს,
მე რომ ასე შემიყვარდა...
ყველა სევდა წარსულს მიაქვს,
აწმყო თვალებს აფახულებს...
ჩემს გულმკერდზე ზღვას უვლია,
შენს გულმკერდზე ნაკადულებს...

მშვიდობით

მშვიდობით,
ვერ გნახავ ვერასდროს,
ვერ გიძღვნი
აპრილის ყვავილებს...
რადგანაც მზემ
მთვარეს შეასწრო
ვარსკვლავთან
და ლამის გაგიჟდეს...
ის ღამეს
ამიტომ გასცილდა,
და ერთად
არასდროს დადიან...
მშვიდობით,

აღარც მე არ მინდა,
აქ ყოფნა,
აღარც მე მწაღია...
სად მიდის,
სად მიდის ეს მტკვარი,
სამყაროს
რატომ არ დატბორავს...
ან რატომ მიყურებს
შემკრთალი,
ყუთის წინ დახრილი
პანდორა!!!
გახსენი,
გახსენი ეგ ყუთი,
ათას წლის ურდული აგლიჯე...
უმზეო დღეებით შევწუხდი,
ეჭვებმა ძალღივით დამგლიჯეს...
მშვიდობით,
არ მინდა,
არა მსურს,
არა მსურს,
არავის დანახვა...
მოველი სამყაროს დასასრულს,
უბრალოდ,
სიკვდილს და
დამარხვას!!!

ალბათ

შენ არ გახსოვარ და მეც არ მინდა,
უბრალოდ, თავი რომ შეგაწყინო...
ალბათ, წამშალე შენი დაფიდან
და აღარა ვარ შენთვის საჭირო...
მეც ოკეანის ფსკერზე დავეშვი,
სადაც ხმელეთის ხმები ვერ აღწევს...
აქ, გამოუვალ სიმწუხარეში,
აღარ ვიფიქრებ კვლავ გაქცევაზე...
ჩემს ფეხქვეშ მარჯნის რიფი იმსხვრევა,
სახეზე მირტყამს ცივი დინება...
არც შენი სახე დამესიზმრება,
როცა სილაზე მიმეძინება...
გადავივიწყებ შენს ლამაზ პროფილს,
და ჩადგებიან სევდის ქარები,
გამივლის შენ რომ შემყარე ცოფი,
და, იცი, ალბათ, არც მეყვარები...

წუთისოფელი ხანმოკლეა

დიახ, ჩვენ, იქნებ, ერთმანეთი კიდევ დავხოცოთ,
ან ერთმანეთი სამარცხვინო ბოძზეც გავაკრათ...
მაგრამ ერთი რამ სამუდამოდ დავიმახსოვროთ,
მიწას ვერ მოკლავ, იარსებებს მიწა კარგახანს...
წუთისოფელი ხანმოკლეა, მართლაც წუთია...
დღეს რომ არსებობ, გაიხედავ, ხვალ აღარა ხარ...
და რაც დრო გადის, მით უფრო გრძნობ, რა სათუთია,
რა ადვილია სისხლძარღვების სისხლისგან დაცლა...
კარგია? თუკი სხვაზე მეტად ისიამტკბილებ,
სხვას რომ შია და შენ კი ჭამ და ჭამით ვერ ძლები...
შენ მღერი, ტკბები, სხვას კი ბედი მწარედ აკივლებს,
ჰო, ურტყამს ბედი გამწარებით და გამეტებით!!!
რა არ ხდებოდა, თავსა ჰკვეთდნენ, კოცონზე სწვავდნენ,
ერთიმეორეს და მათ ყველას ერქვათ ღვთის შვილნი...
ყველა წავიდა, ყველა ისევ ღმერთს მიეზარნენ,
ჩვენც ყველა, ყველა, ყველანი ვართ სიკვდილმისჯილნი!
ანუ მსაჯულიც, დამნაშავეც, ყველა ერთნი ვართ,
და ეს ფაშვებიც რაც არ უნდა ამოვიყოროთ,
ყველას სიკვდილი გვესტუმრება იმა ქვეყნიდან,
და გვაზღვევინებს ყველა ცოდვას სიცოცხლის ბოლოს!!!

შენ აღარ მოხვალ

შენ აღარ მოხვალ, დილა უშენოდ,
უნდა გათენდეს და დამიღამდეს...
მე კი ჩემს სურვილს მინდა ვუშველო,
რადგან ის მაინც მინდა მიყვარდეს...
შენ აღარ მოხვალ და არც მჭირდები,
მე ისევ ქარებს ავედევენები,
ჩატეხილია ყველა ხიდები,
ჩახერგილია ყველა ქედები...
უკვე მოვსხლიტე ჩემი ტაიჭი,
მზემ მთის მწვერვალებს სხივი ჩაასო
და აელვარდა როგორც ნარინჯი,
მერანი, ლამის სხივს გადაასწრო...
დრო გვაახლოვებს დიდი სისწრაფით,
ჩვენ კი მეტად და მეტად ვშორდებით,
თითქოს ოდესღაც ვნახე სიზმარი,
შენთან შეხვედრით და განშორებით!!!
ახლა ჩემს გვერდით ელავს აისი,
ზეცა სულივით მოწმენდილია...

მეც ჩემს სიყვარულს ცაში ავისვრი,
რომ შევისუნთქო ეს იდილია...

შეგრძნება

მე აღარ ვიცი, დღეს ჩემი ბედი,
საათის რომელ ისარზე გადის...
ვის მივეკედლო, ვინ დგას ჩემს გვერდით,
ისარი რომელ რიცხვამდე მაცდის...
დავუშვათ, ჩავრჩი, ძველ დროებს როცა,
რადაცის გამო ხალხი დაბრმავდა,
აღარ ისმოდა ტაძრებში ლოცვა,
ტვინი წაიღო ძაღლის ღავლაგმა...
მე ამერია ისევ დროები,
ამდენ ჭუჭყს ერთად როგორ აიღებ...
არა, მენაგვედ ვერ გამოვდგები,
და შენც ტყუილად ნუ დამარიგებ...
მახსოვს, აქ ერთხელ მზეც კი ეკიდა,
აქ კი ბჟუტავდა ნახევარმთვარე,
როდესაც სული მტრედს გაეკიდა,
შენ კი ცა ფეხქვეშ გამომაცალე...

ნუ დამაბრალებ

ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რომ არ მიყვარხარ და უარგყავი...
რომ სხვებში, თითქოს, ვეღარ განსხვავებ,
რომ ციდან გაქრა შენი ვარსკვლავი...
მე გხედავ, გხედავ, და მე მგონია,
რომ ყვავილების კაბით მოსილი,
დგახარ ჩემს თვალწინ ვით ჰარმონია,
მარადიული ანგელოსივით...
და თუნდ, გარშემო იდგას გნიასი,
თუნდ, ბრძოლაც იყოს, ცხენთა ჭიხვინი...
ამ ჩვენს უტკბილეს იდილიაში,
ვერ შემოაღწევს ჟამთა ჭიდილი...
რად ირხევინ სულის სიმები,
შენი სიტყვების პირველ ბგერაზე...
რად იბნევინ მარგალიტები,
შენს მკერდში ყოველ მოფერებაზე...
ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რაც არასოდეს არ მიფიქრია...
შენ დამიხუჭავ, ძვირფასო, თვალებს,
თუ სამარიდან შემომითვლიან...

მარტმა მოსტაცა კაბები აპრილს

მარტმა მოსტაცა კაბები აპრილს,
და ისიც დღემდე დადის შიშველი...
სირცხვილი ტანზე ფოთლებად აყრის,
ფოთლები აყრის წითელ-წითელი...
რადგან არ იცის სად დაიმალოს,
თავის შიშველ ტანს მყინვარს აფარებს,
სადაც კლდეები მოჩანს პიტალო,
მოშხუის თერგი და მოხარხარებს...
ყველა დასცინის საწყლად მობუზულს,
ყვავილებიც კი, მისი შვილები,
ცდილობს გაუძლოს ქედების ბუზღუნს,
ლამის უჭირავს სული კბილებით...
სად დადის მარტი, სად დაყიალობს,
არავინ იცის, არავის ახსოვს...
და უკრავს, უკრავს ფორტეპიანო,
შემოდის მარტი და აპრილს ახრჩობს...

რა, რა იქნება...

მე ჩემი გითხარ, შენ შენსას ამბობ,
ნაღდად სხვადასხვა პოლუსზე ვდგავართ...
შენ სილამაზით სამყაროს ამკობ,
მე კი, უბრალოდ, დაცლილი ზღვა ვარ...
გადაიფრენენ, გადაიფრენენ,
ცას გაზაფხულის ვერცხლის გედები,
რა, რა იქნება ცოტა ხნის მერე,
გაიქცევი თუ შემეგებები...

ია

არის რაღაც ჯადოსნური,
სტრიქონსა და სტრიქონს შორის...
როგორც ია ამოსული,
ქვის ლოდებზე, მარტოსული...
სევდა სულის სამოსია,
რა გამოლევს მასზე ბზარებს...
რა მოსვლია, რა მოსვლია,
რას გაუძლებს ია ქარებს...
რას გაუძლებს თოვლს და წვიმებს,
ღამეს თუკი მოაქვს სუსხი...

გადაღებას არ აპირებს,
ატანს მკერდში, ატანს სულში...
მსურს ვუშველო, ისე აწვიმს,
ღრუბელს ვწვდები, ხელს ვაფარებ...
ვუმზერ იას ჯადოახსნილს,
პლარწკი-პლურწკობს, თავს მაყვარებს...

ნუ ჩამომაგდებ

ნუ ჩამომაგდებ, ნუ ჩამომაგდებ,
ვიფრინო ცაზე, შენ, რა გაკლდება?
მე განთიადზე ავუშვებ აფრებს,
როცა ცისკარი ზეცას გასცდება...
ალისფერია ჩემი ხომალდი,
ცის ელვარებას მინდა აჯობოს...
უნდა გავფრინდე მზის ამოსვლამდის,
უნდა დავტოვო ჩემი სამშობლო...
აქ, თუკი, მართლაც, მუდამ ვმარცხდები,
და გზები ჩემთვის ჩაკეტილია...
იქ მელოდება სხვა დარბაზები,
სხვა სიყვარული და იდილია...

კვდება ბედნიერება

ის წუთები მიდიან,
ეს წუთები გრძელდება,
შენ რაც ფეხზე გკიდია,
მე ფეხებში მედება...
დღეს არავის აღელვებს,
ჩემი თავისუფლება...
მესმის, უნდა გაექცე,
შენს გამო ვინც წუხდება...
მაგრამ, როგორ წაუხვალ,
სევდას თვალებდაჭყეტილს...
სხეულს, თუნდაც საკუთარს,
გასრესილს და გაჭყლეტილს...
მას ვეღარსად იპოვი,
ექო მომცეს კედლებმა...
ბრუნავს ქორონიკონი,
კვდება ბედნიერება...
ცალი ფეხი ცეცხლში აქვს,
ცალი ზღვაში ჰკიდია...
გულში ტყვიას ესვრიან,
ზურგში ისარს სისხლიანს...

ნუ იდარდებ, შეეშვი,
შენთვის მაინც არ იყო...
ხომ წამოხვალ ქელეხში,
ჩვენი ჭირი წაიღო...

ნუ შიშობ (ტატა კვეკვესკირს)

არ დაიჯერებ, მაგრამ ასეა,
ჩემი ღიმილი ეს ნიღაბია...
გული კი, გული შენით სავსეა,
შენ ის, უბრალოდ, არ გინახია...
იცი, შენს მერე ყველა უარყავ,
რადგან შენ ყველას ჩამოეფარე,
და, ახლა, ხშირად,
ჩემს სასთუმალთან,
შენ გხედავ, თითქოს, სიზმრების მერე...
იყავი ჩემი, იყავი ჩემი,
მე შენ ჩემს სახლში, ცაში წაგიყვან...
აქ თავი არ მაქვს მე შენი რჩენის,
ცაში კი, აბა, რჩენა რად გინდა...
გადაეწვინება, გადაეწვინება,
დღეები მხოლოდ სიყვარულისა...
შენ ვარსკვლავების ქოხი გექნება,
ლამაზი, როგორც ქოხი უფლისა...
ნუ მიმზერ ასე, ნუ მიმზერ, მართლა,
ნუთუ, არც ახლა არ შემეყვარებ?
მე შენს თვალებში შევნიშნე დაღლა,
მაგრამ, ნუ შიშობ, მე შეგიფარებ!!!

შენ მე უნდა შემეყვარო (ნინას, შარაშიძეს)

დარჩეს შეხვედრა ჩვენი სიმღერად,
ასე ყინული ქრება დნობისას...
მე ბედი მაშინ გამიღიმებდა,
რომ შემხვედროდი შენს აქ ყოფნისას...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
მე სიყვარულის მსურდა გამხელა...
შენც იცი, ზეცამ ეს არ ინება,
არ ამობრწყინდა ის ცისარტყელა...
მაგრამ, ვინ იცის, როდის რა ხდება,
ვის, სად გადაგყრის ჟამთა გრიალი...
მართლაც, რომელი ნატვრა ახდება,
ან მათში ნაღდი რომელი არი...
არწივს მართვე გასჩენია,

მთაში დეკა ჯერაც ხარობს...
შენ, სხვა გზა არ დაგრჩენია,
შენ, მე უნდა შემეყვარო!!!

რაზე მღერის (ლალი მორიელს)

გაზაფხული თუ არ მოვა,
შენ ხომ მოხვალ და დაგვატკობ...
მე ვერ ვიტყვი, რომ მარტო ვარ,
როცა მღერი, როცა მათრობ...
განა რაა სიყვარული?
თვალში ცეცხლი, გულში ტყვია...
დანის პირზე სიარული,
თუ მგლის ხახა მუდამ ღია...
ამდენ რამეს გიმტკიცებდი,
შენ ჩავარდნას მაინც ლამობ,
გადაგარჩენს შენი ფრთები,
ცისკენ გზა რომ გაიკვალო...
რაზე მღერის, რაზე მღერის,
შენი სული სიზმრებისას...
სული ასე საყვარელი,
სული, ალბათ, სიმებისა...

ლოდინი

დგება ღამე და მთელი სხეულით,
მთელი სიშავით მხრებზე მაწვება...
როგორ არ მიყვარს ეს ღამეული,
ეს ღამეული გადაფასება...
შეყუჩული ვარ ჩემს ნიჟარაში,
შენი ლოდინი მკერდში წრიალებს...
ღამე კი მახვევს სევდის საბანში,
და მე კი არა, ის გრძნობს სიამეს...
ნიავეს შემოაქვს ხმაური ზღვების,
და თავზე მაყრის ამ ხმებს ბავშვივით,
ასე მგონია დაღლილი ძვლები
ჩამემსხვრა ხელში ხერხემალივით...
ასეა, როგორც, გუშინ, გუშინწინ,
ღამე მიყენებს თავის პირობებს...
და მეც ვთანხმდები, რისი გულისთვის?
რომ ჩემი ნახვა გაგიოლდეს...

რა ვენა, ასეა...

შენი თვალები
ქორებივით შემომაფრინდა,
მოურიდებლად შემომხვია
თავის ჭანგები...
მე წამოვდექი
სიყვარულის თეთრი ზღაპრიდან,
და მკრთალ სახეზე
ავხორცულად შემოგაცქერდი...
და ეგ თვალებიც აიმრიზნენ,
თითქოს დამეხსნენ,
მე კი, არადა, არა მსურდა
მათი გაშვება...
მერე, ღიმილმაც
გაიელვა შენს ცივ ბაგეზე,
თითქოს საუნჯე ამოყარეს
სარკოფაგებმა...
მე რასაც ვფიქრობ,
მაწერია შუბლზე სიცხადით,
ჩემმა სურვილმა
შენს თვალებთან შეკრა ირაო,
გთხოვ პატიებას,
ერთი ნახვით თუ შემიყვარდი,
რა ვენა, ასეა,
თუნდ, ცხოვრებაც ამიყირავო...

ნუ გეწყინება

ისევ, შენ, თორემ, ბოლო დროს, იცი,
ამ დღეებს უკვე ვერაფერს ვუგებ,
შენა ხარ ჩემი ახალი სისხლი,
ზედ რომ დაეტყო უკოცნელ ტუჩებს...
და თუმცა ჩემი აღმოჩენა ხარ,
რა მომიტანე ტკივილის მეტი,
მსურდა მენატრა, მსურდა მენატრა,
ბედნიერების მქონდა იმედი...
თუმცა, ვინ იცის, ეს სჯობდეს ისევ,
გამიფერადო დღენი უფერო;
შენთან მოკითხვებს ვაბარებ სიზმრებს,
რომ გაორებულ ჩემს სულს ვუშველო...
მართლაც არ მინდა, ნაღდად არ მინდა,
რასაც დავარქვი ბედის ცვლილება,
და თუ გველივით ჩემი კანიდან
ვერ ამოვედი, ნუ გეწყინება!!!

ახლა ისე ვარ

ბედმა თონეში ჩამაკრა თითქოს,
და შენთებული მაქვს ნაღვერდლები...
მუდამ ასეა თუ შენზე ვფიქრობ,
მეც თონესავით, ვიწვი, ვენტები...
და უფრო მეტიც, ახლა ისე ვარ,
თითქოს მიმაბეს ცაზე ჯაჭვებით,
ალბათ ვიცოცხლებ ზუსტად იმდენხანს,
სანამ გაუძლებს ჩემი მაჯები...
და ჩემი სისხლიც, სულ წვეთწვეთობით,
იღვრება მტკვარში, როგორც მირონი...
დამდგარა ჟამი უიმედობის
დაჟანგებია ცას საფირონი...

ნუ მკითხავ

დაუშვით, დაუშვით, დაუშვით აფრები,
დამთავრდა, დასრულდა, ლანდებთან ჭიდილი,
სცენაზე გადიან დაჭრილი აფთრები,
ნამდვილი აფთრები ხახადაფჩენილი...
ძნელია ბარჯას რომ სტყორცნი და გიტყდება,
ან ისვრი ათასჯერ და მიზანს აცილებ...
ტუტუც ვაცს უფსკრულში ბატკნები მიჰყვება,
ძნელია გაუძლო ამ მკაცრ სინამდვილეს...
ნუ დასცემ, ნუ დასცემ ბანაკს ამ კედელთან,
აქ ახლოს ხრამია და ცივი ხეობა...
ტყეები თავადთა, მინდვრები მეფეთა...
და ზავი, რომელიც მუდამ ირღვეოდა...

შენლა მაცოცხლებ

ვიცი, რომ ჯერაც
გაზაფხულის ლამაზ დღეს ჰგავხარ,
აკრძალული აქვთ
წლებს შენს კანზე ხელის შეხება...
გიმზერ და, თითქოს,
მივუყვები ბაღჩებს და ბაღნარს,
და შენს ბაგეზე
ბროწეულის კვირტი ფეთქდება...
გადამიყვანე,
გთხოვ, მთლიანად შენს სამყაროში,

ჩემს უკან, თუნდაც,
წაეკიდოს ცეცხლი ყველაფერს...
რომ დავივანო
ერთი წუთით მაგ შენს წალკოტში,
და ხელით მივწვდე
მწიფე მტევნის ქარვისფერ მარცვლებს...
ჯერ არ მინახავს
სილამაზის ასე თარეში,
შენს დანახვაზე
ვარსკვლავები ციდან ცვივიან...
შენლა მაცოცხლებ,
ერთადერთი, ამ სიზმარეთში,
შენ აფერადებ
ამ უფერო დღეებს სისხლიანს...
შენ ისევ ის ხარ,
მოფარფატე ატმის ყვავილი,
შენს ლურჯ თვალეებში
ვარსკვლავები ჯერაც ანთია,
შენ არ გჭირდება
გაზაფხულის ფერუმარილი,
შენ გაზაფხული
ერთიანად გაგიძარცვია...

უსამშობლოოდ

ჩვენს დროში, როცა,
რას რა ჰქვია ვერას მიხვდები,
როცა შენს სათქმელს ამბობ,
მაგრამ, არავის ესმის...
როცა თავს იკლავ არაფერზე
დაუფიქრებლივ,
არა აქვს აზრი
გაქებენ თუ ვინმე თავს გესხმის...
არა აქვს აზრი,
გიყვარს,
გძულს,
თუ ვინმეს მონა ხარ,
სად ხარ,
ვინა ხარ,
ქართველი თუ გადამთიელი...
არა აქვს აზრი,
აწმყოს,
წარსულს
და არც მომავალს...
კაცი ხარ,

დათვი,
თუ, უბრალოდ, მგლის ნაშიერი...
უსამშობლოოდ,
უმამულოდ,
იყავ ვინც გინდა,
გინდ, პრეზიდენტი,
გინდ, მეწაღე,
გინდა ხაბაზი...
უსამშობლოოდ რაა ზეცა,
რომც იყოს წმინდა,
უსამშობლოოდ
არც სიცოცხლეს არა აქვს აზრი...

მე ანგელოზის ფრთები არა მაქვს

გხედავ, ძვირფასო, თვალს არ მარიდებ,
ვგრძნობ, რომ ჩემს გვერდით ყოფნა გწადია...
იქნებ მეძახდი და ვერ გავიგე,
ან იქნებ სულ არ დაგიძახია...
მე ანგელოზის ფრთები არა მაქვს,
მე ცოდვილი ვარ, არ ვარ წმინდანი...
ეს კარგად იცის მთელმა ქალაქმა,
მიკვირს, შენ რომ ვერ გამოიცანი...
იცი, რანდენჯერ შტორმში მოვყევი,
რამჯერჯერ მფლეთდა, მკბენდა ღვარცოფი,
არ დამიკარგავს აზრი მოცელილს,
არ დამიკარგავს, მგონი, არცროდის...
იქნებ, შენ მისწვდე ჩემს ბედის კარებს,
იქნებ, როგორმე, მაგრად დახურო...
მეც შევეშვები დანარჩენ ქალებს,
რომ მხოლოდ შენ ერთს მოგემსახურო!!!

მოდი, ჩამისხი ამ ჭიქაში სევდის წვეთები

როცა მზე ჩადის და სხივები იწყებენ თამაშს,
როცა აჩრდილნი დასალიერს მოადგებიან,
შორს ჰორიზონტი მოვარდისფროდ დაიწყებს ლაღლადს,
და მთვარის სხივებს ვარსკვლავები მოაწყდებიან...
როცა მზე ჩავა და ზღვის პირი ალაპლაპდება,
როცა დაიწყებს ღამე დაკვრას სევდის ნოტებზე,
ნიჟარებიდან მარგალიტებს ამოჰყრის ზეცა,
და ჩამოჰკიდებს ქარვის მძივებს მთვარის ყლორტებზე...
მითხარ, ძვირფასო, ყოველი დღე რად მენანება,
რატომ მგონია, რომ ერთი დღით კიდევ გამძარცვეს,

რომ ძველებური სიყვარული და მხურვალეობა,
მოკვდა და ნულარ ელოდები ნულარც ამ ღამეს...
მალე ტალღები ჭინკებივით აცეკვდებიან,
მოდო, ჩამისხი ამ სასმისში სევდის წვეთები,
და სანამ ბოლო ნაპერწკლები წყალს აკვდებიან...
ზღვას შევატოვოთ მწუხარების აზარფემები...

გეძახდი, მუდამ გეძახდი...

უშენოდ დღე თუ ჩაივლის,
გინდ ყოფილა და გინდ არა...
შენ, ალბათ, ისევ აპრილის,
ყაყაჩოები გიფარავს...
ან ატმის რტოთი დადიხარ,
ვერხვის ჭალა ხარ არაგვის...
ულამაზესი სახიდან
ცისკრის ნათელი გადაგდის...
ვცდილობ და ვერაფერს გავხდი,
გახუნდა შედარებანი,
გეძახდი, მუდამ გეძახდი,
ხარ ჩემი სულის ქედანი...
თუ ყველაფერი დამთავრდა,
რატომ იღებავ მაგ ტუჩებს...
მე დღემდე გიცდი ატამთან,
და შენთვის კოცნებს ვაქუჩებ!!!

მოვკვდებოდი შენ რომ არა

შენ რომ არა,
რამდენ რამეს დაკვარავდი,
შენ რომ არა,
გავხდებოდი მაწანწალა...
სიყვარულმა ისე ბევრი მასვა ბანგი,
მოვკვდებოდი,
შენ რომ არა,
შენ რომ არა...
მზის ჭრელ სხივებს,
თითქოს, ხავსი მოსდებია,
ვამჩნევ,
ვამჩნევ,
სხივებიც რომ გაგირბიან...
ეგ თვალეები ტყის ველური ფოცხვრებია,
შიგ ზღვასავით
რომ ბობოქრობს ამბიციას...

რომელ მიწას,
რომელ ზეცას მიგაკუთვნო,
სილამაზე შენ მოახლედ გაგიხდია...
რით ამოვხსნა,
ჩემს გაჩენას რა გავუგო,
თუ სამყაროც, ლამის, ფეხქვეშ გაგიგდია...

მწუხარება

მწუხარებას როგორ გინდა გაექცე,
ექვებისგან რომ ტლინკები არ ჰყაროს...
თითქოს ლიბრი გადაჰკვრია თვალებზე,
სურს სიხარულს სამუდამოდ გამყაროს...
ნისლი მოდის, ნისლი მოდის ბალებზე,
და ჩემს სულში, თითქმის ფსკერზე ეშვება...
მწუხარებას მინდა მაინც გავექცე,
მწუხარებას ჰყვარებია შეჩვევა...
დრო კი გადის, დრო კი გადის ლიწინით,
ჟამი მდერის უკვდავების არიას...
ქარებს მიაქვს შენი ყალბი სიცილი,
მე ვერ ვხვდები, ნეტა, რა გიხარია...
ჩემი გული ღია მორგის კარია,
სადაც ყველა იმედები კვდებიან...
ჩემს ოცნებებს მუდამ რაღაც ბზარი აქვს,
ჩემს სიყვარულს მუდამ მინის ფსკერი აქვს...
არ ინახავს, არ ინახავს არაფერს,
დროს არასდროს არავისი არ ესმის...
დრო გამოხრავს ყველა, ყველა სავარძელს...
და ჩემს სულსაც მიადგება დასეტყვილს...

ექვი

ქამელეონებს, მართლაც, რა დალევს,
მე კი ვერაფრით ვერ შევიცვალე,
თითქოს წარსული ამომამზამეს
გადამთიელებს მსხვერპლად მწირავენ...
ეს პირუტყვები, თითქოს, მგლის შიშით,
საკუთარ კრავს და ცხვარსა ჟლეტავენ...
რა დროში ვიშვით, რა დროში ვიშვით?
ადრე ამას ვინ გაგვიბედავდნენ...
თითქოს მომავლის კარი ჩაკეტეს,
თითქოს დააბეს კარზე ცერბერი...
თითქოს ჩვენს სუფთა, წმინდა სარეცელს...
უცხო დაჰყურებს თვალისცეცებით...

და მეც ვერ ვხვდები, ვინ უნდა გაჩნდეს,
ან საით, რომელ ნაკვალევს გავყვე...
ყულფით ჰკიდია ზეცაზე მაცნე,
და უცხოტომელს ნელ–ნელა მაჩვევს...

მუზას

თუ შენშიც შევცდი, როგორ აგიხსნა,
აღარ ყოფილა, მაშინ, საშველი...
ვიცი, საკინძე ქარმა გაგიხსნა,
სხვა პასუხს ახლა შენგან არც ველი...
თუმცა, შენც იცი, შურისძიებას,
არც თვალეზი აქვს და არც ყურები...
თვითონ არ იცის სად იმზირება,
ტყვია ჰგონია სამკაულები.
უმანკოება შენი ფერია,
ის შენგან იღებს, ალბათ, თვისებებს...
სულ არ მინდოდა ეს მისტერია,
თუმცა, ეს, ისევ, შენ, გამიმეტე...
როგორ ახერხებ, როგორ ახერხებ,
შეინარჩუნო ასე სიმშვიდე...
თითქოს, ცოდვები ღმერთს მიანებე
და ყველა ერთად გამოისყიდე...
მე ვინ ვარ შენთვის, რას წარმოვადგენ,
სად მომათავსე, რომელ სიაში?
თუმცა, ვერაფერს ველარ მოასწრებ,
მე უკვე ჩავსვი ტყვია–ტყვიაში!!!

დილა

შემოდის დილა ნისლით, ნალველით,
შემოდის დილა ცივი სინათლით...
გავცქერ მთაწმინდას, მწუხარს, დაღვრემილს,
თავისი სევდით და გარიჟრაჟით...
და ვფიქრობ, ნეტა, ახლა რა ხდება,
მის საფლავებში, ჩვენ რომ დაგვცქერენ?
სიცოცხლე კვდება, სიცოცხლე კვდება,
მთაწმინდას ღრუბლის ქულაში ხვევენ...
ქვემოთ, კი დადის უცხოტომელი,
უცხო ჯიშის და უცხო ზნეობის...
ის რას მიხვდება, რა სასოებით,
ავგქონდა მთაზე ჩვენ კუბოები...
ვუსმენ ალბინონს, ვუსმენ ალბინონს,
ალბათ, ტირიან ანგელოზები...

გემშვიდობები სამარადისოდ,
სანთლებით ხელში გემშვიდობები...

ვნატრობ

ვნატრობ, ვნატრობ სიმშვიდეს,
რა ხანია ვნატრობ,
ვინმე ლოგინს მიშლიდეს,
სადმე მზესთან ახლოს...
რომ ზეციურ ნათელში,
ვიყო მარტოდ-მარტო,
თუნდაც მოუსავლეთში,
შევრჩე ზეცის ტატნობს...
მქონდეს ერთი პატარა
ყვავილების ბაღი,
იქვე წყარო წანწკარა,
მარწყულებდეს დაღლილს...
თავქვეშ მედოს თავთავის
გამომშრალი კონა,
ზედ მეფაროს ვარსკვლავი,
ჩემი საბნის ტოლა...
თან ქათქათა ღრუბლიდან
ფანტელები თოვდეს,
ტალღებივით მუსიკა,
ხმიანობდეს, თრთოდეს...
იდგეს თავბრუდამხვევი
სურნელება ვარდის,
იებს თვალებახელილს
მიწყვეტავდნენ დაღლილს...
იქვე ჩუმად ეძინოს
ზეცის ყველა მნათობს,
ტანქვეშ სევდა მეფინოს,
ვნატრობ, ვნატრობ, ვნატრობ...

რატომ გიკვირს

რატომ გიკვირს, თუკი მინდა,
შენი ხვევნა, შენი კოცნა...
ან მაგ შენი ტახტრევიდან
ჩემი ხელით რომ გადმოგსვა...
ვიცი, ვიცი, რომ ნაზი ხარ,
შვლის ნუკრივით ფრთხი და ეჭვობ,
გაჩენილხარ ზამბახიდან,
ვარსკვლავივით რომ აენტო...

მე კი, იცი, ველური ვარ,
მიყვარს ჯგლეთა, მიყვარს კბენა...
თავს ვერ ვიხსნი მარწუხიდან,
შენს გამო რომ შემომეკრა...
ალბათ, გავჩნდი, როგორც ჩნდება,
კლდის ნახეთქში ჩანჩქერები...
როგორც სისხლი გადმოსკდება
ცხვარს რომ ფლეთენ ღამით მგლები...
იყავ ნაზი, რას აშავებს,
ბაღში ია, ველზე შველი...
მაგრამ კოცნა დამაცალე,
თუ გატკინო, გაუძელი...

ღამე

ამ გახუნებულ, დამშეულ ღამეს,
ვერაფერს მოსთხოვ, ვერაფერს ეტყვი...
მოდის და სხეულს მოაფართხალებს,
მთვარის ფერმკრთალი, დაშლილი ეტლით...
მიყურებს თავის შავი თვალებით,
და ვატყობ სულაც არ ერიდება,
რომ გაუღია ზეცის კარები,
თან ცას არაფერს არ ეკითხება...
მთვარე თავის დისკს გადაყოლილი,
ცის კიდეს ჩუმად აჰფარებია,
და უმზერს ღამეს მწყრალი ქორივით,
ღამეს, დარცხვენილ ვარსკვლავებიანს...
სხვას რა მოვთხოვო, თუ თვითონ ღამე,
არაფრად აგდებს ციურ კანონებს...
იცის, იცის, რომ დილით მოკლავენ,
ცაზე სხივები როცა ამოვლენ...

ის მოდის!!!

აანთეთ, აანთეთ, სიცოცხლის მაშხალა,
სინათლე გადასწვდეს გრძედებს და განედებს...
ნათელმა სიბნელეს ბორკილი აჰყარა,
ის მოდის, რომ ქვეყნად სიკეთე გამეფდეს...
ის მოდის გრიალით, ზვავებით, ქარიშხლით,
ის მოდის ზღვების და ჩანჩქერთა ხმაურით...
მყინვარი ყინულის არტახებს აიხსნის,
და სივრცეს გააპობს, როგორც ბედაური...
მიეციო, მიეციო, გზა ცეცხლს და ჩირაღდნებს,
რომ დასწვას და ფერფლად აქციოს წყვდიადი...

ნუ შიშობთ, ინათებს, ინათებს, ინათებს,
უკვე მოაჭენებს მერნებს განთიადი!!!

აპრილის თვეში დაბადებულებს (ია კოს)

არ გეკითხები რამდენი წლის ხარ,
ან რა აზრი აქვს, ისე გარბიან...
ეზოში ხე რომ ალუბალს ისხამს,
ის ალუბლებიც შემოგნატრიან...
რადაც ხიბლი აქვთ, რადაც ხიბლი აქვთ,
აპრილის თვეში დაბადებულებს...
იქნებ, თოვლიან სამოსს იცვლიან,
და ყვავილივით გვიხსნიან გულებს...
იქნებ, ეს სიტყვა ბევრ რამეს ამბობს,
გადააბიჯო სურვილებს შენსას...
და გაზაფხულის უტკბილეს ამბორს,
შემთხვევით ჩემი სახელიც ერქვას!!!

არ გიცნობ (მანანა ჩხაიძეს სააპრილოდ ანუ 25 რიცხვისთვის)

არ გიცნობ, ცნობას ან რა აზრი აქვს,
ვერც საიდუმლოს ვერ გამოგტაცებ...
ჩემი სიცოცხლე ჭრელი ბაღია,
იის ცრემლებით და სევდით სავსე...
არსებობს რამე ენის უთქმელი?
არსებობს ქალი, რომ არ უყვარდეს?
შენ ჩემთვისა ხარ თეთრი ფურცელი,
ან იქნებ სულიც, სულ რომ თან დამდეგს...
გამოიხედე, გამოიხედე,
შენს თვალებს ჩემი ცნობა არ უჭირთ...
ნეტა, მაგ ფარდას მართლაც დახევედე...
ან გამოტეხო შენი ნაჭუჭი....

რა კეთილი ხარ (მედეა ჩიხლაძეს)

რა კეთილი ხარ, რა კეთილი ხარ,
რადაც უცნაურ წრეში ჩამაბი...
მთლად არ მეხები, მაგრამ ირიბად,
ჩემი გულისკენ გაქვს მისამართი...
ზოგჯერ მგონია ბედი, რატომღაც,
მიხდის რაიმე სამაგიეროს,
თითქოს წურბელა შემომამბობდდა,
თან სისხლსა მწოვს და თანაც მპირფერობს...

შენ ის არა ხარ, შენ ის არა ხარ,
ვინც ჩემგან რამე სიკეთეს ელის...
ჩემი ბალები ისე გადახმა,
ვერ მოვასწარი მე ვერაფერი...
ზოგჯერ მგონია, წლები იცდიან,
წლები თავის რიგს ელოდებიან...
ჩვენ ყველას, ყველას გამოგვიცდია,
წუთები ხელში როგორ კვდებიან...
როგორც შორს ზღვაში ქრება დაისი,
და მიაქვს სევდა დედამიწისა...
ჩემს გულთან, ალბათ, შენი ხმა ისმის,
ანდა, ყივილი ჩვენი სისხლისა!!!

როგორ მიყვარხარ

როგორ მიყვარხარ, შენ კი ვერც ხვდები,
ჩემს იმპულსებზე ღიად ერთობი...
გადაჭრილია ჩემი ვერხვები,
ჩამოქცეულა ჩემი ფერდობი...
იქ კი, შორს, სადაც მწვანე მინდვრები,
კვლავ გაზაფხულის წვიმებს ელიან,
და მოთქრიალებს კიდევ წვიმები,
და ღამეც დილის მასპინძელია...
იქ, ნაფუძვრებში მინდა გელოდო,
როცა გათბება მიწა სხივებით,
მე სიყვარულის ღმერთთან ვმეგობრობ,
მაგრამ პაემნებს შენ ეცილები...
როგორ გნატრობდი, მზედაკრულ ლოყებს,
ჩუმი უბეში შევინახავდი...
მიყვარხარ, აი, ეს ცაა მოწმე,
ვკვდებოდი, მართლაც, სანამ გნახავდი...

სურათი

მინდა გჩუქნიდე რაიმეს, თუმცა,
არაფერი მაქვს სიტყვების გარდა,
ჩემი ცხოვრება გაფრენას ჰგავდა,
სივრცეებს იქით, სამყაროს გულთან...
ჰგავდა და, ალბათ, გაფრინდი კიდევ,
შევგუებულვარ უწონადობას,
ტყუილადა გაქვს შენ ჩემი ნდობა,
ავდევნებვიარ ქარებს და ნისლებს...
ცოტაც და, ალბათ, მოტყდება ყინვა,
და ზამთრის სუსხი აახვევს ლარებს,

ცაზე მიცურავს შემკრთალი მთვარე,
და ჰორიზონტზე მზის სხივი ბრწყინავს...

გთხოვ შემაცდინო

ვერ გავექეცი მე სიდიადეს,
ვერ ვფლანგე მუზა წვრილმან ჭორებში...
აღბათ, უბრალოდ, დაღლილი მნახე,
ან უნებურად წამით მოვეშვი...
ერთად დავუშვებ ყველა შეცდომას,
თუნდ მთელი ქვეყნის დამედოს ვალი...
ვინ შერჩა მიწას, ვინც არ შესცოდა,
ვინ ამოვიდა ამ წყლიდან მშრალი...
მე ახლა ვისმენ იმ მელოდიებს,
ვიღაც ოდესღაც ჩემთვის რომ ქმნიდა...
ვერ გავექეცი ქართულ ორგიებს,
მსეტყვავდა სეტყვა მოწმენდილ ციდან...
გთხოვ შემაცდინო, გთხოვ შემაცდინო,
შემომაშველო ეგ შენი მკერდი...
რომ ერთხელ მაინც ჩემს ბედს დავცინო,
შემურდეს ჩემი და გასკდეს ყეფით...

ანგელოზი ხარ

არა, შენ, მართლაც, ანგელოზი ხარ,
დროებით ქალად გარდასახული...
შენი თვალები ცას ჩამოსცვივდა,
ამიტომაც ასე ზღაპრული...
გნახე, ჭალივით შემომანათე,
ერთად განათდა ყველა სანთელი...
დავცქერი მკერდზე მბზინავ სადაფებს,
და აღარ მახსოვს სხვა არაფერი...
ჩემი ხსოვნიდან ერთად გარბიან,
ვინც კი ოდესღაც თვალსა მტაცებდა...
არ მინატრია, არ მინატრია,
არ მინატრია ეს აღტაცება...
და მინდა, მინდა, ჰორიზონტს გასწვდეს,
და გასკდეს, თუნდაც, ჩემი ძახილი...
როცა ვჩურჩულებ შენს წმინდა სახელს,
და გულებს შორის ქრება მანძილი...

დრო კი ქარს მიაქვს

არ გამოვდგები მე შენს მსაჯულად,
არც მოსამართლედ არ გამოვდგები...
რა დრო გასულა, რა დრო გასულა,
როგორ გაზრდიათ ხეებს ტოტები...
თითქოს მტკვარს იქით მტერი მომდგარა,
მტკვარს აქეთ ცხვრები სძოვენ ველ–მინდვრებს...
ვინღა თამაშობს დღეს ომობანას,
ხმალი და ტყვია გადაივიწყეს...
ნეტა, ვიცოდე, მართლაც, რა მინდა...
ჩემს ენთუზიამზს ყავლი გასვლია,
მე ვიმზირები ფრთხილად სარკმლიდან,
არაფერი ჩანს, დრო კი ქარს მიაქვს...

იმ დღეს ხატით ტელევიზიის წინ ჩამოიარეს

რომანტიკოსთა გასრულდა ხანა,
ცხოვრება გახდა ზედაპირული.
ხელის გულზე დევს მთელი ქვეყანა...
თან მომლოცველი, თან განწირული...
გამოფენილა მრევლი ხატებით,
ღმერთო, რომელი საუკუნეა?
არცერთი გულზე არ მეხატებით,
რა ჭაობია ან რა წუმბეა...
მიდის ხალხის რყვნა ღმერთის სახელით,
ღმერთო, ერთსა გთხოვ გადმოიხედო...
მე სხვა მგონიხარ, სხვად მესახები,
ამ საცოდავებს, გთხოვ, მიმიხედო!!!

როგორც აიშვებს თავს გაზაფხული

სად წახვალ, სხეულს სად გაექცევი,
რაც უნდა სცადო, რაც უნდა გასურდეს...
ბედის თამაში თავის წესებით,
მუდამ გაჩუქებს უცნაურ წუთებს...
აღბათ, ეს ნიცლიც აიკრიფება,
შენს სურვილებზე გადაფაფრული...
რაც იყო, იყო, დაგავიწყდება,
როგორც აიშვებს თავს გაზაფხული...
როცა ჟუჟუნა წვიმის წვეთები,
საკუთარ ღრუბლებს თავს დააღწევენ,
და სააპრილო სულისკვეთებით,
გაყინულ სულში შემოაღწევენ...
ყური დაუგდე, ყური დაუგდე,
მათ საზეიმო განწყობილებას...

წვეთები უკვე გაექცნენ ღრუბლებს,
და გაზაფხულის წვიმა იწყება...
ნუ შეგაშინებს, ნუ შეგაშინებს,
უნდა იწვიმოს, იქუხოს კიდევ...
ისევ დაბადებს მთები არწივებს,
ისევ გარეკავს ქარები ნისლებს...
ისევ წამოვლენ მთიდან ზვავები,
მუქარით, გრგვინვით, ზათქით, ღრიალით...
გავხდებით ზვავის უნახავები,
გახედე, ნუთუ, სთვლემს დარიალი!?

რატომ ვერა ვგრძნობ

კიდევ რამდენხანს, კიდევ რამდენხანს,
მიტხარ, იმედის იმედად ყოფნა...
ველარ გავაგდე ეს მწუხარება,
თითქოს ჩემს ჯიბრზე ტირის და ოხრავს...
ასე მგონია, ეს ოცი წელი,
ჯიბიდან ჩუმიად ამომაცალეს...
ჰო, ერთიანად მოხვიეს ხელი
და ულამაზეს დღეებს გამყარეს...
და ახლა, როცა აისი მოდის,
როგორც ხომალდი მზით დატვირთული...
აისი თრობის, დელვის და ტკობის,
ბუნებასავით მძაფრი, მდიდრული...
რატომ ვერა ვგრძნობ, რატომ ვერა ვგრძნობ,
ამ ძვირფას დღეთა ფერადოვნებას...
არადა, მინდა გავიმერანო,
ისევ მივანდო თავი ოცნებას...
აქ, ალბათ, ბედიც დიდ როლს თამაშობს,
კლდეზე ვდგავარ და ზღვაში ვვარდები...
ძვირფასო, თუ მე წყალმა დამახრჩო,
სანამ მოკვდები, ხომ გეყვარები...

თვალეები დავხუჭე

შენს სხეულს ლერწამად ტანაყრილს,
უზადო ფერები ამშვენებს...
შეგხედავ და ტაო დამაყრის,
ვიწევ და რაღაცა მაჩერებს...
ჩემამდე, ნეტა, ვის სწყალობდი,
ვინ თელა ეგ შენი ბალები...
ან ცრემლით ვის გულმკერდს ალბობდი,
ვის წარსულს ან აწმყოს ალებდი...

არ მიყვარს, მიბაძვა არ მიყვარს,
მე შენთან ყოველთვის მარტო ვარ...
ცხოვრებამ ისედაც გამრიცა,
და ბედმა ისედაც დამტორა...
სულ მალე ჩემს მწვანე ალუჩებს,
ვაზების ყლორტები ჩამოცრემლს...
დავხუჭე, თვალები დავხუჭე,
მაკოცე, მხურვალედ მაკოცე!

რადაც ჩამწყდა

შენთან შემთხვევით შემოვხეტე,
რადაც ჩამწყდა, რადაც ძვირფასი...
თუნდ თავი ურტყი ახლა ამ კედელს,
აღარც სინანულს არა აქვს ფასი...
ვინ გაცლის სიტკბოს, თუნდაც რომ გასურდეს,
შემოგეკვრება ჭორის ჯარები,
თანაც ყოველი იქნება ზღუდე,
იმ ზღუდეს უკან კი სატანები...
ილაპარაკონ, ილაპარაკონ,
დღეს მხოლოდ ქაჯებს უკმევენ საკმელს,
ჰოდა, ვინ იცის, მართლაც ააგონ,
ცას მიბჯენილი ჭორთა სასახლე...
ვიცი, ამ ლექსზეც გული დაგწყდება,
და შენებურად, ალბათ, განიცდი...
ეს იყოს ჩემი გადასახლება,
შენი კი დასჯა სილამაზისთვის...

ნუ, ნუ გაქრები! (ქეთის, ბიბის.)

არაფერია სიყვარულში გრძნობების მეტი,
ხელში მიჭირავს და გარედან ვათვალთვლებ...
რომ შემეყვარდე, მითანაგრძნობ? მითხარი, ქეთი,
მაშ, შენს თვალებში რატომ ვხედავ ამდენ სიკეთეს...
მაშ, რატომ მინდა შენთან ყოფნა, რატომ მიზიდავს,
რადაც აურა, რაზეც დღემდე არ მიფიქრია...
თითქოს სიღრმიდან თეთრი კვამლი ამოიზიდა,
კვამლი კი არა, სიყვარულით სავსე ნისლია...
იქნებ, შენ, იცი, ეს რას ნიშნავს, რატომ მოედო,
ჩემს სხეულს შენი იმპულსები, როგორც ნემსები...
როგორ არ მინდა ამ სიყვარულს რომ წამოვედო,
თითქოს ჯალათმა გადამიჭრა ყველა მყესები...
და ვგრძნობ, დამთავრდა, აღარა ვარ არსად გამქცევი,
ნუ, ნუ გაივლი ჩემს გრძნობებზე ჯადოქარივით...

ბევრი არ დადის შენს მახლობლად ჩემი მსგავსები,
ნუ, ნუ გაქრები, ჩემი გზიდან, შენც ამ კვამლივით!!!

...

როცა შენი თვალები ველარაფერს დაინახავენ,
და მხოლოდ სული განაგრძობს აზროვნებას,
მაშინ მივხვდები რომ აღარა ხარ...

...

შესაძლოა ჩვენი კანი ერთმანეთს იყვნენ მიწებებულნი,
სულელები კი ასიათასი ვერსით დაცილებულნი...

...

მზე, რომელიც ანათებს და არ ათბობს
ის მკვდრის მზეა,
შეხედე, როგორი სისხლისფერია...

...

ნუ მიყურებ ჩამქრალი თვალებით,
მეჩვენება რომ ჩემ ცოდვებს ხედავ
და გებრალები...

...

ყველაზე სუფთა გზა ცისკენ მიდის,
მაგრამ ამ გზაზე მხოლოდ ერთეულებს
თუ გაუვლიათ...

...

გენიოსებად არ იბადებიან,
ამ ტიტულით იშვიათად,
მაგრამ მაინც სჯის ღმერთი
თავის რჩეულებს...

ჩემი ხვედრია

აკრძალული მაქვს შენი დანახვა,
არც ისე ძნელი მისახვედრია...
მეც ავდგები და გულში ჩაგმარხავ,
რას ვიზამ, ალბათ, ჩემი ხვედრია...
ასე მგონია უდაბნოში ვარ,
და სულს ფიტავენ ქვიშის ქარები...
გველებს მოშივდათ, გველებს მოშივდათ,
და მე მნესტრავენ სიცხიანები...
მაგრამ მე ვიცი, რომ შენთან გრილა,

რომ წვიმა აწვიმთ შენს ოაზისებს...
რომ სევდისფერი თენდება დილა
და მთვარის ლანდი აჰკვრია ნისლებს...
და რომ საცაა მზის ტახტრევანი,
ამოაჭყიტებს მთების წვერებზე...
და, როგორც, ყურძნის მწიფე მტევანი,
თვლემს შენი ძუძუ ხორბლისფერ მკერდზე...

რომ მენატრება

ვინ მაპოვინებს,
ვინც დავკარგე,
ვინც შემიყვარდა,
მას, ვინც მეგონა,
რომ ამ წყვილიაღს გამინათებდა...
ვინც ჩემს მომავალს არწყულებდა,
ლიად, წინასწარ,
და რომ მეგონა არასოდეს მიღალატებდა...
ჩემი სხეული დღეს მდიდრული სარკოფაგია,
ნუ დაასვენებთ,
გთხოვთ,
რომეოს ნემტს ასე ახლოს...
მისიანები,
ვიცი, სიკვდილს არ დამაცლიან,
მე კი არ მინდა
ჯულიეტა რომ მკვდარი ვნახო...
ნუთუ არავის შეგხვედრიათ,
ის ხომ აქ იყო,
ის ჩემს ნაპრალებს სიხარულის ცრემლით ავსებდა,
როგორ მინდოდა
არასოდეს არ მომკვდარიყო,
ეგებ მიპოვოთ,
ეგებ უთხრათ,
რომ მენატრება!!!

ხელის მტევანი

მომეცი, შენი ხელის მტევანი,
ეგებ მოვგვარო ოდნავი შვება...
ხელებს ატყვიათ ბედისწერანი,
ხელი ბევრ რამეს წინასწარ ხვდება...
მინდა, რომ შენი თლილი თითები,
არა შფოთავდნენ, არა კრთებოდნენ,
როგორც ნიჟარის მარგალიტები,

უკეთეს აწმყოს ელოდებოდნენ...
მხოლოდ ბეჭდების თვლები დაჰქონდეს,
თითებს ოდნავ რომ გააქვთ ტკაცანი...
და აღარ მეგრძნოს აღარასოდეს,
ამ ჩემს ლოყებზე მათი ლაწანი...

მიყვარხარ

ზოგი ანათებს, მაგრამ არ ათბობს,
შენ ამ ორივეს შესწირე თავი...
და მეც გენდობი ულაპარაკოდ,
როგორც ენდობა ცხვარს თავის კრავი...
არა, შენ, ალბათ, ქალი არა ხარ,
შენ შედევერი ხარ და გყავს ავტორი;
და მიკვირს, მიკვირს, რომ ვარ თანახმა,
ვიყო თუნდ შენი გლადიატორი...
შევება ყველას, ვისაც კი მეტყვი,
იარაღით თუ უიარაღოდ...
ვიბრძოლებ ცეცხლით, მეხით და სეტყვით,
რომ შენ იცოცხლო, რომ შენ ანათო...
მე კი, თუნდ, მოვკდე, როგორც კლდის ვეფხვი,
ჩამოველეწო ქედებს, ქარაფებს,
მეცოდინება, რომ მოვკვდი შენთვის,
რომ ერთი წამით არ გიღალატე!!!
რომ შენც ხარობდე, როგორც ყვავილი,
გადაშლილ ველზე ჰყვავის და ხარობს,
აფეთქებული, როგორც აპრილი,
უფერადესი, როგორც სამყარო...
მიყვარხარ, მათრობ და ცეცხლს მიკიდებ,
ტრფობის შოლტს მაწნავ, თითქოს უღვედოდ...
მშვენიერი ხარ, როგორც ცის კიდე,
ულამაზესი, მართლაც, უღმერთოდ...

ხვდები კი?

როგორ მეგონა, როგორ მეგონა,
რომ მოვკალ ჩემში სურვილი შენი...
მაგრამ ვქცეულვარ ქამელეონად,
თავისას შვრება წყეული გენი...
დაუკითხავად მოძვრება შენსკენ,
მე კი არა მსურს, რომ მე დამბრალდეს...
რადგანაც, ვიცი, ამომაცეცხლებ,
ყველა სიამეს და სითამამეს...
ქალი არა ვარ, რომ დავიწყებლო,

მორცხვი არა ვარ, რომ ჩირგვში შევძვრე...
თავს ვიკლავ, მინდა გადავისერო,
შენს წინ გულმკერდი, თუ მზერას შეძლებ...
ასე მგონია, ყველა მდინარე,
ადიდდა, მოდის, უნდა წამლეკოს...
ვიცი, ვინანებ, ვიცი, ვინანებ,
შენი წყურვილი რომ გადამედო...
ეგ შენი კდემა, რომ ვნებებს მაღავს,
არ ახალა, ჩემთვის ძველია...
ვერც ბაგეს კოცნას ვერ აუკრძალავ,
ხვდები კი, თუ რა საკოცნელია?!

ამ ქართა სილიადეს

გესმის, ქარი როგორ უსტვენს,
ქრის, ხეობებს მიაღვევს,
როგორ მინდა წინ გავუძღვე
ამ ქართა სილიადეს...
ავყვეთ, ავყვეთ ტაიჭები,
გამოვრეკოთ ახოდან,
მზის ველებზე გავიჭრებით,
მწვერვალების მახლობლად...
ამეწებე, ეგ ნაწნავი,
შემომხვიე მკლავივით,
ყელმა იგრძნოს შენი მკლავი,
მაგ შავი ნაწნავივით...
მიქრის, მიქრის ველზე რემა,
აუშლია ფაფარი,
და ზღვასავით მიირწევა,
ხეობებში გზა-კვალი...
გესმის, ისევ ქარი უსტვენს,
ტყდება ხმელი მურყანი...
ვეწაფები შენს ცხელ ტუჩებს,
ვით დიდი ხნის მწყურვალი...

სიზმარში

იკრიბებიან სადაც ვარსკვლავნი,
სადაც ცისკრები დილას ხვდებიან,
წუხელ სიზმარში ცას მივკვალავდი,
და ოაზისი დამსიზმრებია.
მესმოდა გვრიტთა ჩუმი გალობა,
და არწივების ფრთების ტყლაშანი...
ნიავეს მთებისკენ მიუხაროდა,

ბაღში ჰყვარდა იასამანი...
კვლებში დახტოდა ბოლოქანქარა,
და გულწითელა ეკიდა ყლორტზე,
პატარძალივით სინდიოფალა
გადადიოდა ბორცვიდან ბორცვზე...
დნობა დაეწყო მარადიულ თოვლს,
გაღვიძებოდა ბალახს ნაზამთრალს...
მწვერვალზე სადაც გავაზი ბუდობს,
ნისლი ეხვია გახლეჩილ ნაპრალს...
ავყევი ჩანჩქერს ქაფისფრთებიანს,
და იმ გრიალში, ვარდნის, შხეფების...
ეს მწვერვალები დამსიზმრებია,
ახლა მე და შენ რომ ვიხედებით...

ჩემი სისხლია

სანამ მე ცაში მტრედებს დავდევი,
მიწა დამსკდარა და დახეთქილა,
ასე მგონია სიკვდილს დავნებდი,
სადღაც უფსკრულში გადავჩეხილვარ...
მე კი მეგონა მქონდა მისია,
რომ მომერჩინა მიწის წყლულები,
ბწკარად რომ მოდის ჩემი სისხლია,
ლექსად კი სისხლის ნაკადულები...
კვალს ვერ დაატყობ, კვალს ვერ დაატყობ,
რაც უნდა მძიმე გქონდეს ტორები...
თუნდაც ყოველდღე ჰკეცდე მარათონს,
აქ მოქმედებენ სხვა კანონები...
რამდენს გაუძლებ, რამდენს აიტან,
მართლაც, მძიმეა ჯვარი გოლგოთის...
გასძახი, მაგრამ ხმა არსაიდან,
მოკვდა სიკეთე, ზეობს ბოროტი...
დამთავრდა, ზეცამ დახურა ბჭენი...
მე დავრჩი იქით, იმ სამყაროში...
ბევრი რამაა აქ გულსატკენი,
მე კი, უბრალოდ, დავიწვი დროში...

როცა მე და შენ ერთმანეთს ვნახავთ

ვერ მოვიცალე ვერაფრით შენთვის,
შენ მოთმინებით იცდიდი, ალბათ...
ის დღე ნამდვილად იქნება თეთრი,
როცა მე და შენ ერთმანეთს ვნახავთ...
როცა მე და შენ ერთმანეთს ვნახავთ,

ის მზე იქნება საოცრად მწველი,
მართლაც, ლამაზი იქნება, ალბათ...
მოულოდნელი შეხვედრა ჩვენი...
ნუ მელოდები, ნუ მელოდები,
ის დღე თავისით ოდესმე მოვა...
როგორც მოდიან ანგელოზები...
ასე შენც მოხვალ ჩემს ანგელოზად...
შენ დაბნეული იქნები ოდნავ,
და, ალბათ, ოდნავ მორიდებულიც...
ძნელია პოვნა, ძნელია პოვნა,
შენი გამგების, შენი ერთგულის...

რა საჭიროა (ნანა შველიძეს)

თითქოს ცხოვრება აღარ იცვლება,
ერთმანეთს ისე ჰგვანან დღეები...
მინდოდა შენი გადავიწყება,
რადგან ვერ ვხვდებით, მართლაც, ვერ ვხვდებით...
ირგვლივ ჩამოდგა თითქოს დუმილი,
მზემაც სხივები უკან აკრიფა,
ღამე დააცხრა ქალაქს კრუხივით
და სიხარული შემოაფლითა...
მითხარ, აზრი აქვს რამის მოლოდინს,
შეივსებიან ბროლის ჭიქები?
თუ უნდა შხამი გვასვას ბოლომდის,
ბედმა თავისი ჭრელი თითებით...
ეს საუკუნეც დოღის ცხენივით,
გარბის და უკან არ იხედება,
სული კი კვდება კვლავ ფრინველივით,
სული იხრწნება, სული ბერწდება...
შენ არ იფიქრო, რომ თვალს გარიდებ,
რომ აღარ მახსოვს შენი სიტყვები,
რომ ავყოლივარ ამ ცივ ამინდებს,
რომ მავიწყდები, სულ მავიწყდები...
ხედავ, ამ დღეებს როგორ მიმოაქვთ,
ზარდახშა სევდით გამოტენილი...
რა საჭიროა, რა საჭიროა,
რომ მუდამ იყო ასე კეთილი!?

შემოეჩვია ჩემ სულს ქარები

შემოეჩვია ჩემს სულს ქარები,
აღარ იციან როგორ გაწეწონ...
ქარები თვითონ ცრემლიანები

გამოჰქცევინ ქართა სამეფოს...
არადა, მართლაც, რა მექარება,
მე მათ ქცევაზე პასუხს არ ვაგებ...
ლამე ფარივით ამეფარება,
ფიქრს ვარსკვლავებით მიფიანდაზებს...
შორს, ჰორიზონტთან გედის ტბა იყო,
და როცა ზღვაში მზე ჩადიოდა,
ტბა რომ სევდისგან არ დამშრალიყო,
ტბიდან ქალწული ამოდიოდა...
ოდესღაც ისიც გედი ყოფილა,
თავის ზღაპრიდან გამოპარული...
სატრფოს დაემებს დედიშობილა
ტბაში დახრჩვია გედს სიყვარული...

ჯერ შენ მოგმადლა (ქალბატონ სულიკო ნინიძეს)

შენ ხომ ისედაც ყველას უყვარხარ,
გჭირდება ჩემი ტკბილი სიტყვები?
მაშინ, ნუ მიწყენ, სულს, თუ და ხარ,
შენს ლამაზ სულში შევიჭყიტები...
წინასწარ გითხრა, იქ რაც დამხვდება?
სიკეთის მეტი რა უნდა დამხვდეს?
მწამს, ანგელოზი სულ თან დაგყვება,
სულ თან დაგყვება და გზას გინათებს...
მე, იცი, მართლაც, ბევრ რამეს მივხვდი,
ღმერთი სიყვარულს რომ არიგებდა,
ჯერ შენ მოგმადლა ამისი ნიჭი,
და მერე, ალბათ, ჩვენ გვანიჭებდა...

როგორ ვენდო ინტუიციას

შენ ფიქრობ, ალბათ,
რომ ასე სჯობს, უკეთესია,
რომ არ ამბობენ ეგ ტუჩები,
რაც უნდა ეთქვათ...
რა ვიცი, ეგებ, შენებურად
ეს ალერსია,
ჩემებურად კი ეძახიან
ამას გაქცევას...
ვინ იცის, იქნებ, სიყვარულმა
დაგცა თავზარი,
რადგან ვერ ვხედავ
ირონიას შენს ლურჯ თვალებში,
ჰარმონიას კი შენს სხეულში

ახლა რაც არის,
ოდესმე წლები წაიღებენ
დროის ვალებში...
მე დავიღალე,
როგორ ვენდო ინტუიციას,
რომელმაც უკვე
მერამდენედ ჩაკეტა კარი...
თვით ოკეანეც ჩემი ფიქრის
ერთი ზვირთია,
ისე წახვედი,
განრისხებაც ვერ მოვასწარი...
ვუმზერ შენს სახეს,
სინანული დროს მიაჭენებს,
გადახრილ ყლორტებს გასცვენია
ატმის ყვავილი...
მე გაქცეული სიჭაბუკე
ვერ შევაჩერე,
ქედებს მიაპობს
კლდეზე მდგარი ირმის ბლავილი...

არ მეძებო

გიშრის ნაწნავს დავიხვევდი,
მკლავზე, როგორც მერნის ფაფარს...
თუკი მოსვლას მალირსებდი,
მალირსებდი ერთხელ ნახვას...
ჯვარზე მაკრავ და ცეცხლს მინთებ,
აბურბურდა ხმელი ფიჩხი...
ჩავიფერფლე სანთელისებრ,
შენ ყოფილხარ ჩემი ჩიხი...
შუა ზღვაში გავალ ნავით,
არ მეძებო თუ დავიხრჩე...
წყალზე გაქრა ნავის კვალი,
რატომ? კოცნა არ მალირსე!!!

ნუ მემდურები

ნუ მემდურები, მე ხომ ფიც-ვერცხლით,
შეფიცული ვარ ზამთრის ქარებთან...
მე ჩემი სისხლის ყოველი წვეთი,
ამ ჩემს ულურჯეს ცას მაყვარებდა...
ნუ მემდურები, მე აღსარებას,
ჩემს ანგელოზებს ვაბარებ მხოლოდ...
არ მიყვარს ჭმუნვა და მწუხარება,

და მინდა, მინდა, შენც მოისროლო...
კი, ვიცი, ვიცი, რომ თოვლი გათოვს,
არ გეკარება ბედნიერება...
რომ ეფარება ღრუბლები მნათობს,
რომ აყირავდა ქვეყნიერება...
კი, ვხედავ, ვხედავ, რომ მკერდს ფიქალოს,
ეწვეთებიან შენი ცრემლები...
არ სკდება მიწა რომ ჩამიტანოს,
და ვერც კლდის ქიმებს შეველეწები...
ნუ მემდურები, მე მალე ქარებს
პილიგრიმივით დავემგზავრები...
მე ისევ ყინვა თუ შემიყვარებს,
რომ ამოვქოლო გულის ბზარები...

მე ბალახი ვარ

კი, მართლაც,
ალბათ, ბედისწერაა,
მკერდზე მაბიჯებს
წლები თავის ვეფხვის ტორებით...
რომ მაკვირდება
ეს ცხოვრების მგლური მზერაა,
რომ ჩამითრია,
სიყვარულის თეთრი მორევი...
არ მინდა თავი
სამყაროსთან გავაიგივო,
მაგრამ სულს,
თურმე, შეუძლია მისი დატევა...
მე ბალახი ვარ,
გაზაფხულზე მსურს ვიბიბინო,
მე ვერ გავუძლებ
შემოდგომის ნისლის ნატერფალს...
მაგრამ ჯერ ვიცი,
რომ უბეში შემიფარებენ,
ცისკენ მზირალი
ნარგავების მწვანე ფოთლები,
და ვიცი, ვიცი,
ეგ თვალებიც შემიბრალებენ,
როცა ვნებებით დასეტყვილი
შენს წინ მოვკვდები...

რომ ჩემს სიყვარულს მუზეები ერქვა

რა ვთქვა, რომ სულის ნერგები დავრგე?
რომ წყალს ვუსხამდი ყოველ ცისმარე?
რომ პოეზია ზეციურ თარგზე
გამოვჭერ და ის გავიწინამძღვრე?
რომ ჩემს სიყვარულს მუზები ერქვა,
არ მასვენებდნენ დღე და მოსწრება...
და ყველაფერი რაც მსურდა მეთქვა,
მე მიკარნახეს მხოლოდ მგოსნებმა...
ქვეყნად არაფერს არა აქვს ძალა,
უძლიერესი და უმართლესი...
ვით სიტყვას, როცა სამყაროს ფარავს,
და სისხლის ნაცვლად მიდულს ძარღვებში...
არ გამივლია არასდროს მრუდედ,
მთელი ცხოვრება ხელზე მეხატა...
ავსებული მაქვს ლექსებით უბე,
თუმცა, მუზები შემომეფანტა...

როგორ ჩავაქრო

როგორ ჩავაქრო, ან გავანელო,
ცეცხლი, შენს სულს რომ წაჰკიდებია...
ჩვენ ერთსა ვფიქრობთ, ღმერთი სხვას მსჯელობს,
ოცნებასაც კი თურმე სდევნიან...
რომ აღარც იცის, რა იოცნებოს,
ან რომელ მუზას შეუღოს კარი...
მკერდიდან ვნებამ რომ გამოხეთქოს,
ბაგეს დაემჩნას კოცნების კვალი...
გზას ვინ გამიკვლევს, გზას ვინ გამიკვლევს,
ამ ამოუცნობ ხმათა გამაში...
იქნებ ეშმაკი მემახის ისევ,
სადმე, სულ ფსკერზე და ჯანდაბაში...
შენ კი კვლავ მიცდი აალებული,
შენ სიყვარული მოგიღებს ბოლოს...
ნუ მკოცნი ასე გაავებული,
მე ასეთ ხანძარს როგორ ვებრძოლო...

მამულო

გადაარჩინო, გთხოვ, ჩემი სული,
გაუცხოვების მკაცრ პერსპექტივას...
მე ხომ შენს მიწას ბავშვივით ვუვლი,
ვაბიჯებ ფეხს და ნეკნები მტკივა...
და თუ ვერა ვცნობ წინაპარს ჩემსას,
და ვერც მომავლის არსში ვერკვევი...

ბრალი ორივეს მიგვიძღვის ღმერთთან,
ხან უნებურად, ხანაც შემთხვევით...
და ახლა, როცა ჩერდება გული,
და თვალზე ცრემლებს ვამჩნევ მარიამს,
ტანზე მაჩნდება მე შენი წყლული,
და აღდგომაც კი არ მიხარია...

ვერ გადავლახე ეს მანძილები

ცრემლები, როგორც სულის მძივები,
დაეკიდება შენს ლამაზ თვალებს...
ვერ გადავლახე ეს მანძილები,
აღმატება რადგან ჩემს ძალებს...
კი სურვილი მაქვს, მართლაც გავფრინდე,
დავტოვო უკან ყველა საზღვრები,
ასე მგონია, მკლავებს მაჭრიდნენ,
სანთლებს მიქრობდნენ, თითქოს, ტაძრები...
ასე მგონია, ეშმა სალაფავს,
თვითონ მიმზადებს და თან ხარხარებს...
ღმერთი არა გწამს, ღმერთი არა გწამს,
ყურში ჩამძახის და მაჯანჯდარებს...
და მეც შევცქერი მეწამულ ზეცას,
სადაც ქრისტეა გამოსახული...
მომხედეთ ვინმემ, უბირს, უმეცარს,
რომ არ შემერყვნას ბოლომდე სული...
თორემ მიტევენ ყოველი მხრიდან,
უცხო ტომელნი გაავებულნი...
ჯვარს ვერ ავიტან, ჯვარს ვერ ავიტან,
რომ გოლგოთაზე დავლიო სული...
თუ სურვილი გაქვს, იტირე, მე ვგრძნობ,
როგორ აგვსია მკერდი ნალველით...
იტირე, იქნებ, როგორმე შევძლო,
და მივიკერო მოჭრილი ხელი...

მხოლოდ შენ (ქ.ბ.-ს)

მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ,
მდევეს სიყვარულის ქარები...
მე სულ უფსკრულის პირას ვარ,
ამიტომ არ გეკარები...
რამდენი კოცნა მინახავს,
რამდენი ტუჩის შეხება...
დღემდე სახსოვრად ვინახავ,
კოცნა თუ გადამეყრება...

ვიცი, შენც შეგიყვარდები,
ტყუილად ხოცავ იმედებს...
თუკი ციური ძალები,
ამ გრძნობას გამოიმეტებს...
არ მესმის, რატომ არ გჯერა,
მაქვს სიყვარულის ვალები...
ჰოდა, ამიტომ ამჯერად,
მხოლოდ, შენ, შენ, მეყვარები...

ჩემს მეტს არავის

არ გაუღიმო ჩემს მეტს არავის,
მე, გთხოვ, არავის არ გაუღიმო...
ვინაა ქვეყნად შეუბღალავი...
ჩემი ცოდვები, რომ გავუმხილო...
თუკი შენც მეტყვი, არ გავიკარებ,
სხვას არასოდეს, თუკი მითხარი...
მთებმა ნისლები გადაიყარეს,
და ქალწულივით დელავს მყინვარი...
დატოვე შენი მელანქოლია,
და გადავიქცეთ მინდა სვავებად...
ელვა ამ ღამეს მეხს გაჰყოლია...
მაყარი ქედებს აზანზარებდა...
აქ ყოველ ღამე ქარი თარეშობს,
ქარი თარეშობს, როგორც ვამპირი...
მეც ჩემი მკერდი საასპარეზოდ,
ამ ყინულოვან ქარებს დავპირდი...
რომ ასკდებოდეს, როგორც ტალღები,
სურვილებს ჩემსას, გზა რომ ვერ ჰპოვეს...
მოგიტაცებდი, მოგიტაცებდი,
თუ ძველ სიყვარულს გამოვეთხოვე....

ნუ მეტყვი

როგორ გაცვეთილა,
როგორ გაცვეთილა,
ტუჩები, ერთ დროს, რომ
მარწყვივით ელავდა...
სურვილი მომკვდარა,
ვნება დაწრეტილა,
ადრე რომ ამღვრეულ
ზღვასავით დელავდა...
ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი,
რომ აღარ გიყვარვარ,

თვალეზი ისედაც
ამბობენ შენს სათქმელს...
ჩემს სულში ქარებმა
კვლავ გადაიავადრა...
სულ ცოტაც მაცალე,
მთლად ზურგს ნუ შემაქცევ...
ისედაც გშორდები,
ისედაც მივდივარ...
მე დიდი ხანია
დავტოვე ეს მხარე...
რაც იყო, ჩვენს შორის,
უკვე ჩავლილია,
ვერ შევცვლი ვერაფერს
სხვას გადავეყარე...
და რას გთხოვ ან ისეთს,
სიცოცხლე წამია...
სიცოცხლე წამია,
რომელიც გასულა...
ეს ჭიქა ღვინით და
ცრემლებით ამივსე,
სანამ მზე ანათებს
და სულმთლად ჩასულა...

ვერ გიკარნახებ არჩევანს (ქ.ბ.-ს)

რატომ არ უნდა მიყვარდე,
კოცნით რატომ არ დაგახრჩო?
თუ გულში დაიბინადრე,
როგორც წითელმა ყაყაჩომ...
ვერ გიკარნახებ არჩევანს,
ყველას ბედი აქვს თავისი...
როგორც რიჟრაჟის ნათება,
მაცოცხლებს შენი ხალისი...
არადა, მართლაც, ვინ იცის,
როდის ვინ შეგვიყვარდება...
რომ ხშირად სიცილ-სიცილში,
მკერდში ვნებანი მძაფრდება...
ანდა, მართლაც, რომ მეკოცნა,
რასაც შენ ასე განიცდი...
ჩამთვალე კოცნის მეკობრად,
კოცნას კოცნაში გაგიცვლი...
უშენოდ, მართლაც, მომწყინდა,
ჰოდა, ფიქრებში გეხვევი...
არ გამიბრაზდე კოცნისას,
ტუჩზე თუ გიკბენ, შემთხვევით...

მე რომ ტბაში გედები მყავს

ლამაზი ხარ, სილამაზე
თითქოს ცისგან მოგიპარავს...
როგორც მთვარე სევდით სავსე,
აკვნესებს მზე გიტარას...
ვიცი, ვიცი, ჩემზე დნები,
ვერ იძინებ, ღამეს ათევ...
თვალხილულსაც გესიზმრები,
მაგრამ ცხადში არ გიმართლებს...
აქეთ თეთრი ტყემლებია,
იქით დგანან ალუჩები,
სულ ფეხებში მედებიან
შენი ჭრელი ფაჩუჩები...
ელოდება ღამე დილას,
არ იკარებს დილა ღამეს...
მე რომ ტბაში გედები მყავს,
ამურებმა მომიყვანეს...

რას დავაბრალო (მარიკას, ორჯონიკიძეს)

ვერ გეტყვი, თითქოს, ისე მიყვარხარ,
როგორც მიყვარდა ბევრი შენამდე...
შენს მერე ბევრი გაუჩინარდა,
ბევრიც, ალბათ, შენს გამოჩენამდე...
რას დავაბრალო, თვითონ არ ვიცი,
გენდო? ვაითუ ისევ დავიწვა...
თითქოს გამიტყდა მხარზე ლავიწი,
შენი ლამაზი ტანის ნატვრისას...
ერთს კი გეტყოდი, თუ დამიჯერებ,
ნუ, ნუ ენდობი ყველა კალმოსანს...
მათი ეჭვნები ხმამალა ჟღერენ,
მაგრამ, რა იცი, მათს სულს რა მოსავს...
და თუ შენ მხოლოდ სიკეთეს თესავ,
იმათ, რა იცი, რა არ დათესონ...
მოდის, დავთესოთ, ეგ შენი სევდა,
და, თუ ამოვა, მივუალერსოთ...

დამივიწყებენ

დამივიწყებენ, ალბათ, ყველანი,
ვისაც ასე თუ ისე, ვახსოვარ...

მე ვარ და ჩემი თეთრი მერანი,
შენ უნდა მნახო, ალბათ, ახლოდან...
მე ვარ და ჩემი კავკასიონი,
ვით მასპინძელი დარბაისელი...
მე ვარ და ჩემი მღვრიე რიონი,
ჩემ წინაპართა მარღვი შიშველი...
შენ გელოდაო, ვილაც ჯალათი,
ის, ალბათ, თვითონ სიკვდილი იყო...
დრო უღმობელი და მუხანათი,
არ დამივიწყო, არ დამივიწყო!!!

სინათლე ქრება

სულ რაღაც კარგის მოლოდინში ვარ,
ამ დროს კი მუდამ ხდება პირიქით...
ახლაც ფსკერისკენ ვიწვევ, მივეპრივარ,
გაუკვალაით ქაჯებს ბილიკი...
და ვფიქრობ, ზემოთ რა მრჩება, ნეტა?
რა იყო კარგი, ვერ გავიხსენე...
ადამიანთა უსაზღვრო სევდა,
და ქარ-წვიმიან დღეთა სისველე...
ცრემლები, კუბო, საფლავთა წყება...
და ყვავილების სამკაულები...
ფსკერი არ მოჩანს, ბილიკიც ქრება,
და მე მარტო ვარ ახლა სრულებით...
და ვუერთდები სულთა ქარავანს,
ქარს ეწებება თეთრი პერანგი,
მე არარა ვარ, მე არარა ვარ,
და ვერც მიშველის უკვე ვერავინ...
დაფნა, რომელიც მე მეკუთვნოდა,
ჩემს ნაცვლად ვილაც მიაკონწილებს...
სინათლე ქრება, სინათლე ქრება...
და შენზეც, ალბათ, სხვა იქორწინებს...

ისე წახველ

ისე წახველ,
არ მითხარი არაფერი,
რომც, მდომოდა,
როგორ გთხოვდი დაბრუნებას...
თუმცა, გულზე
ნაკვალევი დამრჩა შენი,
შიგ გულში კი,
რაღაც მცირე გართულება...

ვერ გავიგე,
რას ფიქრობდა მაინც ღმერთი,
მე რომ შენთან
უნებლიედ შემახვედრა...
ხომ მოგვწონდა,
ხომ გვიყვარდა ერთმანეთი,
ის წამები
დღესაც ისე მენატრება...
რატომ ხდება,
რატომ ხდება, მითხარ, ასე,
ყვავილი ხარ
თოვლის ველზე ამოსული...
დამფარფატებს თავზე შენი სილამაზე,
როგორც ფიფქი
ციდან დაბლა ჩამოსული...
არ დამტოვებს,
არ დამტოვებს ღმერთი კენტად,
ანდა, მართლაც,
მე ვინ მომცა ამის ბედი...
გაიგებ და,
ვიცი, გული გეტკინება...
მაგრამ, რა ვქნა,
მაშინ, შენც ნუ მატკინებდი...

მგონი გაგთელე

შენ მთელი ძალით ისწრაფი ჩემსკენ,
როგორც ტალღები ზღვარსგადასული,
შემომასკდები გარუჯულ მკერდზე
და აყვავდება ეს გაზაფხული...
გამოარღვია ჩემი სხეული,
ტბის წყლებმა კლდეში დაგუბებულმა...
როგორც ირემი ცალს გაქცეული,
მგონი, გაგთელე ჩემს უნებურად!!!
თოვლის ქარები შენს თავს მტაცებენ,
დამტრიალებენ თავს არწივები...
ალბათ, თვალები მაინც გაგცემენ,
ირევი ჩემზე თუ არ ირევი...
ზოგჯერ მგონია ეს სიზმარია,
კანმა ამიწვა ხელისგულები...
მიყვარხარ, ისე, ისე ძალიან,
შენს წარმოსახვას ვეჩურჩულები...
ნუ დამამადლი, ნუ დამამადლი,
ძუძუს სიმკვრივეს, სიტკბოს ტუჩების...

მოდელავ, როგორც მთებში არაგვი,
და ჩემი ყელის ძარღვთან ყუჩდები...

ხარი

პირსისხლიანი, დრუნჩქაფიანი,
ჩემსკენ მოიწევს ველური ხარი...
ხარი ველური ყანწისრქიანი,
ჩემსკენ მოიწევს ფლოქვთა ხარხარით...
თუ არ გაიწევ, მოგკლავს, გაგქელავს,
აგაგებს რქაზე, აგისვრის ცაში...
ხარმა არ იცის მტერის გარჩევა,
თუ ამოგიღო ერთხელ მიზანში...
გავექეც აწმყოს, გავექეც წარსულს,
ალბათ, გავექეცე უნდა მომავალს...
ვინ ვარ, ამაზე არავინ არ წუხს,
მე კი ვიცი, რომ დროის მონა ვარ...
არ მიყვარს მუქი ფერებით ხატვა,
ამ ხარს კი ვერსად ვერ გავექეცი...
ვიღაცამ ჩემში იმედი ჩაკლა,
ხარი კი მიტევს, როგორც რეკეტი...

შენი კოცნა გადამარჩენს

ვწერე, ვწერე, ვწერე, ვწერე,
მერე ზღვაზე გავდე ხიდი...
ალაზანი შევაჩერე,
შიგ, უბრალოდ, თევზებს ვთვლიდი...
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
არ კი მახსოვს რად ვითვლიდი...
ჯერ ხომ თავი შემაყვარე,
მერე, წახველ, გამიფრინდი...
ჩემს ეზოში გვრიტი დაფრენს,
შენს ეზოში შავი შაშვი...
შენი კოცნა გადამარჩენს,
ამ ყინულის აკლდამაში...

სულ წვეთ-წვეთად

რაღაც ჩუმად, საიდუმლოდ,
სულ წვეთ-წვეთად, მცირე დოზით...
ბალდამს მასმევს ეს საწუთრო,
ულამაზეს ოქროს კოვზით...

დილას ვერცხლი დაჰფენია,
მზე გარეკავს ნისლებს მთებში...
ყველაფერი ნათელია...
ჩემს ლექსში და ჩემს სიტყვებში...
მაგრამ ხშირად სინათლეში,
რადაც ბნელი, შავი ტალღა,
როგორც მგელი დაწრწის ტყეში,
მებრძვის, როგორც ტყვიის დახლა...
ვიგერიებ, ვიგერიებ,
შემოსეულ ვერაგ წამებს...
მე ყველაზე გვიან ვიგებ,
რაც ჩემზე თქვეს და დამწამეს...

ჩემი გული

შენ რომ გული ამომგლიჯე,
სისხლის წვეთი დაგცემია...
სიიდანაც ამომრიცხე,
მომკალი და არც გრცხვენია...
შენ რომ გხედავ, შენ რომ გხედავ,
ჩემი სული ბლავილს იწყებს...
ვინა ჰკიდებს დილას, ნეტა,
შენს თეთრ ყელზე მარგალიტებს...
რა ტყუილი მყოზადია,
მართლაც, ცრემლის ზღვები ვლახე...
ჩემი გული მოწყვლადია,
ხელს ნუ ახლებ, ხელს ნუ ახლებ!!!

მე შენს სიტყვებს ისე ველი

მეძახიან, მეძახიან,
შენი სულის ფანტელები...
შენი მკერდი ვენახია,
ძუძუ, ვაზი და მტევნები...
მე შენს სიტყვებს ისე ველი,
ვით გვალვაში მიწა წვიმას,
მინდა შენი თბილი ხელი,
შუბლზე მედოს სიკვდილისას...
მინდა, მინდა, ქარს მიჰქონდეს,
სამახსოვრო ცრემლი შენი...
კუბოს შენი ფერი ჰქონდეს,
საფლავს შენი თმების ფერი...

ტიტები (ნ.შ.–ს)

გინდა ლექსი ტიტებზე?
მეც ვიქცევი ტიტებად...
ველები ვერ იტევდნენ,
მაგრამ გული იტევდა...
შენ რომ ჩემთვის მოგეძღვნა,
თუნდაც ერთი ყვავილი...
ან ჩემზე გეოცნება,
ლამით პატარძალივით...
ანათებენ ტიტები,
წითელ ფერში ღუიან,
ყველა ჩემი სიტყვები,
შენს ტიტებთან? ტყუიან!!!

ხელი მომხვიე

შენ, ალბათ, გესმის,
როგორ გალობს ჭალაში ჩიტი,
და როგორ ფრთხილად
ჭორაობენ ჩვენზე რცხილები...
ტანდასუსხული
სიყვარულის ჯადოქრულ ჭინჭრით,
იღიმებიან
ყვავილები დარცხვენილები...
აქ ედემია,
გამჭვირვალე მოჩანს ტბის ფსკერი...
აქ ედემია,
არა ტოკავს ერთი ფოთოლიც...
ტბაში ცურავენ
ამურები შიშველ–ტიტველი,
ტბის იქით ჭინკებს
დაუნთიათ ვერცხლის კოცონი...
ხელი მომხვიე,
დამაწაფე ნექტარს ტრფობისას,
სანამ წვრიალებს
ამ წუთების კრიალოსანი...
თავბრუ დამეხვას
შენს სურნელზე,
რომ ამბორისას,
შენ მწამდე მხოლოდ
და არცერთი სხვა სალოცავი...

თამარ!

ის დრო სჯობდა, ის დრო სჯობდა,
როცა მეფედ იჯექ, თამარ!
როცა კამათს ერქვა ბჭობა,
როცა სჭრიდა შენი – არა!
როს ფოლადის თეთრი ხმალი,
თათრის თავზე ლაპლაპებდა...
და მახვილი შენი თვალი,
აღმოსავლეთს თვალს ავლებდა...
ერს უყვარდი, ერსა სწამდი,
ჩვენი დროშაც ფრიალებდა...
და თუ მახვილს აღმართავდი,
ლომიც დაიღრილებდა...
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
ბევრი ნახა მტკვარმა სისხლი,
დღემდე ისმის შენი – არა!
დღემდე ვიბრძვით თამარისთვის!!!

აღარც სურვილი

მე ვგრძნობ, ნელ–ნელა როგორ მაკლდება,
სტიმული, თუნდაც, რამის კეთების...
აღარც სურვილი, არც მონატრება,
დღემდე რომ ვქმნიდი სულისკვეთებით...
სასაცილოა, სასაცილოა,
ვაკოკოლავე ჩემი ცხოვრება...
თუ რამ შევექმენი სამარცხვინოა...
ბედი კოჭლობით მიმაჩოჩებდა...
იტყვი, ვაია, არადა, უი,
მაინც საკუთარ თავზე ვმადლდები...
არა ვარ მუნჯი, არც ბრმა და ყრუი,
მეშლება რამე? თუ მეთანხმები...
რა საჭიროა უცხო სიტყვებით,
ამ სტრიქონების დამახინჯება...
ავსებულია ჩემი ფილტვები,
ნაგვით, რომელიც არა სჭირდება...
მართლაც, მღელვარე ზღვაში შევტოპე,
და იქ ვიპოვე ჩემი კაბარე...
მოვკვდები, როგორც ვინმე მეკობრე,
და იქვე ზღვაში მიმასამარე...

დაგმარხავენ

ვისაც უნდა ესმოდეს,
დაიყრუებს ყურებს,
ის ვინც უნდა ხედავდეს,
დაიბრმავებს თვალებს...
დაგმარხავენ და ამით
დაიწერენ ქულებს,
წაგართმევენ სულ ბოლო
წუთებსა და წამებს...
ნუ დამცინი, ძვირფასო,
თორემ, გასკდა გული,
არასოდეს მიცდია
ევერესტზე ასვლა...
არასოდეს მქონია
ასე გამარცვული,
სულში უსასოობის
უმძიმესი განცდა...
ამ სამყაროს, შენც ხედავ,
დიდი სასაფლაოა,
სადაც ყველა ჩვენგანი
მარხავს თავის იმედებს...
უფრო მეტიც, ცხოველთა
და ხალხთა სასაკლაოა...
ღმერთი ხომ უანგაროდ,
სწორედ, სიკვდილს იმეტებს...
გაჩენიდან ყველანი
თვალში ნაცარს მაყრიან,
მხოლოდ მათთვის უბერავს,
გამუდმებით, ზურგქარი...
მე კი, მკერდში, ძვირფასო,
დამარცხება გამყრია,
რადგან არ აღმომაჩნდა
მლიქვნელობის უნარი...

შეგიყვარდი ნალდად

ვერ ასცდები ამ მაყვლისფერ ღამეს
მოვა თავის თაფლითა და შხამით...
ველოდები, როგორც ქალის ალერსს...
თავის თითებს რომ აპარებს მალვით...
შენ, კი, ვიცი, კვლავ მოუცდი, ალბათ,
სხვა სახსოვარს, სხვა საოცარ დილებს...
ის რაც ღამემ თავის ბნელში ჩაფლა,
რაც გულდაგულ მოაფარა ჩრდილებს...
ვიცი, ვიცი, შეგიყვარდი ნალდად,
ამიტომაც არ მაცილებ თვალებს...

მე კი, თითქოს, დამცემია დამბლა,
ჯერ ვიცილებ სხვა ქალების ვალებს...
მართალია, შურიანი არ ვარ,
აბა, როგორ გაგიმეტო სხვისთვის...
ჰოდა, წავალ, სადმე კლდეზე ავალ,
და კლდის ქიმებს მიმოვღებავ სისხლით...

გამანდე, ჩუმად გამანდე...

"რა არის ჩვენი სიცოცხლე",
რით იზომება სამყარო?
მე ქარიშხლები მიცნობენ,
მე შენს გაცნობას არ ვჩქარობ...
ახლა ჩემს სულში ქარია,
გარეთ გრიალებს გრიგალი...
სიცოცხლე ზოგჯერ მჩვარია,
ზოგჯერ დედოფლის სიზმარი...
მოდის და მკერდზე მეხლება,
ოკეანეთა ბგერები...
მკლავები მკლავებს ეხება,
გულიც ძგერს სხვა აძგერებით...
გულიც ძგერს, როცა მდინარე,
კლდეებს მისდევს და მილეწავს...
ჩვენსავით ტკბილად ტირანებს
არასდროს ჩაეძინებათ...
დამადე, მკერდზე დამადე,
ეგ შენი ხელის მტევანი...
გამანდე, ჩუმად გამანდე,
ნდომანი, თუნდაც ქვენანი...

იქნებ გათენდეს

აღბათ, გინახავს, ცას როცა სცივა,
როგორ ტირის და თვალებს აელმებს...
მე შენი მძაფრი სურვილი მტკივა,
ცა კი მიმზერს და თავს არ მანებებს...
მითხარი, ეგებ არაფრად ვღირვარ,
ეგებ არც ვცოცხლობ და მეჩვენება...
ვარ სანთლის ალზე დამწვარი ღინღლა,
და მღუპავს შენი ციებ-ცხელება...
მითხარი, მიჯობს მწარე სიმართლე,
ვიდრე ვიტყუო თავი ოცნებით...
მე ხომ სიცოცხლეს ძალით მივათრევ,
მე ხომ უშენოდ, მართლაც, მოვკვდები...

ნუ მემდურები, ნუ მემდურები,
თუკი ღამეებს მარტო ვათევდი...
მეყოფა ბედის საყვედურები,
მისი მუქარა და კამათები...
იქნებ გათენდეს, მზე ამოვიდეს,
იქნებ გაჰკვეთოს ბნელი ნათელმა...
იქნებ, შენც ჩემი კოცნა მოგინდეს,
როგორც მე მინდა და მეხატრება!!!

ნუთუ დამთავრდა

ნუთუ დამთავრდა ჩვენი რომანი
და სიხარული გვექცა დარდებად...
რაზე ჩურჩულებს კრიალოსანი,
იქნებ, ჩემს ნათქვამს არ ეთანხმება...
შენ ხომ არ გწყინდა, მე რომ ამ წლებში,
უამრავ ქალებს ვუკმე ხოტბა...
რომ მათ ვსტუმრობდი ბევრ ბნელ ღამეში,
როცა მინდვრებში ფანტელი თოვდა...
არ დაინანო, არ დაინანო,
ჩემთვის მომდგარი ტუჩზე სიტყვები...
იმად არ ვღირვარ, ჩემზე ინანო,
შენ ვერ გაუძლებ, გადაიწვები...

ახლა ცაში ღამე კვდება

ნუ აწვალე, ნუ აწვალე,
ფიქრებს, შენ რომ მოგჩვევიან...
ღამე დახრის შენს წინ თვალებს,
ღამეს ვარდის კოკრები აქვს...
გაიშლება, გაიშლება,
ეგ ვარდები, ალბათ, მალე...
ახლა ცაში ღამე კვდება,
ვარსკვლავები კუბოს რთავენ...
მაგრამ, სადღაც, ალბათ, უკვე,
სულ სხვა ღამე იბადება...
მთვარეს უზის იქნებ მუხლზე,
მთვარე მეტს ვერც ინატრებდა...
იმ ღამეში, ბნელ ღამეში,
წასაყვანად მოვალ შენთან...
შენი კაბა გქონდეს ხელში,
სულში ჩემი მონატრება...

იცი?

იცი, მინდა ბავშვი ვიყო,
მიმღეროდე იავნანას,
შენი გული ჩემი იყოს,
არვინ გყავდეს ჩემისთანა...
მაწოვებდე სავსე ძუძუს,
მეხებოდეს შენი თმები,
მზე იწყებდეს ცაში წუწუნს,
ცრემლებს ღვრიდნენ ვარსკვლავები...

რას გაიცნობ ცაში არწივს

ამ დაისის მარჯნის ფერებს,
მოვიტან და შენს წინ გავშლი...
შეიფერე, შეიფერე,
ცის მანდილი ქარიშხალში...
ამ ჯებირებს ზღვა წალეკავს,
იმ ჯებირებს წაშლის ქარი...
შენ, რომ თეთრი კაბა გეცვა,
იმ კაბაში გაგიცანი...
დამანათლე შენი თავი,
მალლა ცა და დაბლა მიწა...
მე რა სწრაფად შეგიცანი,
შენ კი დღემდე ვერ გამიცანი...
რას გაიცნობ, ცაში არწივს,
ზღვაში ზვიგენს, ხმელზე ლომებს...
ციდან შენი ცრემლი მაწვიმს,
რთულად, მაგრამ, მიახლოვებ!!!

ნუ იღიმები

შენ აღარ ჩანხარ ჩემს შორიახლოს,
არც მიძებნია ამის მიზეზი...
მე შენი სახე დღესავით მახსოვს,
სითეთრითა და სიგიზგიზეთი...
მე შენ მიყვარდი პირველი დღიდან,
პირველ წუთიდან, პირველ წამიდან...
და ისიც იცი, რომ შენი მხრიდან,
ჩემსკენ ამური ისრებს გზავნიდა...
პირდაპირ გულში მხვდებოდა ყველა,
და მე ვიყავი შენით დაჭრილი...
საშინელია ამურის წყევლა...
მე ის მრავალჯერ მქონდა განცდილი...

ჩვენ ორში მხოლოდ მე გამიმეტეს,
და მე არც მქონდა რამის იმედი,
წლებმა შენსკენ გზა გადამიკეტეს,
ნუ ილიმები, ნუ ილიმები!!!

იქნებ

შენ აქ ხარ, ისევ, ჩემს გულთან ახლოს,
მე ძველ იმედებს ვიხსნი მხრებიდან...
არ მინდა ცოდვა რომ გავიახლო...
ცოტას დავტოვებ იმედებიდან...
რა იყავ ჩემთვის, განძი თუ ტვირთი,
თუ მხოლოდ თეთრი ღამისთევანი...
თუ მოფარფატე ზეციდან ფიფქი,
შეწითლებული ქარვის მტევანი...
ის ტკბილი გემო სულ მარცვალ–მარცვალ,
თითქოს სიზმრებში ვიგემე მხოლოდ...
დრომ სიყვარული შემოგვამარცვა...
და, ვიცი, გინდა გამოიგლოვო...
შენ აქ ხარ ისევ, ჩემს გულთან ახლოს,
მე სხვა ვერავინ მომეკარება...
იქნებ, მოხვიდე და დამეთაფლო,
გაიჭრილოს გულის კარებმა...

ნუ მეტყვი

ნუ მეტყვი, როცა გადამიყვარებ,
როცა გავხდები შენთვის სულ ერთი...
ნუ გაგაკვირვებს ჩემი სიცხარე...
არ მითხრა, არ ღირს, მასეც ნუ შემცვლი...
რატომ შორდება გულს ასე გული,
თუ მცირე ხნის წინ ტრფობით ფეთქავდა...
მე შენი სევდით ვარ ავსებული,
იმედები კი შემომეფლანგა...
შემომეფლანგა თვითონ სიცოცხლეც,
იცი, ხელიდან უცებ გამისხლტა...
ასე მგონია, შენ შემილოცე
და სიყვარულის ძარღვი გამიწყდა...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
შენი თვალების კითხვებს ვუმზირო...
ვერ ვუპასუხებ და ნურც მიცდიან...
და გთხოვ, მაკმარე, ტირილს ნუ ცდილობ...

კი წავალ

მაჩუქე ეგ შენი თვალები,
მინდა რომ ტუჩებიც მაჩუქო...
მაჩუქე, თუნდ, ნურც გეყვარები,
ლამაზო, ძვირფასო, სათუთო...
რა მოხდა, განა რას ვაშავებ,
შენს სახეს თუ თვალს ვერ ვაცილებ...
ვიცი, რომ გულიდან წამშალე...
ბარგს მიკრავ და სახლში მაცილებ...
კი, წავალ, აქ ველარ დავრჩები...
რომც მსურდეს, შენც აღარ დამტოვებ...
დამდევენ ფიქრები აფთრები,
შენთან რომ გულდაგულ ვაგროვე...
მე ისეთს არაფერს არა გთხოვ,
მომეცი პირველი ნაკოცნი...
ხომ გახსოვს, ლამის რომ დაგათრო,
ის კოცნა, ტკბილი და ნაცნობი...
პირველი ფერება მომეცი,
დამფრთხალი შიშით რომ ამეკარ...
მომეცი პირველად რომ შევცდი,
და შენმა სიტყვებმა დამნესტრა...
ნუ გიკვირს, რაც გითხარ, მომეცი,
რასაც გთხოვ, რაც მინდა, რაცა მსურს...
ხომ გესმის, ხვევნები, კოცნები,
და ბოლო ალერსიც დასასრულს...

ამ ქაოსებში

ჩამოუყრიათ ჩემს ოცნებებს,
საბრალოდ, ფრთები,
როგორ დამრთგუნე სილამაზით,
როგორ დამკბინე...
და ეს დღეებიც
რეალობის შავი მონსტრები,
ისე დაჟლიტეს,
რომ ვერაფრით გადავარჩინე...
ასე მგონია,
მწუხარების ცივი ქარები,
ამ ქაოსებში ჩემს სულს
ცაში დააფრიალებს...
სული ტყვეობაგამოვლილი და ნაწამები,
სული, რომელიც,
შენ, არაფრით არ აღიარე...
ჩემგან წავიდა,

ვერ გაუძლო შენს სიახლოვეს,
და შემატოვა ეს უსულო
ცივი სხეული...
აღბათ, ოდესმე შენი სული
შენც მიგატოვებს,
როგორც დაჭრილებს
ტოვებს ველზე მეფე ძლეული...
რაც შენ არ ჩანხარ,
ემშაკები სანთელს მინთებენ,
და ყველაფერი
მეც მათ მინდა გადავაბრალო...
მაგრამ თუ შენი სურვილებიც დამივიწყებენ...
ერთსა გთხოვ, მხოლოდ,
შენს მეტრეებს არ მიმათვალო!

ნუ მაიმედებ

შენ რომ მაჩუქე, მზე, ზღვა და ქვიშა,
შენ რომ წითელი სხივი მაჩუქე...
ჩემი სიცოცხლის ნაწილად იქცა,
და შენც ჩემს გულში შემოაშუქე...
რა ცოტა გვინდა სიხარულისთვის,
ჩვენ ამ ცოტასაც ხან ვერ ვიმეტებთ...
ნუ შეწუხდები ჩემი გულისთვის,
ნუ მაიმედებ, ნუ მაიმედებ...
რადგან, ვინ იცის, რით დამთავრდება,
მოგზაურობა ამ გაშლილ ზღვაში...
ან ქარიშხლები როდის ჩადგება,
რომ გადმოვირგო ვარდი სილაში...

როდესაც სული გაფრენაზეა

დღეს ჩემი სული შენს სულს ეძებდა,
და მე, ძვირფასო, ისევ ჩავფლავდი...
გადამექეცი ისეთ ედემად,
შიგ შესვლას მუდამ რომ მიკრძალავდი...
ეს გაზაფხულიც შენით სავსეა,
სავსეა შენით ჩემი ფიქრებიც...
როდესაც სული გაფრენაზეა,
ისე შორს, თვალთ რომ ვერ მისწვდები...
სული გეძახის, სული დაგეძებს,
სული ჩიტვით სარკმლებს აწყდება...
ძვირფასო, მოდი, მომიალერსე,
თორემ, ვინმე სხვა გადამაწყდება...

იცი, არ ვიცი, რად ჩამაწვეთეს,
ბედნიერებას თურმე ჰყიდიან...
ჩემი სიცოცხლის ამ მონაკვეთზე,
ჩემი სხეული ყულფზე ჰყიდია...
შენ, იქნებ, სკამი გამომაცალო,
რომ ჩემი სული ცაში წავიდეს...
მინდა ეს მიწა ცაზე გავცვალო,
სხვა სამყაროში მსურს გადავიდე...

ამოგიჩემე

ამოგიჩემე, ამ არეულ გზებს,
არ მოაქვთ ჩემთვის ჯერ არაფერი...
ჩემი წარსული დავანაკუწე,
მოდის აწმყო და ჩუმად დამცქერის...
ამოგიჩემე, გაგაფანატე,
სულ მტკაველ–მტკაველ ვიარე შენსკენ...
რაც წამოგიღე გზებზე დავფანტე,
მხოლოდ ოცნების მოტანა შევძელ...
ნუ შემომხედავ ასე გულგრილად,
მე სიამაყე მომყვა ბოლომდე...
ჩემი სიცოცხლე სიკვდილს უდრიდა,
მუდამ მესმოდა: არ გაბოროტდე!
ამოგიჩემე, სილამაზისთვის,
შენი შარმისთვის ამოგიჩემე,
ასე ნაზი და ასე ფაქიზი,
გთხოვ, მაპატიო, რომ დაგიჩემე!!!

ნაკადული გიჩქეფს სისხლში

დაიბადე, ალბათ, მთებში,
სხვა სილაღე დაგყოლია,
ყვავილები მაგ შავ თმებში,
საწოლიდან აგყოლია...
ნაკადული გიჩქეფს სისხლში,
სახე დილის ცისკარს გიგავს,
მთა, რომ ღრუბლებს შემოიხსნის,
კაბებს იცვამ ღრუბლებისას...
არა ჭკნება, არა ჭკნება,
სილამაზე რჩება ხალხში...
ჩანჩქერი რომ კლდეს დაჰყვება
და გაკრთება ცის ლაქვარდში...

წამი

არის წამი, კვალს რომ სტოვებს,
გულზე, როგორც ტყვიის ნაჭდევეს...
სამუდამოდ რომ გახსოვდეს,
სამუდამოდ თან რომ გაგყვეს...
შენთვისა ხარ, მშვიდად, წყნარად,
არ გაღელვებს ბრუნვა ქვეყნის...
მზეს გაჰყურებ, როგორ ჩავა,
და გაქრება ზღვის ტალღებში...
მზეს გაჰყურებ და მზის ნაცვლად,
წააწყდები მზერას ქალის...
მზეა მართლაც, მზეა მართლაც...
და გაგთიშავს წამსვე წამი...
და ვინა ხარ, აღარ გესმის,
მეფე, მონა თუ მსახური...
ყველაფერი წამსვე შენთვის,
ხდება ირგვლივ უსახური...
ცდილობ, გინდა აზრი–აზრზე
მიაბა და არ ებმება,
ან, ნამდვილად დავითარსე,
ან ეს ბავშვი გამეცლება...
ის კი გიმზერს თითქოს სულში,
გადაჩხრიკა ყველა კუთხე...
მიაჭყლიტა გული ქუსლით,
ახლა მკერდზე გაჭერს მუხლებს...
და დაარქვი, გინდ, დემონი,
გინდა შავი ანგელოზი...
აიზილა ყველა დრონი...
ყველა მითი და ეპოსი...
სად არიან, სად არიან,
ვინც სიყვარულს მირწყულებდა...
ამ თვალებმა გადამრია,
მკლავდა, კი არ მიყურებდა...

ჩემი ბალი და ატმის ყვავილი

გინახავს, როცა გაზაფხულდება,
და აყვავდება ატმის ყვავილი...
გაფოთლილ ყლორტებს როგორ უხდება,
კვირტი უეცრად გამოტანილი...
ან პირისფერი მისი ფურცლები,
დილის მზეს როგორ ნაზად ირეკლავს...
შევდივარ ბალში, სადმე ვყუჩდები,
და ვუმზერ დილის აფოფინებას...

როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა,
ჩემი ბალი და ატმის ყვავილი...
ლურჯი იები ბალის ჭიშკართან,
და ალუბალი მორცხვი ქალივით...
ჯერაც ატმების ნაზი სურნელი
სიზმრებს მოჰყვება, თითქოს, ღამეში...
სურნელი ტკბილი და სასურველი...
ატმის ყვავილთა ოკეანეში...

ღმერთია მოწმე

ღმერთია მოწმე,
არ მინდოდა შემყვარებოდი,
ღმერთია მოწმე,
გადავკეტე ყველა კარები...
თუმცა, ვიცოდი,
ერთ–ერთს მაინც შემოამტვრევდი,
და რაც დამაკლო ამ ცხოვრებამ,
დამიმატებდი...
მენატრებიან ნაძვნარები,
სადაც დილიდან,
მონათესავე ფრინველები
ერთად გალობენ...
მგონი, გაზაფხულს შევეჯახე,
რა ღიმილი გაქვს...
არსებობს, ნეტა,
სილამაზე,
შენ რომ არ ფლობდე...
ღამის ყვავილთა
მოკრძალება აგირჩევია,
ასე მგონია,
მზესთან გინდა წილი იყარო...
და თუ მეც შენი მონატრება
ამნიჟებია,
რა დაგაკლდება,
სულ,
სულ წუთით რომ შემიყვარო?..

ცას ვერ გასცდები

კარგა ხანია, დავეძებ მიზნებს,
როგორმე თავი რომ შეგაყვარო...
ვიღაც აწვალებს გიტარის სიმებს,
სულს რომ ბგერები შემოაცალოს...

მე კი, ძვირფასო, ხმებს ვერ ავყვები,
ვერ ვმღერი, თუ კი არ მემღერება...
ცას ვერ გასცდები, ცას ვერ გასცდები,
ვერც იქ იპოვი ბედნიერებას...
თავის გატანა როგორ გასწავლო,
როცა მე თვითონ ვერ გამაქვს თავი...
მთელი წარსული მინდა წავშალო,
წავიდე, სადაც ველები ჰყვავის...
ვერ დაგაჯერე ჩემს სიყვარულში,
ვიღაც აწვალებს გიტარის სიმებს...
ტრფობას ვერავის მე ვერ დავუშლი,
ვუყვარდე, თუკი, ვუყვარვარ ვინმეს...
და ისიც, ვიცე, შენი დროც მოვა,
შენც შემიყვარებ, შენც ჩაიწვები...
რომ ჩემს ცხოვრებას გასდევდეს ზოლად,
შენი ცრემლების მარგალიტები...

ყვითელი ვარდი

სიმბოლოს სევდის და გაყრის,
ბოლო დროს ვერ ვხედავ, მართლაც...
სად გაქრა ყვითელი ვარდი,
სულ გაქრა, სულ გაქრა, ალბათ...
ასეა, ასეა, ალბათ,
ლამაზი ქალების ბედიც...
რა, რა დააშავა ვარდმა,
ლამაზიცაა და მეტიც...
დავეძებ სევდისფერ ვარდებს,
ყვიფელი ფერი რომ შერჩათ...
დავძლევ, ამ სევდასაც დავძლევ,
გულში სიჭრელეა ფერთა...

მე ეს დღეები გადამიყოლებს

შენ მიდიოდი, შენი თვალები,
ჩაქრნენ და, ალბათ, ველარც მხედავდნენ...
მისამძიმრებდა დღე მწუხარებით,
მეც სავსე ვიყავ სევდით ყელამდე...
ღამე, რომელსაც სათქმელს ვანდობდით,
გვიმზერდა, როგორც წინათმგრძნობელი...
ნადიმში ვიყავ, მე ვთამადაობდი,
და დამცინოდა მერე სოფელი...
ვინ ვის დასცინის, ვინ ვის დასცინის,
ან დასაცინი, მართლაც, ვინ არის...

დგებოდა ღამე ვნებადაცლილი...
როგორც ხელმწიფე გაუცინარი...
მე ეს დღეები გადამიყოლებს,
მე გათენება არ მიწერია...
მე სისხლით ვწერდი ბოლო სტრიქონებს,
სისხლით, რომელშიც შხამი ერია...

დგება საღამო

ასე მგონია, ვარდის გულში იპოვე ბინა,
და თავბრუს მახვევს მოციმციმე შენი თვალები...
მე ვერ გავიგე, ჩემი ტრფობა რატომ გეწყინა...
ან როგორ გითხრა, რომ შევძლებ და არ მეყვარები...
დგება საღამო, მოაცილა, ქარმა, რატომღაც,
მოჰყვება ღამე დახუნძლული შენზე ფიქრებით...
ღამე უგრძესი, ჩემეული სევდის კატორღა,
შენთან მოვალთ და სადმე ახლოს ჩამოგისხდებით...
შეწითლებულა ჰორიზონტი ალუბალივით,
თეთრი ღრუბლები ნარინჯისფრად შეფერადდება...
ნახევარმთვარე გადმოგვხედავს დედოფალივით,
და შენი თეთრი სარეცელი შეუყვარდება...
გავა წუთები გამოაყრის ცას ვარსკვლავები,
გავა საღამოც, თვალის ერთი დახამხამება...
გაუღიმებენ მთვარის დისკოს შენი თვალები,
და სული ჩემი შენს ცხელ მკერდზე აფართხალდება...

წამებს მოსდევნ უკან წამები

როდესაც მთელი ცხოვრება ელი,
ზეციდან თეთრი ფიფქების ფარფატს...
ბედ–იღბალი კი, ვით რუხი მგელი,
შენს მოლოდინებს კბილებით ფატრავს...
რით განუგეშო, რით დაგამშვიდო,
სად მოგიმტვრიო ატმის რტოები...
ხარ ქარვისფერი ყურძნის აკიდო,
მენატრები და მესათნოები...
წუთები ისევ წუთებს ბადებენ,
წამებს მოსდევნ უკან წამები...
წვიმები ღრუბლებს ასამართლებენ,
ღრუბლების უკან დგანან ქარები...
მე კი ვერაფრით, დღემდე ვერაფრით,
ეს გრძელი ჯაჭვი ვერსად გავწყვიტე...
დრო, აფთარივით ყალბი, ვერაგი,
მხოლოდ კუბოზე მიწყობდა ტიტებს...

ბედნიერება კვლავ ძერებს მიაქვთ,
ბედნიერება საპნის ბუმტია...
მას ვერასოდეს ჩამოხსნი ნიღაბს,
არც პირფერობა არ შეუძლია...
ახალ თაობას თუკი ჩამოვრჩი,
მე ცუდს ვერაფერს ვხედავ ამაში,
გპირდები, გნახავ, სულ, სულ სხვა დროში,
სხვა განედზე და სხვა ქვეყანაში...

ექსპრესია

ღმერთო, რამხელა ექსპრესიაა,
შენს ლურჯ თვალებში ჩაბუდებული...
მთაზე მარჯანის ეკლესიაა,
ქვევით ხევი დის გაცოფებული...
როგორ მომწონდა შენი ნაწნავი
და გაბუტული წყრომით ტუჩები...
ცა, სუფთა, სუფთა, გაუკაწრავი,
და თეთრ ლოყებზე გამობურცვები...
თუმცა, ვერ ვხვდები, რად მემუქრები,
იქნებ, ვაშავებ კიდევ რაიმეს?
გთხოვ, ხორბლისფერი შენი მუხლები,
დაფარე, ანდა, სადმე წაიღე...
და ნუ თამაშობ უმანკობას,
მგონი, მტრედებიც იქცნენ კახპებად...
როგორ შეაცდენ ახალ დროებას,
უმანკობა წარსულს ბარდება...
მინდა გავუძლო შენს ექსპრესიას,
თითქოს, ურჯულოს ხმაღმა გამკვეთა,
კედელთან ვდგავარ, ტყვიებს მესვრიან,
ესაა შენი ბოლო დაკვეთა!!!

რა ტკბილია

სტუმრებიხარ ედემის ბაღს,
მის ტბას შავ–თეთრ გედებიანს...
როცა ხვდება ბაღი ცისკარს,
ყვავილიან–პეპლებიანს...
შენ ვარდი ხარ, მე ბულბული,
გიგალოზე მთელი დილა...
ისე იყავ განაბული,
რომ ჩემს მკერდზე ჩაგეძინა...
რა ტკბილია, რა ტკბილია,
წაბლისფერი დაღალები...

კოცნა? კოცნაც გათვლილია,
თუ თაფლივით ჩამადნები...

წვიმს

მაისია, წვიმს თავისი
სევდიანი წვიმებით...
მთებზე ჯანდი, ველზე ნისლი,
ბაღში სველი წყვილები...
ეს ნახატზე, სულში ცივა,
სული შეკუმშულია...
ჩემი სული, თუა წვიმა,
სახლში შეყუჟულია...
ვიცი, ვიცი, სულ იწვიმებს,
წვიმა არ დამეხსნება...
სულიც ასე იჭრიჭინებს,
წვიმს და ისიც სველდება...

წვიმს

წვიმს, ჩაიშავა ზეცამ თვალები,
თანაც ისე წვიმს, თითქოს არც წვიმდეს...
დარდობენ მთები ძილგამკრთალები,
ჩაუყვინთიათ ფრთებში არწივებს...
არის დღეები, მზე რომ არც გინდა,
და წვიმა უფრო ახლოა გულთან...
წვიმს და მგონია გულიც გაცივდა...
მართლაც, გაცივდა და ჩამიმუქდა...
გული არ მიცემს, გული არ მიცემს,
წვიმს და მგონია გულიც გაჩერდა,
მოწყენილია გარეთ ალვისხე,
ვუმზერ და ისიც შემომჩერდა...

არ შემიძლია

ერთი სული მაქვს, მოვიდე შენთან,
და შევისუნთქო შენი სურნელი...
შენს დანახვაზე სურვილი ფრთხება,
როგორც შვლის ნუკრი გამოუცდელი...
რად მაქეზებენ, რად მაქეზებენ,
თვალები შენი ასე მეტყველი..
თითქოს, ღიმილი კრთება ბაგეზე,
მაგრამ მაინც გვყოფს მინის კედელი...

შენთან აისი სხვა ხმაზე გალობს,
ჩემთან დაისი გამეფებულა...
შენ, ალბათ, შენი ღმერთები გწყალობს,
მე ვითარსები კვლავ ძველებურად...
არ შემიძლია, არ შემიძლია,
ჩამოგიცილო როგორმე გზიდან...
ჩემი სიცოცხლე ღამის ნისლია,
შენი – სინათლე, დაღვრილი ციდან...

ანგელოზივით ძილში ჩამყვები

ასე მგონია, ჩემს სხეულს მოსწყდის,
ვით ზვავი წყდება მაღალი მთიდან...
ვეცადე, მაგრამ, ვერაფრით, მოგვწვდის,
ჰო, არაფერი გამომივიდა...
ქვეყანა, სადაც მე და შენ ვცხოვრობთ,
დანაღმულია სევდის ნაღმებით...
ეგებ, შენ მითხრა, როგორ გიპოვო,
როცა ძალიან მომენატრები...
როცა ძალიან მომენატრები,
როგორც ვარსკვალებს ზეცა თავისი...
ანგელოზივით ძილში ჩამყვები,
მუზად იქცევი ჩემი ზღაპრისთვის...
ამ ბოლო წლებმა რა არ მასწავლეს,
მორევში ყრიდნენ ყველა იმედებს...
და თუ მოვალწევ შენთან ამ ღამეს,
ნუთუ, ერთ კოცნას არ გაიმეტებ...

დამიმახსოვრე

დამიმახსოვრე,
ჩემი სული დუმს,
რა ხანია,
ვერ ააღელვებს
ეს ტყუილი მასკარადები...
მართლაც, ვერ ვხვდები,
რა მომწონს და რა მიხარია...
თითქოს, მზე ვიყო
და უცნაურ დოღში ჩავები...
დამიმახსოვრე,
ჰორიზონტზე როცა ღრუბლები,
მომაკვდავ წუთებს
ვარსკვლავებად გადააქცევენ...
დამიმახსოვრე,

რომ დასძლიო ეს უკუნეთი,
თუ გსურს,
ადვილად აუარო გვერდი მტაცებლებს...
დამიმახსოვრე,
მე ვაღმერთებ შენს სინატიფეს,
და სულ არ მინდა
ემმაკების წრეში გიხილო...
სულის ხომალდი
შენი თეთრი კანით დავტვირთო,
ბრმა ვარ,
შენც ხედავ
და მსურს თვალი რომ ამიხილო...

მინდა გავუძლო

მინდა გავუძლო ყველა განსაცდელს,
დაპყრობილი აქვთ ზეცა ტირანებს...
ქრისტე ჯვარს აცვეს, ქრისტე ჯვარს აცვეს,
თუ კი შეჩერდი, შენც გაგწირავენ...
აუცილებლად გამოვცვლი ზეცას,
გამოვცვლი მზესაც თუკი დამჭირდა...
დავიწყებ მთელი სამყაროს შეცვლას,
და მხოლოდ, შენ ერთს, შეცვლა არ გინდა...
მე ვერ გავუძელ შენს სილამაზეს,
ეს განსაცდელზე ბევრად მეტია...
მე ბორკილები სულზე დამადეს,
რადგან სხეულზე არ დამეტია...

სული სულს ხვდება

რა გვიხარია ყველაზე მეტად?
არც დავფიქრებდი, ერთურთის ნახვა...
სული სულს ხვდება, სული სულს ხვდება,
და ეკითხება, რას მეტყვი ახალს...
სული სულს ხვდება და უხარია,
ვდუმვართ, სულები ლაპარაკობენ...
მათი შეხვედრა ხან მწუხარია,
ხან კი, პირიქით, არას ნაღვლობენ...
შევხვდებით, გეტყვი და სული ღელავს,
სული ზღვასავით სხეულს გადმოდის...
მე შენი სულის ჰამაკში ვწევარ,
და მღერის სული, თვეა ვარდობის...

შენც ყვავილი ხარ

დაღვრემილი ხარ
და უეცრად სულს გაანათებს,
ალუბლის ტოტი,
აპრილივით აყვავებული...
მე შენც აპრილის
ულამაზეს სახელს დაგარქმევ,
რომ ამ ყლორტევით
ყვავილებით იყო შემკული...
მართლაც, მინახავს მაღალ მთებში
მთელი ველები,
ყველა სხვადასხვა,
სულ სხვადასხვა ფერში მბრწყინავი...
თავს შევიკავებ
იმ ყვავილთა დასახელებით,
იყო დღეები
საყვარელი და უწყინარი...
ის სიხარული
მოიპარეს მერე ზამთრებმა,
ფერად ალბიონს
გადაეკრა თოვლის თასმები...
და გაზაფხულიც
ისე მწარედ აგვიანებდა,
რომ ყვავილებსაც,
ყვავილებსაც ვეღარ ვამჩნევდი...
შენც ყვავილი ხარ,
ჩემი სულის ფსკერზე დარგული,
ულამაზესი ფერებით რომ ამოიფეთქე...
რომ თუნდაც წუთით
ყოფილიყო ჩემთვის ზღაპრული,
ბედი, რომელიც
ვერასოდეს ვერ მოვიხელოთე...

ზღვა არის შავი

ზღვა არის შავი, როგორც ყორანი,
ეს, ალბათ, შტორმის დასაწყისია...
გველემაპივით წევს ჯადოქარი,
დროდადრო აჩენს კბილებს სისხლიანს...
აქაფებული და შემზარავი,
წამოიძმართა, როგორც ურჩხული...
ზღვის წინ მე ვდგავარ, მეტი არავინ...
სიკვდილს მოველი თვალდახუჭული...
გრგვინვამ ღრუბელთა რკალი გააპო,

ექომ ტალღებზე გადაიარა...
მე შეჯახება მეხმა დამასწრო,
ცა გააწითლა ელვამ მთლიანად...
მერე კი ტალღამ აყეფებულმა,
ხელი დამავლო და გამიტაცა...
ძვლების ჭახჭახი იგრძნო სხეულმა,
მთვარემ კი თმებში ხელი იტაცა...

იქნებ და

ოცნებობ, შენი სიცოცხლე,
ამ ოცნებებთან ომია...
შენგან ამ ომის მოგება,
ადვილი არა მგონია...
მაგრამ, გაუშვი, ვიომოთ,
მაინც არ გვწყალობს ეს ბედი...
იქნებ და გავიიოლოთ,
შხამი ცხოვრება, შემთხვევით...
თუმც, უსაფუძვლოდ არა ღირს,
არასდროს ხმალის მოქნევა...
არავინ იცის, სად ჩაგჭრის,
ბედი სადამდე მოგყვება...
ან სიყვარული, ვინ იცის,
რომელი ქალის მკერდშია...
მოდით, შენს მკერდთან მიმიშვი,
ინებ და, მართლაც, შენშია...

გაიელვებს თათრის ხმალი

საით მიქრის, საით მიქრის,
ეგ მერანი ჭენებით...
წმინდა ჯიშის, წმინდა სისხლის,
და შავ-თეთრი ფერებით...
ცოტაც კიდევ, სულ ცოტაც და
დამთავრდება ეს ველი...
რაში უკვე ველსაც გასცდა,
გზაა გაუკვლეველი...
ჩემმა ბედმა მე ამ გზებზე,
ყაჩაღივით მატარა,
დახვეული მქონდა ხელები,
მუდამ ცხენის ავშარა...
აქ ყანწების ტრიალია,
იქით ცრემლის ტბებია...
აქ ვერხვების შრიალია,

იქით არწივებია...
საით მიქრის, საით მიქრის,
ეგ ტაიჭი უბელო?
ჩემი სული წამებს ითვლის,
სიკვდილს მინდა ვუყელო...
გაიელვებს თათრის ხმალი,
და ჟღრიალებს ფოლადი...
მოლზე გდია ჩემი მკლავი,
სიკვდილს ვებრძვი მოვარდნილს....

ქარი კვდება

შემოახევს ღრუბლებს ქარი,
წვიმის ფერმკრთალ სამოსელს...
არ გაჰყვება ღრუბლის ჯავრი,
წავა გაიტაფობებს...
გაიტაცებს ყვითელ ფოთლებს,
მიქრის, მიაბზრიალებს...
თითქოს, მართლაც, საქმე ჰქონდეს,
ტლე-ღრეს მიაგრიალებს...
დაქრის, სანამ დაიღლება,
ამ უაზრო ქროლებით...
ქარი კვდება, ქარი კვდება,
სადღაც, ცის გაყოლებით...
ხან ხის ტოტებს ეფარება,
ხან სახურავს შენობის...
და ჩემს სულში მწუხარება,
უკითხავად შემოდის...

ვიცი, ვიცი...

რაზე წერდნენ პოეტები,
რაზე წერდნენ, მართლაც, ნეტა...
თუ ჩემსავით ჰყავდათ მტრები,
თავს რომ სთვლიდნენ პოეტებად...
ვიცი, ვიცი, მართლაც, ბევრი,
ჩემს ძვლებს ჩუმად ვინცა კვნეტდა...
ვერ გავაწყე ვერაფერი,
ვერასოდეს ამ ჩემს მტრებთან...
თითქოს, მართლაც, რამედ ღირდეს,
ეს სამყარო ასე ჰრელი...
რაღა უნდა გამიკვირდეს,
კარგს ხომ, ისეც, არას ველი...

რაზე კვნესის ვიოლინო

სად წამიყვანს, სად წამიყვანს...
რომელ მხარეს ფიქრი ჩემი...
სად წამიყვანს და გამრიყავს,
ეს ზღვისფერი იალქნები...
ასე ნაზად, ასე დიდხანს,
რაზე კვნესის ვიოლინო...
ან ეგ ცრემლი რასა ნიშნავს,
რატომ ტირი, რაზე ფრთხილობ...
ისევ მოდის, ისევ მიტევს,
როგორც მგელი გააფთრებით...
სევდა ზღვაც რომ ვერ დაიტევს,
სევდა შენი მონატრების...
ვიცი, ვიცი, დამცინიან,
წლები ცაში გაფრენილი...
ჩემი ბედი არწივია
ყვავ-ყორნების დაკბენილი...

არ არის საშველი

არ არის საშველი, არ არის საშველი,
კომკიც რომ ააგო ზეცამდე...
დრო მოდის, დრო მოდის
ყველაფრის წამშლელი,
რამდენიც გინდოდეს
ეცადე...
არ არის საშველი,
და არც ღირს ლაყბობად,
ვეფხვებსაც დააცვდათ,
ეტყობა, ბრჭყალები...
მოდაში შემოდის სექსი და გართობა...
ლექსები?
ლექსები კვდებიან წამებით!
ჩემს მუზას,
ჩემს მუზას მე ყელი გამოვჭერ,
ის მშვიდად მიმზერდა,
ცრემლიან თვალებით...
გარშემო ყველანი,
ყველანი ჩქარობენ,
არ უწყის არავინ,
სად მივეჩქარებით...
ის იწვა კუბოში კრავივით ლამაზი,
და ტანზე ლექსების სუდარა ეფარა...

ტიროდა მუზებით გავსილი დარბაზი,
გულ-მკერდზე ყვითელი ვარდები ეყარა...
ნუ მკითხავთ,
ნუ მკითხავთ,
თუ რატომ მოვკალი...
მზეს ფეხი წამოვდე და ცაზე დავეცი...
რაიმე იმედი?
იმედი შორს არის...
რადგანაც,
რაც მქონდა,
შენამდე გავეცი...

შანსია (ირმა სურმანიძეს)

როგორც გინდა ისეთი იყავ,
როგორც გინდა, როგორც გასურდეს...
შენს სილამაზეს მე ვინა მკითხავს,
მაგაზე, მართლაც, არ შეგაწუხებ...
მაგრამ არსებობს, ალბათ, ძაფები,
ორ გულთა შორის რომ იბმებიან...
დიდი შანსია მათი დაწყვეტის,
თუ კი გულები ვერ თანხმდებიან...
დიდი შანსია მათი ტკენისა,
მათი წყენისა და დამდურების,
შანსია მათი გაბუტვებისა,
და მეტიც, მათი განადგურების...
მაგრამ თავიდან ამას გულები,
ვერ გრძნობენ, რადგან არ აქვთ თვალები...
და რაღაც ჟინით არეულები,
ელტვიან ერთურთს აღფრთოვანებით...
გადავაჭარბე, არ დაგაცალე,
ვიცი კი, სად ხარ, რომელ განედზე?
იცი, მე კოცნა ნიავს ვასწავლე
და ის ჩემს ნაცვლად მოგიალერსებს!!!

იქნებ, სჯობდეს...

რაღაც ცივი, რაღაც მკრთალი,
უსხეულო დღეებია...
ვინუგემებ მეც თავს ძალით,
თუკი ფეხში მედებიან...
მე დროს მინდა გადავახტე,
მაგრამ, როგორ, ეს ვერ მივხვდი...
ვინ ამიყვანს ისე ტახტზე,

ამ წლებისგან ვინ დამიხსნის...
ვჩქარობ, იქნებ, იქნებ, არც ღირს,
არც პრინციობა, არც მეფობა...
იქნებ, ოქროს ტახტიცა ღლის,
იქნებ, სჯობდეს უმეფობა...
იქნებ, სჯობდეს ვიყო ჩემთვის,
ბნელ კუთხეში მიგდებული...
თავი მქონდეს მაგ თბილ მკერდში,
შენს ძუძუზე მიდებული...
თორემ ცივი, ისე ცივი,
ისე მკრთალი დღეებია,
როგორც ნისლში წეროს მწკრივი,
ცად რომ გაიწელებიან...

სილამაზე

შეიწირა, შეიწირა,
სილამაზემ ჩემი წლები...
სილამაზემ შენ რომ ბრწყინავ,
შენ რომ ჩემსკენ იმზირები...
მე შენამდე როგორც ვიყავ,
ნეტა, ახლაც ისე ვიყო...
მაგრამ, აბა, მე ვინ მკითხა,
სიყვარული მოსულიყო...
ჰო, მოვიდა, არცა მკითხა,
თვალზე ხელი ამაფარა,
მერე შენი სახე მთხლიშა
და ორ წამში დამაბრმავა...
დამაყრუა, დამამუნჯა,
და წავიდა თავის გზაზე...
კაცმა რომ თქვას, ვის რად უნდა,
ამისთანა სილამაზე...

ის პირველი

ვით პირველად ხატთან ლოცვას,
ვერ ვივიწყებ პირველ კოცნას...
სულ, სულ პირველ პაემანებს,
პირველ ვნებებს, პირველ ქალებს...
პირველად რომ ბაგეს მოსწყდა,
სიტყვა ცისფერ ანგელოზთა...
მიყვარხარო, მიყვარხარო,
სულ პირველად რომ წამოგცდა...
მართალია, წლები გადის,

ბევრი რამე გვავიწყდება,
მაგრამ გვახსოვს სიკვდილამდის,
ის პირველი გაწითლება...
ის ოცნება, ის ბავშვობა,
იმ თოვლებში ჩაინამქრა...
არასოდეს აღარ მოვა,
იმ პირველი სიტკბოს განცდა...

ჩემი ცხოვრება

ჩემი ცხოვრება ჰგავდა დიდ კინოს,
სადაც ტრიალებს მრავლად ვნებანი...
კაცმა რომ დიდხანს ვერ მოიწყინოს,
მცვიოდა ციდან საოცრებანი...
ახლა, რომ ბევრი არც მესალმება,
და ძარცვა–გლეჯას არ თაკილობენ...
მათი სიცოცხლე იყო წამება,
ჩემი? ცით ტკბობა სანაპიროზე...
სანაპიროზე სადაც ფერიებს,
ფერხული ჰქონდათ წრეში ჩაბმული...
და მეც ველტვოდი სხვა მატერიებს,
იმ ვნებიანი მზით გათანგული...
იყო ღალატიც, იყო ტყვიებიც,
იყო სროლა და იყო დანდობაც...
დაჭრილი ვიყავ შურისძიებით
და სიყვარული ერქვა ამ ბრძოლას...

ნამძვი

ჩემს სარკმლამდე ამოვიდა
ნამძვი, იწევს მაღლა, მაღლა...
სამი დღეა წვიმა სცრიდა,
როგორც ვხედავ, დღეს დამთავრდა...
არაფერი აღარა მწყინს,
შევეჩვიე ამ მტკნარ დღეებს,
სულერთია, მათოვს, მაწვიმს,
არაფერი არ მაღელვებს...
არაფერი არ მაღელვებს,
მართლაც, გარდა სიყალბისა...
ნამძვი ასცდა უკვე კედლებს,
ნამძვი არის, ალბათ, ცისა...
მინდა ვიყო, მინდა ვიყო,
მინდა ვიყო ჩემი მიწის...

მისგან წყენა დავივიწყო...
მაგრამ, რაღაც, მაინც, მიშლის...

რომ მცოდნოდა

ქარბორბალას წუთისოფლის,
მივდევ, მაგრამ ვერ ვეწევი...
ჩემი სატრფო სხვასა ჰკოცნის,
გთხოვ, ნუ მკოცნი, ნუ მეხვევი...
ნუ, ნუ, მკოცნი, გამარიდე,
ეგ ტუჩები, ნატუჩარი...
თითქოს, კანი გადავიძრე,
თითქოს გულზე დამრჩა კვალი...
წუხელ ზეცა ვარსკვლავებმა,
მიატოვეს და მზეს გაჰყვნენ...
სულ არ შერცხვათ, სულ არ შერცხვათ,
მთლად გაშიშვლდნენ განთიადზე...
თურმე ზეცას გლოვა ჰქონდა,
ზის და მოსთქვამს მისი ბედი...
რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა,
არასოდეს გაკოცებდი...

რომ შენი ვარ

დაწვას, დაწვას, ელვამ დაწვას,
ნატვრა, შენსკენ თუკი იწევს...
აუხდენელ ვერცერთ ნატვრას,
მე ვერაფრით ვერ ვივიწყებ...
ჩემი იყო, ვინატრებდი,
სულ სხვას, სადმე, ვინმეს, ალბათ...
საკუთარი სისხლით ვთვრები,
თან გიყვები ამ ჩემს ამბავს...
რომ შენი ვარ და შენს იქით,
ვერას ვამჩნევ, გზა არა მაქვს...
გავიღებდი მაგ მკერდისთვის
და კოცნისთვის ყველა ნატვრას...
რა შორსა ხარ, რა შორსა ხარ...
გმასპინძლობენ სულ სხვა ზღვები...
შენ მკერდს ცაზე გამოვსახავ,
და სიზმარში დავაკვდები...

სიყვარულის ყუთი ვნახე

მე ხომ შენთვის ამ ბოლო დროს,
არაფერი მითხოვია,
არ გამიგდო სიყვარული,
შემთხვევით რომ მიპოვია...
არ გამიგდო, ჩემთან იყოს,
შენ არაფერს დაგიშავებს...
ჩემგან მუდამ მსხვერპლს რად ითხოვ,
რით ვიცოცხლო ამდენ შხამზე...
სიყვარულის ყუთი ვნახე,
მის ღმერთს ღია დარჩენოდა...
იჯდა ჩუმად სახურავზე
მთლად შიშველი, არც სცხვენოდა...
მითხრა, ვიცი, სატრფოს ეძებ,
დაიღალე მის ძებნაში,
ეს არ მოგწონს? და მის ხელზე,
ქალი გაჩნდა შველის მსგავსი...
მომწონს, მომწონს, ხელი წამცდა,
და ჩამავლო მანაც ხელი,
სიყვარული სადღაც გაქრა...
და ის შველი გახდა ჩემი...
ახლა სწორედ სიყვარულს ვთხოვ,
ნუ წამართმევს, ნუ წამართმევს,
ამ შველს მე სხვას ვერ დავუთმოვ
თუ თვითონ არ მიღალატებს...

ნუ მიმატოვებ

ნუ მიმატოვებ, ნურასდროს გზაში,
არ მიყვარს მარტოს როცა მტოვებენ...
ის წუთი რჩება მახსოვრობაში,
და ტკივილებიც გვიმახსოვრებენ...
უკვე ჩამოჯდა საწოლზე ღამე
და მელოდება როდის დავწვები...
ღამე ტკივილებს ვერ დამიამებს,
ბევრიც მომიყვეს თავის ზღაპრები...
ნუ მიმატოვებ, მოდის დღეები,
ბევრად სასტიკი, ბევრად მკაცრები...
ჩვენ რომ გვიყვარდა ის სიმღერები,
წავიდნენ, გაჰქრნენ, თავის განცდებით...
იბადებიან სხვა თარიღები,
მოვიდა სულ სხვა, სულ სხვა თაობა...
გაუბრალოვდა მარგალიტები,
თვითონ სიცოცხლეს გაუბრალოვდა...
როგორ აგიხსნა, თუ რას განვიცდი,
ან დღეს რა არის, მართლაც, მთავარი...

როგორც, ტალღები ოკეანისთვის,
როგორც, ცისტვის მზე ამომავალი...
მაგრამ შენც, იცი, არ გაჩერდება,
მიწამ მარადჟამს უნდა იბრუნოს...
სიკვდილით? მართლაც, პეპელაც კვდება,
ხვალ კვლავ სიცოცხლე რომ დაიბრუნოს!!!

თუ მაკოცებ... (ნ.შ.–ს)

თუ მაკოცებ, გავბრუვდები,
შენი თმების სურნელით...
შენი სახე, შენი მკერდი,
შენი ხელისგულები...
დამავიწყე, დამავიწყე,
ჩემს გარშემო რაც ხდება,
ვბოდავდე და მქონდეს სიცხე,
გადამრიონ ამ თმებმა...
დამავიწყე ეს სამყარო,
სულს რომ მინაგვიანებს,
მსურს თითები გავუყარო,
შენი თმების ლიანებს...
გადამაწან მკლავი მკლავზე,
ყელი ყელში ჩამიდე,
გაცოფებულს დამამსგავსე,
მწამლიდე და მთაფლიდე...
მომეკარი, მომეკარი,
სხვა გზა არ დამრჩენია,
შემოგლიჯე გულის კარი,
ის ისედაც შენია!!!

ცა დამიცავს

ამ ზღვასა და ამ ცას შორის
უმოკლესი მანძილია...
დაიღალა ჩემთან ბრძოლით,
ზღვა, ცასავით აირია...
აიხადა ღრუბლის რიდე,
აიშალა, აიფაფრა...
უკანასკნელ ღონეს იკრებს,
მიტევს, როგორც იცის ტალღამ...
ზღვა მებრძვის და ზეცა მშველის,
ჩამოუშვა ციდან კიბე...
შევძელი და ცალი ხელით
თოკის ბოლოს ჩავეჭიდე...

მას მივყვები, მას მივყვები,
მაღლა, კიდევ უფრო მაღლა...
მიანგრია ნაპირები,
მე კი ველარ შწვდება ტალღა...
გადმოვცქერი დედამიწას,
ციდან, როგორც, გვიცქერს ღმერთი,
ცა დამიცავს, ცა დამიცავს...
თქვენი იყოს, ზღვაც, ხმელეთიც...

თეთრი წერტილი (კ-ს)

რატომ მგონია,
რომ ჩემია შენი თვალები,
და რომ ჩემს გარდა,
ველარავის ველარ ამჩნევენ...
შენ ამოავსე
ჩემს გულმკერდზე სევდის ბზარები,
ლხინსა და ჭირში,
გამუდმებით, პირს რომ აღებდნენ...
რა ადვილია
შეცდომების გადაბრალება,
თუ კი სიცოცხლე
არენაა სიურპრიზების...
როგორც შვლის ნუკრი
შენს წამწამებს თავს აფარებდა,
ხსოვნიდან ჩუმად გასხლეტილი,
ჩემი იმედი...
ბედმა უამრავ
სიყვარულის სიკვდილს დამასწრო,
მემუქრებოდა
საუკუნე გადახლეჩილი...
ყველა წავიდა,
მე კი მაინც ხელი არ მახლო,
მე მისთვის ვიყავ
უკუნეთში თეთრი წერტილი...
ნუ ფიქრობ ჩემზე,
ჩვენ შეხვედრა არ გვიწერია,
ვილაცამ ჩვენი ლიანდაგი
ჩუმად აყარა...
და ამ ჯადოსნურ
წრიდან თუ ვერ გამიღწევია,
მხოლოდ იმიტომ,
შენი სახე რომ მეზღაპარა...

ვინ არიან ეს დედააფეთქებულები?

ეს მინდა გითხრა, ამ წყეულ დროში,
ამ წყეულ დროში, რომ იარსებო,
უნდა ჩაება გველების დოღში,
უხსენებლებიც უნდა გახედნო...
ერთი სული აქვთ, ერთი სული აქვთ,
ჯერ დაგნესტრონ და მერე მოგახრჩონ,
ეს, უკვე, ალბათ, დასასრულია,
მიწვევენ ყელი რომ გამომღადრონ!!!

ზღვა ალბათ ღელავს (მაგდას, ყურაშვილს)

ვის მოევლინე, ნეტავი, მსხნელად,
ვის გაუნათე გზები ცხოვრების?
ზღვა, ალბათ, ღელავს, ზღვა ალბათ ღელავს,
ღელვას მოსდევენ ხშირად შტორმები...
ვინ იცის, შევხვდით კიდეც ოდესღაც,
სხვა მიწაზე და სხვა სამყაროში...
როცა ატმისფერ ცას გამოესხა,
ანგელოზების თეთრი სამოსი...
იცოცხლე, ძნელია, მართლაც, ძნელია,
სულმა ყოველთვის გაუგოს სხეულს,
შენში შერწყმია, საკვირველია,
სული სხეულსაც ასე დიდებულს...

...

არის მძიმე წუთები,
არის ბევრად მძიმენიც,
ზოგჯერ მთლად იღუპები,
ზოგჯერ მთლად იძირები...
მაგრამ გაიხედავ და
მზე ანათებს საოცრად...
ანუ შენდა ბედად და
დაივიწყე რაც მოხდა!!!

მადლობა

რა უნდა გითხრა, ალბათ, მადლობა,
რომ შენს სხეულში ვიხრაკებოდი...
და, მართლაც, გული როგორ დაგთმობდა,
როცა ფიფქივით ზედ მადნებოდი...

და, მართლაც, ზოგჯერ, როგორ უმწეოდ,
მიმზერდნენ შენი მწვანე თვალები...
უმწეოდ დღეებს ვგავარ უმწეოს...
წუთებიც გახდნენ ამორძალები...
მებრძვიან, როგორც ებრძოდნენ მამრებს,
ქალური რისხვით და გამეტებით,
როგორც უტევდნენ ვაჟკაცთა რაზმებს,
ხმალით, შუბით და არბალეტებით!!!
ვერ შევიხორციე, ვერ შევიხორციე,
ამ განწირული დროის ჭრილობა...
თითქოს, თაობა ამომიხოცეს,
მე გადავრჩი და გული მტკიოდა...
მადლობა, თუნდაც, რომ შეიფარე,
ჩემი აურის მკრთალი სხივები...
ნუ მიმზერ ასე, ნუ, ნუ, ხრი თვალებს,
ხელი რომ გახლო, გადამიტყდები...

სულის საზღვრები (მაგდას ყურაშვილს)

ასე მგონია, რაღაც დამრჩა
თითქოს უთქმელი,
რაღაც ლამაზი,
რაღაც თბილი,
რაღაც სათუთი...
ვიცი, რაც არის, ქალის ტვირთი,
ქალის უღელი,
მოწმენდილ ციდან მოვარდნილი
თოვლის ქარბუქი...
არის საზღვრები,
რა დავარქვა,
სულის საზღვრები...
გსურს გადახვიდე საზღვარს,
მაგრამ სული გაჩერებს,
როცა სხეულით,
სულს არაფრით არ ეთანხმები,
მაგრამ, რას იზამ,
თუ ამ წლებმა გაგასანთელეს...
არ გაგიკვირდეს
ეს სულები ეხეტებიან,
როცა, რატომღაც, ვერ უძლებენ
ცოდვილ სხეულებს...
და თუ მიწაზე ვერ მოხერხდა,
ცაში ხვდებიან,
ცაში ხვდებიან
თავის მსგავსებს და ღირსეულებს...

აქ მაისი სულსა დაფავს

ეს არ არის მხოლოდ სევდა,
ეს სევდაზე მეტია,
თურმე შენი მონატრება,
როგორ მომნატრებია...
ქარი ქრის და შენს სულს მარცვავს,
ჩემს სულს მარცვავს მეწყერი...
ეს მე მოვალ ქარის ნაცვლად,
ქარის ნაცვლად გეწვევი...
დაგირწყულებ ბაგეს მწყურვალს,
ულამაზეს კოცნებით...
და მოისმენ ჩემს საუბარს,
როცა გამოცოცხლდები...
აქ მაისი სულსა დაფავს,
კვდება ვარდის ფურცლები,
ცა ვარსკვლავთა გუნდებს ყლაპავს,
თავის ცხელი ტუჩებით...
მზე ვნებისგან აჭრილია,
მთვარე ალექილია...
შენი მკერდი ჩახსნილია,
ჩემი დალექილია...

ფიქრები

თქვენც მომეწონეთ და თქვენი ვარდიც,
განსაკუთრებით, თქვენი ფერები,
ასე მგონია, ისე ბრწყინავდით,
როგორც წვიმისას ცისარტყელები...
მომეჩვენა, რომ იქვე ცაც იწვა,
და ვარდებს თავის ქსოვილში ხვევდა...
და როცა ვარდებს ნამი გასცვივდა,
თქვენი ლამაზი ხელი დასველდა...
მე კი, ჯერ ისევ თქვენზე ვფიქრობდი
და ის ფიქრები თქვენს წინ დავაწყე...
ეს მოხდა სანამ თქვენ გაგიცნობდით
და ვეჩვეოდი თქვენს სილამაზეს...
ფიქრები, ჯერაც, კვლავ წინ გიწყვიათ,
გთხოვთ, მათგან ერთი ამოარჩიოთ...
ხედავთ, როგორი ცეცხლით იწვიან,
ერთ–ერთი უნდა გადაარჩინოთ...

თუკი მომკვეთეს მარჯვენა

გაიშლივინეს ამ წლებმა,
როგორც გველებმა შამბნარში...
თითქოს შხამის თასს ავსებდა,
თითქოს გულს ჰკბენდა გადახსნილს...
თავს არ ვაწონებ არავის,
არც ბევრი ახსნა მჭირდება...
სიცოცხლე, მართლაც, არა ღირს...
ამ მეორეულ ჭინჭებად...
ვინა ვარ, ვისი შვილი ვარ,
ღვთის თუ ეშმაკის ნათლული?
საიდან საით მივდივარ,
ათას ხორუმში ჩაბმული...
თუკი მომკვეთეს მარჯვენა,
ვიყო მარცხენას იმედზე?
აღარავისი არ მჯერა,
დავდივარ დანის პირებზე...

არწივი

სული მოითქვა არწივმა,,
თავი მრისხანედ აიღო...
სისხლმა ბალახი დაწინწკლა,
ზეცამ ქუხილი გაიღო...
აღმოსავლეთით ღრუბლები
უფლის კარივით გაიხსნა...
სვაავით მოურჯულები
გული შექმოდა ჯავრისგან...
ფრთა ააყოლა გათქერილ
ბალახს, ბოლომდე გაშალა...
სულ ყველა ნაკორტნ–ნაკბენი
დაკოლტებოდა შავ–შავად...
უხმოზდნენ, მთები უხმოზდნენ,
დაგორებული ზვავები...
სად ერთმანეთში მრუშოზდნენ
ყორანები და ყვავები...

ტბის პირას

როცა მე და შენ ვისხედით ტბასთან,
და ტბას იპყრობდა ამიტომ სევდა,
როცა დაისი აისსა ჰგავდა,
და ჩემი ხელი ეძებდა შენს თმას...

მხრებზე გეფინა, მხრებზე გეფინა,
იმ ტბის წყლისფერი თმები გაშლილი...
შორს იღვრებოდა ზეცა ზეფირად,
და მთვარე ჩანდა წყალზე წაშლილი...
უცნაურ ჰანგზე მღეროდა მიწა,
თითქოს ზეცისკენ ლოცვებს გზავნიდა...
ტბის პირას ლურჯი ვარსკვლავი იწვა,
და თავის დედად მთვარეს არ თვლიდა...
ამბობენ, თურმე, დასაბამიდან,
აქ აჩრდილები ღამეს ათევენ...
მეტეორების წვიმა გვაცვივდა,
და ვარსკვლავები ციდან გვამჩნევდნენ...

მე განა შენთან არ მინდა

არ ვიცი, შენი ვარსკვლავი,
რომელ ზეცაზე ჰკიდია,
ფარფატებ ფერიასავით,
ზღვაზე კი ისევ ნისლია...
არ ვიცი, რატომ მგონია,
რომ ჯადოსნური აფრებით,
როგორც კი ზეცას მოვიარ
შენს ფანჯრასთან გავჩნდები...
მე განა შენთან არ მინდა,
რაც მე შენ გეჭიკჭიკები...
ლამის ამოვძვრე ტყავიდან,
ლამის ავჩეხო სიზმრები...
მივწეწ–მოვწეწავ ამ დღეებს,
რაიმეს მოვიმიზეზებ...
დაგინთებ ნატვრის სანთელებს,
და შენს დაკრულზე ვიცეკვებ!!!

დრო

დრო არ ითმენს, დრო არ ითმენს,
და მეც ვრჩები წაგებული...
გარბის, გარბის და ხელს მიქნევს,
ფეხქვეშ ვყავარ გაგებული...
და არც მინდა ამ დროს ავყვე,
ის საშინლად გარყვნილია...
და დროც მასწრებს, დღემდე მასწრებს,
მისგან მუდამ დასჯილი ვარ...
ბევრსა ვფიქრობ, ალბათ, მართლაც,
მას, რაც სხვებმა არ იციან...

ვმარხავ, ვმარხავ, ახლაც ვმარხავ,
რაც კი დღემდე განმიცდია...
ლამეს მთვარის მკერდზე ვათევ,
ქარიშხლებით ვიღვრიჭები...
თუ ავფრინდი მზემდე ვაღწევ,
თუ, არადა, ფსკერზე ვრჩები...
ვიცი, ვიცი, საფლავს მითხრის,
დრო ხომ მუდამ ასე ჩქარობს...
რაც ვაკეთე, არ ჩამითვლის,
მე კი მსურს, რომ ჩამეთვალოს!!!

ამაოდ გეძებ

ამაოდ გეძებ, ამაოდ გეძებ,
გაყრილა ჩვენი საერთო გზები...
და ჩემი სულის გარუჯულ მკერდზე,
შენს ნაცვლად სულ სხვა მუზებსა ვხვდები...
მიმზერენ, როგორც, ვინმე უენოს,
დაკარგულს ბედის ლაბირინთებში...
ისე ვარ, როგორც, მეხი უელვოდ,
როგორც ეშმაკი მათრახით ხელში...
და თუ, შემთხვევით, მაინც გიპოვეს,
მაინც გიპოვეს ჩემმა თვალებმა...
თუკი ვინმე გყავს გამოიგლოვე,
მე ვერ მოვთოკავ ჩემს მრისხანებას!!!

იმ სიხარულს მე რომ გჩუქნი

უხარია, თურმე, ატმებს,
ალუჩებსაც უხარია..
გაზაფხული შემომამტკრევს,
ბალებს თვალ-ცრემლ-კურცხალიანს...
მიაკითხავს დამზრალ მიწას,
მიაკითხავს ყლორტებს დახრილს...
იის კაბას გადაიცვამს,
მთებს გაბანს და ჩამოვარცხნის...
იმ სიხარულს მე რომ გჩუქნი,
შენი სული ვერ დაიტევს...
მე ამ ყინვებს არ ვეკუთვნი,
მე მზე ვარ და ვათბობ სივრცეს...
გადმოსახლდი, გადმოსახლდი,
ადგილს გითმობ ხელისგულზე...
შენ აპრილის მკერდში გაჩნდი,
რადგან ასე მე ვისურვე...

ამ ზღვას მე ვერ გადავცურავ

გაციებულ და გაყინულ
გულს გაღვობის სურვილი აქვს...
მაგრამ უკვე მზესთან მისულს,
ისევ ყინვის წყურვილი ჰკლავს...
მომეფერე, მომეფერე,
რომ ზაფხული გავიხსენო...
თორემ, მართლაც, იმ დღის მერე,
სულ ყინვები მმასპინძელობს...
რა დაითვლის ჩემს შეცდომებს,
ჩემს ტკივილებს რა დაითვლის,
ქროდნენ, ქროდნენ, ქარნი ქროდნენ,
ქარნი ქროდნენ სხვა მაისის...
არ ასრულდა მე რაც მსურდა,
შენ რაც გსურდა, მიაქვთ ქარებს...
ამ ზღვას მე ვერ გადავცურავ,
სხვანაირად მიბღვერს თვალებს...

წერს კალამი (ია–კოს)

ჯერ ბატისფრთით წერდა ხალხი,
მერე კალამს აწვალებდა...
მე სისხლით ვწერ, წერა არ მღლის,
წერას ვატან ამ ჩემ სევდას...
წერს კალამი, წერს კალამი,
და ცარიელ ფურცლებს ავსებს...
მახსოვს შენი თეთრი კანი,
შენი სულის სიქათქათეც...
ყვავს რაც ჰქონდა, ბუს გაჰქონდა,
არც მე მქონდა არაფერი...
ბედი თავის ბადეს ქსოვდა,
მე წყურვილი მკლავდა შენი...
ეს ცხოვრებაც უდაბნოა,
ვერ მივაგენ ოაზისებს...
სევდიანი საღამოა,
და სულს შენზე ფიქრი მივსებს...
გულსა კაწრავს კალმისწვერი,
მე მას მუდამ სისხლში ვაწობ...
შენი კანი ატმისფერი,
იყო, მგონი, ასე მახსოვს...

შენ არ იფიქრო

ისევ შენ, თორემ გული წაიღო,
მიყოლებულმა სევდის წვიმებმა...
შენ რომ არ იყო, შენ რომ არ იყო,
შენი ღიმილით ცა იღიმება...
შენ არ იფიქრო, მართლაც, ვეტრფოდე,
იმათ, ვინც გზებზე მხვდება ამჯერად...
ხარკს ვუხდი, მხოლოდ, ტრფობის მეთოდებს,
და მე იმათზე სულაც არ ვღელავ...
მაგრამ, შენ, ვისაც ასე გელოდი,
ვინც შემაჯახა თვითონ განგებამ...
ვინც სიცოცხლესაც კი მირჩევნოდი,
ასე შორს რომ ხარ, ასე რად ხდება?..
ასე რად ხდება, მითხარ, ძვირფასო,
ეს სასწაული დროც რომ არ იცდის?..
რომ ვხვდები ათას ქალსა თუ ნაცნობს,
შენ, კი, შეგხვდები? ისიც არ ვიცი...

ღელის პირას სვავნი სხედან

ფეთქავს, ფეთქავს საფეთქელი
სიყვარულის სასათუმალი...
სიყვარული ჩემი წრფელი,
ამურების ნასუფრალი...
ნუ, ნუ ესვრი არწივს ტყვიას,
ნუ მოუკლავ ზეცას შვილებს...
ან ღმერთები რას იტყვიან,
ანგელოზი თუ იწივლებს...
ღელის პირას სვავნი სხედან,
სვავებს სისხლი უყვართ ქედნის...
ცამ საზარლად დაიჭექა,
ელვა, ალბათ, მეხებს ხედნის...
ფეთქავს, ფეთქავს საფეთქელი,
და ხმაურობს სისხლი ძარღვში...
ფიქრი, როგორც ღვინო ძველი,
ტანინივით არტყამს თავში...

მიწა ვართ

თუმცა, ეჭვი მიჩნდება,
რადაც ნათელს სულ ველი...
ყველაფერი იცვლება,
მიწა რჩება უცვლელი...

ისეთ რამეს შევეხე,
ამოვწურე სათქმელი...
ვეჯექ ქართულ ქელეხებს,
ყვითელ ცვილის სანთლებით...
ჩვენც ყველანი მიწა ვართ,
ბოლოს მიწად ვიქცევით...
შენ კი, ალბათ, მინანქრად,
ან მზედ გარდაიქმნები...

რადაც გაყალბდა

რადაც გაყალბდა ჩემს ცხოვრებაში,
კვლავ სინანულის მიტევს ჯარები...
ვიღაც უცნობი შემოდის სახლში,
თითქოს საშინლად დაგვიანებით...
რასა მპირდება, რასა მპირდება,
ქალაქი თავის გადასახედით...
როცა ქუჩები სევდით ივსება,
როცა ჭრილობებს ჰგავს ნაბზარები...
დათარეშობენ ცივი ქარები
და გისოსიან ჭიშკრებს არყევენ...
ხეთა ტოტები, როგორც მკლავები,
ზედა სართულის ფანჯრებს აღწევენ...
დღეს ჩემი სული მუზეუმია,
მუზეუმია ჩემი ფიქრების...
დროს ყველა ერთად რომ შეუყრია,
შავი ქვებიც და მარგალიტებიც...
ქალაქი, სადაც ერთ დროს რაინდებს,
ესალმებოდნენ აივნებიდან...
სად ზეიმობდნენ უცხო თარიღებს,
და ვერ იხსნიდნენ ლოდებს მხრებიდან...
აქ რასაც დასთეს, იმას არ იმკი,
აქ მოსავალი მუდამ სხვისია...
და თუკი ვინმეს რამეს დაპირდი,
დაპირებანიც საკმარისია...
შორს ელვა კრთის და ზეცას ანათებს,
ალბათ, ცოტაც და წვიმას დაუშვებს...
როცა ღრუბელი ნისლს უღალატებს,
და ნისლიც ღრუბელს მზესთან ჩაუშვებს...

რადაც დამთავრდა

სად გაჭენდება, სად გაჭენდება,
ეს ჩემი ბედი, მუდამ მოცლილი...

ყველა ოცნება ერთხელაც ჭკნება,
ერთხელაც ჭკნება სულამოცლილი...
ჩემი სიცოცხლე, მართლაც, ჯანდაბას,
ჩემი სიკვდილიც არაფერია...
ეს ორეული მე სულ არა მგავს,
ჩემი კი არა, მგონი, შენია...
სულ ამერია, სულ ამერია,
რა უნდა ვწერო, როგორ, რა მინდა...
დღეს თითქოს, ყველა ჩემი მტერია,
რალაც დამთავრდა, რალაც წავიდა...
ნუ შეეხები, ნუ შეეხები,
ეს ქვაფენილი თვითონ ავყარე...
შიგ ჩარჩა მთელი ჩემი ფესვები,
ჰოდა, საჭიროდ ასე ჩავთვალე...
მინდა ვიცოდე, მინდა ვიცოდე,
საიდან იწოვს წყალს საციცოცხლოს...
ძვირფასო, ხელი გამომიწოდე?
კიდევ მცირე ხანს მინდა ვოცოცხლო...

სევდა

როდესაც სევდა მომეძალება,
ის სულში ჰყრიდეს თითქოს ქვირიტებს...
ჩემი ოთახიც სევდიანდება,
მერნებსაც სევდა დააჯირითებს...
შორს, სადაც თეთრი მწვერვალებია,
სადაც თოვლია მეფეც, ხელმწიფეც...
ჩემი მერნები მთებს გასცდებიან,
რადგან ჩემს სევდას სივრცეც ვერ იტევს...
იხვლანჭებიან სევდის მარღვები,
და მიჭირს, მიჭირს თავის დაღწევა...
საკუთარ სხეულს ვერ ვუჯანყდები,
ისეც მგელივით მუდამ ყალყზე ვარ...
ნისლიანია სევდის ბილიკი,
წვეთავს ცრემლები მწვანე ხავსიდან...
გადაწვენილი ტირის ტირიფი,
იქვე ალვები ცამდე აწვდილან...
ცამდე ასულან ჩემი მერნებიც...
მოზეზრებიან ღრუბლებს სითეთრე,
ღრუბლებზე სხედან ჩემი სევდებიც...
მე რომ მესტუმრენ, მე რომ მიმთეთქვეს...

იმ ღამეთა ცეცხლი

ილიმება, ილიმება,
სევდიანად დილა ჩემი...
სადღაც ველზე ღამე კვდება,
მე დილასთან მარტო ვრჩები...
არც ჭიკჭიკი, არც გალობა,
გახვეწილა ყველა ჩიტი,
როგორც ღამით უქალობა,
როგორც მკვდარი მარგალიტი...
დილა თითქოს ენას მიყოფს,
თითქოს მთიდან გადმომდგარა...
მინდა, მინდა დავივიწყო,
ყველა ღამე რაც მომკვდარა...
თუმცა, იყო, ბევრი იყო,
მკოცნა ბევრმა ღამეებმა...
სიყვარული ვინც გამიყო,
ვინც იმ ღამეს გულზე მება...
იყო დილის იდილიაც,
იყო ბევრი თრობის წამი...
და იმ დილებს ღიმილიანს
დღემდე უმზერს ხშირად თვალი...
იმ ღამეთა ცეცხლი დღემდე,
უკიდია ამ წყნარ დილებს...
რომელიმე, ალბათ, შეძლებს,
ალბათ, ახლაც გამილიმებს...

მინდა წავიდე

მინდა წავიდე, გავექცე აწმყოს,
წარსულში მინდა გადასახლება...
სად შემოდგომის ფერები სჭარბობს,
და წიფლის ტოტზე ქედანი ჯდება...
სადაც ნაღვლიან ტბის ზედაპირებს,
დაისი ახვევს თავის სამოსში...
ღრუბელი ნისლის შერთვას აპირებს,
და ალვის ხისას კი კიპაროსი...
ფოთლები ჭკნება, ფოთლები ჭკნება,
ხეზე, რომელზეც ჩიტნი გალობდნენ...
სიკვდილი ჰპოვეს აქ ქარიშხლებმა,
და ალუჩები დარდიანობენ...
ყველაფერს, რისხვას თუ მიტევენას,
აქ მოყავისფრო სევდა ინახავს...
ჭკნობა გრძელდება, ჭკნობა გრძელდება,
და ბზარი სტკივა ყვითელ მინანქარს...

ვერ დაბრუნდები

რადაც ზეციურს, არ ამქვეყნიურს,
თითქოს ჩავწვდი და თითქოს ვერც ჩავწვდი...
თუ დავუჯერო შენს თვალებს ღვთიურს,
და მიმიყვანენ აღტაცებამდის...
არ გაღარიბდე, არ გაღარიბდე...
მარჯნის რიფები ისე მყიფეა...
ამ თოვლს და ყინულს მალე აიღებს,
და ალუბლებიც, მგონი, მწიფეა...
მართლაც, არა ღირს უკან ყურება,
უკან, რთულია, ვერ დაბრუნდები...
იყო ომებით განადგურება,
და საქართველოს ედო ხუნდები...
ახლა სხვა დროა, ვიცი, აისებს,
სურთ ჩვენს გულებშიც შემოაღწიონ...
გადავუკეტე მე სული ნისლებს
და ფრთები მინდა, რომ ვიარწივო...

ფერმკრთალდებიან თვალები გიშრის

ვიეჭვიანე, ვიეჭვიანე,
შენს გაშლილ თმებზე ვიეჭვიანე...
ეს მე არა ვარ, ეს მე არა ვარ,
შენს ირგვლივ ჩემი სული წრიალებს...
ნეტა, შენს მეტი სხვაც თუ კითხულობს,
კალმით მიჯდაბნილ ყვითელ ბარათებს...
რომელი ნატვრა გასურს აისრულო,
რომელ დღეებმა დაგაღალატეს...
ბაღში ჰყვავიან გიორგენები,
შენ კი ეძებდი, მგონი, ნარცისებს...
წახვალ და, ვიცი, შენი ედემი
იმავე დილას მოგინაკლისებს...
გსურს იოცნებო? არავინ გიშლის,
ოცნებას კაცი ჯერ არ მოუკლავს...
ფერმკრთალდებიან თვალები გიშრის,
თვალები დღემდე ჩემს სულს რომ სუსხავს...
ატყდება ქარი, წაგართმევს ფურცლებს,
ქარს მიაქვს წლები, შენ რომ გიყვარდა...
შენ ოცნებებმა დაგისაკუთრეს,
და სევდამ შენში გამოიზამთრა...

როგორ გავექცე (მაგდას, ყურაშვილს)

ვიცი, რომ ჩემგან ბოლო ლექსს ელი,
მე რომ შეგპირდი და ვერ დავწერე...
რადგან დღეები, თავს როგორც მკვლელი,
მადგანან სწორედ იმ დღეთა მერე...
კი, ვხედავ, ვხედავ, მე შენს თვალებში,
სწორედ, შენს სევდას უკიდევანოს...
ვდგავარ ცხოვრების კულუარებში,
და ჭაობიდან ამოსვლას ვლამობ...
ეგებ, შენ მითხრა, რად გინდა ნიჭი,
თუ კარი ყველგან დაკეტილი გაქვს,
ტუზი მიჭირავს და დამა მიჭრის...
ყველა ჯებირი დალეწილია...
წყალი მოშხუის, თავის გზას ეძებს,
მას ვერაფერი ვერ შეაკავებს...
მოდის, მოამტრევს ხეობის ფერდებს,
და შენი მუზა თავს დამკანკალებს...
როგორ გავექცე, როგორ გავექცე,
დღეები ჯერაც ამღვრეულია...
თითქოს დავმარცხდი ბოლო წამებზე,
და შველა ლექსსაც არ შეუძლია...

....

სად წავიდა ჩემი მუზა,
სად წავიდა საყვარელი...
ნუთუ, მართლაც, სულ სხვა უყვარს,
სულ სხვას ატკბობს მისი ყელი...
ვცდილობ, მაგრამ, ჯერ ვერაფრით,
გულიდან ვერ ამოვიღე...
ვეძებ თოფით, ვეძებ სანთლით,
ლამის ჭერი ჩამოვიღე...

არაფერია (ნათიას, დუმბაძეს, დუმბოს)

მე რომც მენატრა, მე რომც მენატრა,
შენზე ლამაზი, შენზე ჭკვიანი...
არც გამივლებდა თავში ეს აზრად...
რა ვარსკვლავი ხარ, რა ეშხიანი...
ნეტა, რომელი ზეცის მზე გწვავდა,
ძუძუ რომელმა მხარემ გაწოვა...
როგორ ახერხებ ბედისწერასთან,
ტრფობას, სიყვარულს, ანდა, წაწლობას...
არაფერია, არაფერია,
მართლაც, სანატრი თუ სასურველი...

ხვალიდან თუკი გზა ამერია,
არავინ არ თქვას, რომ ვარ სულელი...
არავინ არ თქვას, არავინ არ თქვას,
რომ არსებობენ სხვა დემონები...
ამ ქვეყნად, მართლაც, ქალების გარდა...
თითქოს რაიმეს სხვას ვემონებით...
შენ ჩემში მოკალ, ალბათ, ღირსებაც,
მართლაც, ღირსებას ვინღა დაეძებს...
ვინა ვარ, იმწამს დამავიწყდება,
თუ მნახე, თუკი მომიალერსებ!!!

სულ რაღაც წამით (ნათიას, დუმბაძეს, დუმბოს)

შეგიყვარებდი, მაგრამ არა ღირს,
საქმე მექნება ახალ ჯვარცმასთან...
ამური თავის ტყვიებს დამახლის,
და გამაგზავნის სადმე ჯანდაბას...
ვერ დავუსხლტები შენს სილამაზეს,
და ვერც ჩემს გრძნობებს მე ვერ ვენდობი...
ისეც დაქცეულს, ისე დამაქცევ,
როგორც მეწყურისას მოდის ფერდობი...
ვერ გავექცევი, ვერ გავექცევი,
შენს თვალებს, დილის ცისკრებს რომ მოჰგავს...
სულ რომ შეჯერდეს ყველა მეწყერი,
ხოლო ჯალათმა ყულფიდან მომხსნას...
ხომ გესმის, ალბათ, არ გამიწყრები,
ამ ფრთებქვეშ სულ სხვა რომ შევიფარო...
მოგეფერება ჩემი სიტყვები,
მოგეფერება ჩემი სიზმრები,
მოგეფერება ჩემი თითები,
სულ რაღაც წამით რომ შემიყვარო...

შავი ცხენი შავფლოქვება (მარის, სულხანიშვილს)

სადაცაა ჩაემვება,
ცეცხლოვანი დისკო ზღვაში...
არ მიმტყუნოს ნეტა ფრთებმა,
სიყვარულის ამ თავსხმაში...
შავი ცხენი, შავფლოქვება,
შავ ზღვას შავი მკერდით აპობს...
რა მოხდება, რა მოხდება,
ზღვის ნაპირას დაგინახო...
დაგწვდე, წელი მომაშველო,
ზურგს მიწვავდეს შენი მკერდი...

ჯვარედინად რომ დავსერო,
ზღვის სხეული ვერცხლისებრი...
შენს თეთრ კანზე ცხელი ხელი,
ცხელ თითებით ვასრიალო,
ცას ავხადო სროლით ჭერი
და დედოფლად გალიარო!!!

ისევ სევდა

ჩემს შეგნებაში რაღაც გაირღვა,
რაღაც უკვალოდ მიდის...
ისევ სევდა და ისევ დარდის ზღვა,
რაღაც უსაზღვროდ მიმძიმს...
თითქოს, იმას ვწერ, თითქოს, იმას ვწერ,
რასაც სხვა უკვე წერდა...
და ვერასოდეს ველარ მივალწევ,
ჩემს წინ აზიდულ მწვერვალს...
ჩამოინგრევა, ჩამოინგრევა,
ჩემი ღვთიური სახლი,
სადაც აკვანი აღარ ირწევა,
სადაც აკვანს სცვლის დახლი...
ქარი სისინებს, ქარი სისინებს,
ბზარი ატყვია კედლებს...
და ეშმაკებმა თუკი მიშვილეს,
რაღას მეძახი მეკვლედ...
რაღას მეძახი, რაღას მეძახი,
როგორ მოგაგნო ქარში...
გაკაფულია ჩემი ვენახი,
ვწევარ ცრემლების ზღვაში...
როგორ გავაშრო, როგორ გავაშრო,
სისხლი რომელიც მახრჩობს...
იცი, არ მინდა გადავამლაშო,
ნუ, ნუ მოდიხარ, ახლოს!!!

პეიზაჟი

ვიცი, ჩემსავით განიცდი ტკივილს,
ადრე ალერსი რომ აყუჩებდა...
მდინარის პირას წაქცეულ ტირიფს,
წყალი მომტვრეულ ყლორტთან უწევდა...
ტყის გასწვრივ უკვე დაედო თრთვილი,
და ძილ-ღვიძილით სთვლემდნენ ტყეები...
მიწას აკრთობდა ზამთრის ლოდინი,
გაყვითლებოდა ჩალებს ღერები...

შორს ჰორიზონტზე ნაღვლიან მთვარეს
ჩაწითლებული ჰქონდა თვალები...
იდგნენ კლდეები ისე მდუმარედ,
როგორც დანგრეულ საყდრის ზარები...
ჩამოდიოდა, ჩამოდიოდა,
ცოცვით მთებიდან ზამთრის ნისლები...
მყინვარს ჩემსავით გული სტკიოდა
და კლდის ტინებზე ეცხო სისხლები...

რატომ ვერ ვხვდებით

შენ ყველაფერი მიგქონდა ჩემგან,
თუ კი რამ იყო ჩემი კუთვნილი,
მიგქონდა ჩემი უსაზღვრო სევდა,
და მეც ვიყავი, ალბათ, გულგრილი...
აღარც კი მახსოვს, აღარც კი მახსოვს,
მე მართონი სად დავამთავრე...
რატომ მიმქონდა ან გულთან ახლოს,
ყველა ლოდი და ყველა სამარე...
ჰო, რა აზრი აქვს ყოფნა–არყოფნას,
თუკი ვერ ჩაწვდი ისე მოკვდები...
რატომ გაფრინდა ახალგაზრდობა,
რად გვიტევს წლები, როგორც ფოცხვრები...
რატომ ვერ ხვდებით, რატომ ვერ ვხვდებით,
გარდაცვალება, მართლაც, რას ჰქვია...
ან რატომ ვჩნდებით ქვეყნად შემთხვევით
და ჩვენვე დაგვაქვს ჩვენი ბრმა ტყვია...

ჩემი გოლგოთა

არა, არ არის ყველაფერი ისე მარტივად,
შენ რომ გგონია და თავს აჯერებ...
მეც ხომ შენსავით გაპუტული ყვავის ბარტყი ვარ,
ნისკარტი მტკივა და ვერ ვჭამ მწერებს...
სად გავიციხო, თუ გგონია, რომ რამეს ვტყუი,
მე თოკის ყულფით თავზე მადგას მუდამ ჯალათი...
მათრახის წვერი გამუდმებით ჩემს ზურგზე წუის,
და თან დამყვება ბრბო, ყაყანით, ბრაზით, კამათით...
ყური დაუგდე, ეს მარშია სამგლოვიარო,
მისი ბგერები შიშველ სხეულს ციდან ეყრება...
მე გოლგოთამდე ასე მარტომ უნდა ვიარო,
რომ კბენა იგრძნონ დასერილმა ჩემმა ნერვებმა...
ნუუ, ნუ მომთხოვ, რომ ამაყად თავი ავწიო,
რომ დავინახო დამცინავი ხალხის თვალები...

სულ ცოტა დამრჩა, დამეხმარე, რომ მივაღწიო,
რა ნაღვლიანად, რა საოცრად რეკავს ზარები!!!

არ ვიცოდი (ირმას, სურმანიძეს)

დაბადებულხარ თურმე აპრილში,
მე კი სულ აღარ მეაპრილება...
თავი მგონია მგლების ნადიმში,
მგელი კი, აბა, რას დაგპირდება...
ისე, ვინ იცის, მგლებშიც გვერჩიოს,
ამ გაუსაძლის უდღეურ დღეებს...
და ამ ნადიმზე რომ დამეწვიო,
მართლაც, აჯობებს, თუ დამიჯერებ...
არ შეგეშინდეს, არ შეგეშინდეს,
მგლების თათების, ჩემი ტორების...
თუ გინდა, ყელზე ჩამომეკიდე,
მე კი ლოყაზე გეამბორები!!!

ერთხელ ვუთხარ

თითქოს ჩემი ბედი წყდება,
რა ბედს ველი, მითხრათ იქნებ?
ბედიც ცდება, ბედიც ცდება,
ჩემი ბედის გადამკიდე...
რატომ ვუცდი, რატომ ვუცდი,
მხოლოდ იმ ერთს, მხოლოდ იმას...
ვისაც უკვე გამოვუტყდი,
რომ ისაა, ვინც მე მიყვარს...
მას კი სულაც არ ანაღვლებს,
ალბათ, ჩემი სენტი-მენტი...
ისიც იცის, ხელს ვერ ვახლებ,
ერთხელ ვუთხარ, მეტს ვერ ვეტყვი...

კოცნა (ქეთი ბიბის)

მე შენი კოცნა ისე ვიგრძენი,
როგორც მიწა გრძობს მზის სიმხურვალეს...
იცო, ვიბნევი, როცა მიცქერი,
როცა მიცქერი ასე მწუხარედ...
კი, შემიძლია დაგემშვიდობო,
მაგრამ ხომ ვიცი, რომ გეწყინება...
შენ შეგიძლია სულ სხვა იპოვო,
ვინც სამუდამოდ შენი იქნება...

შენს ბაღჩაში ვარდი ხარობს,
ჩემს ბაღჩაში იები...
გელალატა, თუნდაც, კარგო,
მაინც გაპატიებდი...
არ მატკინო, არ მატკინო,
გული ისეც მკვდარია...
ვიცი, ჩემგან გაცლას ცდილობ,
მაგრამ, არ გიხარია...

...

რადაც იდილიას ვეძებ,
ისეც მთებში მინდა, სადაც,
ოდნავ მოვერცხლისფრო ტბებზე,
თეთრი ფერიები წვანან...
ფრთხილად შევცურავდი წყალში,
და იქ ფერიების წრეში,
ფეხებს გადავცვლიდი ფარფლში,
და რომელიმეს კი შენში...

აი ასე (ალბათ, მიხვდება)

გადმოხეთქა, გადმოხეთქა,
ამ მკერდიდან ცხელმა ლავამ...
რადგან ერთხელ არ მომხედავ,
როგორც მოველ, ისე წავალ...
მე კი, მე კი უნებურად,
ვერ გაცილებ მაინც თვალებს...
გიყურებ და გულსა ვწურავ,
ქრება სისხლი, მოწანწკარებს...
და მოველი კატასტროფებს,
მაწყობს, მაწყობს ახლა მსხვრევა...
ყორანივით ვჯიჯგნი სტროფებს...
შემოდგომის მესმის ხველა...
როგორ შევრწყა, როგორ შევრწყა,
შენი სახე ამ ნგრევაში...
როგორც ტალღა მიირწევა,
მე კი შევცდი არჩევანში...
ყველა სცოდავს, ყველა სცოდავს,
შენ მგონიხარ უცოდველი...
ვახრჩობ, ვახრჩობ მე შენს ტრფობას,
გჟუდავ, როგორც შვლის ნუკრს გველი...

ნუ იხუმრებ

ნუ იხუმრებ სიყვარულზე,
თუ მე სადმე ახლოს ვდგავარ..
სხვა რამეზე ისაუბრე,
რასაც ფიქრობ, ნუ დამალავ...
ბოროტია კაცთა მოდგმა,
ლომებს სვავენ გალიაში...
ცის კიდურზე მზე გადმოდგა,
და ჩემს სახეს უმზერს წაშლილს...
მიმზერს, მიმზერს და შენს ნაცვლად,
მზეს, ვიცი, რომ ვენანები...
ასე ვარდი ბულბულს თაფლავს,
და ბულბულიც გალობს გზნებით...
დაიფარე, დაიფარე,
შენი ძუძუ სადეკოლტე...
და თუ მთებში ირმებს ჰკლავენ,
მე შენს მკერდზე მინდა მოვკვდე...

კდება

ქალში რაც უფრო მეტია კდება,
მით უფრო მიჭირს გაბედვა რამის...
ეს შენი წელი ყლორტავით ტყდება,
საოცარია სისუსტე ქალის...
დაიმახსოვრებს, დაიმახსოვრებს,
ყველა ეს წამი შენს ფერმკრთალ სახეს,
დაიმახსოვრებს ბაგეს ნაკოცნებს,
და შენს თვალებში ჩარჩენილ ნაღველს...
ჩემი დღეები გადის სიზმრებად,
ჩემს ამბებს მთვარე უყვება ღამეს...
და თუ შემთხვევით ცა გამიწყურება,
მთვარე საშველად ვარსკვლავებს ჩარევს...
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება,
ჩემი ტურები რასაც გეტყვიან...
ჩვენი შეხვედრა ღმერთმა ინება,
ვარსკვლავებისთვის კი სულერთია...

ნუ წახვალ

ნუ წახვალ, დარჩი, იყავი ჩემთან,
როგორც ყვავილი, ან სამკაული...
რომ ეს ნექტარი ბოლომდე შევსვათ,
და ერქვას ჩვენი დღესასწაული...

ნუ წახვალ, შენში მე ჩემ ბედს ვხედავ,
მე ვბოროტდები, მუდამ, უშენოდ...
და როგორც ცეცხლი მეღება სევდა,
არც ვიცი, ამას როგორ ვუშველო...
მე ვფიქრობ შენზე, მე ვფიქრობ შენზე,
და მე ამ ფიქრებს თავს ვერ ვანებებ...
ჩვენი დაისი თვლემს გედის ფრთებზე,
და ველი, ველი, ველი, კვლავ შენს ბრძანებებს...

ბედი

ბედი შეგვეყრის, ბედი გაგვეყრის,
დრო წააყრის ხსოვნას ნამქერს...
ბედთან ხვეწნა—თხოვნა არ ჭრის,
ვერც მოუგებ, ვერც დაასწრებ...
ვუცდი, ვუცდი, მეც ბედს ვუცდი,
არ მსურს გვერდზე ჩამიქროლოს...
მომყაროს რაც მეკუთვნის...
ჩამითრიოს, ჩამიყოლოს...
მაგრამ თუკი ვერ გავბედო,
რაც შენ ასე გულით გინდა...
ბედს არ ენდო, ბედს არ ენდო,
არ დაგინდობს, არ გაგიტანს...
ამოხეთქილ ვაზის ყლორტებს,
ცრემლი დასდის ნაკადულად...
ნეტა, იმის ბედი მქონდეს,
შენი ხვეწნით დამარწყულა...

რა ქარი ქრის

მინდა მქონდეს, მინდა მქონდეს,
ზღვების ძალა, გველის სისხლი...
ვერ მათრობდეს, ვერ მათრობდეს,
ბაგე თაფლის, თმები გიშრის...
რა ქარი ქრის შენი მხრიდან,
რა მიზეზი გასჩენია...
ადიდებულ ზღვასთან მინდა
სადაც სევდა დაგრჩენია...
სადაც ყოველ გაზაფხულზე
იმედების ნერგი ხარობს...
შენ რომ ასე ცივად უმზერ,
და არა გასურს შეიფარო...
ისევ მოვა შემოდგომა,
გააცილებს ზაფხულს ცივად...

მე სულ შენი დარდი მქონდა,
შენ კი, ნეტა, რა გეწყინა...

თბილისი 2012–13 წლები